



# მნათობი

10

მ მ ტ მ მ ბ ე რ ი

---

თბილისი

1940



# მნათობი

სრულიად საქართველოს საშქოთა მწერლების  
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სასკოლო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო  
ქურნალი

წალიწალი მიჩვიდმბტ

F-430


## 10



19 ოქტომბერი 40  
სახელგანი

**სარედაქციო კოლეგია:**

ლევან ასათიანი,  
ალექსანდრე გომიაშვილი,  
ქარლო კალაძე,  
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,  
ალიოზ მაყაშვილი (პ/მგ. რედაქტორი),  
ილიო მოსაშვილი,  
ალექსანდრე შუთათელი.



იაკობ გოგებაშვილი  
1840—1940

უიარაღო \*)

## მ ა ქ ი ე ბ ე ლ ნ ი

(სურათები სამეზგელოს ცხოვრებიდან)

ნაწილი პირველი

### I

სოფელი ჭყონონა მდებარეობს სამეგრელოს ერთ მიყრუებულ კუთხეში, რომელსაც არც გზატკეცილი უდგება და არც რკინიგზა. ძველად-კი ეს სოფელი მიყრუებული არ ყოფილა, რასაც ადასტურებს შუა სოფელში შაქრის თავივით წოწოლა ციკაბოიან გორაკზე ამართული დახავსებული ციხის ნანგრევი, რომლის ჯერ კარგად დაცული მაღალი კოშკები ამაყად დაჰყურებენ გორაკის ძირში გაშლილი მდინარე ჭანის-წყლის ვიწრო, მაგრამ გრძელ ქალებს. ერთ დროს აქ სიციოცხლე სდულდა და გადმოდიოდა, ესლა-კი ციხის ალაგ-ალაგ გამონგრეული კბილებიანი გალავანი, მწვანე სუროთი სქლად დაბურული, საცოდავად გამოიყურება.

ჭყონონა მეგრულად მუხნარსა ჰქვია. ამ ოდესღაც მუხნარ ადგილას ამჟამად არც ერთი ძირი მუხა არ მოიპოვება. სამაგიეროდ სახნავ-სათესი მიწა საკმაოა. განსაკუთრებით საქებურია ჭანის-წყლის ქალა, რომელსაც მდინარე უხვად რწყავს. იმდროს, როცა აქ მოთხრობილი ამბავი დაიწერა, მთელი ქალის ნახევარზე მეტი ნაბატონარს ეკუთვნოდა, ნახევრის ნახევარი, ე. ი. მეოთხედი, ოც კომლს აზნაურს და სხვა მესაკუთრეს. ზოლო დანაარჩენი მეოთხედი ასიოდე სხვადასხვა გვარის გლეხს „უსტაენი გრამოტაში“ ჰქონდა ჩაწერილი: ზოგს სამი ჰქცევა, ზოგს ორი, ზოგს ერთი და ზოგსაც უფრო ნაკლები.

ს. ჭყონონას აღმოსავლეთის მხრით უძვეს ეს ქალა, რომლის შუაში ათასწორად დაკლანჩილი და პატარ-პატარა ტოტებად დაყოფილი კარგა მოზრდილი ჭანის-წყალი მიშუის. ქალის დასავლეთით პატარა ხევეებით დაყოფილი სერები იწყება. ერთ მათგანზეა გაშენებული შემოსხნებული ციხე. ვინ იცის, რამდენი სისხლი დაღვრილა ამ ციხის გარშემო და რამდენი ოხერისა და მღუღარე ცრემლის მოწმენი ყოფილან მაღალი კოშკის ცივი ქეები?

დაბლა, მდინარის პირად, ერთი ოთხთვალა წისქვილია. წისქვილი ერთია, მაგრამ პატრონი ბევრი ჰყავს. ესენი არიან: თერთმეტი კომლი აზნაური მძებრაძეები, სამი კომლი გლეხი თოხიტარიები და ერთიც ვალურია ჭირსეშია, ხელოსანი, გარეშე სოფლელი. ყველა ამათ წილი უდევთ წისქვილში. მძებრაძეებს, — რადგან წისქვილი მათ საერთო ალაგზეა აშენებული. თოხიტარიებს, — რადგან არხის სათავესთან ჩამდენივე საყენი მიწა მათი აღმოჩნ-

\*) უიარაღო (კანდრატე თათარიშვილი) ცნობილი მოთხრობის „მამულეები“-ს ავტორია. „მამიებელი“ პირველად იბეჭდება. უიარაღო გარდაიცვალა 1929 წელს.

და. მძებრადეებს არ უნდოდათ, გლები თოხიტარიები შეეზარებინათ წისქვილში, და მათ დაუყოთხავად დაიწყეს მუშაობა, მაგრამ თოხიტარიებმა მდგრად დაიციეს არხის სათავე და თავისი გაიტანეს — წილი დიდდეს, წისქვილში. ვალურია ქირსეშაი-კი დიდად საჭირო კაცი იყო ამ წისქვილის აგების დროს, რადგან მას წისქვილის ოსტატობაში ბადალი არ ჰყავდა. გასაშრავლო მეტად დიდი შოითხოვა და იძულებული შეიქნენ მონაწილედ გაეხადათ.

ამათ გარდა გახლდათ კიდევ ერთი მონაწილე — მეწისქვილე. დაადგინეს, რომ წმინდა შემოსავლის მეხუთედი მეწისქვილესთვის მიეცათ, დანარჩენს შუა გაიყოფდნენ — მძებრადეები ერთის მხრივ, ხოლო ვალურია და თოხიტარიები მეორეს მხრივ. ხუთასი ფუთი სიმინდიდან, მაგალითად, ასი ერგებოდა მეწისქვილეს, ორასი მძებრადეებს და ორასიც ვალურიასა და თოხიტარიებს.

ამ დროებით მეწისქვილედ გახლავთ შაძინია რულაია, კაცი დაბალი და ჭოსა, ფართო-ტუჩა და მოკლე-კისერა, მუდამ მხიარული და ზოგჯერ ოხუნჯი, რომელსაც ჭუჭყისაგან გაშვეებული ჩიბუბი განუშორებლად პირში უდევს.

შაძინიას ვინაობაზე შემდეგს გადმოგვცემენ. ის გახლდათ, როგორც იტყვიან, უჯეროდ შობილი ერთის თავადიშვილის ოჯახში. ძველად (ბატონყმობის დროს) უჯეროდ შობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ის თქმა უნდა, შაძინია გამდელისაგან<sup>1)</sup> დაიბადა. მის მამად სახავდნენ ბატონის ერთ ხაბაზს, ზუმარა ჯათუნიას, ზოგი კი, — ცოდვა პირველად მთქმელს! თვით ბატონზედაც უთითებდნენ, თუმცა საიდუმლოდ და ჩურჩულთ. „ლამაზი იყო ცირაია გამდელი, ლამაზი, ლოყებზე ვარდი ეფინებოდა, და მოეწონა ბატონსაო“, დადიოდა სოფელში ხმა. ვინ იცის? მხოლოდ ეს კი ცხადი იყო, რომ შაძინიას ჭოსა წვერი და მოგრძო ნიკაპი ძალიან წააგავდა ბატონისას.

თუმცა ამ ამბავს საიდუმლოდ ამზობდნენ, მაგრამ მან ჭალბატონის ყურამდე შაინც მიაღწია. ბატონს, ჩასაკვირველია, ძალიან გაეებუტა, თუმცა იგი ეფიცებოდა: ახალ-დაბადებულ ბავშვი ჯათუნია ხაბაზის შვილიაო. დასამტკიცებლად ბატონმა ჯათუნია კიდევ გააწკებლინა, რის შემდეგაც ის გაიქცა და იმ დღიდან არც ცოცხალი და არც მკვდარი აღარავის უნახავს. ჭალბატონი ამით შაინც არ დაქაყოფილდა და მუდამ დღე ქმარს გამდელის სახლიდან გაგდებსა ჩასჩინებდა.

გარემოებამაც ხელი შეუწყო ჭალბატონის სურვილს. იმხანად მისი უფროსი ჭალიშვილი მოშორებით მცხოვრებ ერთ თავადიშვილს მისთხოვდა და ჭალბატონმაც აღარ დააყოვნა: ცირაია გამდელი ბატარა შაძინიათურთ ჭალიშვილს მშითვად გაატანა. შაძინია მაშინ ორი წლის იყო.

ახალ ბატონთანაც არ მოასვენეს ცირაია. ის იქაც დაორსულდა. ამანაც ახალი ჭორი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მხოლოდ პირველისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ახალმა ბატონმა ცირაიას ორსულობა ხაბაზის ნაცვლად მეჯინიბეს ვადაბრადა. მეჯინიბესაც საკანონო მოჰხადეს. მაგრამ ჭალბატონი-შვილი დედასავით მარტო ბუტიაობას არ დასჯერდა: მან მთელი ომი გამოუტახადა ქმარს და ბატონიც იძულებული გახდა ორივე, ორსული ცირაია და შაძინია — გაეყინა.

ცირაია ბატონმა მიჰყიდა აზნაურ როსტომ მძებრადეს, რომელიც ს. ჭყონიანში სახლობდა. თავადმა დედაშვილის ფასად აიღო ერთი მოვერცხლილი თათრული დამბაჩა.

<sup>1)</sup> გამდელი — გაღია.

მეორე მშობიარობას ველარ გადაურჩა უბედური ცირანია. იგი შრკველა და მძებრადის სახლში ობლად დასტოვა მადინიკა.

როსტომ მძებრადეკ თავის დროზე გამოჩენილი ქურდი, <sup>ერკინულა</sup> <sup>მეგობრული</sup> <sup>საყვარელი</sup> <sup>ქრასაკვირველია</sup>, მადინიას ვერაფერ სიკეთეს ვერ დაასწავლიდა. ბავშვი ცოცხალი და მარჯვე გამოდგა. ათი წლის მადინია მაყურეს<sup>1)</sup> თამამად ისროდა და გამხეცებულ ცხენებს იჭერდა.

როცა წამოიზარდა მადინია, როგორც როსტომის, ისე მისი დამჭაშების მარჯვენა ხელი ვახდა. ბევრი ცხენი მოუპარავს მადინიას, ბევრი ხარ-ძროხისთვის უმართლოდ გამოუჭრია ყელი, ბევრი ქვრივ-ობოლი აუტირებია. მაგრამ ამასაც ბოლო მოელო. დრონი იცვალენენ: როსტომ მძებრადეკ დაიჭირეს და ციმბირისკენ უკრეს თავი. მისი ამხანაგ-ხელქვეითი აქეთ-იქით გაიფანტნენ. დარჩა მადინია თავისუფალი. ბატონ-ყმობა გადასული იყო, მას არ გააჩნდა ერთი მტკაველა მიწა, არა ჰყვანდა ნათესაეები, არც სხვა რამ მოეძვეებოდა.

ამასობაში ბუნებამ თავისი გაიტანა და მადინიას თმაწვევრში ჰალარა გაეჩრია. ბევრგან მის სტუმრობას უკმაყოფილო თვალთ შეხედეს. მადინია ბოლოს ჩაუკვირდა თავის ცხოვრებას, გონს მოვიდა, აქეთ-იქით მიიხედა და გაშტერებულმა პირი დაალო: ღმერთო ჩემო, რამდენი ცვლილება მომხდარიყო მართო ჭყონონაში მას აქეთ, რაც ის როსტომთან ერთად სოფლებს აწიოკებდა! მან ნათლად დაინახა თავისი უმწეო მდგომარეობა, აღეძრა სურვილი, ისეთი საქმე ეშოვნა, რომ სხვის დაუყვედრებლად ცივი ღომის ლუკმა მიანც ჰქონოდა. აი სწორედ ამ დროს ააგეს მძებრადეებმა წისქვილი და მადინიაც მეწისქვილედ ჩაღდა.

წისქვილი კარგად მუშაობდა. განსაკუთრებით ბევრი საფქვავი მოდის ზაფხულობით, როცა ახლო-მახლო სოფლებში ღელეები პატარავდებიან და მათზე მომართული ერთ-დოლაბიანი წისქვილები ჩერდებიან. მაშინ იმდენი საფქვავი მოაწყდება ზოლმე ჭყონონას წისქვილს, რომ მისი ოთხი მოზრდილი დოლაბის თავგანწირული გრიალი ველარ აუდის საფქვავს და ხშირად ჩხუბიც იმართება ზოლმე.

ვაქეთ სიცოცხლე, რომ ამ აურ-ზაურში მადინია ხელცარიელი არა რჩებოდა. განა ის არ არის წისქვილის ბატონი? თვითონ ვისაც სურს, პირველად იმას დაუყრის. ამიტომ მოდის სხვადასხვა საჩუქარი: ყველი, კვერცხი, ღვინო, ხილი და მისი საყვარელი თუთუნი. აქ ბატონო, უცხო არა არის რა: თუ სხვაგან ქრთამით ბევრი ჩამე კეთდება, წისქვილმა რაღა დააშავა!?

## II

მარტის ერთ დღეს საკმაოდ დათბა. ახლო-მახლო მცხოვრებთ წისქვილში მოეყარათ თავი. მადინია მჭადის გამოცხობაში იყო გართული. სხვებიც იქვე კერას უსხდნენ. სამი დოლაბი ბრუნავდა, მეოთხე გაჩერებული იყო.

— წიე, ეს მეოთხე დოლაბი რათ არ ბრუნავს?—იკითხა ერთმა მოხუცმა, რომელიც, გახუნებულ ნაბადში გამოხვეული, კერას ცოტა მოშორებით სავსე ტომარაზე იჯდა.

— რა ვიცი, დაიქტა მაგის თავი!— უკმაყოფილოდ მიუგო მადინიამ, და კეც ჭვეშიდან შეჰხედა.

1) მაყურე—ქამანდა.

— ალბათ, წყალი არ ექნება საკმაო, — აღჩქარებლად სთქვა კობა სიჩუმის შემდეგ ერთმა შეახნის მოკლე-ჩოხიანმა კაცმა.

— გამარჯობა თქვენი! — შტკიცედ მიესალმა ამდროს მცხოვრებულს ქვიშის ქველში შესული ასე ოცდაორი, ოცდასამი წლის ლამაზი და ჯანმრთელი ვაჟკაცი.

— ვაგიმარჯვოს ღმერთმა! — თითქმის ერთხმად მიუგო ყველამ.

ახალ-მოსულმა ზურგიდან სავსე ტომარა მოიხსნა და სხვა ტომრებს ამოუღდა.

— წიე, ეს ბიჭი ვერ ვიცანი, — ზრინწიანი ხმით სთქვა ერთმა მოხუცმა და ჩაახველა.

— დაბრმავდი, ბეჩა — სიცილით მიუგეს სხვებმა — ეს ნიკოიას შვილია, ნიკოიას, პეტრე.

— რომელი ნიკოიას, წიე? — გაოცებით იკითხა მოხუცმა.

— ნიკოია თოხიტიარიას შვილია ნიკოიასი, არ გახსოვს, ბეჩა, შარშან სა-მარგლავში რომ გეხმარებოდა? — ყურში ჩასძახა მოხუცს მოკლე-ჩოხიანმა.

— ყვეი, დიდობა შენდა! — პირჯერის წყრით ნელა წარმოსთქვა მოხუცმა. — მერე, წიე, ნიკოიას შვილი ამ ერთ წელში ასე გაიზარდა? არუქოს ღმერთმა, მართალი კაცია... კიდევ ყავს, ვაჟები?

— ერთი კი არა, სამი ისეთები ყავს, რომ! — მიუგო მაძინიამ. — ყველა შენისთანა მოჭანცული გეგონა, ორის მეტი რომ ვერ...

ამ სიტყვებზე ზოგმა გულიანად გადინახარა. მოხუცმა დინჯად ჩაილაპარაკა:

— ბევრი შვილის ყოლას ბევრი ჭკუა არა აქვს. უკაცრაო მოხსენებაა: ძლენა ძალსაც, ბაბაია, ქე ყავს შვილები. საქმე, ბაბაია, მერენდელი პატრონობაა...

მაძინია მჰადის ცხობას მორჩა. დოლაბები დაათვალიერა. კარის მახლობელი დოლაბი ჩამოსულყო. მაძინიამ სიმძლით სავსე ტომარას ხელი მოაღწო.

— არა, არა შენი ჭირიმე მაძინია, — გაისმა ხმა და ერთი ჭალარა კაცი ფეხზე წამოღდა, — შენი ჭირიმე, მაძინია, ჯერ ჩემი, შენ გენაცვალე!

ჭალარა კაცს გამზდარი და მოწყენილი სახე ჰქონდა.

— არა, ჯერ ჩემი, მაძინია, ასე ჩქარა დაგავიწყდა, ისეთი სელეგინი მოგიტანე? — შეედავა ერთი შავ-წყვერა გლეხი.

მაძინია შეჩერდა. ხელები ტომარაზე დაედო და ორივეს შეჰყურებდა.

— კობთაია, კობთაია, შენ კიდევ მოასწრობ, — შეეხვეწა გამზდარი კაცი შავ-წყვერას. — განა ჩემი მზბავი არ იცი? შინ ავადმყოფი მიწვევს.

— მართლა, მართლა, შინ ავადმყოფი უწვევს, — კვერი დაუქრეს სხვებმაც.

მაძინიამ სათითაოდ ყველას შეჰხედა და ჩაილაპარაკა:

— კარგი, კარგი, ჯიმა, მარა ხელში რომ მაქვს, ეს ტომარა ვისია?

— ჩემია, ჩემი — ხმამალა მიაძახა კობთაიამ.

— არ შეემცდარავარ, სელეგინს მაინც თავისი გაუტანია, — გაიხუმრა მაძინიამ. — შენი სადლაა? — მიუბრუნდა იგი გამზდარ კაცს.

— აი ბატონო, ა, შენი ჭირიმე! — დაფაცურდა ის და საჩქაროდ თავისი ტომარა მოსძებნა.

მაძინიამ კობთაიას ტომარა განზე გადასდო და გამზდარი კაცის სიმინდი დააყარა.

— მადლობელი, შენი ჭირიმე მაძინია, სალამოთი მოგნკითხებ, — თავ-  
დაბლად უთხრა გამხდარმა კაცმა და წისქვილიდან გავიდა.

სხვებიც აიშალნენ. ზოგი დაჩქარებას შეეხეწა, ზოგმა <sup>ეჩქინულა</sup> ფეხეფა და  
ზურგზე და შინისაკენ გაეშურა.

— ხელ დილით უსათუოდ მზად დამახვედრე, მაძინია, ჩემი ფეხილი! —  
უთხრა პეტრემაც.

წისქვილში დარჩნენ: მოხუცი გოძია, შეწვერა კობტაია და ნაბადის-ქუ-  
დიანი თემა ბოჭოკია, რომელსაც მეტ სახელად კუდას ეძახდნენ..

— დამარჩინა, დამარჩინა იმ კაცმა! — მოქნარებით ჩაილაპარაკა კობ-  
ტაიამ და პაპიროსის კეთებას შეუდგა.

— შენსას ჩქარა დავუყრი, ნუ გეშინია, საცაა დიდი დოლაბი ჩამოვა, —  
ანუგეშა მაძინიამ.

— ჩემსას როდის და ეშველება? — ბოხი ხმით შეეკითხა მოხუცი.

— შენსასაც ეშველება, ფიჭვი ნუ გაქვს, იცოცხლოს ქანის-წყალმა, ყვე-  
ლას მოქრევა..

— შენც სიმინდი გაქვს? — დაეკითხა კობტაია კუდას.

— არა, მე ისე შემოვედი, აქეთ ვიყავი, გამოღმა, — ცოტა არ იყოს, მორ-  
ცხვად მიუგო კუდამ.

— ამან უნდა შეამოწმოს, ჩემო ბატონო, კარგად ფეხავს წისქვილი თუ  
არა, — გაეხუმრა მაძინია.

— გამოღმა რას აკეთებდი? — ცნობისმოყვარეობით კითხა მოხუცმა.

— ისე ვიყავი! — მიუგო კუდამ და უფრო წამოწითლდა.

— რაღა საკითხავია, სამაშვალოზე იქნებოდა, — გაეხუმრა კობტაია. —  
ვის არიგებ, ვის?

— არა, მამიჩემის სულმა — დაფიცა კუდამ, — ამ დროებით სამაშვალო  
არავინა მყავს..

— აი შე უბედურო, რა ბევრი ძებნა უნდა, მაძინია აგერ არ არის? გა-  
თეთრდა საბრალო, უცოლ-შვილოდ კი იღევა. ფეხილი ბევრი აქვს და წყალი.  
მაყრებიც არ დასჭირდება, აი დოლაბებს ისეთი რიზინი გააქვთ, რომ დაფა-  
ზურნაც არ მიუვა..

— რატომ არა, — დაუდასტურა მაძინიამ. — მით უმეტეს, თუ დედა შენი  
გამირივა. ისეთ ჭორწილს გადავიხდი, რომ შთა და ბარი ავითამაშო. გვარიანი  
ხონჯკა ქერივია, ამ ბოლო დროს მაინც სულ გასუქებულია. უბედურობა ისაა,  
წისქვილში იშვიათად შემოდის ხოლმე. ეშვაკი ხარ, არ უშვებ, მაძინია არ  
გაუარსოყდესო, თორემ მაშვალიც არ მინდა, მე თვითონ მოვეცეცავ საქმეს..

— დაიკარგე იქით, გინდა ზურგი ავიკრელო ამ ჯოხით? — ხუმრობით  
შეუტია კობტაიამ.

მაძინიას უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ამ დროს კარებში ვიღაც უც-  
ნობი გამოჩნდა. ყველანი ზეზე წამოდგნენ. ახალ-შემოსული იქნებოდა ასე  
ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის ვაჟაკი, შუათანა ტანისა. პატარა ცხვირი და  
მხიარული თვალები ჰქონდა. ტანით ეცვა მაუდის მშვენიერი ჩოხა. წელზე იმე-  
რული ვერცხლის ქაშარი ერტყა, ხოლო მასზე ქარჭა-მოვერცხლული ხანჯალი  
ეკიდა. კისერზე საათის ვრძელი ძეწკვი ჰქონდა გადაგდებული. თვით საათის  
ყური ოღნავ მოსჩანდა მასრებს ჭეშმით პატარა გუბიდან. ვერცხლის მოოქ-  
რულ მასრებს ლაპლაბი გაჰქონდათ.

— გამარჯობა თქვენი, ძმებო! მაგრამ რაც შე თქვენ ვიძახეთ, — შემოი-  
ლაპარაკა უცნობმა და დაკეცილი მათრახი ჩექმის ყელში ჩაიღო. — ვიძახე,  
ვიძახე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, ვერა გავაგონეთ რა, — სიტყვით დაუმატა  
მან.

— მობრძანდი, ბატონო, მობრძანდი! — ერთხმად მიუგო ყველამ. —  
უკაცროდ, მაგრამ, ხომ მოგეტყვებათ... — და ბოდიშით შესთავაზეს კერის  
პირად დასაჯდომად საუკეთესო ადგილი, ე. ი. თხმელის ნახევრად დამპალი  
კუნძი, რომელიც სკამის მაგიერობას ასრულებდა და რომელზედაც აქამდის  
კობტაია იჯდა.

— წისქვილის ხმაურობა ვერ გააგონებს კაცს, ბატონო, ძახილს. ერთხელ  
მეც დამემართა. ნაწივიმარი იყო. ვალმა უნდა გავსულიყავი და მარტო ვერ გავ-  
ბედე, წყლის შემეშინდა. ვიძახე, ვიძახე, მარა მაძინიას მაინც ვერაფერი გა-  
ვავონე, — დინჯად სიტყვა მოხუცმა.

მაძინიას სახელის გაგონებაზე ახალ-შემოსულმა გაიხედ-გამოიხედა.

— მაძინია რომელია? — ცნობის მოყვარეობით იკითხა მან.

— შე გახლავართ, ბატონო! — ცქვიტად მიუგო მაძინიამ და თავის მხრივ  
სტუმარი აათვალ-ჩაათვალიერა, თითქოს სადღაც უნახავს და ვერ გაუხსენე-  
ბიაო, — შე აქაური მეწისქვილე ვარ, ბატონო!

— შენი გვარი? — ჰკითხა სტუმარმა.

— რულაია, ბატონო!

— ა, სასწაული! — თითქმის მიაყვია ახალ-შემოსულმა. — მაძინია რუ-  
ლაია ხარ შენა, როსთომ მძებრადეს რომ ახლი ერთ ღროს?

როსტომის სახელის გაგონებაზე დანარჩენებმა ყურები სცქვიტეს და ერთ-  
მანეთს გადახედეს.

— დიახ, ბატონო, შე გახლავარ... თითქო, ბატონო, მეც მეცნობილებით...  
სტუმარმა ოდნავ ჩაიციხა:

— არ გახსოვს შერაბ ტომბაშვილი?

— აი, აი, აი! — შიძახა მაძინიამ.

— შე მისი ძმისწული ვარ, კონსტანტინე.

— აი, აი, აი, ვიცი, ვიცი! ახლა ქე გიცანი. აი საარაკო ამბავი! დედა,  
ღმერთო, რა ერთი ბეწო მინახავხართ და ეხლა რაღა დავაგაკეებულხართ!

— აბა, ბევრი ხანი გავიდა. დროება შეიცვალა... როსთომი დაჰკარგეს,  
შერაბი მოკლეს...

— შე კი სადა ვვლივარ, — მიუგო მაძინიამ. — ეს განა სიცოცხლეა?!

— ეხ! მაგონდება შენ რომ საცდელად ცხენებს გაძღვედნენ. გახსოვს,  
ერთი აფხაზი ცხენიდან ჩამოვადე და კნეინა მართამ თავის ჯიბის ცხვირსახო-  
ცი გაჩუქა?

— ეხ, ბევრი სხვაც მახსოვს, მაგრამ რომ გავიხსენო, რას მიშველის!

მათ ლაპარაკს ყველანი სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს.

— ან სად მესტუმრე, ან რამ მოგავდო ამ მხარეში? ეხლა რაღა ვქნა, —  
მოიბოდიშა მაძინიამ, — დიასახლისი მაინც ავად არ გამხდომოდა, კარგამო-  
საკეტი! ამიხირდა, გინდა თუ არა, უნდა ვიბანაოო. დალოცვილო, მოითმინე,  
ზამთარია-შეთქი. როდი დამიჯერა. შორს კი არ წასულა, ლარებს ზემოთ იბა-  
ნაღა და მაშინვე ცული გული შეეჭნა...

ყველამ ვადიხარხარა. სტუმარსაც ჩაეცინა.

— ბოდიშს თავი დაანებე, თუ კაცი ხარ, და რადგან შემხვდი, რაზედაც წამოცხლევარ, იმ საქმეში დახმარება გამიწიე და თუ გინდა, მე იქით გაგიმას- პინძლები. — დამშვიდებით უთხრა სტუმარმა.

— რა ყოფილა, ბატონო, ისეთი საქმე? მე თუ რამ შემხვდი...

— შე კაცო, მოჯამაგირე ვერ მიშოვნია. აგერ ერთ თვეზე მეტია დავე- ძებ. მყავს ერთი მოჯამაგირე, მაგრამ ის სხვა საქმისათვის მიხდა. მე და ჩემმა ძმამ ეხლა საყასბო ვაგვხსენით, ბიჭს ჯამაგირი მოუმატე და იქ გადავიყვანე. ეხლა სახლში მჭირია მოჯამაგირე. როგორც ბიჭს რომ ვიშოვიდე, ქირას არ დავერიდები.

— უკაცრაოდ, ბატონო, თქვენ რომელ სოფლიდან ბრძანდებით? — თავ- დაბლა პკითხა კობტაიამ.

— ლეტაკარიდან ბრძანდება, — დავანტულად მიუგო მადინიამ, რომე- ლიც დაფიჭრებული, თითქო რაღაცას იხსენებო, ძიძს იყურებოდა.

— დიახ, ლეტაკარიდან ვახლავართ, — გაიმეორა კონსტანტინემ.

— მოჯამაგირე კი იშოვება, რატომ არა, გაკითხება უნდა ოლონდ, — წარმოსთქვა მოხუცმა. — მხოლოდ შორი კი არის და, ხომ მოგვხსენებათ, ბატონო, თვალ-გაუტრებელი ბიჭი, დედის კალთაში ვაზრდილი...

— შორი რა სათაკილოა! დიდი, დიდი, რომოცდახუთი ვერსი იქნება აქედან. ეხლანდელ დროში უფრო შორსაც მიდიან, — სიცილით მიუგო სტუ- მარმა.

— მართალია... შენი ბიჭი მიეცი, გოძია, — მიმართა გოძიას კობტაიამ.

— ჩემი ბიჭი? მე ერთი ბალანა რომ მყავს, ვერ შეველევი, მოხუ- ცებული კაცი ვარ...

— აკი მეორე ვაფიცა გყავს? — გამოედავა კობტაია.

— ჰმ, მეორე ბალანა ჯერე. იმის იმედი რას მაჩავია!

— მოიცა, შენი ჭირიმე, — დინჯად წარმოსთქვა მადინიამ და თავი მალ- ლა აიღო, — აგერ ნიკოიას არა ჰყავს ბიჭები, ძლივს არ ვამახსენდა!

— მართლა, — კვერი დაუკრა კუდამ, — პეტრე ეხლა აქ არ იყო?

— შეიძლება — დამოწმდა კობტაიაც, — ცოტა ქებსატი კაციც არის, ბა- რემ ოთხი ჰყავს ერთ-ერთს დიახაც გაიმეტებს.

— სხვა ამ არე-მარეში არავინ მეგულება და ნამდვილად იშოვნით, თუ ფულიც... ხომ იცით... — ეშმაკური ლიმილით უთხრა მადინიამ.

— ფულს მივცემ, კაცო, ეგ რა სათქმელია, ფულს დავერიდები? შორს არის აქედან?

— არა, ციხე რომ მოსჩანს, იმის იქით დაღმართია, მერე აღმართი და იქვეა...

— კუდა წაყვება, მაინც საქმე არაფერი აქვს, — სთქვა კობტაიამ.

— საქმე რავე არა მაქვს! — იწყინა კუდამ, — მაგრამ კაცის გულისთვის კაცი...

— აი, აი მეც ამას გეუბნები, — მოუწონა კობტაიამ.

### III

ნიკოია თოხბიტარიას კარზე ცეცხლი გაჩაღებული იყო. წიფლის მსხვილ და გრძელ მუგუზულებს ტყავა-ტყუი გაქონდათ. კერის ერთ მხარეს ძველებურ ფართო და გრძელ სკამზე კონსტანტინე ტომბაშვილი იჯდა და პაპიროსს სწევდა.

სახლი ფიცრული იყო, ერთთვალა, უიატაკო და უფუნჯრო. კედლის ფიცრები და ისლის საბურავი მჭვარტლისაგან გიშერივით შავად მზინავდნენ. სახლს ორი კარი ჰქონდა, ერთი წინ და მეორე უკან. უკარო კედლები კაბტი იყო მიდგმული. ერთ ადგილას ელაგა არც თუ მაგდენად სუფთა ლოგინი. წინა კარის გვერდით, მარჯვნივ, მაგიდის მსგავსი ჩალაც იდგა რომელიც სკამს უფრო წააგავდა, ვიდრე მაგიდას: იგი სკამზე მაღალი იყო და მაგიდაზე დაბალი. უკანა კარებს აქეთ-იქით საქონლის ბაგა იყო გამართული. იმხანად იქ უნაგირ-მოხდილი კონსტანტინეს ცხენი ება და მაღიანად ჩალას ახრამუნებდა.

— აში... ო! აში, აში!.. ა.; ი! შე ბალაგარო, რას აკანტურებ მაგ ოხერ თავს! აქეთ შემოდი, აქეთ! — მოისმა ნიკოიას ხმა, რომელსაც ხარისათვის ყურში ხელი ჩაეწყო და უკან კარებიდან შიგნით შემოჰყავდა, ნიკოიამ ხარს თავი კარებში შემოაყოფინა, მერე გავაზე ხელი დაჰკრა და ოთახში შემოახტუნა. ხარმა კერის პირად უცნობი რომ დაინახა, თავი დახარა, თითქოს რქენას აპირებდა, მერე მიბრუნდა და თავი ბაგაში ჩაჰყო, სადაც მისი საყვარელი სიმინდის ფურჩა ეყარა.

— უკაცრაოდ, ბატონო, ამდენ ხანს მარტო დაგარჩინე... საუბედუროდ, პირუტყვიც აქ მიბა. ხომ მოგესხენებთ ღარიბი კაცის ამბავი. მათთვის ცალკე ბინა არა მაქვს, ბატონო, და რომ მჭონდეს, იქ ამ ხარის დაბმას მაინც ვერ გავებუდა; ის ამოსაწყვეტი ქურდები, — ღმერთიც ამოაგდებს მათ! — თუ მუდამ ხელში არა გყავს საქონელი, თუ თვალისაგან მოიშორე, ავაცლიან და მერე ირიკავე... ეს ხარო რომ მომპარონ, მარჯვენა ხელი მომჭრან მიჩვენებინ... ფაცხავე მიდგია, ბატონო, ერთი, მარა ერთობ პატარაა და ცოტაოდენ საქმელსაც იქ ვამზადებ, — მოიბოდიშა ნიკოიამ.

— სუ, შე კაცო, ბოდიში გინდა! მე, ჩემო ბაბაია, ამაღამ შეგაწუხე, არ ღამიჯერე თორემ არ დავციდიდი...

— რად იკადრებ ბატონო. ხომ ჰხედავთ, რავე ჩქარა დაღამდა. პატივისცემას სხვაგან, რასაკვირველია, ვინოსქუას<sup>1)</sup> სასახლეში უკეთესს იშოვნდით. მაგრამ ბატონო, როგორც იჩნება, ღამეს გავათენებთ და მერე...

— რაზედაც მოვედი, ის მომიხერხე, ნიკოია, და ამაღამ თუ გინდა, მინდორში დაწვიები, — გააწყვეტინა კონსტანტინემ.

— გარედ დაწოლა ღმერთმა დაგიფაროს, ბატონო. მოვასწრებთ ყოველისფერს, — თავმდაბლად მიუგო ნიკოიამ.

— მობრძანდი, ნიკოია! ერთი ამ ცეცხლის პირად დაბრძანდი და მოვილაპარაკოთ, თუ კაცი ხარ!

— კი, ბატონო, — დინჯად მიუგო ნიკოიამ, უკანა კარებიდან გაიხედა, თითქო ვილაცას ელისო, მერე კარები მიკეტა და კერის მეორე მხარეს ჩამოჯდა.

— ბატონო, — თითქო რალაც ვაახსენდაო, წამოიძახა ნიკოიამ, — თქვენ რომ მოგაცილათ, ის კაცი საით წავიდა?

— თუთუნის საყიდლად გავგზავნე. აქ სადღაც ახლო დექანიაო.

— ო, კარგი დაგემართოს! მგონი, კვამლი გაწუხებთ, ბატონო? ძნელია ბუხარს ჩვეული კაცისთვის ამ კერის პირად ჯდომა, — იწუხა ნიკოიამ, მუგუზნები რიგზე ააწყო და ცეცხლს შეუბერა. ავარდნილმა აღმა სახლი გაანათა. ნიკოია თიხიტარია ასე ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი იჩნებოდა. სქელი და საკმაო გრძელი წვერ-ულვაში ჰქონდა. ხანზე უფრო მოხუცად გამოი-

<sup>1)</sup> აზნაური.

ყურებოდა. თვალ-წარბი გიშერივით შავი ჰქონდა, ცხვირი მოწრილი, მაგრამ ლამაზი. ძველი ყაბალახით თავი ისე ჰქონდა შეხვეული, რომ შეუძლებელი იყო უჩანდა.

ნიკოიამ ჯიბიდან დაწნილი თუთუნის ნაჭერი ამოიღო და ცალ ხელში დაიჭირა, მეორე ხელით ქამარზე ჩამოკიდებულ ქარქაშიდან თბის რქის ტარინი დანა ამოიღო და თამბაქოს წვრილად ჰკრა დაუწყყო.

ამასობაში წინა კარი გაიღო და ფრთხილად სახლში შევიდა თემა ბოქოკია, რომელსაც სოფელი მეტ სახელად კუდას ეძახოდა. ერთი შეხედვა დაარწმუნებდა კაცს, რომ მეტი სახელი კუდა ზედ გამოჰქრილი იყო მასზე. შუა ტანისა და სუსტი აგებულების კაცი იყო. სასაცილოდ შეკერილი და უკვე დაფლეთილი მოკლე ჩოხა ეცვა. კუდას სხვა მიზეზითაც ეძახდნენ, მაგრამ ამაზე ჭკემოთ. ნათქვამს დაუმატეთ მისი მოგონებები პირისაზე, პატარა, ეშმაკური თვალები, პაქუა ცხვირი, თხელი წვერ-ულვაში და რალაცნაირი ეშმაკური გამომეტყველება. სევანური კოკოპ-წვეტიანი ნაბდის ჭული აგვირგვინებდა მის მოგონებებს პატარა თავს.

— შე კაცო, სახლში წახვედი, მეგონა, და ისეთი მეწყინა, რომ... ერთიორი ლუკმა ერთად რომ შევქამოთ, ვითომ რა იქნება! — შესვლისთანავე მოუბოდიშა ნიკოიამ თემას.

— მომიტანე თუთუნი? კარგია? — მიმართა კონსტანტინემ თემას.

— მოტანით კი მოვიტანე, მაგრამ, რა ვიცი, როგორ მოგეწონებათ. ამ სიტყვებით თემამ ქალაქში გახვეული თამბაქო გარდასცა.

კონსტანტინემ ცეცხლის პირად მიიტანა, დაჰხედა და უკმაყოფილოდ თავი ჩააქნია.

— არ ყოფილა კარგი თქვენი დუქანი, ეს სულ უკანასკნელი სორტის თამბაქოა.

— აბა, ამაირი უფარგისი საქონელის გაყიდვით არ კეთდებიან ჩვენი ვაჭრები! — სთქვა ნიკოიამ.

— სულ ვადაარჩია, ბატონო, მაგრამ უკეთესი ვერ იპოვნა, — თავი იმართლა კუდამ, რომელიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა.

— შენ რა ბრალი გაქვს, ბეჩა მადლობელი ვარ, გაისარჯე, აქ მოდი, ცეცხლთან დაჯედი, — ტკბილად მიუგო სტუმარმა.

— აქეთ, აქეთ, ბაბა! — მიიპატოცა ნიკოიამ. — ის ბიჭიცი რომ არ მოვიდა! — ცოტა უკმაყოფილოდ დაუმატა მან. — ამისთანა უცხო სტუმართან ბნელში ვზივართ.

— საცაა ისიც მოვა, — მიუგო თემამ, — ზურაბის კარზე შემხვდა, იქით მიდიოდა, ბოთლი მიჰქონდა.

— მე შინ არ ვიყავი და ამ უბედურებს ადრე ვერ მოეფიქრებინათ. ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, უქალო ოჯახი.

— შენ ნიკოია, ცოლი არა გყავს? — დაეკითხა სტუმარი.

— არა, ბატონო, აგერ მესამე წელიწადია.

— აბა ოჯახში როგორ? სასმელ-საჭმელი...

— მყავს ერთი, ასე ცამეტი წლის ძღაბი და მოხუცი დედა, მაგრამ ის საბრალო იქით სასამსახუროა, მაინც, როგორც არის, მადლობა ღმერთს...

— ცუდი კი არის... ასე, — კონსტანტინემ ნიკოიას შეჰხედა: ახალგაზრდობაში, კინალამ წამოსცდა, — ასეთ მხნეობაში ცოლის დაკარგვა...

სტუმარი ახალ-მოტანილ თუთუნს ეწეოდა.

— ეჰ, ჩემო, ძმაო, ამაზე უარესი თამბაქო გერ პიროში არ ჩამრდვია. უკანასკნელი სორტიც მომიწევია, მაგრამ... — სთქვა კონსტანტინემ და თავი უკმაყოფილოდ გააქანია.

— ეჰ ბატონო, აქაურ მედუქნეებზე ნუ მეტყვი. აქაური მედუქნეები, ბატონო, სიმინდსაც ყიდულობენ, მაგრამ რათ გინდა, იმათი ქილა<sup>1)</sup> რომ ნახო და კაი ხუთი წლის ბალანა ჩააჯდინო, ქე დაიძალევა. ქილამ, ბატონო, რაც გინდა იყოს, თოთხმეტ ოყას მანც არ უნდა გადააცილოს. ქილა კალონით, თქვენ უკეთ იცით, ცამეტი ოყაო, იტყვიან. ზედმეტ ერთ ოყასაც შენი ქირი წაუღია, ვინ ოხერი იწუხებს. მაგრამ ის კაცი რომ მოგადგება და ბუყუნს რომ წამოუწვევს, ისეთ ბუყუნს, რომელშიაც თექვსმეტ-ჩვიდმეტი ოყა ჩადის, როგორც გინდა, ისე ილაპარაკე. თუ მართლა ძლიერ არ გიჭირს, ისევე ქალაქ ადგილისკენ უნდა გაიქცე.

— ე, ნიკო, რაღა დავიძალო, ქალაქ ადგილსაც არის მოტყუება, — შენიშნა სტუმარმა.

— იცოცხლე, რომ იქაც იყოს! ყველგან მოტყუებაა, ბატონო, მაგრამ ერთი კია იმ ქალაქ ალაგას: ბუყუნს თვალთაც არ გაჩვენებს კაცი. სასწორია გამართული, შენ ხარ ჩემი ბატონი, თუმცა მე იმ სასწორის ვერაფერი გავიგე. ერთ მხარეს ათი გირვანქა დააწყო იმ კაცმა და გეუბნება: ეს ას გირვანქას იწონისო. კაცო, ეს ათია-მეთქი! — ეი! შე, ბორო ყაზახო, შენ რა იცი, ეს ზაგრანიჩნი სასწორიაო. ფართუნია წამწამაძე კი სასწორზე ხანდახან ქვებსაც ხმარობს. ქვები რა ამბავია-მეთქი, ვკითხე ერთხელ. სულ ერთია ესეც შესწორებულიაო. ცოლშვილი იფიცა... ეხლა ყველგან იპარავენ. ჩვენ კაცის ზურგზე, ვინ გინდა, არ თამაშობდეს. მართალია, იქაც იპარავენ, მაგრამ იქ ფუთზე ორ-სამ გირვანქას წააკრავს ის კაცი, აქ კი ქილაზე სამ-ოთხ ოყას. ერთობ ბევრია, ბატონო.

— ეს თქვენთან ყოფილა ასე, თორემ ჩვენთან დრამს ტეხავენ, ისე სწორადაა...

— ნუ მეუბნები, ბატონო, მაგას, — სიცილით გააწყვეტინა ნიკოიამ. — თქვენ ვეზღვიაც ვიცი, როგორ ატყუებენ... ალბათ თქვენც ბატონო, ვაჭარი ხართ და იმიტომ...

— ხა, ხა, ხა! — გაღიხარხარა ტომბაშვილმა. — არ დაგენიზლავები. შენ, გეტყობა, ბაბა ნიკოია გავებული და დაკვირვებული კაცი ყოფილხარ. ყველგან არის, ბაბა, ეშმაკობა ვაჭრობაში. ვაჭრობა და მამველობა უტყუილოდ ვინ გაიგონა!

კუდას ოდნავ ფერი ეცვალა.

— ჰეი, ჰეი! — ამოიხენწა სტუმარმა. — მაგრამ ერთი ეს მითხარი, კაცო, თუ კი ამდენად ატყუებენ წონაში, რატომ თქვენი ვაჭრები ამდენხანს არ გაკეთდნენ?

ნიკოიას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამდროს უკანა კარები აჭრიკინდა და შევიდ-რვა წლის ბიჭი შემოვიდა; სახით ლამაზი, ჯანმრთელი, უწოდ თმა-გაკრეჭილი, შავთვალ-წარბიანი. ბიჭი ჭუჭყიანი პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა იყო, წელზე უბრალო ღვედი ერტყა, თავზე არაფერი ეხურა და ფეხებიც შიშველი ჰქონდა. ბავშვს კანაფ-მობმული ბოთლი ეჭირა.

<sup>1)</sup> ხის საწყაო.

— ა, ბაბა, ივანემ ზეთი მოიტანა, — წყნარად უთხრა ბიჭმა და მომაცერად სტუმრისკენ მიიხედა. — კოკობინა აქ საქრაქზე სდგასო, გაიანემ, და შენ ჩაასხიო.

— კარგი, ბაბა, კარგი, — ჩუმადვე მიუგო ნიკოიამ. — აბა, შენი ცუხი ეს კოკობინა მომიძებნე!

ბიჭი მაშინვე დაფაცურდა, ბნელ კუთხეში ქრაქი მოსძებნა და მამას მიუტანა.

ქრაქი ძალზე მურავდა და საძაგელ სუნსაც აყენებდა, მაგრამ, რა უნდა ექნათ: ნიკოიას აზრით, ეს დიდი ბედნიერება იყო კაცობრიობის განათლები-სათვის, იმასთან შედარებით, რაც მას ენახა.

ნიკოიამ კოკობინა მოაწყო, მოუკიდა და ხის მალალ დასადგმელზე დად-გა. ქრაქმა, მართლა, შედარებით უკეთ გაანათა სახლი.

— ესეც შენი შვილია? — ჰკითხა სტუმარმა.

— დიახ, ბატონო, ეს უმცროსი გახლავს. ობლად დამრჩა, საბრალო დედა რომ მოუკვდა, პატარა იყო. ჩემ ხელში გაიზარდა და ძალიან მიყვარს.

— კაი ბიჭი გყოლია! სახელი რა ჰქვია?

— ფარნა, ბატონო!

ფარნამ თავი მორცხვად ჩალუნა. იგი მამის ახლო უნძრევად იდგა.

ცოტა ხნის შემდეგ ნიკოიას დანარჩენი შვილებიც შემოვიდნენ; პეტრე, ივანე და ათანასე. ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ და სალი აგებულობისანი იყვნენ. ივანეს ის იყო ამოსდიოდა წვერულვაში, ხოლო ათანასე ასე თხუთ-მეტ-თექვსმეტი წლისა იქნებოდა.

— რა კარგი შვილები გყოლია, ღმერთმან გაჩუქოს ბაბა! — აღტაცებით წარმოსთქვა სტუმარმა, როცა შვილები მამის აქეთ-იქით კერის პირად ჩამოს-ხდნენ.

— მადლობელი გახლავარ, შენი ჭირიმე, — თავმდაბლად მიუგო ნიკო-იამ. — მე კი არა ღმერთსა ჰყავს, ბატონო. ვენაცვალე მის კარგ თავს, თუ მა-ჩუქა, აგების სიღარიბიდან გამომიყვანონ. კაცისაგან დასჯილი, აგების ღმერ-თმა არ მომიძულოს.

უკანა კარები ისევ აქრაქუნდა. ათანასე მივიდა, ოდნავ გაალო და თავი გარედ გაჰყო.

— რა ამბავია, წიე? — გასძახა ნიკოიამ.

— არაფერი, — მიუგო ათანასემ, კარები ისევ დაკეტა და მორცხვად წაი-ლაპარაკა: — ეახში მზად არის, ბაბა!

— დიდი უკაცროდ კი ვარ თქვენთან, ბატონო, თქვენისთანა უცხო სტუმართან! — დაიწყო ჩვეულებრივი ბოდიში ნიკოიამ, — მაგრამ ცოტა ხელი წავისველოთ.

— რის უკაცროდ, შე კაცო, თუ მკითხავ, მე ვარ უკაცროდ რომ ამა-ლამ შეგაწუხებ.

— რად იკადრებ, ბატონო, თქვენი ვასაბედებელი რა გვექნება ჩვენ საწყ-ლებს თორემ, ბაბაია, — მიუბრუნდა შვილს, — გამოიტანეთ თუ რამე გაქვთ!

— ერთი უნდა გითხრა, ნიკოია? — შეეკითხა სტუმარი.

— მეორეც ბრძანეთ, ბატონო.

— ჩვენ სხვადასხვა ლაპარაკს გადავყევით და რაც უფრო საჭირო იყო ჩემთვის, ის კი დავაგვიწყდა.

— მოვასწრებთ, ბატონო.

— მოვასწრებთ რა ლექსია?! დადიანმა იცოდა ძველად თურმე, თუ ვის-მე სადილად ესტუმრებოდა, სადილის წინ საჩუქარს მოითხოვდა და რა გინდ ძნელი და სათაქილო ყოფილიყო, მისი თხოვნა უსათუოდ უნდა აუსრულებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სადილს არა სჭამდა. ხი, ხი, ხი...

— მართალია, ბატონო, ეპ, რათ გამახსენეთ? იორდანე ცხვირწკვეტაძე, მოგახსენებდნენ, კაი აზნაური იყო, საუბედუროდ, ლამაზი ცოლი ჰყავდა. ერთხელ ბატონი ესტუმრა და სანამ წადილი არ აუსრულებს, არაფერი მიირთვა თურმე...

— ეპ, რაც იყო, ხომ იყო, ჩემო ნიკოია! კარგი იყო თუ ავი, მოუბრუნებლად დაკარგულია. მე კი ერთს მოვიდიდებოდა ამაღამ. სანამ ჩემს საქმეს არ გავათავებ, ვახშამი კი არა, თეთრი ოქრო არ მინდა...

— მოვესწრებით, ბატონო, — დინჯად მიუგო ნიკოიამ.

— მოვასწრებთ საღაურია? შენც არ მომიკვდე!.. აბა, ჰა, მითხარი, რომელ ბიჭს შეეღვები?!

— ჩემთვის ყველა ერთნაირად საჭიროა, როგორც მოგეხსენებათ ღარიბი კაცის ამბავი, შავრამ... — ნიკოიამ შეიღვებს გადააჭვდა. — აბა, ბიჭებო, რომელი წაყვები ამ ბატონს. თქვენ იცით, თუ არ შემარცხვენთ.

პეტრემ, ივანემ და ათანასემ ჩაიცივნეს.

— წაყვებიან, რათ არ წაყვებიან ამისთანა კაცს, ქირას რიგიანს მისცემს, — გამოეხმაურა კულა.

— ქირაზე ნუ გეშინია! ჩემი ამბავი აი თქვენ მეწისქვილე მაძინიას ჰკითხე, თუ გინდა...

— აბა, ბატონო, რა თქვენი საკადრისია, თქვენისთანა კაცთან ქირაზე არ მეშინია.

— მაშ მითხარი, თუ კაცი ხარ, ხუმრობა იქით იყოს. ოთხი დღეა, რაც ამ საქმეზე გადავსულვარ. საწყალი ცხენიც მოკვალა.

— თქვით, აბა, წიე! — ისევ მიუბრუნდა შეიღვებს ნიკოია, — რომელს გინდათ წასვლა?

— ამდენს რათ აქიანურებ, ბაბა — მიუგო პეტრემ, — თუ გაუშვებ, ივანე უნდა გაუშვა. ათანასე ჯერ ცოდვია, აქ დარჩეს, სჯობიან.

— ჰო... — დაფიქრდა ნიკოია, თავისთვის ჩაილაპარაკა: — ივანეს გავუშვებთ, დავრჩებით მე და შენ... ყანაში ათანასეც უნდა მოვიხმაროთ, ჩვენ მართო ვერას გავხდებით! თხები კი ვინ უნდა მწყემსოს? ჰო, მართლა ბაბა, ჩემმა პატარა ბაბაიამ, ჩემმა ბიჭმა, — დაიძახა ნიკოიამ და ღიმილით უმცროს შეიღვისაკენ მიიხედა.

— კარგი, ბაბა, — მოისმა პატარა ფარნას ტიკტიკი, — მე მივეყვები, ბაბა, თხებს, მე ეხლა არ მეშინია...

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — მოუწონა სტუმარმა. — მაღადეცი ყოფილხარ! მოდი აქ ჩემთან, მოდი! — მიეაღწერა კონსტანტინე.

ფარნა თავჩაღუნული ერთ ადგილას იდგა და ცალი თვალით მორცხვად სტუმრისაკენ იხედებოდა.

— მოდი ჩემთან, მოდი! — ისევ მიეფერა სტუმარი.

— მიდი, წიე, მიდი ბატონთან! — მისძახეს ძმებმა.

ფარნა მორცხვად მიუახლოვდა.

კონსტანტინემ ახალუბის ჯიბეში ხელი ჩაიყო, თეთრი აბაზიანი ამოიღო და ხელში მისცა.

— მადლი, მადლი, შე მუტრუკო! — შენიშნა მამამ. ნაქონსული

ბავშვმა მორცხვად თავი დახარა, ფულს ხელი მოუჭირა და თვალებ-  
გაბრწყინებული უკანა კარებიდან გაეარდა. ისმოდა ბავშვის ალტაცებული  
სიტყვები: „დადი, დადი!“ აი სტუმარმა წა მომცა“.

— მაშ გადაწყვეტილია: ივანე მოდის ჩემთან? ჩემო ივანე, შენ რას იტყ-  
ვი? — მხიარულად დაეკითხა კონსტანტინე.

— უფროსების ნებაა, ბატონო! — თავმდაბლად მიუგო ივანემ.

— მე მთელი წლით მინდა ბიჭი, მითხარით, რამდენად მომცემთ?

— უთხარი, ბიჭო! — ჩაულაპარაკა ნიკოიამ პეტრეს.

— ტანისამოსი და ქალამანი ვისი იქნება, ბატონო? — წყნარა დაეკითხა  
პეტრე.

— სოვოროც ვნებაეთ, ჩემი იყოს! — დინჯად და რიხიანად მიუგო კონს-  
ტანტინემ.

— რამდენს უბოძებთ, ბატონო?

— ეს თქვენ მითხარით, — ღიმილით მიუგო სტუმარმა, — თქვენი ფასი  
თქვენ უკეთ იცით. მე, ბაბია, ვაჭარი კაცი ვარ, ყოველთვის იმას ვეცდილობ,  
იფად ვიყილო და ძვირად გავყილო.

— რა ვიცი? უთხარი, ბაბა, — მიმართა ნიკოიას პეტრემ.

ივანე კი თავდალუნული და სულგანაბული იჯდა, თითქო ასამართლებენ  
და განაჩენის წაკითხვას უცდისო.

— მაშ გეტყვი! ეს ისეთი ბიჭია... თვითონ ნახავ. ცოტა მოფერება უფრო  
მოუხთება. გულიანი კაცია და თუ ბევრი ელრიკინე, სულ არ ვარგა. შე კი,  
აბა რა დაგიმალო, ხუთი თუმნის ნაკლებ... ეს თქვენ რაცა, შეხვედრანა კა-  
ცის საჭმეო, რომ იტყვიან, ისე. პირველ დანახვისთანავე შემოიყვარდით, თო-  
რემ სხვას არც ექვს თუმნად მიეცემ, მამიჩემის სულს გეფიცები... რატომ და,  
ვამუშავებ აქ ჩემთან, ახლო მეყოლება...

— ფიქრი ნუ გაქვს, ავადმყოფობის დროს მე კარგად მოვუვლი, თუმცა  
აეად რა გახდის ყირიზივით ბიჭს. ეხლა ჩემო ნიკოია, — მტკიცედ გააგრძელა  
სტუმარმა: — ვაჭრულად რომ მოვიტყე, უნდა გევაჭრო: შენ ხუთი თუმანი  
მითხარი, მე სამი უნდა ვითხრა და ცოტ-ცოტად მოგიმატო, შენც ცოტ-ცოტად  
უნდა უკლო. პირდაპირ გეტყვი: ორმოცდახუთ მანეთს მოგცემ და ტანისა-  
მოსს და ქალამანს მე ჩავაცემა.

— ცოდვია, ბატონო, — მიუგო ღრეკით ნიკოიამ.

— არა უშავს რა, გეყოფა.

— ორმოცდარვა მაინც იყოს.

— კარგი, ბაბა, სირცხვილია, — ჩაილაპარაკა პეტრემ.

— აი, პეტრეც დამეთანხმა, — მხიარულად წარმოსთქვა კონსტანტინემ. —  
ჩვენ მხოლოდ სადღე-ხვალით არ უნდა გვინდოდეს ერთმანეთი. დღეის  
იქით, სოვოროც კაც მოკეთე, ისე უნდა ვიყოთ.

— იმედი მაქვს, ბატონო. აბა, ათანასე, ბაბა! გოგოს მოეხმარე, თუ რამე  
გვაქვს, გამოატანიე.

1) დიდდა, ბებია.

## IV



ნავახშმევს კულა გამოემშვიდობა მათ და შინ წავიდა. ამაში უჯღღებოდა ივანეს დაჭირავება და ამ სასიამოვნო ამბის გავლენით კარგ გუნებაზე იყო.

— ბატონო, — მიმართა მას მორიდებით ნიკოიამ, — კითხვა სირცხვილი არაა, რაც არ იცი კაცმა, უნდა იკითხო.

— მიბრძანე!

— ბატონო, ლეტაკარში თქვენი გვარი ბევრი სახლობს?

— არც მაინც და მაინც, ვიქნებით ასე ათ მოსახლემდის.

— კაი დაგემართოს!

— ჩვენ არა გვიშავს რა, გვარიანად ვართ, მიწა-წყალი საკმაო გვაქვს. კიდევ უკეთესად ვიქნებოდით, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენი კაცის დამლუპველი აეკაცობა. მერაბი ტომბაშვილი ხომ გაგიგონიათ, ის ჩემი ბიძა იყო.

— ჰოო! — გაიკვირვა ნიკოიამ.

— ის ჩემი ბიძა იყო, — გაიმეორა სტუმარმა. — აცხონოს ღმერთმა, მაგრამ კინაღამ სულ ყველანი არ დაგვლუპა! რომ არ მოეკლათ ჩვენ საცხოვრებელს დაანელებდა. ის ხომ ღვთისგან მოძულებული ჭურდი და ავაზაკი იყო. როცა დედ-მამა დაგვეზოცა, მე და ჩემი ძმა ჩემმა გამზრდელმა თავის სახლში წაგვიყვანა. მერაბის სიხლოვეს რომ დაურჩენილიყავით, ეხლა ან მკვდარი ვიქნებოდით, ან ციმიბირში. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, მოგვინდომა გადაბირება, მაგრამ საბრალო ჩემი გამზდელი ყოჩაღად დაუხვდა და ჩვენი თავი არ დაანება.

ნიკოიამ სტუმარს, ცოტა არ იყოს, ეჭვით შეხედა. სტუმარი თითქოს მიუხვდაო.

— ფიქრი ნუ გაქვს, ნიკოია, მე სრულიად მენდე, შენ რომ ეჭობ, ის შორს ძრის.

— მართალია, ბატონო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ეხლანდელი გაუტანელი დროება, ძნელი სანდოა კაცი, ბატონო!

— ფიქრი ნუ გაქვს, ნიკოია. გნებავს, ფულს ეხლავე მოგცემ? მე ვაჭარი ვარ და თავის ქებაში არ ჩამივდო, გვარიანი კაი ვაჭარი. არ გეგონო ვინმე გაცვეთილი, ნახევარმშვიერი აზნაურიშვილი. აზნაურიც ჭე ვარ, მაგრამ მარტო აზნაურობამ ვერაფერი გამიკეთა. ორი დღეა კი მაქვს ფოთში და შენი ბიჭი, თუ ჰქვიანი და მარჯვე გამოდგა, მე ვიცი და ჩემმა სინდისმა...

ნიკოიას სტუმრის უკანასკნელმა სიტყვებმა თვალები გაუბრწყინა. მას მართლა ჰქონდა ნდობა დაკარგული კაცისადმი, მაგრამ სტუმარი იმდენად გულწრფელად ლაპარაკობდა და გარეგნობაც იმდენად სიამელო ჰქონდა, რომ ნიკო დარწმუნდა კონსტანტინეს სიტყვების სიმართლეში. „იქნება ჩემი შვილი ოდესმე ვაჭარიც გახდესო“, გაუელვა თავში სასიამოვნო ფიქრმა. მეგრული გლეხის ოცნება ხომ ვაჭრად გახდომა...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სახლში მარტო ნიკოია და კონსტანტინე იყვნენ. ბიჭები ფაცხაში გავიდნენ. სიჩუმეს მხოლოდ სტუმრის ცხენის ხრამუნი არღვევდა. ეტყობოდა, ძალზე მშვიერი იყო, ისე მადიანად შეექცეოდა ჩალას.

— ერთი მითხარი, ნიკოია, — ჰკითხა სტუმარმა, — ეს თქვენი გვარი თოხტიკარიები საიდან არის მოსული?

— ჩვენ, ბატონო, — დარბაისლურად მიუვო ნიკოიამ, — წვეური აწმალური მძებრაძეების ნაყმევი არ გახლავართ, ჩვენ, როგორც მოგახსენებენ, ილორიდან მოვსულვართ. ჩვენ თითქოს, — დაილოცა მისი სახელი! — მისი მონათესახლურე ვყოფილვართ. იქ უბედურ ჩვენ ძველს რაღაც კული საქმე ჩაუდენია და აქეთ გამოქცეულა. ძველად, ბატონო, როგორც მოგახსენებენ, თუ დამნაშავე ერთი სოფლიდამ მეორეში გადავიდოდა, თავისუფალი იყო. ეხლა კი, ბატონო, თუგინდ წებელდიდან მოგიყვანენ, თუ კი ვეზ-ნაჩაღნიკმა მოიწადინა გამოქცეულა საწყალი და მოსულა აქ... არა, აქ კი არა, ჯერ ხახუ აფხაიძეს მიჰკედლებია. ხახუ აფხაიძე მაშინ ზემო-მოკენჭილში დიდი განთქმული თავადიშვილი ყოფილა. ჩვენი გვარი მაშინ თოხიტარია კი არა, სხვა ყოფილა რაღაცა, მაგრამ აღარ მახსოვს.

— არც სახელი გახსოვს?

— იმ ჩვენი ძველის? კი, სახელი მახსოვს. ბიჭია რქმეგია, ბატონო. ეს ბიჭია კი მოწონებულად ჰყოლიათ თურმე აფხაიძის სახლში. ერთხელ თურმე უბრძანეს ბიჭიას ბონი გაეკეთებინა. აფხაიძეებიც ილორის მლოცველები ყოფილან და ყოველ წელიწადს ბონი უნდა გაეგზავნათ ხოლმე.

— ეს ბონი რაღაა? გამიგონია კი, მაგრამ კარგად არ ვიცი? — დაეკითხა სტუმარი.

— ბონი, ბატონო მრგვალად სწორად გათლილი ხარის უღელის სიმსხო ხეა. წითელი ალის ჩითს გარედ შამოაჭრავდნენ და ისე მიჰქონდათ ილორში წმინდა გიორგის შესაწირავად, — დაილოცა მისი სახელი! — მოწიწებით სთქვა ნიკოიამ და პირჯვარი გადაიწერა. — ამ ბონის გაკეთება აფხაიძემ თურმე ბიჭიას მიანდო. ბიჭიაც დაფაცურდა, მაგრამ საეშმაკოდ, ცოტა არ იყოს, წვრილი გამოუვიდა. თავად აფხაიძეს დაუთვალა იერებია ახალ-გაკეთებულ ბონი და არ მოსწონებია. ეს რა გაგიკეთებია, ჩემო ბიჭია, ეს ბონი კი არა, თოხის ტარიაო. მოსამსახურე ბიჭებს სიცილი აუტეხიათ. ხომ იცით, აფხაიძის ოჯახი საესე იყო შინა-ყმებით და სხვა უსაქმო, მუჭთი მკამელებით. უსაქმო ხალხს სალაპარაკო და თავის შესაქცევარი უშოვნია. ეს რა არის, ბიჭია თოხიტარიაო, გაეხუმრა თურმე ერთი, მას მიყვა მეორე: ბიჭი თოხიტარიაო და მიყვა და მიყვა... ხალხს თუ ენაზე რამე მოუყარდა, საშველს არ მისცემს. ბიჭია მაინც ცხოვრობდა აფხაიძის სახლში, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, კაცის დაუნდობლობა. ერთ მშვენიერ დღეს შენს ბატონს ბიჭიას გაყიდვა ქე არ ვანუძრახავს... აბა! მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, შეუტყია რაცხაფრად საწყალს და ქე გამოქცევიდა შენ აფხაიძეს და მთავარს შეფარებია. მთავარი თურმე ემტერებოდა აფხაიძეს და ბიჭიას მისვლა ძლიერ გახარებია. ადგილი მიუცია და აქ ჰყონონაში დაუსახლებია.

— ადგილ-მამული კარგად მიუცია?

— ეხლა ვისაც აქვს, მისა აქვს, ბატონო, თორემ რატომ არა. ქვევით ჰალაში რომ წისქვილია, აი იმ წისქვილის სათავესთან ჩემ ბიძაშვილებს აქეთ რამდენიმე საყენი ადგილი. ისე აღმაცერად ძვეს, კალონით მეც მქონდა წილი, მაგრამ მე მოიბლეს და გამოპრიცხეს. იმ ერთ ბეწო მიწის მეოხებით აქაურ აზნაურებს მძებრაძეებს წისქვილის წილში შეუვიდნენ და დღეს მზამზარეული ლუკმა აქვთ.

— შენ კი არა გატვხ, ნიკო, იმ ჰალაში მამული?

— ვაი ჩემი ცოდვა! იმაზე იყო, ბატონო, წებან რომ მოგახსენე კაცისაგან დასჯილი ვარ მეთქი. ამდენი გამოცდილება სად იყო? ასე ჰქეყანა ყირა-

მალა გადატრიალდებოდა, ვინ მოელოდა? მიწას ძველად ვინ აფასებდა? საცა გინდოდა, იქ მოხნავდი და დასთესდი. მოხნავდი-მეთქი?! იმის მეტი! იმის ქირი და იყოს, რომ ქართულ გურთანს გაატარებდი. სად იყო, ბატონო, ან სახნისი, ან გახედნილი ხარი? ხანში შესული კაცები მშრალ და ფერდობ ალაგზე, სადაც ჯაფა ბევრი არ სჭირდებოდა, ან სიმინდს, ან ლომს თოხით მიანზრეკავდნენ და მორჩა. ოც წელზე ნაკლებს წლოვანებით ვინ ნახავდა მომუშავეს?! დაწვერ-ულვაშებული ყაზახები ან ჭარკის ვთამაშობდით უნიფხოთ, — ღმერთს გეფიცები! — თხას მიეყოზოდით. მიწას საცა მინდოდა, იქ ვამუშავებდი, თუ კი შემეძლო. ამდენი კიოსკიამდის საზღვრებზე სჯა-ბაასი ვინ გაიგონა! ვმუშაობდით მე და ჩემი ბიძა სუმონიკა, ვაგინო? გინებით რა გამოვა, რას ჩამოვრჩები, ღმერთმა როგორც ემართლებოდეს ისე მიაგოს. ვმუშაობდით ერთად, ვცხოვრობდით ერთად. ბოლოს, როცა უსტამ ღრამატააო, დაიძახეს, წავიდა სუმონიკა, უფროსი ის იყო, და თურმე ნუ იტყვიო, რაც კაი ადგილი იყო — საერთოდ ჩვენი, ორთავესი თავისთვის ჩაიწერა და რაც უნაყოფო ხროიკი — ჩემთვის. აბა! მე რა ვიციოდი, თუ რა ძალა ჰქონდა უსტამ ღრამატას! ამასაც არ დასჯერდა: დამიდგა შარები და სახლიდანაც გამომავდო ცოლ-შვილის პატრონი კაცი. სამი შვილი მყავდა მაშინ, ერთი ქალი, უფროსი, საწყალი, მომიკვდა, ორიც — პეტრე და ივანე მაშინ სულ პატარები იყვნენ. ბატონ-ყმობა რომ გადავიდა, სწორედ იმ წელს დაიბადა ივანე. ეხლა, ბატონო, რამდენი წლისა ყოფილა ივანე?

— ჩვენში რომ ბატონ-ყმობა გადავიდა, იმ წელს დაიბადა? — დაეკითხა კონსტანტინე.

— დიახ, ბატონო!

კონსტანტინე ჩუმად ბუტბუტებდა, თან ხელის თითებს ზედი-ზედ ჰკეცავდა: ოთხი, ათი, თოთხმეტი, თხუთმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი. ნიკოიას მიუბრუნდა:

— სამოცდაექვსში გადაეარდა ხომ ჩვენში ბატონყმობა?

— რა ვიცი, ბატონო, რომელ წელში იყო, მე ამდენი ჭირონიკონი ვინ მასწავლა.

— ჰო, ისეა, სამოცდა ექვსში იყო და ეხლა მას აქეთ თვრამეტი წელიწადია. მაშ ივანე თვრამეტი წლისა ყოფილა.

— თო! — გაიკვირა ნიკოიამ, — დაბერებულა, ბატონო. დიდობა შენდა! რა ჩქარა მირბის ეს დრო, გუშინ იყო, მგონია... მერე, ბატონო, იმას მოგახსენებდი: დავრჩი ღვთის ანაბარა. გამოვიღე ხელი. დავეცურდი. მაგრამ მარტო ძალ-ღონით რას ვახთები! სახლი მე არ მედგა, ხარი მე არ მყავდა, სახნავ-სათესი მიწა რიგიანი არა მქონდა, ერთი და მეორე. რა უნდა მექნა? ეხლა რომ გავიხსენებ, ჩემ თავს ვწყვეცი: ცალი რომ შევირთე, მაშინათვე გავყოფდი და ცალკე ჩემთვის ვიცხოვრებდი, რა უჭირდა? მას აქეთ ვიჭაბარე, ვიცოდილე, ვიტანჯე, რა არ გამოვიარე: შიმშილი, წყურვილი, სიტეტლე და აი ძლივს, ძლივს კერა გავაჩინე. ბაღები, როგორც არის, მომესწრენ. ჩემი ორი-სამი ქცევა რომ მაქვს, ნაყოფიერი არ არის, მაგრამ ვართმევ სხვას ჰალას სანახევროდ. ძნელია, ბატონო, ორკეცი შრომა, მაგრამ რას იხამ. ხუთი წელიწადი, ბატონო, სახლი არ მედგა, სასიმიდეს ქვეშ გავატარე...

— მართლა ცოდვა ყოფილხარ როგორც ამბობ, — თანაგრძნობით უთხრა სტუმარმა, — მაგრამ რას იხამ, ბეჩა! ქვეყანა ეხლანდელ დროში სიყალბეზეა აშენებული ვინც გინდა იყოს, ბიძა კი არა, უფრო ახლობელიც, სულ

ყველანი მარტო თავიანთ კუქისთვის ზრუნავენ.

— ეჰ, რაც იყო! ლმერთი რომ ბაღნების სიმწარეს არ მაჩვენებდეს, მეტი არაფერი მინდა!

— შენ, ნიკო, აქ რომ სასახლე იყო, ისიც გეხსომება?

— როგორ არა, ბატონო, რას არ მოვსწრებივარ! როგორ გამოიცვალა ქვეყანა და მერე რავე ჩქარა! მამა ჩემს, ბატონო, რომ გარდაიცვალა, ჩემ გარდა შეილი არ დარჩენია. მე ის არც კი მახსოვს, დედამ გამზარდა. ცული დროება იყო, შენი ჭირიბე. ვინ მოგცემდა ნებას ან რიგიანი სახლი გაგეკეთებინა, ან ხულა, ან მარანი. რომ კიდევაც გაგეკეთებინა, რა ოხრათ გინდოდა, მაშინვე დაღია წაგართმევდა. ჯერ პირმოფერების გულისთვის გთხოვდა და თუ არ მისცემდი, ძალად წაგართმევდა. ვისთან უჩივლებდი, ხელმწიფე თვითონ არ იყო? ცხენი, ან უნაგირი, ან ხარი, ან ძროხა კარგი თუ რამე მოიძებნებოდა სულ მისი იყო. ამას ბევრი ბოდიში არ უნდოდა. წარმოიდგინეთ, ლამაზი ცოლის ყოლაც საშიში იყო. ზომა არაფერს არ ედო, ბატონო. რასაც დაინახავდნენ შენ სახლში ხელმოსავლებელს, მოიტაკებდნენ და გააქანებდნენ ბატონის სასახლეში.

— ჰა, წიე! — გაიკვირვა სტუმარმა.

— სულ წმინდათ დაღუპული იყო, ბატონო, აზნაურის კაცი. თავისი ბატონი, აზნაური ცალკე ეძიძგინებოდა და საერთო ბატონი კიდევ ცალკე. ეჰ, ბატონო, რომ მოვიყვე, სად წავა! მგონი თავი მოვაწყინეთ ბევრი ლაპარაკით, ნამგზავრი ბრძანდებით.

კონსტანტინეს მართლა ძილი ერეოდა და ცოტ-ცოტად კიდევაც სთვლემდა. ნიკოიამ გოგოს დაუძახა და სტუმრისთვის ლოგინი დააგებინა.

მეორე დილას კონსტანტინემ ბეს სახით თუმანი დაუტოვა ნიკოიას. ივანე წინ გაიძლოდა და თავის სოფლისაკენ გასწია.

## V

აზნაური ბასილ მძებრაძეც ს. ჭყონონაში ცხოვრობდა, მდინარე ჭანისწყლის პირად, ვაკეზე.

წარმოიდგინეთ რვა-ცხრა ქცევა ადგილი, ხელის გულივით სწორი, ირგვლივ მალალი ალვის ხეებით შემორგული, შუაში ჩვეულებრივი ოთხ-თვალის ფიკრული ოდა, ყავრით დახურული, დერეფანი ჭახრაკით დათლილი რიკულებით და ლამაზი, ექვს-თვალა თალიანი ფანჯრებით. ოდის წინ ეზოში მწვანე ყოლანდარი ხარობდა და აქა-იქ არეულად იდგა სხვადასხვა ხეხილი. ოდის გვერდით კარგა მოზრდილი სახლი იდგა, ისლით დახურული, ხოლო მის უკან ცოტა მოშორებით, ორი სასიმინდე, ერთი მოდილო, მეორე შუათანა, ორივე ყავრით გადახურული. ოდის პირი ჩრდილოეთისაკენ იყო მიქცეული. მარცხნივ, ე. ი. დასავლეთისაკენ, ოდიდან ასე ათი საეენის სიშორეზე, ერთ-თვალა ბეღელი იდგა. მუხის სქელი და მკვიდრი ფიკრებისაგან ნაშენები. წინა კედლის შუაგულში პატარა კარი ჰქონდა გამოჭრილი და თუ არა ზედ გადაჩოჩვით, სხვაფრივ შიგ შესვლა შეუძლებელი იყო.

ბასილ მძებრაძის კარ-მიდამოს დათვალეერება ადგილობრივი ცხოვრების მცოდნეს აშკარად ეუბნებოდა, რომ ბასილი დიდი სიმდიდრის პატრონი არ იყო, თუმცა ღარიბეშაიც არ ჩაითვლებოდა. მართლაც, მდიდარი არ იყო. ე. ი. საფანტავი ფული არა ჰქონდა, მაგრამ არც ღარიბი იყო. თვითონ არ მუშაობდა, რადგან შეეძლო მამულიდან შემოსული სიმინდით წლის განმავლობაში

უღარდელად გამოკვებულ იყო და სამას-ოთხასი ფუთიც გაეყიდა. თივის/მამულ-  
ლიდანვე შემოსული ღვინო წლითიწლობამდის ჰყოფნიდა. ყოველ შობა-  
ახალწელ-ნათლიღებას თითო ვასუქებულ ღორს ჰკლავდა, წაღობა ადღებდას—  
ან ხზოს, ან ორ-სამ ბატყანს მიანიც.

სამი ჩოხა მუდამ ჰქონდა: ერთი სულ ახალი, მეორე ცოტა მოძველო და მესამე საშინაო. ერთი მალაყელიანი ჩექმა ჰქონდა და ორი სამოგვის წულა. ზოგჯერ ზამთრობით უბრალო ტყავისაგან შეკერილ ქალამანსაც ჩაიცვამდა ხოლმე. ვერცხლის მასრები, ქამარ-ხანჯალი და ხმალი მოვერცხლულ-მოოჭრული ჰქონდა, როგორც ეკადრებოდა მის ღირსებას—ტახტის აზნაური შვილს, როგორც თავის თავს ხშირად უწოდებდა ხოლმე. ბასილ მძებრადე ღარიბიყო, არაეინ ამბობდა, მდიდარიყო კი ხშირად გაიგონებდით.

ბასილის სიმდიდრე-სიღარიბის დასასურათებლად ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მას შეძლება ნებას აძლევდა მუდამ ჰყოლოდა ერთი მოჯამაგირე და ერთიც მოახლე გოგო.

იმავე დილას, როცა ნიკოია თოხიტარიათ კონსტანტინე ტომბაშვილი გააცილა, ბასილ მძებრადე ბუხართან იჯდა და თბებოდა. ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. ბასილი ჯერ პირდაუბანელი იყო და მისი გრძელი წვერი ჩვეულებრივად მის მკერდზე არ ირხეოდა. სახეზე ახლად ვალეიძებულს სიზანტე ეხატებოდა. ხელში გრძელი ბალისტარიანი ყალიონი ეჭირა. ცეცხლის შუქზე ბალის ტარი ლალივით წითლად ბრწყინავდა.

— ოჰო! აჰა! ოჰოჰო! — გაიზმორა ბასილ და თან რაღაც ჩამღერა, რაც ჩვეულებად ჰქონდა, როცა მოწყენილი იყო. შემდეგ ზანტად დაამთქნარა, მაგრა ცეცხლში ჩააფურთხა, ყალიონის ტარი პირში ჩაიდო და ძალზე მოქაჩა, მაგრამ ყალიონი ჩამჭრალი იყო. ყალიონს ჩახედა, ნეკიც ჩაჰყო და როცა დარწმუნდა, რომ შიგ არაფერი იყო დარჩენილი, იგი ბუხარის სვეტს მიაყუდა და ერთი კიდევ გაიზმორა. მგონია, ზეზე ადგომასაც აპირებდა, რომ მეორე ოთახიდან ფეხის ხმა მოესმა.

— ხარდანაძის ქალო-მეთქი! — ბოხი ხმით გასძახა ბასილმა.

— რა არის, რა? — ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ უპასუხა ქალის ხმამ.

— კიდევ ვერ მომიძებნე?

— ვეძებ, შე კაცო, რამ აგაჩქარა!

ქალი ბასილის მუდღე გახლდათ, ქალბატონი მარიკა ბეეან ხარდანაძის ასული. ბასილი კი უბრალოდ ხარდანაძის ქალს ეძახდა.

— ვეძებ, ვეძებ, — გაიმეორა ქალმა. — ვანა მეტი საქმე არა მაქვს? ჩემი მტერია სხვისი ხელის შემყურე! აგვარას კარი ღია დაუტოვებია ბიქს და ხბოებს ძროხები მოუწოვიათ. ამდგარიყავი, შე კაცო, და მიგებედა.

— შენ რათ არ მიხედე? ძროხა და მაგისთანა წვრილმანი დედაკაცის საქმეა. მე... მე სულ ახალგაზრდა ნუ კი გგონივარ, ორმოცდაათი მისრულდება, ხელ-ფეხს მომაკლდა.

ბასილს ცოტა წლოვანობის დამალვა უყვარდა, ნამდვილად სამოცი წლისა იყო.

— შენმა მზემ, დედაკაცის საქმეა! უიმისოდაც თქვენი, მძებრადეების, მოახლე ვახვლი! — წყენით მიუგო მარიკამ. — ცხონებული დედა-ჩემი მზიან დღეში გარედ არ გამომიშვებდა, აქ კი ჩაჩანის ქალს დავემსგავსე... აი ის ოხერიც, ძლიეს არ ეიპოვნე! — დაუმატა მარიკამ.

ამ სიტყვებთან ქალაღის შრიალი მოისმა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თვით დიასახლისი გამოჩნდა, ხელში ცალ მხარეს დაწერილი რაღაც ქალაღის ნახევი ექირა.

დიასახლისი შუათანა ტანისა იყო, საკმაოდ ჩასქელებული, ასე ორმოცი-ორმოცდაორი წლის ქალი. მარცხა ახალგაზრდობაში თვალსაჩინოდ ლამაზი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა არც უღამაზო დაერქმეოდა. ეხლაც ღვთის წინაშე, არა უშავდა-რა, ეშხიანი ქალი იყო, საღი პირისახე ჰქონდა, ოღონდ საუბედროდ, კალის უმარილის გადაჭარბებული ხმარებისაგან პირის კანი ალაგ-ალაგ დანაოკებოდა.

— აი შენი ქალაღი ცეცხლი რომ მოუკიდე!

— ნამდვილად ეს არის? — მშვიდად ჰკითხა ბასილმა.

— ეს უნდა იყოს.

— მე ვერ ვარჩევ უსათვალოდ. სათვალე კი, — აი მაგის ოხრობა! — რა ვა უზრალოდ გაეტხე, — თავისთვის ნაღვლიანად სთქვა ბასილმა.

— ხელნაწერის კითხვა მეც გადამავეიწყდა, ამდენ ჭაფაში რა არ დაგვეიწყდება! მაგრამ ეს უნდა იყოს სწორედ. დრიმინტია ქანდრაკელიას თამასუქი არ მითხარი?

— ჰო, ჰო, დრიმინტიასი.

— ნამდვილად ეს უნდა იყოს.

მარცხამ ქალაღი ცეცხლის პირად მიიტანა და გულდადებით თვალიერება დაუწყო, თან სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა. „უეზდის... მუტბოგ... რებმა დი... მიტრია... ჯანტრა... კელი... ამუ“...

— ეს ყოფილა, ეს! — სიხარულით წამოიძაბა ბასილმა, ცოლს ქალაღი გამოართვა, ერთიც თვითონ დახედა, მერე ზეზე წამოღდა, იქვე კედელზე ჩამოკიდებული ახალი ახალუხის ჯიბეში შეინახა და მარცხას მიუბრუნდა: — აბა, ხარდანაძის ქალო, გოგოს უთხარი პირი დამაბანინოს... რამე კიდევ საუხზე და გავსწევ-დღესვე, მივიართმევ სულს ქალაღს, უნდა ვიჩქარო, თორემ შეიძლება არც კი მოუსწრო. მეტი მოთმენა არ შემიძლია. ერთი წლის ვადით ვასესხე და აგერ ხუთი წელიწადი წელს იანვარში შესრულდა. რა უნდა გქნა, დალოცვილო, მეც მიჭირს. აგერ ნააღდგომეცაც შარშალი გვიბარებს. ვინ იცის, რა გაქირვება მოგველის! ადვილი შესაძლებელია, რაც ჰორები დადის, ყველა მართალი გამოდგეს და მთელ ოღიშის თავდაზნაურობას ღირსების დასამტკიცებელი საბუთები მოსთხოვონ.

— რას ამბობ, ძუკუს მამაე! — თუმცა უკმაყოფილოდ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შეშინებული სახით მიუგო მარცხამ. — სოფელში რაღაც-რაღაცეებს რომ ბოდავენ, ვანა სათქმელია? საბუთების მოთხოვნას ვინ გაუბედავს მალალ საზოგადოებას? ის პირველად თურმე შეჩვენებულ მაძინია მეწისქვილეს უხუმრია და წისქვილიდან, ხომ იცი, ამბავი ყოველგან ქარციით მოფინება... დრიმინტიასთან კი საბოდიშო რა ვაქვს! იმ ყაზახს ამდენი რომ ვუთმინეთ, ის არ ეყოფა? ჩვენ კი ათასი გვიჭირს. ძუკუსაც, — ენაცვალოს დედა მისი! — საცაა წვერები ამოუვა, დროა კაცურად ჩავაცვათ და დავახუროთ. სააღდგომოდ კაი ჩოხა-ახალუხი თუ არ შემოიკრეთ და ახალი უნაგირი საკუთრად არ მომეცით, კლასში არ წავალო. მითხრა, კაცმა რომ...

— ჩოხა კი არა, ეხლა ცოლიც შერთე! — წყენით შენიშნა ბასილმა და მერე დამშვიდებით განაგრძო. — ხარდანაძის ქალო, შენ მაგ ბალანას გააფუქებ-მეთქი, მამიჩემის სულს ვფიცავ! მოფერება-მოფერებით შენ მაგ კაცს

დალუბავ. რათ უნდა ჯერ ჩოხა-უნაგირი? აბრაგად ხომ არ გზავნი? ჯერ ისწავლოს, ბატონო, ისწავლოს და მერე ჩოხაც იქნება, უნაგირიც და უტყენიც. მე საფლავში ხომ არ ჩავიტან!

— აკი სწავლობს, შე კაცო! გული უნდა გაუთამამო, ბავშვია ჯერე, სიმაღლე აქ თორემ... აი, მართლა, დღეს პარასკევია, ადრე გაეჩქარე, რომ ბაზარს მიუსწრო. ზ-ში დღეს, ალბათ, კაი საჩოხებებს შემოიტანენ და, შენ იცი, კარგ შალს თუ აარჩევ. მერე ვერც კი მოვასწრებ შეეკრვას. ნეტავ რამდენი დღე დარჩა აღდგომამდი, ძუკუს მამა?

— ზეგ კვირა არ არის? იმის სწორი ბაიობაა. ექვთიმე ღვდელმან სთქვა, რწუელს ხარება და ბაიობა ერთ დღეს არისო.

— დედა ღმერთო, მარტო ორი კვირა დარჩენილა! ამ ცოტა ხანში რა უნდა მოვასწრო? ჯერ ერთი ნემსი არაფერში გამოვიღია. ნეტავ ადრე წაგელო რამე... დედა, დედა! — აწუწუნდა მარიკა, — ერთი არშინი ფართალი ჯერ არ მიყიღია!

— შე დალოცვილო! ასე ჩქარა ამოღება კი არა, გაის ამ დროს თუ მშვიდობით ამოიღე, ხუთჯერ თავი დაუკარი. დრიმინტია ჭანტრაკელიასაგან ასე ჩქარა ვალს ამოიღებ?

ბასილმა ხელ-პირი დაიბანა, წვერ-ულვაში დაივარცხნა, ახალი ჩოხა-ახალუხი და ჩექმები ჩაიცვა, ხმალ-ხანჯალი ჩამოიკიდა. ერთი ბოთლი ლეინოც ხელ-და-ხელ გამოიმკვარ მკადს და ფხალის წნილს დააყოლა, ბიჰს ცხენი შეაკაზმინა, ნაბაღი წამოისხა, ცხენზე შეჯდა და სამაზრო ქალაქისკენ გასწია. მოჯამაგირეს ცხენდაცხენ სხვადასხვა საოჯახო დარიგება მისცა, საღ და როგორ ემუშავდა.

ბასილ მძებრამე არ იყო მაინც და მაინც ისეთი ცრუმორწმუნე, როგორც საზოგადოდ ბევრი მისი ნაცნობ-მეზობელი, მაგრამ ამ სენისაგან სრულიად თავისუფალი არც ის ბრძანდებოდა. ბასილს განსაკუთრებით სწამდა სამი რამ: ერთი — წითელ-წვერა კაცმა თუ გიფერხა, იმ დღეს გზაზე არ უნდა წახვიდეთ. მეორე — თუ კურდღელმა გზა გადავირბინა, საქმის გაფუჭებას ნიშნავსო, და მესამე თუ ცხვირის წვერი მოგეფხანა, იმ დღეს სტუმარს მოელოდეთ.

ოცო ნაბიჯიც არ გადაედგა თავის ეზოდან. რომ იმავე სოფლის მცხოვრები რომანოზა ზაკიშვილი შეეხეჩა. რომანოზას წვერ-ულვაში ალივით წითელი ჰქონდა. მეტის მეტად ეწყინა. მაგრამ იმდენად გატაცებული იყო თამაშუქის სასამართლოში შეტანით, რომ ცრუმორწმუნეობა დასძლია და თუმცა ულაზათოდ, მაინც განაგრძო გზა.

რამდენიმე ვერსი გაიარა. გაზაფხულის მზის თბილმა სხივებმა სიამით აავსეს მისი გული. ყოველი ბუჩქის ძირას აუარებელი ია ყვაოდა და მათი ნაზი სუნე მიდამოს ეფინებოდა.

ბასილი თითქოს დაათრო გაზაფხულის სურნელებამ. რომანოზა კიდევ გადავიწყდა. ცხენს ალვირი ნებაზე მიუშვა და თვალები ოდნავ დახუჭა.

ამ დროს მარცხნივ, ზევიდან რალაც ხმა მოესმა. თვალები უცბად გააღო და ალვირის მომარჯვება ძლივს მოასწრო, რომ კარგად მოვლილი, გასუქებული ცხენი დაფრთხა და ბასილი კინაღამ არ გადმოავდო. როგორც იყო, თავი შეიმაგრა, ალვირი მოსწია და შემკრთალმა გზას გახედა, გახედა და პირში ნერწყვი გაუშრა: ყურებ-აქვევტილი კურდღელი ფრთხილად მიცუნტუნებდა, ალბათ, გაზაფხულის ნოჩნი ბალახით პირის გასატკბარუნებლად. ცხ-

ნის ფეხის ხმაზე კურდღელი შეკრთა, ყურები სცქვიტა და გონს მოსულმა სირბილით უშველა თავს: ბასილის წინ გზა გადაიბრინა და მეორე მხარეს უხეშ ბუჩქნარში მიიმალა.

მეზღინოთქა

— ფუი, ეშმაკს! მიქამგარიო თაარანგილოზი, ყული-ალერტი დო წახურო! ილორის წინა გიორგი, ხორციელი, თქვენ ხართ ჩემი მფარველი! — სასოებით დააყარა ბასილმა, ყაბალახი თავიდან ოდნავ გადაიწია და მოწიწებით პირველი გარდისახა.

„სწორედ არ მომელის სიკეთე დღეს, — გაიფიქრა ბასილმა. — დიახ! ძლიერ ცუდად მოვიქცეო, რომ მაშინათვე, რომანოზას შეხვედრის შემდეგ შინ არ დავბრუნდი. წითელი კაცი წითელია, მაგრამ მაგისთანა? მაგისი თვალები ლენკოფას ძირს უხშობენ, თორემ მე რა სიკეთეს დამაყრიან. ზედ კურდღელიც დაემატა. ფუი ეშმაკს ფუი! ეხლავე გავბრუნდე სჯობია“, — გაიფიქრა ბასილმა, მოსწია კიდევ ალვირს და ცხენი უკან მიაბრუნა.

შინ ჩალა-სიმიდის უხვობას ჩვეული ცხენი სიამოვნებით მიბრუნდა და უკანა ფეხებიც ლამაზად აათამაშა.

„მაგრამ, ნწ! ოთხი ვერსი-ლა დამრჩენია. ხუთი წელიწადი ვუყურე მაგ ოჯახ-ამოსაწყვეტს, ეხლაც თუ არ შევიტანე ქაღალდი, სულ იქით, იქით მიმირჩება“, — წაიბუტბუტა ბასილმა და ალვირს ისევ უკან მისწია.

ეხლა კი ცხენი, ცოტა არ იყოს, გაუძალიანდა, მაგრამ მხედარმა ორისამი მათრახი გადაუჭირა და ისევ წინ გაათოხარკა.

„რა უნდა მომელოდეს ისეთი საწყენი? — ფიქრობდა გულში ბასილი. — ბიჭი თუ ავად გახდა, უსათუოდ შემატყობინებდნენ. ეხლახან ვნახე, მგელივით იყო. უჩიტელს რომ დავეკითხე, ცუდი არა უთქვამს-რა. ცოტას ქე ზარმაცობს და ეშმაკობს, მაგრამ, ალბათ, გასწორდებაო. ვითომ სულში გამიფუქდეს საქმე? დაწყევლა ღმერთმა! თამასუქი პოდლოლი არ არის, ჩვენმა სოფლის მწერალმა დასწერა საგლეხო სასამართლოში, ქვეყანა იქ უყურებდა. რა ვიცი, ვითომ არ მიიღებს სუღია? ვადა გასრული ხომ არა აქვს? ეჰ, რა იცის კურდღელმა!“ — დაიმშვიდა გული ბასილმა, ცხენს მათრახი გადაუჭირა და ჩემად სიმღერაც მიაყოლა. როცა ზ-ში შევიდა, ყოველივე გაუჭარწყულდა.

პირველად მჭედლების ქუჩა უნდა გაეარა. გამვლელს სიფრთხილე მართებდა, რომ ყურები არ დავესებოდა, ისეთი ხმაურობა იდგა.

ერთ ადგილას რამდენიმე კაცს კამეჩისთვის ტანზე თოკი შემოეველო და დასაჰედად წაქცევას უპირებდა. კამეჩი კი, ჩვეულებრივი გამომეტყველებით, უდარდელად იდგა, კისერი გაეგრძელებინა და არხეინად იცოხნებოდა. ბასილმა ახლო გაითოხარკა.

— აქეთ, აქეთ, დაჰედევა ვისაც უნდა! აქეთ, აქეთ! — იძახდა ერთი მხრიდან ქერა ნალბანდი.

— თოხი, თოხი, კაი თოხები! — ბანს აძღვედა მეზობელი.

როცა ბასილმა საყვიაის სამჭედლოს გაუარა, საყვიაის ხელში ტაშტი ეჭირა და ერთ ნაბად-გახუნებულ გლეხს ეუბნებოდა:

— ოთხი სახარება გაუწყურეს ვინც ოთხ აბაზად ეს გაყიდოს! საგანგებოდ გამიკეთებია. სხვაგან არც ექვს აბაზად იშოვნი, ჩემი ექვსივე შვილი ნუ დამეხოცება! (არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი). მანეთი კიდევ შენი ხათრი, ოტიას სულს გეფიცები!.. ბასილს ვეახლები ჩემი ჩაჭურ-კვანით და საბერველ-ქულამურთი! როგორ გიკითხოთ, შენი ჰირიმე? — ღმილით მიაძახა ბასილს.

ბასილმაც გაუღიმა, თავი დაუქრა და განშორდა.

როცა ბასილი ზ-ში ჩადიოდა, მუდამ იავორა მიკიტის დუქანში ჩამოტეზობდა ხოლმე. ეხლაც, გააჩერა თუ არა ცხენი მისი დუქანს, წინე იავორას ბიჭი პავლია მაშინვე ღრეკით გამოეარდა და ცხენიდან ჩამოუყვანა.

— ცხენი თავლაში, ბიჭო! — გამოსძახა დუქნიდან იავორამ და თითონაც ბასილს ლიმილით კარებში მიეგება: — მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! როგორ კარგად, როგორ მშვიდობით?

— გახლავართ, გმადლობთ! ჩემი ბიჭი არ გინახავს? — დაეკითხა ბასილი და წითური რომანოზა და კურდღელი ვაახსენდა.

— დღეს დილით სკოლაში მიდიოდა, აქ გაიარა, მერე არ მინახავს. დიდი, დიდი მას შემდეგ ერთი-ორი საათი იქნება.

ბასილს გული დაუმშვიდდა.

— სულში ხომ არ დამიგვიანდება ნეტავე? — ისევ ჰკითხა ბასილმა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ჯერ დაგვიანებული არ იყო.

— არა, მგონი, — იავორამ ფიცხლავ საათი ამოიღო, რომელიც გულის ჯიბეში ჰქონდა, — თერთმეტის ნახევარია, ბატონო!

— მაშ ერთი, შენ რომ იცი, მავარი, — მხიარულად უთხრა ბასილმა. იავორამ საჩქაროდ ჰქიქას ხელი მოავლო და არაყი ჩამოასხა. ცოტა ხმელი საუზმეც მიართვა.

ბასილმა ნაბადი და მათრახი მიკიტანს მიაბარა და სასამართლოსაკენ გასწია.

— იავორა! — მობრუნდა ბასილი, — თუ ჩემმა ბიჭმა გამოიაროს, უთხარი, აქ მომიცადოს ჩემ მოსვლამდე.

— ბატონი ბრძანდები! — მიუგო იავორამ და ქუუყიანი ჩერით დახლს წმენდა დაუწყო.

## VI

დაბა ზ-ს მომრიგებელ მოსამართლის კამერა ან, როგორც ადგილობრივ ეძახდნენ, „სულის სადგომი“ მოთავსებული იყო დაბის განაპირას, ჩრდილოეთის მხარეს, მოყვითალო ფერად შეღებულ ჰეტიკირის შენობაში. შენობას საკმაოდ მოზრდილი ეზო ჰქონდა. ეზოს ირგვლივ შემოვლებული მუხის მესერი, დროთა ვითარების გამო, ალაგ-ალაგ დამპალიყო, ზოგან წაქცეულიყო კიდეც. რამდენიმე ძირი ჰქანდარი და აკაცია ამშვენებდა ეზოს.

თვით კამერა მოთავსებული იყო ერთ მოზრდილ ოთახში, რომლის იატაკიც ცალ მხარეს ამაღლებული იყო მსაჯულისათვის. ოთახში ხალხისათვის რამდენიმე ხის გრძელი სკამი იდგა. ერთ მათგანს წინა ფეხზე ლურსმანი მოშვებოდა და ყოველ დაჯდომაზე საშინლად აჭრიჭინდებოდა ხოლმე. ვინც იცოდა სკამის ასეთი ჩვეულება, რასაკვირველია, მაზე დაჯდომას უფრთხოდა, და თუ მაინც და მაინც სხვაგან ადგილი არ იყო, მაშინ ეცდებოდა ფრთხილად მაინც დაშვებულყო. სკამის ჰრიჭინი საერთო ყურადღებას იპყრობდა და მსაჯულიც უკმაყოფილოდ გადმოიხედავდა ხოლმე.

როცა ბასილი მივიდა, ეზოში რამდენიმე ქალი და კაცი დაინახა. ოღნავ ამწვანებულ აკაციის ძირში პალტოიანი და კრავის ქუდიანი კაცი იდგა, ხელის თითები ყვითელი ტყავის ზელთათმანებში დაემალა, ხელებს იქნევდა და გარშემო მდგომ რამდენსამე პირს გაცხარებით ელაპარაკებოდა. ეს გახლდათ მთელ დაბაში განთქმული კერძო ვეჭილი ვანია მოგებაშვილი.

ეზოს ერთ კუთხეში პატარა და გამხმარი შუახნის ქალი, თან ჩითის კბაში გამოწყობილი, ხმამალა ებასებოდა თავის წინ მდგომ წითელ-წვერა სქელ-სქელ კაცს, რომელსაც შავი ჩოხა ეცვა და ვებერთელა ხაზა ჰქონდა. იქვე იდგნენ: ერთი მოხუცი, ერთი ახალგაზრდა, ასე ოცდაათი წლის ვაჟ-კაცი, და ერთი თერთმეტ-თორმეტის წლის უფერული ყმაწვილი, ბამბაზის ხალათში გამოწყობილი.

— არა, არა, არ შეიძლება, ქვეყანა უნდა შევაწუხო! არა მგონია, რომ კანონმა და სამართალმა უყურადღებოდ დამტოვოს. ქმრის გვირგვინოსანი ცოლი ვიყავი. ეხლანდელ დროში ხარებს არ ავღებენ უპატრონოდ. მე რა, მე რა, ამას მაინც მიხედავენ. ეს ბლუზა მეფართლისაგან დიდი ხეწვის შემდეგ ვალად ავიღე. — ეუბნებოდა ქალი წითელ-წვერას.

— ნახავს კალონი, დიხავს ნახავს. მეც თუ გადამასახლებენ იმასაც ვნახავ. რომელი სატიის ძალით მომიგებ, იმასაც ვნახავ. მეც ბრძივი არ გეგონო! — ნიშნის მოგებით მიუგო წითელ-წვერამ.

— ასე არა სჯობია, ბაბაია, — დინჯად გაერია ლაპარაკში მოხუცი — თაარანგილოზი გამიწყურეს, შინ ცოცხალი არ დამაბრუნოს, თუ ან ერთის, ან მეორის მხარე მჭონდეს. არც შენა ხარ მართალი და არც შენ, ჩემო დიაა...

სხვა რა ილაპარაკეს, ბასილს აღარ გაუგონია, — უკვე შევიდა კამერაში. ბასილმა ფეხი ფრთხილად შესდგა, ბაშლაყი მხარზე გადაიგდო, ცალი ხელი ხმლის ქარქაშს მოჰკიდა, რომ არ გაქლარუნებულყო, ფეხაკრეფით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და ერთ თავისუფალ ადგილზე ჩამოჯდა. კამერა ფიქვის საესე იყო ქალით და კაცით.

მსაჯული საქმეს არჩევდა.

მის წინ იდგა ჯაგარივით შავ-წვერა, თმა-აბურძენული, მოძველო ყვითელ-ჩოხიანი გლეხი. მას გვერდით ედგა ასე ოცდაათი-ხუთი წლის მეტად ლამაზი, კოხტად გამოწყობილი ქერა ყმაწვილი კაცი. შავ-წვერა კაცის გვერდითვე იდგა შავი მაულის ჩოხიანი, ქალარა, გამხმარ-გამხმარი და მალალ-მალალი უფერული კაცი. მასრების ქვემოთ პატარა ჯიბეში ვერცხლის საათი ედო, ხოლო მათე მომძული ვერცხლისვე გრძელი ძეწკვი კისერზე ჰქონდა გადაბმული. ეს გახლდათ სტეფანე აბლაკატი, მუდმივი წვერი ამ სახლისა.

რაც სამეგრელოში რუსის სამართალი გაჩნდა (1866), მას აქეთ სტეფანე სულ ვეჭილობს და თავს ამით ირჩენს. პირველ ხანებში დიდი მოგება ჰქონდა, შემდეგ-კი დროება შეიცვალა, ბევრი დახელოვნებული ვეჭილი გაჩნდა და სტეფანეს წინ გაუსწრო, მაგრამ მას ეხლაც ბევრი საქმე ჰქონდა.

სწავლა არსად არა ჰქონდა მიღებული. რუსულად ხელის მოწერას ძლიერ-ძლიოზით ახერხებდა. ლაპარაკით კი რუსულად თუ გინდ საათობით შეუწყვეტლად ილაპარაკებდა, თუმცა მისი ნათქვამის გაგებას დიდი გულ-მოდგინება და, თუ ვნებათე განსაკუთრებულია ნიჭი და მესხიერება უნდოდა.

ქართული ლაპარაკი და წერა, ღვთის წინაშე, კარგი იცოდა, თუმცა წერის დროს წერტილ-მძიმეს არა ხმარობდა, მხოლოდ ბოლოში დასვამდა ხან ერთს, ხან ორწერტილს, რომ სთქვას კაცმა, მაინც და მაინც საწერიც ბევრი არა ჰქონდა-რა, მისი საქმე ლაპარაკი იყო და ამიტომ ისეთ საქმეებს ეტანებოდა, სადაც ბევრი წერა არ უხდებოდა და მხოლოდ ლაპარაკი იყო საჭირო. მაინც და მაინც რუსულად დასაწერი თუ შეხედებოდა, ნაცნობ გადაწყვერს გადააწერიანებდა, ცოტა რასმე ქალამნის ფასს, როგორც თვითონ ამბობდა, აჩუქებდა და ამით

იოლად გამოდიოდა. როგორც გენებოთ, ისე იფიჭეთ, მან-კი კი დამაბი სახელი ააშენა იქვე, იმ დაბაში. გვარიანი ადგილ-მამულიც შეიქმნა. ზოგიც სადუქნე, და ქვიტკირის შენობის ასაგებადაც (ქვიტკირის დაბა).

ქერა ყმაწვილი კაცის გვერდით იდგა ასე ორმოციოდე წლის სახე მოყვითალო დაბალ-დაბალი კაცი. სტეფანე შევ-თმინას იცავდა, მოყვითალო კაცი, ლამაზად ჩაცმულის მოწე იყო.

მსაჯული, ტომით რუსი, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ ავადმყოფი სახის კაცი იყო. საქმის გარჩევის დროს მალ-მალ შეწუხებულად იღმიჭებოდა. ერთობოდა, გული ხშირად მოსდიოდა მოძივან-მოპასუხის დაუსრულებელი წერილმანების ჩამოთვლის გამო, მგონი-კი უფრო იმიტომ, რომ ადგილობრივი ენის არაფერი გაეგებოდა და, საუბედუროდ, თარჯიმანიც რიგიანად ვერ უთარგმნიდა.

მსაჯულის თარჯიმანი, ჩვენებურად გამოწყობილი პატარა უფერული კაცი, ისეთი დაღლილი სახით იყურებოდა და იმნაირად ხუჭავდა ერთი ბეწოთვალეებს, თითქო უკანასკნელად ათვალეებებს ამ ქვეყნის სიმშვენიერესო.

საქმის ვითარება ასეთი იყო: გლეხმა გუძა გუდულუიამ ერთ მშვენიერ დღეს ორმოცამდე ოთხკუთხ საეენ მიწას თხმელის მაღალი ლობე შემოავლო და ბოსტანი მოაწყო. მისმა მეუღლემაც არ დაზოგა შრომა-ღვაწლი და მართლაც მშვენიერი ბოსტანი გამოუვიდათ. მთელი ზაფხული საკმაოდ ჰქონდათ ახალი ლობიო, კიტრი, ხახვი, პრასა, ოხრახუში და სხვა. ფხალმა ისეთი ძირი გაიკეთა, რომ მეზობლებს აკვირებდა. რიგიანი მოსავლით წახალისებულთ მეორე წელსაც არ დაიზარეს, საუკეთესო ჯიშის თესლი იშოვეს, ნიადაგის დამზადებასაც ადრე შეუდგნენ. არც მეორე წელს უმტყუნა მიწამ და რიგიანი ბოსტნეული მოიყვანა, მაგრამ თხმელის წერილი ტოტების ლობეს ალაგალაგ სიმჩატე შეეტყო. ნოემბრის შუა რიცხვებში ლობე ძლივს-ღა იდგა და ცოტა რამე კმაროდა, რომ ერთბაშად წაქცეულიყო.

იმ ხანებში გუძას მეზობელმა კინტირია ფართელავამ ჟღელი ხარ-კამეჩი იყიდა და ურემი ვააწყო. ერთ ლამეს კამეჩები პატრონს აგვარადან გაჭყეოდნენ, ძალიან ჩქარა მიეგნოთ გუძას ბოსტნისათვის და ძალზე გაენადგურებინათ. მსხვილძირა ფხალი სულ მოეძოვრათ. რისთვისაც კბილი ვერ მოეწლოთ, ფეხით გაეთელათ და მერე იქვე მიწოლილიყვნენ.

მეორე დღით ადრე გუძამ კამეჩები დაიჭირა, ხეზე მიაბა და პატრონს კაცი გაუგზავნა, რომ კეთილსინდისიერი ხალხი მოეყვანა და ზარალი დაეფასებინა. უიმისოდ კამეჩების მიცემას არ აპირებდა.

კინტირია ფართელავამ ეს არ იკადრა. იდროვა და როცა გუძა ეზოდან გავიდა და მისი ცოლიც მხარზე დიდი კოკით წყაროსაკენ გაემართა, მიეპარა და კამეჩები შინისაკენ გარეკა.

როცა გუძა გუდულუია შინ დაბრუნდა და კამეჩები ველარ ნახა, მოთმინებიდან გამოვიდა და ხმა მალლა დაუწყო ლანძღვა-გინება კინტირიას. კინტირია-მაც პასუხი გასცა, და ჯერ ერთმანეთი შორიდან რიგიანად გამოლანძღეს და მერე დიდის მუჭარით თავ-თავიანთ სახლებში შევიდნენ.

მეორე დღეს რაღაც სავალალოდ ერთმანეთს მოულოდნელად შეეფეთნენ. ნახვის უმაღლვე შეუტყეს ერთმანეთს, მუშტის მოჭრევაში გუძა უფრო დახელოვნებული გამოდგა და რამდენიმე მარჯვე დაკვრით მოპირდაპირე სისხლით-ვათხუნული ძირს დასცა.

პირველად მიიბრინა ახლო მეზობელმა ანდრია კულაძემ, მგერამ მის მის-  
ვლაში ჩხუბი კიდევ გათავდა.

კინტირია სახლში შეიყვანეს, გაჩნდნენ მამასახლისი და მოჭრულ-  
შინაურულად გარიგება ველარ მოახერხეს, და საქმე სასამართლოს გადაეცა.

მსაჯულის წინ მდგომი შეთმინიანი — გუდა გუდუღია იყო, კობტად გა-  
მოწყობილი, ქერა კაცი — კინტირია ფართელავა, ხოლო მოყვითალო დაბალ-  
დაბალი კაცი — ანდრია კულაძე.

— აბა, ეხლა შენ მოჰყვე, მსაჯული გიბრძანებს! — ხრინწიანი ხმით მი-  
უბრუნდა თარჯიმანი ანდრიას.

ანდრია კულაძე, ეტყობოდა, ამ ადგილის ხშირი სტუმარი არ იყო, ისე  
დაფეთებული იყურებოდა. საუბედუროდ, ენა ჩლუნგიც იყო და მის ნათქვამს  
უჩვეულო კაცი ადვილად ვერ გაიგებდა.

— რას მოვეყვ, ბატონო? — ჩაიბურღლუნა ანდრიამ.

თარჯიმანმა მსაჯულს მოახსენა.

— როგორ თუ რას მოჰყვეს! — წარმოსთქვა მსაჯულმა: — მოჰყვეს და-  
ლაგებით და აუჩქარებლად, რაც იცის გუდა გუდუღიას და კინტირია ფართე-  
ლავას ჩხუბის თაობაზე. ეგ ხომ პირველი მისულა? მოჰყვეს თითი-თითოდ,  
რაც ნახა.

— მე ბატონო, — ისევ წაიბურღლუნა ანდრიამ, — მე, ბატონო... საღეს  
ქვანე ვიჯედი, დანამყნობი მსხლის ძირში და ბუნ... ბუნ... ბუნ... ად ვიყუ...  
რებოდი, რომ სდრუ... სდრუზა და... სდრუზა... მოვ... მოვ... კურცხლე და  
მოვ... მოვ... კურ... ცხლე.

ანდრია შეჩერდა.

— Ну? — გადახედა მოსამართლემ თარჯიმანს

თარჯიმანმა ერთი დაახველა, შუბლზე ხელი გადისვა და დაიწყო:

— На точильном камне сидел, под... под... ну деревом и... и...  
глупо смотрел. Как ударит, как ударит, побежал да побежал...

მსაჯულმა ვაოცებით გადახედა თარჯიმანს, ეს კაცი „ათას ერთი ლამი-  
დან“ ზღაპარს ხომ არ მიაშობსო.

— Об'ясните в чем дело, я не понял ваших слов. Как это он  
сидел на точильном камне? — დინჯად დაეკითხა მოსამართლე, რომელიც  
რუსეთის ერთ-ერთ ჩრდილოეთ გუბერნიიდან ახლად ვადმოყვანილი იყო  
და არათუ ადგილობრივი ენის და ზნე-ჩვეულებისა არაფერი ვაგებოდა, რა  
სარწმუნოების ხალხთან ჰქონდა საქმე, ისიც არ იცოდა თურმე.

ბასილ მძებრად ამ დროში ყურს უგდებდა საქმის გარჩევას, აქ კი  
საჩქაროდ ზეზე წამოვიარდა: სრულებით დაეიწყება, რომ არხას მომზადება  
და თამასუქს რუსულად გადათარგმნა ესაჭიროებოდა. იგი საჩქაროდ ისევ ფეხ-  
აკრეფით კამერას მოშორდა.

მან კამერას მარცხნივ მოუარა და კანცელარიაში შევიდა, სადაც თითქმის  
ყველა გადამწერს იცნობდა ბასილი და ერთ უფრო დაახლოვებულ გადამწერ-  
თან მივიდა და რაც უნდოდა, მოახსენა. გადამწერმა თამასუქი გამოართვა,  
წინ დაიდო და ჭართულიდან რუსულად გადათარგმნა. მერე მთელ ფურცელ  
ქაღალდზე არხა გამოიყვანა და ორივე ქაღალდი, რიგზე დააკეცილი, ბასილს  
გადასცა. ბასილმა თავის დაკვრით ქაღალდები გამოართვა და ჩემად მანეთი-  
ანი მაგიდაზე დაუდო. გადამწერმა ზრდილობისათვის ფულის ვითომ უკან

დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ბასილმა მიაჯახე ხელი წააქვლი და ფულიანად მაგიდაზე გააჩერა.

— შენი ჭირიმე, ბასილ, — ღრეკით ეუბნებოდა გადაწყვეტილი.

— შენი თავი არ მომიკედეს! რა თქვენი საკადრისია! — დინჯად მიუგო ბასილმა.

მეტი გადამწერმაც აღარ ალაპარაკა. ქალაქის ფული დაკეცა და ჯიბისკენ გააქანა. მერე ბასილს თავი დაუკრა. კინალამ სიხარულის ცრემლები წამოსცივდა. ხუმრობა საქმე იყო! კაცს თვეში ხუთი მანეთი ჯამაგირი ეძლეოდა და რამდენსამე წუთში ერთი მანეთი მიიღო. ნამდვილი სასწაული იყო. ამხანაგებმა შურის თვალთ შეხედეს, მან კი საამოვნებით წარმოიდგინა ის საესე ბოთლი ღვინო, რომელსაც დღეს სადილად საკუთრად დაიდგამდა.

ბასილმა ისევ კამერაში შეჰყო თავი, მაგრამ ეხლა თამამად ვადაბიჯა, რადგან მოსამართლე კამერიდან გასულიყო. გუდულის და ფართელავას საქმის გამოძიება, როგორც იყო, გაეთავებინა და ეხლა ცალკე ოთახში განაჩენს ადგენდა.

გავიდა რამდენიმე წუთი. ამალღებული ადგილის პირდაპირ კარის რაზა აწკარუნდა, მერე ერთბაშად კარი გაიღო და ქალაქლებით ხელში მსაჯული გამოვიდა.

მოსამართლე მაგიდას მოუჯდა, ზარი დააწკარუნა.

— ადექით ზეზე! — ულაზათოდ დაიძახა თარჯიმანმა.

ყველანი ზეზე წარმოდგნენ. მოსამართლემ განაჩენი წაიკითხა. ამ განაჩენის ძალით, კინტირას და გუძას საქმე უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ბასილმა იდროვა და ქალაქლები მსაჯულს გაუწოდა, მერე თავი დაუკრა და კამერიდან გავიდა,

— რა საქმე გქონდა, ბატონო, დღეს სულში? — ჰკითხა იაგორა მიკიტანმა, როცა ბასილი სასამართლოდან დაბრუნდა.

— ბევრი არაფერი, — მიუგო ბასილმა, — ხომ იცნობ ეხლანდელი დროის კაცს, სანამ წაგცინფლიდეს რასმე, ფიანდაზად გაგეშლება და თუ გაწყრა ღმერთი, მოახერხა და რამე დაგტყუა, მერე მშვიდობით, აქეთ მის დაბრუნებას ნულარ მოვლი...

— აი, იცოცხლე, იცოცხლე, ბატონო! — თავმდაბლად გააწყვეტინა სიტყვა იაგორამ და სველი ხელები ჭუჭყიან წინსაფარზე შეიწმინდა, — იცოცხლე, იცოცხლე, მართალს რომ ამბობ! მეც მან არ დამღუპა! ვცდილობ, მე საწყალი, რაც შემძლია, მინდა სუყველას პატივი ვცე... ერთი სიტყვით, ვასილ-მოვნო, მაგრამ ნამეტანი ზარალი მომდის, ბატონო ბასილ. აი თქვენისთანა ზოგიერთი ნაღდი რომ არ ერიოს მუშტრებში, ამდენ ხანს ცხრაჯერ გაეკოტრდებოდი. ცხრა სახარება გამიწყრეს, ცხრა შაურის ალაგას ორ შაურს თუ არავაგდებდე, მაგრამ მაინც არ მომეცა საშველი. აგერ ხუთი წლის ნისია მექნება ოცდაათ თუმნამდე, ახალი კიდევ მეტია.

— შენ, შენა და მე კი სულ ნაღდი ოხარკალაია ბილეთები ჩაუთვალე იმ კაცს. მაინც რიგია, ერთი წელიწადი დავწეროთ ვადაო, თორემ ნახევარ წელსაც არ გავაჩერებ შენ ფულსაო. მომელაქტუცა, მომელოშტნა. წელიწადს ვინ ჩივის, წრეულის იანვარში ხუთი წელიწადი შესრულდა.

— ვინ ყოფილა აგეთი? — თანაგრძნობით ჰკითხა იაგორამ.

— დრიმინტია ქანტრაკელია, შე კაცო, ოჯახ-ამოსავლები!

— ნავაქარი? — იაგორამ თვალეზი დააქუცია და მხრები აიჩინა.

— ვითომ ვერ გადავახდევინებ? — ცოტა შეშფოთებულმა ჰკითხა ბასილმა.

— რატომ არა, თუმცა ძნელი კია. ეჰ, დრონი მეფობენო, მატონო, კომ გაგიგონიათ? ოხერი კაცი კია, მაგრამ გაჭირვება ვის არ გააოხრებს, ბატონო. ერთ დროს კი კარგად იყო. ბევრი ახალგაზრდა შენატროდა მის მდგომარეობას. შენ ვინ შეგითვისა ნეტავი?

— ჩემმა ბიძაშვილმა ბართლომემ. ხომ იცი, ერთ დროს ისიც ვაჭრობდა, მაგრამ...

— ოჰ! ღმერთმან კაი გავახსენოს, ბატონო ბასილ! — აღტაცებით გააწყვეტინა იაგორამ. — ბართლომეს ჩემი ცოტა რაღაც შერჩა. ცოტაა, მარა, როგორც მოგახსენებთ, ბევრი ცოტასაგან შესდგება. თქვენ, ბატონო, როგორ გაგიბედოთ, თორემ თქვენი იმედი ისე მაჭეს, როგორც რომ საკუთარი თავისა, იმედი მაჭეს, — ღრვევით შეეხვეწა იაგორა.

— იმ შეჩვენებულმა კიდევ არ მოგცა? ვეტყვი, უსათუოდ ვეტყვი.

— შენი ჭირიმე!

ბასილს ძალიან ეჯავრებოდა, როცა ნათესავზე სათაკილოს რასმეს ეტყოდნენ. ამიტომ ლაპარაკი სხვა საგანზედ გადაიტანა: — ჩემი ბიჭი ხომ არ მოსულა, იაგორ?

— ჯერ არ დაბრუნებულა, ბატონო!

— ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა, უიმისოდ დედაკაცი შინ არც კი მიშვებს. შე კაცო, ბიჭისათვის ერთი საჩოხე შალი უნდა შეყიდა...

— დღეს პარასკევია, რამდენიც გინდა ბატონო.

— მაშ მე ერთი ეხლა ბაზრისკენ გავიარ და თუ ჩემი ბიჭი დაბრუნდა კლასიდან ჩემო იაგორ, არ გაუშვა, აქ შენთან მომიცადოს.

ბაზარი ქალაქის შუაგულში იყო მოთავსებული პატარა ლელის პირად, რომლის გასწვრივაც სხვადასხვა ჯიშის ღიდრონი ხეები იყო ლამაზად ჩარიგებული. აქ ბასილმა გაიარ-გამოიარა, ორ-სამ ადგილას საჩოხე გასინჯა. გაიხედა და მისი პირში, მისი ერთად-ერთი ვაჟიშვილი, მძებრაძიანთ მომავალი იმედი, როგორც ბასილი ფიქრობდა, გრიგორი, რომელსაც შინაურულად ძუკუს ეძახდნენ, ილღიაში წიგნებით წინ აეტუზა. ბასილმა შვილი გადაჰკოცნა, თუმცა კვირაზე მეტი არ იყო გასული, რაც ენახა.

ძუკუ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ჭაბუკი იყო, მაგრამ სიმაღლით თვით ბასილს ბევრად არ ჩამოუვარდებოდა. სახე ლამაზი ჰქონდა, მსუქან ლოყებზე ვარდი ეფინებოდა. მიუხედავად მკირეწლოვანებისა, საულევაშეზე უკვე შავი ქინქლი მოუჩანდა.

— როგორა ხარ, ბაბა? — აღერსით ჰკითხა ბასილმა.

— არა მიშავს-რა, გვარიანად ვარ, — მიუგო ძუკუმ.

— სწავლობ კარგად?

— კი... გვარიანად, — ცოტა არეულად მიუგო ძუკუმ და ცუდმა ფერმა გადაჰჭრა.

შვილის კარგად ყოფნით გახარებულ მამას ეს არც კი შეუმჩნევია.

სადილად შვილი ბასილმა იაგორას დექანში მიიყვანა. თვითონ კარგა შეზარხოშდა. სასამართლოს ორი ვადამწერი და ჩვენი ნაცნობი თარჯიმანი გვარიანად შეახურა. ისინი ხშირად სჭირდებოდნენ, რადგან სასამართლოში საქმეები ჰქონდა ხოლმე, ამიტომ მათი პატივისცემა სასარგებლოდ მიიჩნდა და, რომ ესთქვათ, არც სტყუვდებოდა. ხელი ხელს ბანსო, რუსები იტყვიან, ისი-

ნიც თავაზიანად ეპყრობოდნენ და რაც შეეძლოთ, საქმას სასურველად და დროით გათავებაში შეელოდნენ.

ბასილმა თარჯიმანისაგან გაიგო, რომ მოსამართლეს მისმა საქმემ დროინტია კანტრაკელიასთან ოცდაექვს მაისისთვის დაენიშნა. შინაგან მოწყობისათვის

სალამოზე გულ-დამშვიდებული ბასილი ცხენს მზიარულად შინისკენ მია-თხოხარეკებდა. ცხენიც თავს არ ზოგავდა, ჯადგან მთელი დღის უტყველი იყო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩვეულ ბაგისაკენ მიეჩქარებოდა.

— ღმერთო, ის ერთი ბალანა მაჩუქე, რიგიანი კაცი გამოიყვანე! — ლოცულობდა მზიარულ გუნებაზე მყოფი ბასილი, — გვარის სასახელო და ჩემი მოხუცებულობის სანუგეშო, მოყვრის გამახარებელი და მტრის შურით თვალის დამთხრელი!

„სულს მივუსწარი, — ფიქრობდა შემდეგ ბასილი, — ბიჭი კარგად დამიხედა. ზანდანიც დროზე დაეანიშენინე. უწყებას ადრე გაუგზავნიო, მითხრა პერევენიკმა. არა, დღეს ცუდი არა შემხვედრია-რა. შენი რომანოზაც გაცურუდება და შენი კურდღელიც, — თავმოწონედ ჩაილაპარაკა გონებაში. — მართალს ამბობს ჩვენი ევთიმე მღვდელი: არც ფეხია, არც შეხვედრააო. — მაგრამ ბასილმა საჩქაროდ ხელი ისევ ტურზე მიიღო: — ღმერთო შეგცოდე და შემინდევი! — მოწიწებით წარმოსთქვა მან და პირჯვარი გადაიწერა: — ვინ იცის ჯერ შინ მისვლამდი რა ხიფათი შემემთხვევა“.

მაგრამ ბასილს არაფერი შეხვედრია და არც შემთხვევია. გზა მშვიდობით გაიარა და ვახშობის დრო იქნებოდა, როცა ცხენი თავის ეზოში შეათოხარეკა.

## VII

კონსტანტინე ტომბაშვილის გასტუმრების შემდეგ ნიკოია თოხიტარიას ჯალაბობა ფაცხაში გაეიდა და იქ კერას მიუჯდა. მისი სასტუმრო სახლი, როგორც გარეგნობით, ისე შინაგანი მოწყობილებით ღარიბული იყო, სამხარეულო ფაცხა-კი სილატაკეს წარმოადგენდა.

წარმოიდგინეთ პატარა, ხუთი ადლის სიგრძე-სიგანის ფაცხა, რომლის ფართო და მრავალი ქურქუტანა დახელილი წიგა-ნაცრით იყო შელესილი. წიგა ზოგან ჩამოვარდნილიყო, ზოგან-კი ჩამოსაეარდნად გამზადებული ეკოწილა. ქარს ყოველი მხრიდან თავისუფალი გზა ჰქონდა ფაცხაში სათარეშოდ და როცა უნდოდა, თამამად შესისინდებოდა ხოლმე.

შუა ფაცხაში კერა იყო, რასაკვირველია, და მის თავზე, ზემოთ, გარდ-გარდმო მკლავის სიძსხო თხმელის ორი ჯოხი იყო გადებული, რომლებზედაც ხისავე საკიდელი იყო დამაგრებული. როგორც ეს საკიდელი, რომელსაც კაჩას ეძახდნენ, ისე ხის ხარხები, კედლების ზემოთა ნახევარი და ისლის სახურავი ბოლისაგან გიშერივით შავი იყო. მთელ შენობას არსად არა ჰქონდა ლურსმანი, ან სხვა რაიმე რკინული. მის მაგიერობას, საცა საჭირო იყო, რცხილის დაგრებილი წკნელი ასრულებდა. არსად არაფერს არ ეტყობოდა არც შალაშინის, არც სატეხის, არც ბურღის კვალი. ამ სადგომის შენებაში მხოლოდ ორი იარაღი იღებდა მონაწილეობას: წალი და ნაჯახი.

ფაცხის ერთ კედელზე ტლანქად გათლილი წიფლის ფართო ფიცარი იყო მიდგმული, რომელზედაც ნახევრობამდის სიშინდის ფქვილით საცხე ტომარა ეგდო. იქვე, ზემოთ, წკნელის კავზე ეკიდა ხის ნიგა, რძის ჩასაწველი. ტომარასთან ხის როდინი იდგა ვებერთელა ქვასანაყით. რამდენიმე ხის ჯამი, ერთი ხის

გობი, გატეხილი ქოთანის მარტილით და სხვა წერილმანი, — ეს იყო ნიკოიას სამზარეულოს ჭურჭელ-ავეჯეული.

— ჰაია, ივანე! — ამოიობრა ნიკოიამ და თამბაქოთი <sup>წერკენულად</sup> <sup>წავსვს</sup> <sup>ჩიბუხზე</sup> მოლაპლაპე ნაღვერდალში ჩაჰყო. ერთი მოზრდილი ნაკვერცხალი ჩიბუხზე მოექცა, მაგრამ ნაკარიც ბლომად ამოჰყვა. ნიკოიამ ნაკვერცხალი ცერის ფრჩხილით დასწია და ჩიბუხის ტარი სიამოვნებით პირში ჩაიღო. — კაი კაცს ჭე ჰგავს, მაგრამ, რა ვიცი, სხვის ხელში, სხვის ოჯახში... დედა არა ჰყავს ახლო და მამა. ან ცუდი გული შეეჭნას ან ავად გამიხდეს. ფუი, სილარიბეს დაუდგეს თვალეზი!...

— რას სწუხარ, მამა ჩემო? — მიუგო პეტრემ, რომელიც ცერის მეორე მხარეს კველაზე იჯდა. — რა უჭირს, ლეტაკარში კი არა, კაცი სტამბოლში წავა. გაიარ-გამოიაროს, ცოტა რამე იშოვოს, თვალი გაახილოს... შეიძლება რამე ჩვენც დაგვანდეს. ნეტავ, მეც სადმე ქირაზე დამაყენა! აჰ, ბაბა, ეთოხნეთ, ეთოხნეთ სხვისი მიწა, ხუთჯერ ტყავი გაგვეძრო, რაც ეთოხნეთ, საქმელად არ გვეყო და ისევ სისაწყულე-სილატაკეში ვილევით.

— იქით, ბაბა, არ გამავგონო! რას მეუბნები? — გაცუბით გააწყვეტინა ნიკოიამ, — ის დღე ღმერთმან ნუ მაჩვენოს, რომ შენც საქირაოზე მიდიოდე. მე ბაბა, დღეს ვლოდავ და ხვალ, ვინ იცის, ღმერთი როგორ ინებებს! ამიტომ საზღვრები უნდა გიჩვენო...

— ჰა, ჰა, ჰა! — უშნოდ ჩაიციხა პეტრემ, — საზღვრები კი არა, უხომო მიწები ჩვენ რომ გვაქვს, იმის ჭირი შემეყაროს! ჩვენი ჭკვევა-ნახევარი ხრიოკის საზღვრების ცოდნას რა ბევრი რამე უნდა. ხუთი წლის წინედაც ვიციოდი, მაგრამ რა გამიკეთა? ისიც ჩვენი როდია, ბაბა, ყოველ წელიწადს ნაბატონარის ღრიჭინმა სული ამოგვართვა.

— არა, შევილო, სამშობლო მიწა-წყალი, რაც გინდა იყოს, მაინც ძვირფასია. სხვაგან, რაც გინდა ბევრი იშოვნო, შენი საქვალს მაინც არ უნდა დაივიწყო, მაინც ყოველ ჭვეყანას უნდა გერჩიოს...

— ამის უარს მეც არ ვამბობ, ბაბა. მარა, თუ კაცს შინ არაფერი გაქვს, საშოვნელად სხვაგან უნდა გაიარ-გამოიარო. შევეყურებთ, შევეყურებთ ამ ჩვენ ღონე-გამოლულ დობერებს, მარა, ხომ ხედავ, არა გამოდის რა. დღე და ღამე უნდა ეწვალო და შენი ნაშრომი სხვას, ერთ ადგილას ფეხ-ფეხზე თავმომწონედ გადადებულს უნდა მიართვა. ამნაირი ცხოვრება სილარიბიდან ვერ გამოგვიყვანს, დამიჯერე, ბაბა!

— ჰო, ჰო, ბაბა! ღმერთი თქვენ თავს მაჩუქებდეს, თორემ სხვა სიმდიდრეს როგორ ვითხოვ! მე რაც გადასწედეხია, იმის შედარებით განა მდიდარი არა ვარ? ღმერთო, რამდენჯერ მინატრია: ნეტავ ჩემ ცოლშვილს ცივი ღომი საკმაო ჰქონდეს მეთქი და წრეულს, ის კი არა, კიდევაც გავყიდეთ. ღმერთო, შენ შეეწიე ჩემ ივანეს! — პირჯვრის წერით წამოიძახა ნიკოიამ. — წინა გიორგი ხორციელი როგორ გასწირავს, რა ვიცი მის სახელს ვენაცვალე!.. თუმანი კი დამიტოვა, იმ კაცმა, ააშენა ღმერთმა! ყა, ჩიგინი კაცი უნდა იყოს, ის კორსანტელი. დროზე ფული თუ მომცა, ესეც ბევრი რამეა. ზოსიმე პაპროშნიკი თუ გამოჩნდა ესლა, მაშინათვე ხელში მივცემ ფოშტის ფულს და თავიდან მოვიშორებ, — მხიარულად დაუმატა ნიკოიამ.

— მიეცი, ბაბა, მიეცი, თორემ წინეთ ისე დაგვემუქრო, რომ შეიძლება მოზვერას მოავლოს ხელი. მე მაგის წაყვანას ვერ მოვითმენ და შეიძლება რამე აყაღ-მაყაღში გავებათ. ფოსტის ფული რამდენია მისაცემისა?

— ხუთი მანეთი თავი ფოშტაა, შეილო, და მანეთი და ექვსი შაური როკიკი. მღვდლის ფულიც ჯერ არ მიმიცია.

— ისიც გარდაიხადე, ბაბა, მოვისვენებთ, ზა დღეს რა ხვალ, ხომ მაინც უნდა გადაიხადო.

— ჭო, ბაბა, ჭო... ორი მანეთი და ექვსი შაური სულ რამდენი იქნება? — დაეკითხა ნიკოია.

— ხუთი ფოშტა?

— დიახ.

— მანეთი და ექვსი შაური როკიკი.

— ჰო!

— ეს ექვსი მანეთი და ექვსი შაური. მღვდლის ორი მანეთი?

— სულ რამდენია?

— სულ... ექვსი შეიდი... რვა და ექვსი შაური.

— თუშნიდან დედა ჩემის საკაბეს მაინც ჩამოვრჩებოდე ამ სააღდგომოდ-წირვაზე გაივლის საბრალო, — გულთბილად წარმოსთქვა ნიკომ.

— თქვენ იცოცხლეთ, შევიღებო, თქვენ, მე არაფერი, — ჩუმად ჩაილაპარაკა ნიკოიას მოხუცმა დედამ ჯუჯამ, რომელიც შეიღის გვერდით კველაზე იჯდა. ის უკვე სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი იყო. ძლივ-ძლივობით დადიოდა და თვალსაც შესამჩნევად აკლდა.

ძალზე მოხუცი იყო ჯუჯა, მაგრამ თავს მაინც არ ზოგავდა. შეეძლო, არ შეეძლო, გული მაინც არ უთმენდა და ყოველგვარ საოჯახო საქმეს ხელს უფათურებდა.

— რას ამბობ, ბეჩა, დედა ჩემო, — მიუგო ნიკოიამ. — ჯერ კიდევ შენით გვიდგია სული, ცეცხლი შენი იმედით გვინთია... ა, პეტრე, რამდენი დარჩება? — დაეკითხა ნიკოია.

— რვა მანეთი და ექვსი შაური არ ვიანგარიშეთ? ათი... ექვსი... ერთი მანეთი და სამ აბაზ ნახევარი დარჩება, ბაბა.

— გადასახადი რომ წრეულს არ შეგვაწუხებს, რამდენად გვიღირს! — მზიარულად შენიშნა პეტრემ.

ნიკოიამ ხელახლა ჩაპყო ჩიბუხი ნაკვერცხალში, მაგრამ ეხლა ცეცხლი არ ამოპყვა, ნაცრით-კი თითქმის გაივსო.

— შევიღებო, — დაიძახა ნიკოიამ და ჩიბუხი ჭალამანზე დაიბერტყა, — კერასთან ჯდომა გვეყოფა. ათა, ბაბა, — მიუბრუნდა ათანასეს, — ერთი-ორი კვირა ფარნა შენთან წაიყვანე, აჩვენე, სად უკეთესი საძოვარია, და ასწავლე, საით და როდის გარეკოს. მერე თვითონ მიეჩვენე.

— ნააღდგომევიმდის ერთად მწყემსონ რა უჭირთ. ჩვენ მანამდი საძნელო საქმე არც კი გვეჭება, — განმარტა პეტრემ.

— მით უკეთესი, — დაეთანხმა ნიკოია. — აბა, ბაბა, ნუ იგვიანებთ!

რამდენიმე ხნის შემდეგ ფარნას წინ მიწაზე პინა იდგა, რომელზედაც ალაგ-ალაგ ნაცარ მიკრული ღომის ნატები იდგა, იქვე ფხალი და სუნელი<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> ერთად დანაყული ნიგოზი, პრასა, პილპილი და მარილი.

ელაგა. ფარნა ცალი ხელით ღომს სტეხდა, მეორე ხელით ფხალს იღებდა, სუნელს წაუცაცუნებდა და შეეჭკოდა.

ნიკოიას მცირე ფარა მარაკიდან ფრუტუნ-ფრუტუნით გამოვიდა და გზას გაუდგა. ხუთი დედალი თხა ნიკოიას საკუთრებას შეადგენდა. მათგან მზარებელი იყო. ერთი დიდი და ერთი პატარა ბოტი სხვის საზიარო იყო. ამნაირად ნიკოიას ფარას შეადგენდა ცხრა დედალი თხა და ორი ბოტი, სულ თერთმეტი სული. ძმებმა თხები ეზოდან გარეყეს და ბიჯურის გზას დაადგნენ. ბიჯური ერთმანეთში არეული ხშირი ტყე და ბუჩქნარი იყო. იქ მომეტებულად წიფლისა და რცხილის დიდრონი ხეები ხარობდნენ. რადგან თხის ნეკერი ბიჯურში ბევრი მოიძებნებოდა და სივრცითაც მას გვარიანი ადგილი ეჭირა, ამიტომ ჰყონიერებს თხა საძოვრად ხშირად იქითკენ მიუდიოდათ ხოლმე. ტყე სამთავრო იყო და თხების პატრონთ ბაჟს არ ახდევინებდნენ, მხოლოდ ხეების მოჭრა იყო სასტიკად აკრძალული. ტყეს ამისთვის ორი დარაჯი ედგა.

ფარნა სხვა დროსაც ვაჟყოლია ათანასეს, მხოლოდ ახლო-მახლო ადგილებში, ბიჯურში კი ჯერ არ ყოფილიყო და მის ნახვას მოუთმენლად ელოდა.

— შორია, ათა, ბიჯურამდი? — დაეკითხა ფარნა, როცა თავიანთი ეზო გაიარეს, ორობებს ვაჟყენენ და ოტორონჯე ღელეს მიადგნენ.

— კარგა მანძილია, — საქმიან კილოთი მიუგო ათანასემ.

— მაინც?

— აბა, როგორ დაგიზომო? ჩვენი სახლიდან ოხვამემდი რომ არის, ამდენი, კიდევ იმდენი და კიდევ ამდენი!

— უჰ! შორი ყოფილა, მარტო რომ ვიქნები, შემეშინდება, ვაი თუ თხა ვერ გავრეკო.

— რის შეგეშინდება, ღამით ხომ არ იქნები?

ამ ლაპარაკით მათ ოტორონჯე ღელე გაიარეს და გაღმა ატეხილ ბუჩქნარს აჰყენენ. ბუჩქნარში თხები აქეთ-იქით გაიფანტნენ და რასაც პირი მოაფლეს, სიამოვნებით ჩააქნატუნეს.

— ჰე, ფარნა, აქ ნუ ამოვებ, ჩქარა ბიჯურისკენ გავირეკოთ, სჯობიან. ისე შარაზე გამოვრეკე, — გადასძახა ათანასემ.

ფარნამ დაუარა, მავრამ თხები არ ემორჩილებოდნენ, აქეთ-იქით გარბოდნენ.

— მარტო ყვირილით რა გამოვა, სახელები უნდა დაუძახო, თორემ ისე ყურსაც არ გაიბერტყავენ. ხომ იცი სახელები?

ასე ლაპარაკით მიუახლოვდნენ ბიჯურს.

ბიჯურის ტყეს მაღლობი და ვაკე ადგილი ეჭირა, მხოლოდ ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ იყო ცოტად დაქანებული, სადაც მოზრდილი ღელე ჩაუდიოდა.

შუა ტყეში ერთი სწორი ადგილი იყო, რომელსაც ბეგს ეძახდნენ და რომელიც მწყემსების სათამაშო და სალაზღანდარო ადგილს წარმოადგენდა. იქვე ახლოს ბევრი საჭურჭლე თიხა მოიძებნებოდა და სოფლის მექურჭლეები თიხას აქედან ეზიდებოდნენ.

ღლეს მშვენიერი დარი დადგა. მარტმა თანდათან ძალა გამოიჩინა. მზის გამაცოცხლებელი სხივები ისარივით მოხვდა ზამთრის სიცივისაგან მოკუმულ ხის კოკრელს. თხმელა თითქმის დაფოთლებული იყო, წიფელა მწვანდებოდა, გარეულ თხილს თავისი გრძელი ხეივლი, რომელიც ზამთარში ასე ამშვენიებდა, დაემოკლებინა და ყურებ-აქვეტილი, ნაზი, მწვანე ფოთოლი გამოვიღო.

ყოველ ბალახს, ყოველ ბუჩქს, ყოველ ხეს ფერი ეცვალა და სადღესასწაულოდ ემზადებოდა. მგალობელი ფრინველები ჯერ არ დაბრუნებულყვნენ, ამიტომ ტყეს მათი საამური სტვენა-რაკრაკი არ აღეძებდა. მხოლოდ მშვენიერ ძეწა დასცურავდა ლაქვარდში, ხოლო ყვავების გუნდი არეულნი მწიფის გემზარის წიფელის კენწეროზე გროვდებოდა.

— ფიტ, ტვიტ!, ტვიტ! — მოისმა ლარჯემის ხმა, როცა ჩვენი პატარა მწყემსები ბეგს მიუახლოვდნენ.

— დია, ლარჯემი! — მხიარულად წამოიძახა ფარნამ.

— ე! უი! — დაუყვირა ათანასემ.

ლარჯემის ხმა შეწყდა და მის ნაცვლად ყიჟინა მოისმა.

— შენ რომელი ხარ? — დაუყვირა ათანასემ.

— ძაკალა ვარ, ძაკალა!

— მაშინვე მიხვდები, რომ ძაკალა იყო, — ჩუმად სთქვა ათანასემ.

— დაგიძახა და იმიტომ მიხვდები, — მიუგო ფარნამ.

— არა, დედის სული ნუ წამიწყდება, ლარჯემის ხმაზე ვიცანი.

რამდენიმე წუთის შემდეგ თავმოყრილი მწყემსები მხიარულად თამაშობდნენ.

(ვაგრძელება იქნება)

ალექსანდრე აბაშელი

## საუბარი აღიღებულ გგჰვართან

ეს რა გუგუნებს, ვინ არი?  
ვინ აელარუნებს იარაღს?  
აზავთებულმა მდინარემ  
გრიალით ჩამომიარა.

მწვანე ნაპირი მოგრიხა,  
ზედ მიამხებრია ღვარები,  
— წყალო, საიდან მორბიხარ?  
საითკენ მიეჩქარები?

ტალღებმა იწყეს ზრიალი,  
ჩქეფით წარმოთქმა ფიცისა:  
— ჩვენა ვართ თანაზიარი  
თქვენის ცისა და მიწისა.

ცრემლი ვართ მოშლილ ბუდეთა,  
ჩვენ შორეულნი როდი ვართ!  
ოდესლაც მტკიცე ზღუდეთა  
ნანგრევებიდან მოვდივართ.

ჩვენი სხეული აქ არი,  
იქ დაერჩენილვართ ძირები,  
ნასოფლარ-ნაქალაქარი  
უმზეო წყლის ნაპირები.

ვიცოდით, რომ მზეც აქ არი,  
რომ აქ სინათლე გველოდა,  
რადგან სიცოცხლე სხვაგვარი  
ბრწყინავდა საქართველოდან.

ჩვენ იქ ცრემლები ვაწვიმეთ,  
აქ კი ქვეყანა ჰყვავოდა.  
გვენატრებოდა არწივი, —  
ყორანი თავს დაგვიჩხავდა.

შეკრული იყო გლოვითა  
ჩვენი მდუმარე ჭიბარა,  
როცა აპრილი მოვიდა  
და გაზაფხული გვაბარა.



ჩვენი ტყვეობა ნახა და  
აგვიშრილა ხეები.  
მძიმე დუმილი აგვხადა,  
გრგვინვით აგვივსო ხეები.

დაგვექროლა მწვანე ფრთებითა,  
ელვა და წვიმა დაღვარა  
და საქართველოს მთებიდან  
სხივები გადმოგვაყარა.

თქვენთან კავშირის სურვილი  
ჩვენს გულში როდი ბერდება!  
ქართული მიწის სურნელი  
როცა იყნოსეს ფერდება, —

იშხველეს კლდეთა თაღებმა,  
დაუშვეს თოვლის ნაღვარი,  
და ამჭურბულ ტალღებმა  
გადმოვარღვიეთ საზღვარი.

შემოვიღეწეთ ხუნდები,  
მოვღვარეთ შთა და ველები.  
ჩვენ უკან არ დავბრუნდებით,  
ქართლის გულს შემოვევლებით.

არ გვსურს ჩვენს მიწას მოვაკლდეთ,  
სხვა ქვეყნის ნაცარ-წყარილი.  
მოვედით, თქვენთან მოვაგდეთ  
ჩვენი კვნესა და ძახილი!..

დამნა შენგვალაია

# შ თ ა გ ო ნ ე ბ ა

რომანი

თავი პირველი

1.

დემურებს თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მუშაობა წესად ჰქონდათ დადებული. პატიოსანი შრომის ადამიანი ამ გვარისა თაობიდან თაობაში, მოდგმიდან მოდგმაში შემკვიდრეობით გადადიოდა.

ასლანსაც თავი დიდათ მოჰქონდა თავისი გვარის სასახლო ტრადიციებით, რადგან ყოველი საამქრო, ყოველი კუნჭული ამ ქარხნისა მის წინაპართა ოფლით, ცრემლითა და სისხლით იყო მორწყული.

ჯერ თორმეტი წლისაც არ იქნებოდა, რომ ერთ სისხამ დილით მამამ ლოკინიდან აავლო და ისიც, სხვა შვილებსავეთ, სახელოსნოში სამუშაოდ წაიყვანა.

ბავშვს მისი ჰასაკისათვის შესაფერი საქმე რომ ვერა უშოვეს რა, ადგნენ და ისევე მესაყვირე ძმის თანაშემწედ დანიშნეს.

ოთხი დემურია მუშაობდა ერთად ახლა ამ ქარხანაში, ოთხი დემურია ირჯებოდა.

თავისი მამა-პაპისავეთ, ისინიც განუზომელი ჯაფით, შრომით წელს იწყვეტდნენ, მაგრამ საქმეს ბოლომდე მაინც ვერ შერჩნენ.

მამა ფილტვების ანთებით მოკვდა და გაუხარებელი ცხოვრებით დაღლილი ძვლები უდროვოდ დაღუპული ცოლის გვერდით ჩაყარა მიწაში. ერთი ძმა ციმბირში დაკარგეს, ხოლო მეორე ვაფიცვის თაოსნობისათვის სამუშაოდან მოხსნეს და ახალი ადგილ-ი, ძებნაში შორეულ კოკანდში გადაეარდა, მისი ასაველ-დასაველიც უგზოუკვლოდ დაიკარგა.

დარჩა ასლან მარტოდმარტო.

ისიც მუშაობდა, ჯაფით წლებზე ფეხს იდგამდა და წლების განმავლობაში ისე შეეჩვია, ისე შეეხარდა აქაურ წესრიგს, რომ საათი აღარ სჭირდებოდა, საყვირის აშვების დროს ტანით გრძნობდა.

ვინ მიხედებოდა თუ რა კმაყოფილებას განიცდიდა იგი, როცა მისი „ბუღბუღი“ ვაჟაკურად ავუგუნდებოდა და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა.

ყველაზე მეტად მას მაინც დილის „საარი“ ახარებდა, როცა ჯერ კიდევ გაუთენებელში მისი ყელგახსნილი „ჩიტი მგალობელი“ ცას ღმუილით შეასკვებოდა.

საწინეე ქვაბიდან ცად ატყორცნილი ორთქლი ლაღი შხუილით იქულე-ბოდა და მთელ ქალაქს ქარხნის გუგუნე ეუფლებოდა.

დემურია გატაცებით უსმენდა ამ გუგუნს და გული სიამაყის გრენობით ეცვებოდა, როცა მის ხმას სხვანიც უერთდებოდნენ. ზოგი წიუოდებდა, ზოგი ლმუოდდა და ამ ალიონზე უბნიდან უბანს, ქალგუქვანს ქალგუქვანს ხიანად გადაჰკიოდნენ, გამრჯე ზელეს შრომისთვის ეძახდნენ.

ახალ შეთენებულში, როცა ძილი ასე ტპილია და ძნელად დასათმობი, მილიონები დგებოდნენ ლოგინიდან და ტანთ ხელდახელ იცვამდნენ.

მიწწარებულ ქუჩათა ლეგა ბინდებში ისმოდა მათი ფეხის ხმა, — მაღარობისაკენ, დოკებისაკენ, ფაბრიკა-ქარხნებისაკენ ძილით დაბუხულნი ჩუმად, ხმის ამოუღებლად ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდნენ.

პროლეტარიატის ამ ძლევამოსილი მსვლელობის ქვეშ დედამიწაც საყვირებით აზანზარებულ ცასავით გუგუნებდა.

— მამალი ვარ, ქალაქის მამალი! — ამბობდა თავგამოდებით დემურია. — ქვეყანას ვაღვიძებ, მდიდრებს ვაშფოთებ.

ადრე ადგომას ჩვეულს კვირაობითაც ადრე ეღვიძებოდა. ადგომა უნდოდა და არა დგებოდა, რადგან ეს დღე, ეს დღილა მისი ცხოვრების უბედნიერეს წუთებს შეიცავდა. არაფერი მას ისე არ ახარებდა, როგორც თავისი სამი წლის ვოგონასთან თამაში, როცა ის, ახლად გაღვიძებული, ცისფერი უზადო თვალებით მისკენ კვიმატიანად გამოიხედავდა. მამას ლოგინში დაინახავდა თუ არა, ერთს კმაყოფილების ნიშნად ჩაიციინებდა და მასთან ცელჭობასა და აღერსს მონატრებულნი, მეორე გვერდზე დაეშნებულად გადაბრუნდებოდა, რა არის, — თვითონ დამიძახონო, მაგრამ ასლან განზრახ არ გაეხმაურებოდა. უცქერდა ღიმილით, უცდიდა თუ რას იზამდა, უცდიდა სანამ ეყოფოდა მოთმინება ახლაცე პრანჭიასა და თავჭეიფას. ბავშვს მოთმინება მართლაც დიდხანს არა ყოფნიდა და ის განაზებაც ამოოდ ჩაუვლიდა. ოქროს კულულებით დამშვენებულ თავს საბნის ქვემოდან უცებ აღქაჯურად გამოჰყოფდა და თვალების ეშმაკური ციმციმით შეეკითხებოდა:

— მამიკო, მოტინტილდე?

— მოტინტილდი, ჩემო დარუხან, მოტინტილდი!

დარიკოსაც თხოვნის გამეორება აღარ სჭირდებოდა. ლოგინიდან ერთის ვაივაგლაბით, კვენსით, ოხვრით ჩამოფორთხდებოდა და, გრძელი ღამის პერანგის ამარა, ვარდისფერ ბუნჩულა ფეხების იატაკზე ტანტალით, კისკის-კივილით მისკენ გაქანდებოდა. მამიკოც დაბუა ჩიტვიით მსუქან შეილს გულში სიცილით ჩაიკრავდა და დიდხანს ლალობდნენ ერთად, თამაშობდნენ. ბოლოს აღერსით, ცელჭობით რომ გაძლებოდნენ, ბალლი კოაპებს დინჯად შეიკრავდა:

— მე შენ გემდური, მამიკო.

— რატომ, შეილო, რა დავიშავე ისეთი? — შეეკითხებოდა განზრახ გადაშეტებულად შეშინებული ასლან თავის ბუტკას.

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ... შენ რომ საყვირს ავუგუნებ, მე გეძახი: მამიკო, მამიკო, და შენ ხმას არ მცემ.

ეს უუყრადლებობა მართლაც აუტანელი იყო. მამა პირდებოდა, რომ მეტი ამგვარ შეცდომას ადგილი არ ექნებოდა, ხმას უეჭველად გასცემდა და, რის ვაივაგლაბით შერიგებულნი, ისევ თამაშობდნენ, ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

ასლანს უნდოდა, რომ თავისი სიცოცხლის დღენიც მამა-პაპასავით თავის ქარხანაში დაეღია. ოცნებობდა, რომ მისი პატარა დარიკოც ოდესმე იქ იმუშავებდა, მაგრამ ყველა ოცნებები ერთბაშად ჩაეფუშა. მენშევიკების საგანგე-

ბო რაზმის აგენტებმა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციაში ფაქტობრივ მუშაობა შეუტყვეს და ციხეში ჩააღობდნენ, ჭიათურაში, ცოლოურს, რომ არ გახიზნულიყო, და ასე, — ჩარჩა და ჩარჩა იგი მას შემდეგ ამ ნაშთადღო ქალაქში, რომელსაც მენშევიკები, უცხოელი კაპიტალისტები და სწავლანტები დაპატრონებოდნენ.

ასლან დემურისას გული უკვდებოდა, როცა ხედავდა, თუ როგორ იშლებოდა, იქსაჭებოდა მათი გამზრწნელი ზეგავლენით დიდი სტალინის მიერ ჯერ კიდევ ცხრაასხუთში მტკიცედ დარაზმული ჭიათურის სახელოვანი გმირული პროლეტარიატი, როგორ გაპქონდათ ოჯახიდან ყველაფერი გასასყიდით, როგორ დაძრწოდნენ სოფელ-სოფელ მშვიერ-მწყურვალი მუშები ერთი ბათიანი სიმინდის ფქვილისათვის, როგორ ტოვებდნენ იმედდაკრეფილნი ქარხნებს და კვლავ გლვებდებოდნენ. მაგრამ ძველი, ნაცადი მუშები იმედს მაინც არ კარგავდნენ და ახალი გადაწყვეტი ბრძოლებისათვის მაინც ემზადებოდნენ.

დემურისას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მენშევიკებმა ცეცხლს მისცეს მთელი ოსეთის აჯანყებული მოსახლეობა. ჭეა ჭეაზე არ დასტოვეს და გამარჯვებულის ყიფინით, გალაღებული სიმღერებით ჩამოატარეს ჭიათურაში პერეველ, წონელ და რაროელ გლეხთა დატაცებული ავლადიდება. მოპყავდათ ნაძარცვი რქამალაი ოსური ხარები და თხები, მოპქონდათ ჭეაბები, საბნები, ტანისამოსი, ერთს, სხვა რომ ვერა ეშოვა რა, კარაქის საღლეებელი წამოვლო, მაგრამ მისი თრევით ბოლოს თავი გაბეზრებოდა და მოთმინებიდან გამოსულმა ყვირილის აქაფებულ მორევში გინებით გადაავლო.

ასლან თავისას არ იშლიდა, — უქირდა, სიმშვილობდა, მაგრამ ქარხნიდან ფეხს მაინც არ იცვლიდა, აქაც ისევ, როგორც თბილისში, მესაყვირედ იყო, მაგრამ იმ თავისი საყვირის დარდი მაინც ვერ მოენელებინა. მისი მოგონება გულს პირველი სიყვარულის სანატრელ ჟრუანტელით უთრთოლებდა.

ვინ იცის ვინ ავუგუნებდა ახლა მის „ბულბულს“, ვინ აფხიზლებდა თბილისის ძილის ბურანისაგან?

## 2.

დემურისამ გაზეთი ბრაზით მოიქნია.

მენშევიკების წუთები დათვლილი იყო და, რადენადაც გამარჯვების იმედს კარგავდნენ, იმდენად გესლს მეტი სიმწარით ანთხევდნენ.

შავი ქვის მრეწველთა მდიდრულ კოტეჯებს უკან მუშათა თვალწირბლიანი საცოდავი ფიცრული ქონხაბები თოვლ ქვეშ საცოდავად გასუდრულოყვნენ.

ქვეყანა ცეცხლის აღში იყო გახვეული, მაგრამ უცხოელები დროს მაინც არ კარგავდნენ; პირიქით, ჩქარობდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი მადნეულის გატანა მოესწროთ.

ქარხნები, შალაროები ვაცხოველებულად მუშაობდნენ, მაგრამ მუშები ესტოკადებსა და ბრემსბურგებს აზიანებდნენ, ვაგონების ტვირთვას აბრკოლებდნენ და მით ხალხის ავლადიდების საზღვარგარეთ გატაცება-განიავებას, რამდენადაც შეეძლოთ, აფერხებდნენ.

თბილისში, გორში, ხაშურში უკვე ბოლშევიკები ისხდნენ.

ასლანმა მანომეტრს დახედა, — ისარი წითელ ხაზთან თამაშობდა.

კარი გამოალო და ჰაერის წევით შეტაცებულ მენშევიკურ განუთს ალი ერთბაშად ავარდა, ლევა ფერფლი ღუმელმა სიღრმეში შეიწოდა.

ზღაპრულ ფრინველივით წითლად გაფოფრილი ცეცხლი ნატილად ღუმელზე და გარედან შეტაცებული ნიავის მძლავრი მდინარება თუჯის შეღებულ კარს თრთოლვით ატოკებდა.

მარგანეცის სარეცხი ცხაების, ცხრილებისა და საცერთა თანაზომიერი რახუნის ისევ გაისმოდა, რომ ამ დროს ზემო სარკმლიდან ვილაცამ გაგიჟებამდე გახარებული ხმით ჩამოსძახა:

— გამარჯვება ჩვენია, ასლა-ან, საყვირი აუშვი-ი!

მაშინვე იცნო ვინც იყო. ბედნიერებისაგან ხელები აუკანკალდა და ერთხანს ვერ გაისაზრა რა უნდა ექნა, მაგრამ გონს მაშინვე მოვიდა და ძრავი ხელდახელ გამოთიშა.

ცხავეები შედგნენ, — ღუმილი ჩამოვარდა და ამ ღუმელში საყვირიც აგუგუნდა.

ეს საგანგაშო ხმა გამოძახილის გამოძახილებად წავიდა მთის ორწოხებში და სამანქანო განყოფილების ცუდად ჩასმული, ერთი მეორეზე დაკერებული გაუფოზავი მინები უსიამოვნოდ აეღრიალდნენ.

გათოშილი თებერვლის ჰაერიც რეკდა აეღრიალებულ მინასავით.

მშრალი ორთქლი თებერვლის ყველის ფერ ნისლიან ცაში თეთრად იქულებოდა.

თოვლის წვრილი ხოშკაკალი ჰაერში უხვავოდ ბოყირებდა და მარგანეცის მტვერით შავად შეჭირბულულ მიწაზე მერხრად ცვივოდა.

ასლანმა ყური მიუგდო, — მის გუგუნს სხვა ქარხანათა ხმანიც ეწყობოდნენ.

ეს — შუჭრუთი იყო, ის — ბეინევი, ის — პერევისა, ის კიდევ მღვიმევი...

უცებ ყველა ერთად დადუმდა.

ქარხნები დადგნენ.

მარგანეცის ნარეცხით გაღურთხული ყვირილა თანდათან გაბაცდა, დაიწმინდა და, საცაა, ქალაქში სუფთა, ანკარა ზვირთებს ჩაატარებდა.

ქიათურიდან ორკესტრების საზეიმო გრიალი და ვაშას ძახილი ყრულ მოისმოდა.

გარეთ გაიჭრა, — გორაკებზე, აი იქ, იქ და, ვინ იცის, სად არა, დროშები წითლად ფრიალებდნენ და გრძელ მწკრივებად დაწყობილი მემალაროენი რევოლუციური სიმღერებით დაბლა, ქალაქისაკენ, ეშვებოდნენ.

დროშა მის ქარხანასაც გამოეტანა, ის დროშა, რომელიც ცხრაასხუთში დიდ სტალინის ხელში ეჭირა, რომელზედაც ცხრა ნაძალადეველმა ძმამ ფიცი დასდო, რომელსაც დემურია აქამდე წმინდათა წმინდასავით ინახავდა და ბოლოს თავისი ქარხნის არალეგალურ ორგანიზაციას ჩააბარა.

ახლა, თხუთმეტი წლის შემდეგ, სისხლში ნაბანი, პლასტუნების ტყვიით დაცხრილული, ლაღად ნაფრიალვეი და დროთა ვითარებით დაძენილ-გამოხუნებული კვლავ ლაღად ფრიალებდა.

ვინ მოსთელის რამდენ წითელ რაზმელს დაუდგია ფიცი მის წინაშე, რამდენი სასიკვდილოდ დაკოდილი ვაჟაკი გამოსთხოვებია მას საუკუნოდ და მისი მალლა ფრიალი, მისი ეში სამარეში ოცნებად თან ჩაჰყოლია.

ასლან უცქეროდა, ტკებოდა მისი მომხიბვლელობით და თვალები ბედნიერების ცრემლებით აევსო.

— შეხებთ ბიჭებო... ისევ ფრიალებს! ისევ ფრიალებს! ამხანაგებო, ძმებო, მეგობრებო, საყვარლებო — და სიხარულისაგან ბავშვებით აზღოტუნდა. ყველას ეხვეოდა, ზოგს კოცნიდა, ზოგს ხელს ართმევდა, ზოგს უკავრდებოდა, რისთვის თვითონაც არ იცოდა. მერე ისევ იცინოდა, ისევ ტარბოდა... მუშებიც იცინოდნენ, ყველას ნეტარების იერი დაჰნათიდა სახეზე. იქვე ახალგაზრდებს თავი ერთად მოეყარათ და ჯერ შეუწყობელი ხმებით ახლად შესწავლილ დიად „ინტერნაციონალს“ აგუგუნებდნენ. ასლანი მათთან მიიჭრა, შუაში ჩადგა და თან ხელს თანაზომიერად იჭნევედა და თან ხრინწიანი ხმით მღეროდა, მღეროდა გატაცებით, მღეროდა აღფრთოვანებით.

ყველა ქალაქისაკენ, ზემისაკენ ეშურებოდა. დემურია აქეთ ეცა, იქით ეცა, — ქარხანაში დარჩენა არავის არ უნდოდა, არა და ეს ჭონება ახლა ხომ მართლა მათი იყო, მუშების იყო და პატრონობა უნდოდა.

როცა არავენ ისურვა, რას იზამდა, ხალხის დოვლათს ღვთის ანაბარა ხომ არ დატოვებდა?

ადგა და ყარაულად დარჩა.

სერზე ვადამდგარი გულდაწვევტილად გასცქეროდა, როგორ ეშვებოდნენ მისი ამხანაგები დაბლა ქალაქისაკენ.

## თავი მხორა

### 1.

ასლანს მტკიცედ ჭონდა გადაწყვეტილი, რომ გვარის ადათისათვის არ უღალატნა და თავისი ქერივობაში ამოზრდილი ერთადერთი სიყმის შვილი მაინც იქ გაეგზავნა სამუშაოდ, სადაც თავის სიბერის დღეთა დაღვეას ვერ მოესწრო. მერე რა უყოთ, რომ გოგო იყო. მერე რა, რომ გული სხვაგან მიუწევდა! ჯერ ბავშვი იყო, — დაქალდებოდა, ჭკუაში ჩავარდებოდა და მიხედებოდა, რომ ასე სჯობდა.

დარიკომ ჯერ მაშინ ვერ გაუტეხა ხათრი საყვარელ მამას, როცა უნივერსიტეტის მაგიერ, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ინდუსტრიულურ ინსტიტუტში შევიდა და ლიტერატურასა და სასცენო ხელოვნების მაგიერ მექანიკის შესწავლა დაიწყო. ახლა საკუთარმა მშობელმა ესეც არ აკმარა, მისი გატაცება არად ჩააგდო და იმდენი ჭნა, რომ მისგან იძულებით დატოვებულ ქარხანაში მუშაობა დააწყებინა. დარიკომ იცოდა, რომ მისი ჯიუტობა მეტად დიდი, სამუდამო სამღერავით დასრულდებოდა და აქაც მის ნებას დაჰყვა. სხვაგან მუშაობას ისევ რკინიგზის მთავარ საბელოსნოებში შესვლა ამჯობინა. რადგან საწარმოო პრაქტიკა იმთავითვე იქ ჰქონდა ვაგლილი. ამას გარდა მისი მამის დოსტი და თავისი მეგობრის, ზვარა თაბაგარის, მამა, ძია ესტატე, იქ ქარხნომად იყო და მთელი სტუდენტური წლების განმავლობაში და შემდეგაც იმათსა ცხოვრობდა.

ესტატე თაბაგარს, ქალს ვარდა, ორი ვაჟი კიდევ აჰყავდა, მავრამ რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელი. ერთი პოლარული მფრინავი იყო და სადაც შორეულ ჩრდილოეთში ცხოვრობდა, ხოლო მეორე ლენინგრადში ტინის ინსტიტუტში ასპირანტად მუშაობდა და, იმათ რომ ვერა ხედავდა, მთელი სიყვარული ახლა ამ გოგოებზე გადმოიტანა,

ესტატე დარიკოს საკუთარ შეილსავით პატრონობდა, უფლიდა და ბოლოს ისე შეითვისა, რომ უმისოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

დარიკოსა და ზვარამზეს ერთ ოთახში ეძინათ, მეგობრებიც — ხართო ჰყავდათ და არცერთი პრემიერა, არცერთი მნიშვნელოვანი კონცერტი ისე არ ჩაივლიდა, რომ ისინი არ დასწრებოდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად მათ მაინც პეტრე ლარაძის თეატრში უყვარდათ სიარული.

შინ მოსულნი, სანახაობით ვაოგნებულნი გამზადებულ ჩაის უმადოთ სვამდნენ.

ტანთ დასაწოლად რომ იხდიდნენ, ურთიერთს შთაბეჭდილებას უზიარებდნენ; სინათლეს რომ ჩააქრობდნენ, ბალიშში თავჩარგული დარიკო ტიროდა უზმოდ, ტიროდა, რომ მისი მისწრაფებანი ასე უდროვოდ დაახრეს და მით წარმტაცი, დიდი შემოქმედების გზა დასაწყისშივე გადაუკეტეს. იმის მაგიერ, რომ ის ძუ მედღეს ან პატივმოყვარე ლედი მაკაბეტს ანსახიერებდეს, ქარხანაში მუშაობს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ჯანსაღი ორთქლმავალი გაუშვას საბჭოეთის გზებზე.

ზვარას არ ეძინა.

ამ ღამითაც ასე იყო.

დარიკოს დაოკებული ტირილი ყრუდ მოესმა. მაშინვე მიხვდა, თუ რა უღუღლებდა გულს მის მეგობარს და სიბრაღელისაგან გული იმასაც ამოუჯდა.

— დარიკო! — გასძახა წყნარად, მორიდებულად.

დარიკომ ხმა არ გასცა. ცრემლით აღუღებელი გული უცებ დაიმორჩილა და თავი მაშინვე მოიმძინარა, მაგრამ ზვარა რას მოტყუებდებოდა! კარგად იცოდა მისი ოინები, იცოდა თუ არა ამპარტავანი იყო და მედიდური. მაინც არ მოეშვა, კვლავ ფრთხილად, მორიდებულად გასძახა:

— დარიკო!

ხმა ისევ რომ არ გასცეს, ნელა წამოდგა, მის საწოლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა და საბნის ქვეშ ფრთხილად, კატასავით ალერსიანი ღუღუნით შეუწეა.

— ფეხები იქით გასწი ფეხები! უუ, როგორ სალეს ქვასავით ვაგყინვია! — შეიშმუნა დარიკო, თან იქით მიიწია, მეგობარს ადგილი დაუთმო და თავი ისევ მოიმძინარა.

ზვარამ ყურადღება არ მიაქცია მის სიტყვებს და თავ ქვეშ მკლავი ალერსით შეუცურა.

— როგორ არა გრცხენია, გოგო! — შეუტია დაყვავებით. ხან ტუქსავდა, ხან ეხვეოდა და ხან ისიც გულამომჯდარი, თვალცრემლიანი თვალეებს სათუთად უკოცნიდა.

დარიკოც მეგობრის თანაგრძნობით თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, გული ისე უჩუყდებოდა, რომ მადლიერებით ავსებული თვითონაც ეხვეოდა, კოცნიდა.

— სულელო! — განაგრძობდა ისევ ისე ალერსიანად ზვარა. — განა ჩვენ ქვეყანაში არის ისეთი საქმე, რომ არ ვაგიტაცოს, შთაგონებით არ აკეთო? — ანუგეშებდა ამხანაგს და თან თვითონვე გრძნობდა, რომ მისი სიტყვები ზედმეტი იყო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა და ისევ ისე განაგრძობდა: — განა ქარხანაში მუშაობა იგივე შემოქმედება არ არის? რაა იმაზე მომზიბლავი, როცა შენი ორთქლმავლები გუგუნით, ხალი-

სიანი კივილით სერავენ საბჭოეთის უსაზღვრო სივრცეებს, როცა შენ/თვითონ გულივით ფანქვალე და არტერიებივით დაქსელილ გზებზე გრილით დაპჭიან შენი მატარებლები, ქვეყანას სიცოცხლით ავსებ?

შუალამემდე ტიტინებდნენ ისინი, ტიტინებდნენ მანამ, სანამ ძილგამფრთხალი ესტატე უკმაყოფილოდ არ გამოსძახებდა მეორე ოთახიდან:

— დაიძინეთ, თქვე გომბიოებო, რა გაქეთ ამ შუალამით ამდენი სატიტინო? გოგოები იტრუნებოდნენ და გაყურებულებს ახალგაზრდული ტკბილი რული შეუმჩნეველად ეპარებოდათ.

## 2.

ხვარა თაბაგარი განსაკუთრებული სილამაზით არსად არ გამოირჩეოდა, მაგრამ არცერთი ამხანაგი, მათ შორის თვით მასზე უმცროსი და ულამაზესი დარიკო დემურიაც, იმდენი ეშხითა და მომხიბლაობით არ იყო დაჯილდოებული.

ოდნავ ტანშორჩილი და კოხტა მუდამ უბრალოდ, სადად იმოსებოდა და, რაც არ უნდა ჩაეცვა, ყველაფერი უხდებოდა, მის ტანზე ყველაფერი შროიანად გამოიყურებოდა.

შავი, ჭავლიანი თმები მუდამ მოუსვენრად ეშლებოდა, მუდამ ხელდახელ ისწორებდა, ისევ ეშლებოდა და ისევ ისწორებდა. მამასავით შავსა და ქუტა თვალეში მუგუზლები წამითწამს ენთებოდნენ. მწველი, გონიერი თვალეები კვიმატიანად უციონდნენ, ხოლო საქმეში დინჯი იყო და აუჩქარებელი, საჭიროების დროს ავი და შემმართებელი. როცა იცინოდა, იცინოდა ისე თავდავიწყებულად, თითქოს იცოდა, რომ მთელი მისი ქალობა და ჯადო ამ სიცილში იყო, იცინოდა ისეთ გულახდილობით, რომ ყველგან ხალისსა და სიხარულს იწვევდა.

უბაროდა, — ლამაზი იყო, ფიქრობდა, — ლამაზი იყო, აეობდა, — ლამაზი იყო და, რომ დააკვირდებოდი, არაფერი ლამაზი არ ჰქონდა.

მის ყოველ მოქმედებაში იმდენი გულითალობა, თანაგრძნობა, სინაზე და ქალოვნობა გამოჰკრთოდა, რომ არ შეიძლებოდა მნახველი მისი ეშხით ერთის შეხედვითვე არ მოხიბლულიყო. იმიტომაც უყვარდათ იგი ყველგან, — კომკავშირში, რაიკომში, სასწავლებელში, უნივერსიტეტში და ისევ სასწავლებელში, სადაც ის ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

ყველას მეგობარი ის იყო, ყველას გულის მესაიდუმლე, მაგრამ ერთი ვინმე მაინც ყველას ერჩია და, ვინც ეს იცოდა, ენანებოდა მისი ქალობა, სწუხდნენ, რომ მის უზადო გულს ჯერ კიდევ ბავშვობითგანვე ერთი თავზე ხელაღებული ახალგაზნა, მთელ ნაძალადევი ცნობილი „დოსკუმ სვოი“ ბიჭი, დათა კახაბერი, დაბატრონებოდა.

კახაბერს მამა ბავშვობაშივე ჰქვამდა დაღუპვოდა, დედა მთელი დღე თამბაქოს ქარხანაში იყო და უპატრონოდ მტრუვებული ბავშვი მთელი დღეები მტრედებს დასდევდა, კოჭაობდა, ფეხბურთს თამაშობდა და სკოლაში სანახევროდ არ დადიოდა.

პიონერთა ორგანიზაციამ მის „მოსარჯულებლად“ ხვარა აირჩია და ისიც, მისი ყურადღება როგორმე რომ დაემსახურებინა, მასთან ერთად თამაშობდა, მტრედებს დასდევდა და შუა თამაშში უცებ დადლილობას თვალთმაქცურად მოიგონებდა.

— დავიქანცე. მოდი ეხლა გაკვეთილებს გადავხედოთ, ჰა? — ეტყოდა განზრახ ავღებულად, შეუშინებლად, ვითომდა შემთხვევით დასაიდანლად წიგნსაც გააჩენდა.

გაკვეთილებს მერე სხვა საკითხავიც მოჰყვებოდა და გატრუნული ბიჭი უსმენდა, თანდათან ერთობოდა. ბოლოს ისე შეეჩვია, რომ წიგნის კითხვა ავადმყოფობად გადაექცა, მალულად თვითონაც კითხულობდა, მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც პოეზია იტაცებდა. იმდენი ქნა ხვარამ, იმდენს ეცადა, რომ მალე მან სასწავლებელშიც წესიერად იწყო სიარული და ჰუმანიტარულ საგნებში მუდამ პირველ მოწაფედ მიდიოდა. ხვარასვე დაეინებით ის სასკოლო გაზეთის რედაქციის კოლეგიაშიც შეიყვანეს და იქ თავის ლექსებს ათავსებდა.

კურსის დასრულების შემდეგ არაფრით უმაღლეს სასწავლებელში შესვლა არ ისურვა. მაშინვე შოფერთა მოსამზადებელ კურსებზე შევიდა, მაგრამ ხვარა თავს მაინც არ ანებებდა, თვალყურს ადევნებდა, ზრუნავდა, რომ ხელიდან კვლავ არ წასულიყო და ამდენ ზრუნვაში, ლოლიავში ისე შეეჩვია, ისე შეეთვისა, რომ უმისოდ ყოფნა არ შეეძლო. უშლიდა, ეხვეწებოდა, მაგრამ ანგალ ბიჭებთან ურთიერთობა მაინც ვერ მოაშლევინა. მართალია, მთელი დღეები წიგნს კითხულობდა, მაგრამ არც თავის დოსტებს ანებებდა თავს, ხანდახან მაინც გაუტყვედა, იმათთან ერთად ლეინოს შეექცეოდა.

მის მარტივად სახეს დიდრონი ცისფერი თვალები ძალზე უხდებოდა, ხოლო მოზრდილი მარწუხებივით ღონიერი ყბა და ფეხბურთელთა ყაიდაზე შეკრეჭილი თმა მის გარეგნობას კიდევ მეტ ლაზათსა და ეშს ანიჭებდა.

ყველაფრის თავი ის იყო, — ჩხუბისა, სმისა და ის რომ „კახურ მრავალთამიერს“ ვაჟაკურად შემოსძახებდა, რა სჯობდა იმის მოსმენას.

განიერი მხარბეჭი კოვბოურ ხალათში მძლავრად ენაკეთებოდა და, ვაი იმის შავ დღეს, ვისაც ის თავის ტორს გასართყმელად შოუქნევდა, მაგრამ ერთი სევდა ჰქონდა, სევდა გულის მღრღნელი. ქლექიანი მამის შვილი იყო და ამ სენის შიში თავზარსა სცემდა, რადგან, მიუხედავად მისი წარმოსადეგი აღნაგობისა, ფილტვები სუსტი ჰქონდა და ლეინოსაც იმისი ჯავრით ეტანებოდა.

ამ სევდას, ამ შიშს ის არავის უმხელდა. მხოლოდ ხვარამ იცოდა მისი ეს გულის დარდი და იმასაც ებრალებოდა, მეტი მზრუნველობით ეპყრობოდა.

დათას ეს ბოლმა წუთით არ ასვენებდა, ღრღნიდა და სულს უწუხებდა. ლეინოს ასხამდა და ვერ ახრჩობდა, მღეროდა და მაინც არ ყუჩდებოდა. ისევ რომ ღრღნიდა, ისევ რომ აწამებდა, გაბრაზებული ლეწდა ყველაფერს, ფშენიდა გაკიცებული და შემზარავი ხმით გაჰყვიროდა:

— თქვენ ცოცხლობთ... კიდევ იცოცხლებთ... ჯაზი, ფოქსტოტი, რუმბა-ამბა-ამბა, და... ერთბაშად დაცხრებოდა, თავს ხელებში უსასოოდ ჩარგავდა, არავისი ნახვა არ უნდოდა.

სხვა რომ ვერა იღონა რა, ადგა და ხვარამ ისევ რკინიგზის მთავარ სახელოსნოების მანქანაზე შოფერად მოაწყო, რადგან იქ უფრო იმედიანად იქნებოდა, — იქ მამა იყო, დარაკო იყო, მუშები იყვნენ.

ვინ იცის რამდენჯერ გაუშვრია დათას მისთვის სისხლი კომკავშირის კრებებზედ. ხან მთერალი მოვიდოდა, ხან ნამთერალევი, რებლიკებით არ ასვენებდა და თითქოს მის წვალემაში რალაც სიამოვნებას განიცდიდა.

ზეარაც უთმენდა, უთმენდა იმდენს, რამდენსაც არაეის არ მოუთმენდა. ბოლოს ამ მოთმინებით მაინც აჯობა და საქმე ისე დააყენა, რომ დათა ყველაზე მეტად იმას ერიდებოდა, ანგარიშს უწევდა და იმისგან, რამდენიმე პარტიის ისტორიის სწავლა დაიწყო, წიგნების კითხვისა და ლექსების წაკითხვასაც უმატა და ეს ნაწერები რედაქციებში ზეარას მიჰქონდა, ის პატრონობდა. მალე დათა კახაბერის პოეზია ისე დაეაყვაცა, ისე დამწიფდა, რომ საერთო ყურადღება მიიქცია. მისი ლექსები მუდამ დამოუკიდებელი იყვნენ, გაბედულნი, ხანძრებივით აბრიალებულნი, ლაღნი და იმდენად მთლიანნი, მკიდროდ შეკრულნი, რომ მათ ერთი სტრიქონის გამოტოვებაც დააკოვლებდა. რამდენად ღარიბი იქნებოდნენ ისინი მოტივებით, რამდენად უსუსურნი, ზეარა რომ არ გასჩენოდა. ეს — ზეარა ანიჭებდა იმის შთავონებას, რომ მისი ქნარი ასე წარმეტაცად აელერებულიყო, ზეარას ზეგაელენით ჩაჰკლა მან თავის არსებობაში ის მღრღნელი სევდა, სიცოცხლეს რომ უშწარებდა, ზეარას სიყვარულით მოვლია ქლექის იმ აუტანელ შიშს, სულ თან რომ დასდევდა, და ახლა სრული, მაღალი ხმით უმღეროდა ახალ ბედნიერ ცხოვრებას, უმღეროდა ისეთი გატაცებით, რომ რამდენიმე მათგანი სხვა ენებზედაც ითარგმნა.

ზეარამ იცოდა, რომ მის სიყვარულს არავინ მის ნაცნობთაგან არ თანაუგრძნობდა, მაგრამ მას აინუნშიაც არ ჩაუვლია მათი აზრი და უნივერსიტეტის დასრულებისთანავე ცოლად გაჰყვა.

ყველა იმას ამბობდა და მართალიც იყო, რომ დათა კახაბერი ზეარამ გამოიყვანა კაცობაში. დათა მთელი დღეები შინ იჯდა, თავაუღებლევ მუშაობდა, კითხულობდა, მეცადინეობდა. რაც უნივერსიტეტში უსწავლევობით დააკლდა, ახლა ისრულებდა და, რამდენად მეტს სწავლობდა და ითვისებდა, იმდენად უფრო ათრობდა ზეარას სიყვარული, უნდოდა, რომ სულ ასე ბედნიერნი, ლაღნი და თავისუფალნი ყოფილიყვნენ. უნდოდა, რომ მათი სიყვარული მუდამ ისევე ისე მწველი ყოფილიყო, როგორც ჩასახვის პირველ დღეებში, მაგრამ ქალის გრძნობათა სამყოფელში დედობრივობას ხომ ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, მის სიყვარულში ქმრისადმი განა ხშირად არ გამოჰკრთის ეს გრძნობა დედობისა? ზეარაც ქალი იყო და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა თავი ფეხმძიმედ იგრძნო, მით უფრო, რომ „ის“ მისი თავდავიწყებული, უანგარო სიყვარულის ნაყოფი იყო. როგორი მზრუნველობით, როგორი სისათუთით ემზადებოდა იმ დიადი დღისათვის, როცა იგი დედა შეიქმნებოდა. როგორი სიყვარულით ამზადებდა სახვევებს, თბილ პრანგებსა და ლეიბს, მაგრამ ერთი რამ მაინც აწუხებდა, — არ იცოდა საბანი ვარდისფერი შეეკერა თუ ცისფერი, რადგან არ იცოდა გოგოს დედა იქნებოდა თუ ვაჟისა.

დათას არ სიამოვნებდა მისი ეს გატაცება, რადგან „ის“ მის სიყვარულში იჭრებოდა და რალაც ნაწილში ამ გრძნობებისა ეღავებოდა. უნდოდა, რომ „ის“ არ ყოფილიყო, მოესპო როგორმე, მაგრამ ამორტის გამო სიტყვის ჩამოვდებასაც ვერა ბედავდა.

ზეარა გრძნობდა, მიხვდა, თუ რა ეჭვებიც უღრღნიდა გულს დათას და ცდილობდა კიდევ მეტად ჰყვარებოდა იგი, კიდევ მეტი თავდავიწყებით დასწაფებოდა მის სიყვარულს.

დათაც უსაზღვროდ ბედნიერი აღერსით აჯავრებდა, რომ ის უშნოა და შეატუხა. ზეარა მიზეზიანობდა, კიოდა სიყვარულით სულშეტაცებული, ფე-

ზებს გაბუტულის სიჯიუტით იატაკზე ეინიანად აბაკუნებდა და რხედს და-  
ბურცული მწველი ტუჩები სამდურავით კიდევ უფრო ებუტუტებოდა.

— სტყუი, სტყუი, სტყუი! — კაპასობდა გაკორიანჩვეფხუფხუფს მერე  
კილოს უცებ იცვლიდა, ენის ბავშვურად მოქცევით ბავშვურადვე ეხვე-  
წებოდა:

— ხომ სტყუი, დათა? მითხარ, რომ სტყუი, რაა. — და, როცა იმდენს  
იზამდა, იმდენს ეცდებოდა, რომ თავისას მაინც გაიტანდა, მის ბედნიერებას  
საზღვარი არა ჰქონდა, სიცილით, კისკისით თმებს თავის ჯიუტი გაქნევით  
უკან ვადაიყრიდა და გაქანებული ღონიერ კისერზე ბალღივით წამოგვი-  
დებოდა.

იცი თუ არა შენ, ჩემო საყვარელო,  
იცი თუ არა, როგორ ირბევა ტბის ლერწამი, —  
იცი შენ ჩემი ტანის მიმოტანა?

ამბობდა დათა ძველი ჩერქეზული სიმღერის სიტყვებს, და, რომ გაჩუმ-  
დებოდა, სმენად ქცეული ცოლი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსი თითქმის  
ზეპირად იცოდა, მაინც მოუთმენლად ეკითხებოდა:

— მერე, დათა, მერე? — ისიც ღიმილით განაგრძობდა:

— ვიცი, საყვარელო, ვიცი როგორ ირბევა ლერწამი,  
მაგრამ ვწიწიბ, — ვაი თუ თხამ შესჭამოს იგი.

ხვარა შუბლს თვალითაქცურად ჯეშტად შეიკრავდა და ახლა ის ეკით-  
ხებოდა ქმარს:

— იცი თუ არა შენ, ჩემო საყვარელო,  
იცი როგორია არწივის კვერცხები, —  
იცი შენ ჩემი ძღველები?  
— ვიცი, საყვარელო, ვიცი არწივის კვერცხები,  
მაგრამ ვწიწიბ, — ვაი თუ ზარნაწიბ შესჭამოს ისინი. —

უპასუხებდა დათა და ხვარა ყოველ ტაეპზე ჯავრობდა, ხელეზე სცემ-  
და, ნებას არ აძლევდა ლექსი განეგრძო, მაგრამ ის მაინც ამბობდა, თან ცო-  
ლის შემოტევის სიცილით იგერიებდა. როცა მას არც ჯიუტობა, არც უარი  
არ გასდიოდა, მაშინ ტუჩით ტუჩს ეკვროდა და ხმას ისე აკმენდინებდა.

— ახლა? — ნიშნის მოგებით ეკითხებოდა ალერსით მთვრალი ხვარა. —  
კიდევ იტყვი? კიდევ იტყვი?

დათა გულში სიცილით იკრავდა ცოლს. ხორბლისფერ სახეს, შავ თვა-  
ლებს გატაცებით უკოცნიდა და მართლა ჩუმდებოდა.

— კიდევ სთქვი, დათა. მერე? მერე? — ახლა ის არ ეშვებოდა.

— აკი არ გინდოდა?

— იპ, რა სულელი ხარ... განა იმიტომ...

დათა ჯიუტობდა, ცივ უარზე იდგა, მაგრამ ხვარას თავისი მაინც გაჰქო-  
ნდა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

#### 4.

ასე ცხოვრობდნენ ისინი რამდენიმე თვე ბედნიერნი, უყვარდათ და  
მაინც ვერ ძღებოდნენ ერთთრთის სიყვარულით.

ხვარა ისე იყო აღსაყვარებელი ბედნიერებით, რომ ვისაც ეს გრძნობა არ გამოე-  
ცადა, სრულ ადამიანად არ მიაჩნდა, მაგრამ, აი, ერთ დღეს, დათამ თავი

უქეიფოდ იგრძნო, გრიპით ავით ვაზდა და მთელი სიცოცხლის შინა ურთბა-  
შად გაუმართლდა. ავადმყოფობა გაუართულდა და სრულიად მოულოდნელად  
ქლექის პროცესი გაეხსნა.

ხეარამ დარღით კინალამ ჭკუა დაკარგა.

მთელი დღეები ავადმყოფს სასთუნალთან უჯდა, უვლიდა, პატრონობდა,  
ღამეებს უთევდა.

მუდამ სიკვდილი ელანდებოდა.

წუთით წათვლემილს ჭირის ოფლში ეღვიებოდა და შიშით გულგახე-  
თქილი ავადმყოფობით გაწამებულ ქმარს გულში ეკვროდა. კოცნიდა და  
ეფერებოდა ისე, თითქოს ის ამ წუთში ეღუპებოდა. სხეულით ზედ ეფარე-  
ბოდა, მის თავს გულში იხუტებდა, უბეში მალავდა, ეალურსებოდა და საცოდა-  
ვი ხმით გულის გამგმირავად სჩიოდა:

— ჩემი ქმარი... ჩემი ქმარი... ავით არის და ცოდვია... ცოდვია....

ღამწუხარებული მამა და დარიკო ამშვიდებდნენ გონებადაკარგულ  
ხეარას. უჯავრდებოდნენ, არწმუნებდნენ, რომ ასე არ შეიძლება, რომ ავად-  
მყოფზე ეს უფრო ცუდათ იმოქმედებდა და, როცა მაინც არაფერი არ სჭრი-  
და, მეორე ოთახში ძალისძლად გააყავდათ.

ალარ ისმოდა ხეარას უღარდელი წყრილა კისკისი, სამუდამოდ ჩაპ-  
ჭრა მისი სიცოცხლის მიმნიჭებელი სიცილი, სულ დაღვრემით იყო. სულ სა-  
გონებელში იყო ჩავარდნილი და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ დათა აბას-  
თუმანში საჩქაროდ გაგზავნეს. ხეარასაც თან უნდოდა რომ გაპყოლოდა,  
მაგრამ თვეში იდგა, საცაა მოლოგინდებოდა და შინ ძლივსძლივობით და-  
ტრავეს.

ისიც შინ დარჩა და მთელი თავისი ყურადღება, მზრუნველობა ახლა ისევ  
მომავალ შვილზე გადაიტანა.

მთელი დღე ისევ ბავშვის პერანგებს კერავდა, სათამაშოებს ყიდულობ-  
და და წარმოდგენილ შვილს ბურთს მარტოდმარტო ეთამაშებოდა, ღორო-  
ტოტოს უკრავდა, თოჯინებს თავისი ხელით შეკერილ ჭრელა-ჭრულა შიზია  
ტანისამოსებს აცმევდა.

## თავი მესამე

### 1.

ღარაძეთა უძველეს წინაპარს, ვინმე მეუნარგის, ოდესღაც მშობლიური  
ოდიშის განიერი ცა და მიწა რატომღაც დაეტოვებინა, შორეულ სომხით-  
საბარათიანოს მიწა-წყალზე დასახლებულიყო და ეს ახალი სამკვიდრო საგა-  
ნგებო გუჯრით განემტკიცებინა: „ოდეს დიდმან ევროს აღაშენა სამეგრელოს  
სახელსა ზედა ქალაქი და უწოდა ეგრისი, რომელსაც დღეს უწოდებენ ოდი-  
შად და თქვენ, წინაპარნი ნათესაენი მათნი გადმოსახლებულხართ სამეფოთა  
ადგილთა მცირე სომხითის საბარათიანოს შინა, სადაც გაქვთ სოფლები მთასა  
და ბარში და ერთს თქვენ სოფელს ძველისა შთამომავლობისა თქვენისა სა-  
ხელი ეწოდების დიდგრისი“...

ღარაძენი დიდი პატივით სარგებლობდნენ უკანასკნელ ქართველ მეფე-  
თა კარზე, მაგრამ ძველ საქართველოს დაცემასთან ერთად დაქვეითება ამ

სახლმაც იწყო, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ეს გვაჩი ისე დაკნინდა, რომ მის შთამომებას მარტო „დილარაიანის“ დამწერის ზენბია, პეტრე ლარაძე, და სიბერეში გაუთხოვრად შესული დაი მისი ქმარმა წარმოადგენდნენ.

პეტრე ერთხანს აქციზში მსახურებდა, მაგრამ სამიკიტნოებში სიარულსა და სასმელების შემოწმებას დიდხანს ვერ გაუძლო, რადგან თავისი თვალით ხედავდა თუ რა გასაკვირში იმყოფებოდნენ თბილისის ღარიბი გარეუბნები. ყველაზე მეტად მას მაინც საწყალი ნიკალა ფიროსმანის ბედი უკლავდა გულსა. ეს მდაბიოთა მხატვარი მთელ დღეებს სამიკიტნოებში ატარებდა და თითო თლანშიისა და ჯიგრის ყაურშის კერძის ფასად გასაოცარ სურათებს ხატავდა. მისი თეთრი დათვები, ლომები, ბატკნები, ირმები და ეირაფები სპლინმოკრეულნი დაებოტებოდნენ ტრაქტირების სულისშემხუთავ ბუღსა და ოზშივარში და დამითულ კედლებიდან ღამენათენი, ვალენჩებული თვალებით ადამიანებივით მწუხარედ იცქირებოდნენ.

ლარაძე გამორჩეული ყურადღებით ეპყრობოდა მას და, როცა ერთხელ სიტყვა ხელოვნების გამო ჩამოუვლო, საწყალ კაცს ბავშვურად მიამიტი თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

— იცი რა, პეტაჯან? — დაიწყო ნიკალამ მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით. — მოდი სადმე ქალაქის შუაგულში ერთი დიდი ხის სახლი ავაშენოთ, ჰა? ვიყიდოთ ერთი დიდი სტოლი და სამოვარი. ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ, და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე.

პეტრეს გული მღელვარებით აევსო და იმისი ჯავრი იმავე დღეს თავის უფროსზე ამოიყარა. ქართული ენის უდიერად ხსენებისათვის ერთი ისეთი ალიყური გააწნა, რომ მთელი ქალაქი ამის გამო ყაყანებდა.

ზოგი უწონებდა საქციელს, ზოგი უწუნებდა, მაგრამ მას აინუნშიაც არ ჩაუტვია ეს ამბავი. სამსახურს თავი გაანება, ავკალის მუშათა აუდიტორია იჯარით აიღო და მუშა-სცენისმოყვარეთა დასი შეადგინა.

ზინობიამ მძის „კამედიაჩიკობის“ ამბავი რომ შეიტყო, ზაფრით კინალამ ქუთაზე შეიშალა.

— ეს რა შავ დღეს შევესწარ, ღმერთო! — მოსთქვამდა ღაწვების ზოკვით მამა-პაპეული პარტახის მოვლა-პატრონობას გადაყოლილი ქალი, — გავწყდით, გადავშენდით და დიდ ლარაძეთა ნაფუზარზე მათი უკანასკნელი ნაშიერი ჯამბაზის მალაყებს გადადის.

## 2.

ცხრაასხუთი წლის თვრამეტი დეკემბერი ნაძალადეგში წყნარად დაღამდა. სუსხიანი დღის შემდეგ უცებ დათბა და ღამესთან ერთად თოვლიც მოვიდა.

თოვდა ისე ხვავიანად, რომ ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. მაგისტრალის ქუჩის ბოლოში ბოძზე შემოდგმული ნავთის ლიფლიფა ისე შეთოვლილიყო, ისე საცოდავად იბუტებოდა, რომ მხოლოდ თავისთვის ანათებდა.

აღუბლის პატარა ბახჩებზე მოდგმულ მუშათა ქოხმახებს თოვლ ქვეშ ტკბილად ეძინათ.

ირგვლივ ატმის თეთრი ბუნჩულა თათები განათებულ სარკმელისაკენ თითქოს ვედრებით გამოწვდილიყვნენ და თავისივე სიმძიმით ჩამოცვინული თოვლისაგან წყნარად ირხეოდნენ.

სადაც, საწვიმარ მილში, წვეთი საათივით ზუსტად, თანაზრებრად თქაფუნობდა.

პეტრე ლარაძეს ისევ არ ეძინა, არ ეძინა, რადგან ცნობა, ექვემოთსული, — ამალამ მეფის მთავრობას მუშათა ამ უბნის დარბეჯეულობის დაწესების და წითელრაზმელები ნაძალადევეში შემოსასვლელ გზებს ფრთხილად დარაჯობდნენ.

გამთბარ ოთახის სიწყნარეში მუშაობა თანდათან გატკბა და პეტრე ჰაუბტმანის „ფიქრების“ არეებზე თავის შენიშვნებსა და მოსაზრებებს მოუთმენარი ხელით სწრაფად სწერდა.

მეორე ოთახის ღიად დარჩენილ კარებში ღამის სანათით გაშუქებული პატარა ლოგინი მოსჩანდა. ბავშვს დასცხომოდა და ვარდისფერი ბუნჩულა ფეხი ლოგინის ბადეში სასაცილოდ გახლართოდა, მაგრამ ის ისევ იყო თავის საქმით გართული, რომ არას ამჩნევდა. პიესა მეტად ვრცელი გამოდგა და მუშათა თეატრისათვის დასადგმელად ძალზე რთული. ამას გარდა, სილუზიულ მუშათა ყოფაცხოვრების სპეციფიკურ მომენტებსაც ოდნავი შენელება სჭირდებოდა.

ფანქრის გაუთლელი ბოლო ტუჩთან მიიღო. დაფიქრებული კარებს მიაჩერდა და ბავშვის შიშველ ფეხს მოჰკრა თვალი. საეარძლიდან მაშინვე წამოიჭრა და საწოლ ოთახს მიაშურა. მძინარე რომ არ გაეღვიძებინა, ლოგინს ფეხაკრფით მიუახლოვდა და ბადეში გაყრილი ფეხი ფრთხილად გაანთავისუფლა. საბანს რომ ახურავდა, თავი ველარ შეიკავა და გულაჩუყებულმა შეიღს ფეხის გულში აკოცა. ბავშვი ოდნავ შეიშმუნა და ტუჩების შესაქცევი ცმაცუნით მეორე გვერდზე გადაბრუნდა. იქვე მწოლარე დედა შმაშურზე გულგახეთქილი წამოვარდა, მაგრამ ქმარი იცნო თუ არა, ბედნიერად, გაულიმა და მაშინვე მიეძინა.

ოთახში ბავშვის რძისებური ტკბილი სუნი იდგა და ერთხანს აქ ყოფნას ვერ შეეღია.

დედა-შვილს მყუდროდ ეძინა და პეტრეს გული ბედნიერებით აევსო. უცქირა, უცქირა, მერე ტკბილი ღიმილით თავის ოთახში ისევ ფეხაკრფით გავიდა.

მაგიდაზე მიგდებულ პიესას ისევ დასწვდა, ისევ კითხვა დაიწყო, მაგრამ თავში არაფერი შედიოდა. ფიქრი ფიქრს წაემა, მოგონება მოგონებას, და, რამდენადაც წელან თავს ბედნიერად გრძნობდა, იმდენად უფრო და უფრო მძლავრი მშფოთვარება იპყრობდა.

ათასცხრაას ხუთი წლის ბობოქარმა დღეებმა ძლევაშოსილად გულუნით გადაიგრიოლეს. ფეხზე დამდგარი მშრომელი მასების დიდ მოძრაობაში თავისებური მონაწილეობა პეტრე ლარაძემაც მიიღო. მისი წარმოდგენების შემდეგ ხალხი მგზნებარე ლოზუნგების ყიეინითა და სიმღერებით იშლებოდა.

რევოლუციის განვითარების აზრმა მალე შეიარაღებული აჯანყების დაწყება მოითხოვა და გლეხთა ამბოხებით დამფრთხალმა თავად-აზნაურობამ თბილისში საჩქაროდ კრება მოიწვია, სადაც პეტრეს უსაყვედურეს, რომ ის თავისი წარმოდგენებით ხალხს თავისივე წოდების წინააღმდეგ ამხედრებს, რომ აზნაურია და აზნაურობას სამარეს უთბრის.

ლარაძემ ბრაზი დაიოცა.

— თქვენ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდეთ, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, — განაცხადა მან მღელვარედ და ყველას გასაგონად, — რომ

მე ჩემ ერს, ჩემ მშრომელ ხალხს ვეკუთვნი და მისთვის სიტყვები არა მშურს... რომ მე ჩემ ღარიბ ქართულ სცენას, ჩემ რწმენას ვემსახურები და ვერავითარი ძალით ვერ მათქმევენებთ იმას, რაც ჩემ რწმენას ვემსახურებ. თქვენ წინ ელობებით დღევანდელ მოძრაობას დასჯენდათ, არამედ ასე მოვიქცე? მაშ იცოდეთ, რომ მე თქვენი არა ვარ! ამას გეუბნებით აქ და ვიტყვი იქ, სადაც ჩემი ნამდვილი ასპარეზია... მე ვკლავ შეუპოვრად განვაგრძობ ჩემ საქმეს და თქვენ იბუღებულნი იქნებით დაესწროთ ჩემს წარმოდგენებს, უცქიროთ თქვენს მახინჯ სახეს... — მისი სიტყვები საერთო ღრიანცელმა დაჰფარა.

მას შემდეგ ერთმა კვირამ თუ განვლო და ის ღრიანცელი ახლაც ესმის. დღეს საღამოს ამბავი მოვიდა, რომ მოსკოვის აჯანყება მარცხით დასრულდა, ხოლო პეტერბურგში მეფის აგენტებისა და მენშევიკების მეოხებით მუშათა ბრძოლის პროცესში განხეთქილებამ იჩინა თავი.

გაზეთებიც დაიხურა.

ყველგან საალყო წესები გამოცხადდა და მას იმისი წარმოდგენისაც ეშინოდა, თუ რა უბედურება მოელოდა მშრომელ მასებს, რევოლუცია რომ მართლა დამარცხებულიყო, რა მოელოდა ნაძალადეგს, ის ცნობა რომ გამართლებულიყო.

— ქუჩაში გავალ... — გადასწყვიტა და წიგნი იქით გადასდო.

— მთელ დასს გავიყვან... ბარაკადებს ავმართავ... — მაგრამ აზრი იქვე გაუწყდა.

სადაც უკუნეთში, თითქოს სროლის ხმა გაისმა.

მიიყურა, — ნამდვილად სროლა იყო.

წამოვარდა, მაგრამ უეცრად ვერ მოისახრა, რა უნდა ექნა.

შუა ოთახში შედგა.

სროლა ლოტკის გორაზე შეფენილ ტყიდან მოისმოდა.

ლარაძე მაშინვე მიხვდა, რომ ეს ნაძალადეგის მცველი წითელი რაზმელები იბრძოდნენ თავისი უბნის დასაცავად.

ისროდნენ ხან მოხშორებულად, ხან შენელებით და ბოლოს ყველაფერი ისე აირია, რომ, ალბათ, ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა.

— ეს რაა, პეტა? — მოესმა მეორე ოთახიდან ცოლის შემფოთებულ ხმა.

— არაფერი, მარინე, არაფერი! დაიძინე! — მაგრამ ცოლმა არ დაიძინა და ღამის პერანგის ამარა გამოვარდა. ეტყობოდა თავისი ფოსტლებისათვის სიჩქარეში ვერ მიეგნო და შიშველი ფეხები ქმრის ფეხსაცმელებში გაეყარა.

— დაწე, მარინე, გაცივდები.

ცოლმა არც ახლა გაუგონა, გადაჯვარედინებული ხელები მხრებზე შემოიწყო და ბეჭებში მოხრილი, შიშით ფერდაკარგული იდგა, იდგა და მოხდენილ ტანზე პერანგი მკვრივად შემოჰკლდობოდა.

— ნუ თუ? ნუ თუ? — დაიკენესა პეტრემ.

— რათა, პეტა? — შეეკითხა მარინე ისე, რომ არ განძრეულა.

— გესმის მარინე, გესმის?

— მესმის. — იყო მორჩილი პასუხი.

ლარაძეს რამდენიმე თვის სამხედრო ვარჯიშობის შემდეგ ყური ისე ჰჭონდა შეჩვეული, რომ მიხვდა, — ეს მარტო ჯარის ნაწილების სროლა არ იყო.

ეს — ბერდანა გრიალებდა, ეს — რევოლვერი, ეს — შაშხანა. ავლაბრის იდუმალ სახელოსნოში დამზადებული ყუმბარები ისე გრუხუნებდნენ, თითქოს აფეთქებული ღამე მიწაზე წვებოდა. უცებ ზარბაზანიც და მას დაჟინებული, შეუწყვეტელი კაკანი მოჰყვა. მეფის ჯარში ახლად შემოღებული ტყვიამფრქვევი ღამის მყუდროებას საკერავე მანქანასავით ალიანდაგებდა და პეტრეს მუხლთ მოეკეცა.

იატაკზე დაოსებული დაჯდა.

ფეხებმორთხმულმა ხელები თავზე გადაიფარა და კენესით, ოხვრით შემზარავ გუგუნს ყურს უგდებდა.

ნაძალადევეში ისევ სიწყნარე იყო.

პეტრე მიხვდა, რომ ასეთ დროს ძილი შეუძლებელია. მიხვდა, რომ ყველას ლეიძავს, მაგრამ არავინ ღამშპას არ ანთებს.

— დარაბა მიხურე, დარაბა!

მარინემ დარაბა მკიდროდ მიხურა და სასოწარკვეთილი მის საკეტავე კოჭაკს უნიათოდ ჩამოეკიდა.

ბავშვს ისევ ეძინა. მისი რძისებური ტკბილი სუნი გულს ისევ ისე ესაღბუნებოდა.

ირველივე ისევ სიწყნარე იყო და ამ დუმილში ეს შორეული სროლა გულის მომკვლელად გაისმოდა.

ალუბლის ბაღებსა და გორაკებზე შეფენილ ტყეს ისევ ტკბილად ეძინათ, ეძინათ თოვლით თეთრად აყვავებულებს, ეძინათ უძრავად და გარინდებულ გაძარცვულ ტოტებიდან თავისივე სიმძიმით ჩამოცვივნილი ფარტენები მიწაზე წყნარად წვებოდნენ.

აი, ქუჩაში ვილაცამ ახლადდადებულ თოვლზე რბილად, უჩუმრად გაირბინა.

აი, ვილაცამ ჩაახველა და იმანაც ისევე რბილად გაირბინა.

— სინათლე ჩაქრეთ, სინათლე! — მოისმის გამაფრთხილებელი ყვირილი.

პეტრეს უნდოდა ფანჯარა გაეღო და ეყვირა, ვინ არიან, მაგრამ არ ვაალო.

ფეხმორთხმული ისევ ისე იჯდა იატაკზე და სროლას ყურს უგდებდა.

— პეტა! — მოესმა მარინეს საყვედურით აღსაფხვ ხმა და პეტრეს შერცხვა თავისი თავის, თავისი სისუსტისა. უცებ მოიაზრა, რომ ალბათ, კაზაკებმა ნაძალადევეს ალყა შემოარტყეს. უცებ მიხვდა, რომ ეს კომბას შეგარდნები იყვნენ და კაზაკებთან უსწორო ბრძოლაში გმირულად ეცემოდნენ. და განა ის, პეტრე ლარაძე, ყოველ მათგანს პირადად არ იცნობდა? განა ყოველი მათგანის სიციოცხლე მისთვის ძვირფასი არ იყო?

სროლა მიუჩნდა.

ღამის დუმილს ახლა მხოლოდ ტყვიამფრქვევის დაჟინებული, სულმოუთქმელი კაკანი საზარლად არღვევდა. აღარ ისმოდა არც ყუმბარების, არც ბერდანებისა და არც რევოლვერების გრიალი.

ფეხზე წამოიჭრა და, მარინეს კი არა, ვილაცას, სიერცეს, შეეკითხა:

— პასუხი? რატომ პასუხი არ ისმის? ნუთუ დახოცეს? — და თავისმავე ხმამ თვითონვე გამოარკვია.

დაილუპნენ?

დაეცნენ?

იქნებ, უჭირთ და მარტონი არიან? იქნებ, შველას თხოულობენ და მშველელნი არ არიან? ისინი ხომ ცოტანი არიან? წამოვარდა, პალტო/საჩქაროდ მოიხურა და კარისაკენ გაქანდა, მაგრამ გზა გადაუღლებეს.

— სად მიდიხარ? ხომ არ შეიშალე! — ატირებული ქალის ხმა ისე მძიმედ ჩამოეკიდა, რომ მღლევარებისაგან ისედაც დაოსებულს მუხლთ მოკეცა, სკამზე ჩამოვდა.

— გესმის, მარინე?

— მესმის. — სთქვა მარინემ ისევ ისე, როგორც წელან, და პეტრეს თვალები ცრემლით აევსო.

თოფის ხმა ახლა აჭა-იქ კანტი-კუნტად ისმოდა.

ბოლოს ისიც მიწყდა.

ისევ დუმილი, ისევ სიწყნარე.

ღია კარებში ბავშვის ბადიანი ლოგინი ისევ ისე სჩანდა.

— მაშ ისევ მონობა... ისევ უსამართლობა... ტანჯვა... წამება... — ამბობდა უსასოოდ.

პალტო მოიგლიჯა, იქით გადაავდო და მამაკაცურად, ულაზათოდ აზლუქუნდა.

— პეტა, პეტა, გენაცვალე! — ემუდარებოდა მარინე და თვალებს უცოცნიდა, მის სახეს ხელებით ელამუნებოდა. პეტამ ცოლს ხელი შემოაბხვია, ორთაე გაუჩნდნენ...

კარებთან ვიღაც გმინავდა.

— ვინ არის? — იკითხა პეტრემ შემკრთალი ხმით და შემოსასვლელ კარისაკენ გაქანდა.

უხვად დათოვლილ კიბეზე ვიღაც დაქრილი ეგდო და ჯერ ხელუხლებელ თოვლს სისხლით რწყავდა. პეტრეს უნდოდა აეყვანა, მაგრამ, რომ ვერ მოერია, ორივე ხელი ზურგიდან ილღებში ამოუყარა და გულშეღონებული შემასრულ-შეიარაღებული რაზმელი შინ რის ვაი-ვაგლახით შეათრია.

— კარი მიხურე! კარი მიხურე! — აუყვირდა ცოლს თავის სიცოცხლეში პირველად და დაქრილი ტახტზე, კი არ მიაწვინა, — დაუფარდა.

### 3.

შავი რეაქცია, ბნელი რეაქცია დაიწყო.

სისხლის ნაკვალევმა პოლიცია ლარაძის ბინამდე მიიყვანა და ახლა ამ უბედურებას შეორაც ზედ დაერთო. იმ საბედისწერო დეკემბრის ღამეს ცოლი გაუცივდა და მეტრე დღეს ფილტვების ანთებით გარდაეცვალა.

ზინობიამ მაშინვე თბილისს მოაშურა და უპატრონოდ დარჩენილი დედით ობოლი ძმისწული მშობლიურ დიდებრისში აღსაზრდელად გაიტაცა.

დარჩა პეტა ლარაძე გაპარტახებული.

არც ცოლი, არც შვილი, არც თეატრი და არც თავისუფლება.

სულ მუდამ მალვამა და დევნამ თავი ისე გააბეზრა, რომ ბოლოს სამშობლოს მიწა-წყალი სულ მიატოვა და რუსეთს გადაიხვეწა.

პროვინციაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ ის სამხატვრო თეატრში რეჟისორად მიიწვიეს და თავისი უტეხი ფანტაზიით, გაბედული დადგმებით დიდი ალიაქოთი და ალტაცება გამოიწვია მაშინდელ თეატრალურ საზოგადოებრივობაში. ამ წარმოდგენებით მან სულ ახალი გზები დასაბა ხელოვნებაში და მით ის პრინციპული უთანხმოება ამ თეატრთან, რომელმაც იმთავითვე

ინინა თავი, კიდევ უფრო გაიზარდა. ბოლოს იძულებული გახდა გასულიყო მას და თავისი საკუთარი თეატრი გაეჩინა.

პეტრე ლარაძის წარმოდგენები კვლავ სახალხო დრამატულიებით ხმაურობდნენ, მაგრამ მისმა მუდამ მშფოთვარე მაძიებელმა სულმა ვერც აქ პპოვა მოსვენება.

ყოველ წუთს, ყოველ დღეს თავისი ბოზოქარი სიცოცხლისა შემოქმედებით წეაში, დუღილში ატარებდა, მაგრამ არაფერი არ აკმაყოფილებდა. სამშობლოს ცისა და მიწის მოუნელებელი დარდი გულს ისე მწველად უღრღინდა, რომ ერთბაშად სტოვებდა ყველაფერს და პრენსას ან სესენწყას მიდიოდა. იქ მეთვრამეტე საუკუნის ქართველ ემიგრანტ მოღვაწეთა საფლავებს შორის მთელი საათები დაღვრებით იჯდა.

სადღაც აქ ისვენებდა ბატონიშვილების ინტრიგებით დაღლილი ძვლები მისი წინაპარი ტახტის დიდი პეტრე ლარაძისა და მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ როგორი ტანჯვით, სისხლის ცრემლებით სწერდა მშობლიურ მიწას ახლებელი ვახუშტი ბატონიშვილი თავის „ლეონრაფიულს აღწერას საქართველოსა“. როგორ ელოლიავებოდა იგი საქართველოს ყოველ მთას, მდინარეს, მინდორ-ველსა და კლდე-ღრეს. ეს, წიგნი კი არა, ტირილი იყო, გოდება დაკარგული სამშობლოს გავერანებულ მიწა-წყალს მონატრებული გულისა.

რას ვაკეთებ პრენსაში?

... ჰნაბათ მას დროს სააკაძეს, რომ იძახდეს უბე-უბეს...

აღარ ახლდეს ვსე-სეიატკას, ელარც სჰამდეს მის წინ სუბეს.

და მას პეტრე ყარბი ლარაძე აწევდა ხმასა:

ეჰა, ვითარსა დროსა მწარესა,

შევესწარ ცრემლით მგლოვიარესა.

პეტაც ასე იყო,—არავითარი სიხარული, არაფერი სახალისო, გარდა თავისი მუშაობისა, მას არ დაძრა და ისიც შრომობდა ისეთი გატაცებით, თითქოს იმ მოუნელებელი დარდის ჩაკვლას იმითი ლამობდა. ბოროტი დემონით შეპყრობილი ქალაქიდან ქალაქში სულაწრიალებული დამარწოდა და იქ უნდოდა ყოფნა, სადაც არ იყო, იქ არ უნდოდა, სადაც იყო. ყველგან სტუმარი იყო, ყველგან დროებით ჰქონდა ბინა დადებული. შინ უნდოდა და სასტუმროებში ცხოვრობდა, სამშობლოში უნდოდა და უცხო ქვეყნებში დატანტალვებდა. არ იყო ცოდვა, რომ იმას არ ეგემნა, არ იყო ცდუნება, რომ ის არ ჰყოლოდა. ვერც კნუტ ჰამსუნისა და ჰოფმანსტალის მეგობრობამ, ვერც გორდონ კრეგთანა და ალექსანდრე ბლოკთან მჭიდრო ურთიერთობამ, ვერც გაბრიელე დ'ანუნციოსა და ელენორა დუზესთან ერთადმუშაობამ მისი ვნება-ნი ვერ დააოკეს. ახლა დიდმა იმპერიალისტურმა ომმაც იჭუბა და სამშობლოსაკენ ყველა გზები ერთბაშად გადაეკეტა. შეილის ამბები სრულიად აღარ მოსდიოდა. სასოებადაკარგულმა ყველაფერს თავი მიანება და იოანე მთაწმინდელივით ახალი სამშობლოს საძებნელად ესპანეთში გადაეარდა.

ყოველი ბრწყინვალე დადგმის შემდეგ სასტუმროში მარტოდმარტო იჯდა და მისი შემოქმედების გამო გაზეთებში დაბეჭდილ ალტაცებულ რეცენზიებს ნაღვლიანად კითხულობდა, კითხულობდა და ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდა თავის თავს:

— სანამ უნდა ვიფხარკალო ასე უნიადაგოდ, სანამ უნდა დაეძრწოდე ასე უგზო-უყვლოდ?

თვალს დახუჭავდა, — თბილისში იყო, ეძინა — თბილისი ეს იმხარეზადა. ის ღამე, თერამეტი დეკემბრის საშინელი ღამე რომ მოგვინდებოდა, გული მაშინვე აუფრთხილდებოდა, — ვინ იყო ის რაზემეფე, სიკვდიელს რომ გადაარჩინა? სად არის ახლა და, თუ ცოცხალია, რას აკეთებს?

იქნებ მშობელ მიწასა ხნავს, იქნებ, ქარხანაში მუშაობს, ანდა, იქნებ, ციმბირშია? ბორკილგაყრილი, პატივყრილი, იქნებ ისევ კენესის, იქნებ ისევ გმინავს და მშველელი არა ჰყავს?

## 4.

მამა-პაპის გაპარტახებული ოჯახის მოვლა-პატრონობაში დაბერებული ზინობია ახლა თავის ჯანსა და ქალობას ლარაძეთა უკანასკნელი ნაშიერის აღზრდას ალევდა. თავს ევლებოდა, აჩრდილივით სულ თან დასდევდა და გულში ჩახუტებულს ალერსით ენას უქცევდა:

დედის არუქ-მარუქო,  
მამის ციხე-ქალაქო,  
ბიძის ჭმარ-ხანჯალო,  
ბებოის მწვანე ბოსტანო,  
პაპის ოჭროს გუთნო,  
მამიდის წითელი ვაშლო.

დიდი ომიანობის გამო ძმისაგან წერილების დენა რომ შეწყდა, ბავშვს იმდენად დაეუფლა, რომ მამის დარქმეული სახელი გამოუცვალა და ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის სახელი უწოდა.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ნაიალალარსა და ნააზატეც ბაღს ზამთრის გრძელ და გაუთავებელ ღამეებში აგუზგუზებულ ბუხართან გვერდით მოისვამდა და, ხუცური ანბანის ამოღებით დაღლილს, ახლა მთვარისა და ქორანიკონის ანგარიშს ასწავლიდა.

გარეთ ქარბუქი ბუბუნებდა, თოვლის ცად ატანილ კორიანტელი საზარლად შხუოდა და, ძილგამკრთალ ბავშვს შიშის ზარი რომ აიტანდა, მამიდა მის გასართობად დიდი პეტრე ლარაძის ყაჭის ფთილით ჩანიშნულ „დილარიანს“ ხმამაღლა კითხულობდა.

ბუხრის ცეცხლით წითლად განათებულ ძველისძველ დედაბოძიან ვრცელ დარბაზში ყველის, ჩრჩილისა და ნესტის სუნს იდგა.

მუშტის ოდენად მოკუნჭული მირიანი მამიდა ზინობის გამბულ ყვფას სულგანაბული უსმენდა და ეჩვენებოდა როგორ შემოდრიოდნენ აბჯართ ჭლარუნით, ცხენთა ჭიხინით ზღაპრული მეფე აბაშეთისა, დილარ მძღვეელი, და ძე მყინვართ მეფის ნუშრეგანისა, შვიდთა იყლიშთა მბრძანებელი ფინეზ. უცებ დარბაზი ალაღ ავარდნილ მზეთუნახავის ანუსიას ბრწყინვალეებით თვალის მომჭრელად ნათდებოდა და წალოს უკუნეთიდან ავი ციკლოპი ცალი თვლით ბოროტად იცქირებოდა. მირიანი მოხუც მამიდას შიშით მეგრდში ეკვროდა და თვალმილულულნი, ხმას აყოლილნი ტანის თანაზომიერი რხევით ტკბილ ძილისპირს მწყობრად გალობდნენ.

ქარი ისევ შხუოდა, ზუზუნებდა, დარბაზის კედლებს ამაზრზენი წივილით ესრისებოდა, ბუხარში შემძვრალი სასოწარკვეთილად სტიროდა.

იყო წუთები, როცა მირიანს ეგონა, რომ ეს, ქარი კი არა, მთა შამშიანზე გადმომდგარი ცხრათავიანი მღვეი ბუქნავს, ბურღაობს და ცხრავე პირით ცხრაპირ სიმღერას ხმაშეწყობილად აკრიმანქულებს.

იქვე, წალოში, ძველთაძველი გრავნილებით, საგვარეულო სიკვლ-გუჯ-რებითა და ხელსაქმით სავსე სკივრი იდგა და ყოინით, ცხენთა თქარტნით ამოპქროდნენ იქიდან ზღაპრული დევგმირები, — ქერკვე შეთუქმყოფე ურჯუმულით ივსებოდა, ფასკუნჯები ფრთათა წურვით ცას აბნელებდნენ.

ამ ბინდებში, ამ ყიამეთში თვით ზინობი მამიდაც წიგნიდან ამოსულ ლანდივით დაბორიალებდა, დადიოდა ისე უჭუმრად, თთქოს შინ დასადგურებულ გარდასულ წინაპართა აჩრდილების დაფრთხობისა ეშინოდა.

ერთ ღამით ეზოში ბუმ დაიჟყვილა.

მამიდა ზინობიამ მუგუზალს ხელი დაავლო და გარეთ ყვრილით გაიჭრა: — ბუს მუცელი ეტკინა, — ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირა დილით სული გავარდა...

მეორე დილით მამიდა ლოგინიდან არ ამდგარა.

— მამიდა! — გასძახა მირიანმა, მაგრამ პასუხს არავენ იძლეოდა.

— მამიდა! — ხმას აუწია ბავშვმა და, პასუხი ახლაც რომ არ მოესმა, ტანში შიშით ქიანქველებმა დაურბინეს...

ზინობია მომკვდარიყო.

## თამი ვაოთხა

### 1.

ავტო პიპინებს.

დარიკო ლოგინში წამოვარდა.

ტანს ოფლი დასხმია, — საბანი იქით გადააგდო.

ძილის ბურანისაგან ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამორკვეული, რომ რალაც ბალიშვით რბილი და ვეება ბნელად წამოვიდა, — ირგვლივ ნისლივით შემოებურა. აღრეული გაზაფხულის დილის ტკბილმა ძილმა თვალი ერთბაშად მოსტაცა და ლოგინში მთვრალივით წაიქცა.

ეძინა?

იქნებ, არც ეძინა?

იქნებ, წუთის თვლემა იყო?

ტანში უცნაურმა ნატერის ჟრუანტელმა გაურბინა.

წუხელ თეატრიდან გვიან დაბრუნდა. იქ, მამის ლოჯიაში, მირიან ლარაძე იჯდა და მოაჯირზე ჩამოყრდნობილი რალაც ოცნებას წაელო. დარიკო დაინახა თუ არა, მაშინვე მას მოაშურა, მაგრამ მასთან დიდხანს არ დარჩენილა. თერთმეტ საათზე ის პარტიის ცეკაში იყო რალაც საქმეზე დაბარებული და აღრიანად წავიდა.

მირიან ლარაძე, მირიან...

— ეს რა სისულელეა! — გაუელვა და კვლავ წამოდგა.

ტანთ ჩაცმა იწყო.

ფიქრები ერთ სავანზე დიდხანს არ ჩერდებოდნენ.

პეტრე ლარაძის სპექტაკლმა ის მივიწყებული სევდა, სევდა თეატრისადმი ლტოლვისა კვლავ აღუძრა. ეს სევდა არც დღეს ასვენებდა, მაგრამ ახლა ისე მწველად არ განიცდიდა.

გაზაფხულის მზე საემაოდ აჭერდა და ისევ ის გაურკვეველი ნატერა, ისევ ის სევდა და წყურვილი...

რის?



თვითონაც არ იცოდა.  
ხვარას მეორე ოთახში მარტო ეძინა.  
ღია კარებში მოსჩანდა ხვარას ბავშვის ბაღიანი ნიკელის ბავშვი-  
რა ლოგინი.

პატარა ნანულის ბაბუასთან ეძინა.  
მიყურა, — ჩამჩუმშიც არ მოიხმოდა.  
მძინარენი რომ არ გაეღვიძებინა, ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა, ჩაი-  
საჩქაროდ დალია და რაღაც საქმეზე ოთახში რომ შემოვიდა, მის ლოგინში,  
საბნის ქვეშ ვიღაც შმაშურობდა.

— აუ-აუ! აუ-აუ! უუ, ამუნია მოიდა, ამუნია მოიდა! — იღრინებოდა  
საბნის ქვეშ პატარა ამუნია.

დარიკო შიშის ძრწოლამ აიტანა.

— შეშინია, უპ, როგორ მეშინია! — დაიძახა ხარდაცემულად, მაგრამ ამ  
ღროს ამუნია მსაბანი ერთბაშად მოიხიდა და:

— კუკუო! — რომ დაიჭყვივლა პერანგის ამარა სამიოდე წლის თმახუტუ-  
ქა ნანული ერთბაშად აღჭაჯურად გამოეცხადა და მერე მსუქანი, ბალიშით  
ბუნჩულა, ბალიშზე კისკისით შეეცოცდა და ახლა იქიდან აჯავრებდა თავ-  
დავიწყებული სიხარულით, რომ დეიდა ასე შეაშინა.

— შენ აქ ვინ მოგიყვანა, ა? პაიტ, შე კოკოკოჭინავ, შე კუდიანო, შენა,  
ა? — შეუტია დარიკომ ისე, თითქოს ახლა იცნოვო, და ხელში ატაცებული  
გულში მხურვალედ ჩაიკრა.

— პაი, შე მწყერჩიტავ, შენა! შე ხო გითხარ, ჩემთან არ მოხვიდე მეთქი.

— იი, დეიდა დალიკო, ალა ცხენია? — სთქვა ნანულმ უცნაური საყვე-  
დურით და ცისფერი გონიერი თვალებით ღრმა დაექვებით მიაჩერდა.

— არა, გენაცვალე, არა! — ამოხდა დარიკოს ტკივილით. — ეინ გითხრა,  
ნანულიკო, არ მოხვიდეო? როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს ჩემი ნანული! —  
დაიძახა გრძობამოკარბებით და ბავშვურად ცხელი, გლუვი ტანი თინიანი  
გატაცებით დაუკონა. მერე ისევ ლოგინში ჩააგორა, პერანგი აუწია და  
ლურჯნაკეთიან სასაცილოდ გაბერილ მუცელზე კონა დაუწყო. ნანული სი-  
ცილით სულს ძლივს იბრუნებდა. დედას, სხვა რომ ვერა მოუხერხა რა, თმე-  
ბში ხელი ჩაავლო და ისე გააკავა. დარიკომაც, ბავშვს სულმოუთქმელ სიცი-  
ლისაგან გული რომ არ შესწუხებოდა, თავი გაანება.

აეტომ კვლავ დაიპიპინა, მაგრამ ბავშვი რომ არ უშვებდა, მეორე ოთა-  
ხიდან მის აღერსს მოწყურებულმა ხვარამ ტკბილი საყვედურით გამოსძახა:

— კარგი ახლა, შეილო, დეიდას ეჩქარება. შენ დედიკოსთან როდის და  
მოხვალ? — ბავშვმა დეიდას ხელი მაშინვე უშვა. დარიკომ ერთი კიდევ აკო-  
ცა, ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში და გარეთ საჩქაროდ გაიჭრა.

— რათ მიყვარს ეს ბავშვი ასე თავდავიწყებით, რათ მიყვარს? იქნებ იმი-  
ტომ, რომ უმამოდ იზრდება? — გაიფიქრა და თავისი მშობელი მამა გაახსე-  
ნდა. წუთით უმისობა რომ წარმოიდგინა, ტანში შიშის ქრუანტელმა დაუ-  
რბინა და შავ ფიქრთა გასართველად იასამანიტა და აღუბლებით აყვავებული  
ეზო ლილინით გაიბრინა.

ალაყაფთან მანქანა იდგა.

შოფერი რაღაც წიგნს გატაცებით ჩასკეროდა და მის დანახვებზე, კით-  
ხვას თავი გაანება, როცა დარიკო მის გვერდით ჯდებოდა, წიგნის სათაურს  
დაჰხედა, — მაიაკოვსკის ლექსები იყო.

მანქანა ადგილიდან წყნარად დაიძრა და მას ქუჩის ძაღლები ყვეფით/ლა-  
ლავეთ დაედევნენ.

აეტომ სისწრაფეს უმატა და ეს ყველა-<sup>ერაქმნული</sup> <sup>მანქანის</sup> <sup>სიჩქარით</sup> მობერილი ტყბილი ნიავე სახეში სასურველ ვაჟაკის სუნთქვა-  
სავით აელამუნა.

• თითო სართულიანი მუშათა სახლები აკაციების, აღუბლებისა და ნუშის  
ყვავილებში თვალის გასახარად ტივტივებდნენ, ჰაერში იდგა მათი მაბრუე-  
ბელი სურნელება.

აი, მთავარ ქუჩაზეც გავიდნენ.

ახლად დაფენილ გამზირზე აბიზინებულ ბორბლები ვენტილატორივით  
წყნარად ფაჩუნობდნენ და მანქანის ქვეშ შეტაცებული შაქრის ქალაღდის-  
ფერი ასფალტი რულონივით სწრაფად ეხვეოდა.

მზისაგან ოდნავ შემლღვალ გულდონზე აკრულ შინათა თქრიალში ასხლე-  
ტილი კაუჩუკის ტკაცუნა საამოდ გაისმოდა. ოთხცილინდრიანი ძრავი მის  
ახალგაზდა გულივით შეუფერხებლად ფანცქალებდა და უნაშთოდ დამწვარ  
რევნარის აირს დიფერთან მოთავსებულ მაყრუადან ოდნავ გასავგონი ფათუ-  
რით ისროდა.

შოფერს დამკლავებული ხელი საჭეზე ლაღად ესვენა.

მაჯაზე ინდიგოს ფრად ამოჩხველეთილი კუბიდოს ისრით განგმირული  
გულის გამოსახულება და სახელი „ნინა“ მკაფიოდ მოსჩანდნენ. ალბათ, ეს  
„ნინა“ შეეტრუხა იყო, ალბათ, კალათბურთსაც თამაშობდა და, ზარბანი ხმით  
რომ კისკისობდა, ბიჭურად შეკრეჭილი თმები სახეზე ლაღად ეყრებოდა. რომ  
იციროდა, იციროდა ისე, თითქოს მის არსებაში სიციცხლე და გატაცება ერ-  
თად წკარუნობდა.

— ნინა, ნინა.— აპყვა მორტორის ძგერას და რამდენი მეტჯერ იმეორებოდა,  
იმდენი ნინას ალაღად წარმოდგენილი სახე ხორცს ისხამდა, ცოცხლდებოდა.  
უეცრად მანქანამ დაიბლუველა და ქალი ისე მოიქნია, რომ შოფერის ლო-  
ნიერ მკლავს მძლავრად დააჯახა.

ღარიკომ გამოკვევაც ვერ მოასწრო, რომ მუხრტუკის წაჭერილი ქანჩი  
საკისურებში საცოდავად აწკმუტუნდა და აღებულ გეზიდან გვერდით გაქნე-  
ულმა თავგზაბნეულ დედაბერს შხილით ჩაუჭროლა.

გულგახეთილ დედაკაცს ხელში ნავთის ბიდონი შიშით გაუფარდა, აიტა-  
ცა, ისევ გაუფარდა და, ისევ რომ აიტაცა, თვალწინ ჩაჭროლებულ მანქანას  
მტრულად გახედა.

ღარიკომ შემკრთალი თვალეები შეაფეთა მოხუცს და, საღად რომ დაინა-  
ხა, გახარებული, თავისდამავიწყებული ღიმილი სახეში შეანათა. ღიმილი იგი  
ტყბილად შემოველო ბერიქალს და იმსაც უნებურად გაელიმა.

ეს გოგონა მას ოჯახურ ზრუნვებში შეუმჩნევლად ჩაჭროლებულ ახალ-  
გაზრდობასავით უციროდა და გაანჩხლებული მუქარისათვის მოღერებული  
ბიდონი სიხარულით დაუქნია.

ღარიკოს უნდოდა რამე გადაეგდო მისთვის სახსოვრად, თუნდაც ყვავი-  
ლი, ანდა სულ უბრალო რამ, მაგრამ თან რომ არაფერი ჭონოდა, ვიწრო საეა-  
რძელში, რამდენადაც მოხერხდებოდა, მობრუნდა და ხელი აღერსით დაუქნია.  
გაიშართა.

საჭეზე შოფერის ლაღად დადებულ ხელს ისე დახედა და თვალში ისევ  
ეს აბეზარი „ნინა“ შემოეფეთა.

რატომლაც ხვარას ქმარი გაახსენდა, ალბათ იმიტომ, რომ ოდესღაც ისიც შოფერი იყო და თავის შოფერს ისე ალერსიანად ახედა, როგორც თავისიანს. მოსახვევში აეტომ ვილაც ახალგაზრდებს მიაყვირა. **ერქონულნი**  
**ნიგულირთესა**

ყმაწვილები შეკრთნენ.

ცხვირწინ ჩაჭროლებულ მანქანაში დარიკოს მოჰკრეს თვალი.

—უჰ, რა გოგოა! — ამოხდათ და შოფერს შეუშინველად გაელიმა.

დარიკომ მკაფიოდ გაიგონა ეს სიტყვები და რატომღაც თმები მაშინვე შეისწორა. ტკბილი სითბო ტანს ზრუნატელის მომგვრელად შემოებურა. გულ-ლი აღტაცებით ისე აევსო, რომ უნდოდა, ძან უნდოდა ეს თავისი სიხარული როგორმე ხმამაღლა გამოეხატა. სხვა რომ ვერა მოახერხა რა, ისევ თავის შოფერს მიუბრუნდა:

— რა შესანიშნავი ამინდია, არა?

შოფერმა ცას ირიბულად ახედა. მერე მარჯვენა ხელი საქვს მოაშორა, შუათითი ცერზე დასხლეტით დარდიმანდულად გაატყაცუნა და მით უთხრა ყოველივე.

ამინდი მართლაც სანატრელი იყო.

დარიკომ ისევ ისე ახედა ვაჟკაცს, როგორც წელან და გაელიმა. ქრელი კოვბოური ხალათის საკინძე დარდიმანდულად ოდნავ მოეღალა, სუფთად ამოპარსულ ღონიერ კისერზე კოხტად მოღერებული თავი დარდიმანდულად ეღვა და წინ ისეთი ყურადღებით იქვირებოდა, რომ მთელი სახისა და ტანის გამომეტყველებით მისწრაფების განსახარებლებას წარმოადგენდა.

— ყველას ჰყავს ვინმე? ყველას... — და განიერ თეძობიდან ჩარკალულ ტანზე დაიხედა. თვალს ჯემპერის ქვემოდან გაბედულად აღერილი მკერდი მოხვდა და რატომღაც მირიან ლარაძე გაახსენდა. მის თვალებში მუდამ უტეხი მამისებური გზნება გამოკრთოდა... — ფიჭვი მოიგერია, ისევ თავისი ქარხნის საზრუნავი გაიხსენა. ქვეყანა იზრდება, მოთხოვნილებანიც და ამ ზრდასთან ერთად რთულდება მასზე დაკისრებული ამოცანებიც. ქარხანა კი ძველია, მის დაზგებზე ჯერ კიდევ დარიკოს მამა-პაპას უმუშევნია. დავალებანი კი ისე დიდია, რომ იგი ვაფართოვებას მოითხოვს, ვაფართოვება კი შეუძლებელია, რადგან ყოვლის მხრივ რკინიგზის ლიანდაგებითა და ქალაქის საზღვრებით არის შემოზღუდული. ვადაწყდა მისთვის სხვა, უფრო ვრცელ და მარჯვე ადგილას ახალი შენობა ააგონ. მირიან ლარაძე, მიუხედავად თავისი ახალგაზლობისა, უკვე გამოჩენილი არქიტექტორი იყო და ახალი ქარხნის პროექტის შედგენაც იმას დაავალეს. ამიტომ დადის ის ყოველ დღე ქარხანაში, სწავლობს მის სპეციფიკურ პირობებს და სულ იმის ზრუნვაშია, რომ სამქროები უფრო რაციონალურად, წარმოების თვალსაზრისით, უფრო მოხერხებულად იქნას განაწილებული. დარიკოსაც ამიტომ გაახსენდა მირიანი, თორემ ისე რა საქმე უნდა ჰქონოდა მასთან?

## თავი მესამე

### 1.

დარიკომ კარი შეაღო.

ქარხნოში არავინ იყო.

ცარიელ ოთახში ტელეფონი თავდავიწყებით რეკდა.

დარიკო მილაკს დასწვდა, მაგრამ დააგვიანდა, ზარის ხმა მიწყდა.

ჭერში თუთუნის ბოლი ჯერ კიდევ ლეგად ინისლებოდა. ეტყობოდა, ოთახი ხალხისაგან ამ რამდენიმე წუთის წინ დაკლილიყო.

მირიან ლარაძეს დღეს მოხსენება ჰქონდა. საქარხნო კომპლექტის უწყისი პროექტი წარუდგინა, პროექტი ახალი ორთქლმავალთა და ენგინების მქონე ბელ ქარხნისა.

დარიკოს გულით უნდოდა, რომ ამ სხდომას დასწრებოდა, მაგრამ ვერ მოიცალა. სწორედ რომ ითქვას, არ მოიცალა. ეზინოდა ზედმეტი მღელვარება არ გამოეჩინა. ამას გარდა, თვითონ მირიანიც ისეთი დაქინებით სთხოვდა, რომ სწორედ იმიტომ არ მოვიდა.

მაგიდაზე ეყარა უბრალო ქაღალდის ნაკუწები, შავი სახელდახელო განმარტებული ნახაზები. იქვე იდგა პაპიროსის კოლმუხებით პირამდე სახსე საფერფლე.

წიგნების დაბალ კარადას „III“ სერიის ორთქლმავლის მოდელი ამშვენებდა და მის აქა-იქ დატანებულ ცელულოზის გამჭვირვალე ფურცლებში ლოკომოტივის შიდა არმატურა და რთული მექანიზმები შეკაფიოდ მოსჩანდნენ.

სრული ორი თვე იმუშავა დარიკომ ძია ესტატესთან ერთად ამ მოდელზე, მთელი თავისუფალი დრო მის კეთებას შეაღიეს. იმდენს ეცადნენ, რომ მაინც მოასწრეს და ქარხნის საპირველმართო საჩუქრად მიართვეს.

ოთახში მზე ოქროს ზვინივით შემოხვევებულებოდა და საწერ მაგიდის მიწაზე დაცემულ სხივის მოციმციმე ათინათი თვალს ბრწყინვალეობით სჭრიდა.

აქ ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის, ნაჩვევი და ახლობელი.

დარიკოს თითქოს რაღაც სასწრაფო საკითხი ჰქონდა შესათანხმებელი, მაგრამ აქ რომ მოვიდა და არავინ დახვდა, მხოლოდ მაშინ გამოუტყდა თავის თავს, რომ არავითარი საქმე, გარდა მირიანის პროექტის განხილვაზე დასწრებისა, არა ჰქონია.

საწერ მაგიდას წინ წითელ ჩითვადიფარებული, მელნით დაწვეთილი მეორე გრძელი მაგიდა ჰქონდა მიდგმული. მის ირგვლივ ყვეთელი სტანდარტული სკამები უწყურავად იყო მიყრილ-მოყრილი.

დარიკო დაღონდა. გულიც მოუვიდა თავის თავზე, რომ ისე უბრალო და პირდაპირი არ არის, როგორც ზეარა. თუ მოსწონს ის კაცი, გამოტყდეს, თუ არა და რა საჭიროა მაშინ ეს კომედია და კუკუმალულობა?

არაფერი ისე სევდიანი არ არის, როგორც სხდომის შემდეგ დატოვებული ოთახი, სადაც ადამიანის სუნით, მათი ყაყანით, თუთუნის ბოლითა და ნასუნთქით ჯერ კიდევ ჭარბად არის გაქვინებული ჰაერი.

იმედგაცრუებულმა ირგვლივ თვალი წყნარად მოავლო და უცებ თავი იმ ტელეფონით მიტოვებულად იგრძნო, წედან რომ ამოად წკარუნობდა.

გადასწყვიტა ისევ საამქროში დაბრუნებულიყო.

დაბინდულ დერეფანში კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ იქ, სულ ბოლოში, დამლაგებელი ქალი ონკანიდან მოშვებულ წყალში ცოცხსა რეცხავდა და რომელიღაც ოთახიდან საბეჭდავი მანქანის რახუნნი კანტიკუნტად მოიხმოდა.

ის იყო, კიბისკენ გაემართა, რომ ამ დროს სამხაზველოს კარიც გაიღო და მირიან ლარაძე ისე მოულოდნელად გამოვიდა, რომ დარიკო შეკრთა.

— აა, დარიკო! — მიესალმა ის ახლობელ ნაცნობივით და ხელი ჩამოართვა.

დარიკოს არ მოეწონა ეს გაშინაურებული კილო ყმაწვილისა და უბღლი უსიამოვნოდ შეიკრა, მაგრამ ის ისე იყო აგზნებული, რომ არაფერი არ შეუნიშნავს.

— იცით, მე დღეს უსაზღვროდ ბედნიერი ვარ და მომიტევეთ.

ქალიშვილმა თვალები გააკვირვებით შეანათა.

— აი, თქვენ გიკვირთ და მე დღეს პროექტი დამიმტკიცეს. აი თქვენ გიკვირთ და მე წუხელ ცეკაში ვიყავ. — სთქვა ისეთი გატაცებით, რომ უცებ თავის მომჯადოებელ მამას დაემსგავსა. ეშხიანი, ისედაც აგზნებული თვალუბიც მამასავით ანთებოდა და დარიკოს უკვირდა, სად იყო, აქამდე როგორ ვერ შენიშნა, რომ ის თურმე ასე მომხიბლავი ყოფილა.

მირიანმა მის საესე მკლავს ხელი შეახო, ფანჯარასთან მიიყვანა და ხელის გულივით გაშლილი თბილისი დაანახა.

— ხედავთ, ეს ქალაქი ჩემია. მე დღეიდან თბილისის მთავარი არქიტექტორი ვარ. ასე ისურვა პარტიამ.

დარიკოს ეწყინა მისი ასე დიდ და საპატიო თანამდებობაზე ახლა დანიშნა, ეწყინა იმიტომ, რომ ეს წარმატება რაღაც უხილავ ჩრდილს აყენებდა მის მოწონებას.

ის კი, მაღალი და მოხდენილი, ფანჯარასთან ისე ლაღად იდგა, თბილისისაკენ ხელიც ისე მეფურად გაეშალა, თითქოს ეს უზარმაზარი ქალაქი მართლა მის საკუთრებას წარმოადგენდა. გაზაფხულის ნიავი სახეში საამოდ ელამუნებოდა და უკან გადავარცხნილ წაბლისფერ თმას უბიბინებდა.

— მირიან! — კინალამ ამოხდა, მაგრამ, შეატყო თუ არა, რომ წითლდებოდა, თავი უხერხულად იგრძნო და არაფერი არ სთქვა.

ის ეკვები ისევე ამოტივტივდნენ.

რას იტყვის ხვარა? ხომ იტყვის:

— მთავარ არქიტექტორად რომ დანიშნეს, რალა მაშინ მოგეწონაო?

დარიკოს რატომღაც გული მოუვიდა და უნდოდა სიტყვა მკვახელ მოეტრა, მაგრამ მისდა მოულოდნელად მღელვარედ, ტკბილად უთხრა:

— თქვენ არ იცით როგორ მიხარია, მირიან... თქვენ არ იცით... — სიტყვა გაუწყდა.

მირიანმა გააკვირვებით შეხედა დარიკოს და მაშინვე მიხვდა, რომ არ უნდა გააკვირვებოდა, მიხვდა, რომ უტაქტოდ მოიქცა, მაგრამ გვიანდა იყო, — ის ეზოში ჩასასვლელ კარისაკენ ცივად მიემართებოდა.

— დარიკო! — გასძახა ისე მღელვარედ, ისეთი გრძობით, რომ ის მისდა უნებურად შედგა.

მირიანს უნდოდა რაღაც ეთქვა, ეთქვა ისეთი, თითქოს მისი ბედი და უბედობა იმისგან იყო დამოკიდებული, მაგრამ შიშით, რომ არ მოუსმენდნენ, აჩქარდა, სიჩქარეში დაიბნა და არ იცოდა საიდან დაეწყო. ერთ ადგილას რატომღაც უხერხულად დატრიალდა, მერე ხელი რაღაცნაირად სასაცილოდ ჩაიჭნია და პირდაპირ მისკენ გაეშურა.

დარიკოს გაეღიმა.

ასე რომ არ მომხდარიყო, ასე რომ არ დაბნეულიყო, მათ შორის ყოველივე გათავდებოდა, მაგრამ ახლა ეს ამოდენა ვაყვაცო ისე უმწეო იყო და მიამიტ ბავშვივით სასაცილო, რომ გული კვლავ მოუღობა.

— იცით, დარიკო... — ატიტინდა იგი საკვირველი გატაცებით. — ერთი რამ მინდა გთხოვოთ და ვერ გიბედავთ...

დარიკომ შუბლი კუშტად შეიკრა.

აქ სიყვარულის ახსნა არ დამიწყოს. — გაიფიქრა.

— იცით, დარიკო... — მარიანმა ხელახლა ისე, თითქოს ემყარებოდა მის ხსენებას, მას ნეტარების ყრუანტელით აესებდა. — მე დღეს ისე მდინარეში ვარ, ისე ბედნიერი... — არც სიტყვები ეყო, არც პაერი. ერთი ღრმად ამოისუნთქა და ისევ განაგრძო: — თქვენც კარგად იცით, დედა მე არა მყავს და დაი... მამა სულ სხვაა, — ის მამაკაცია... მე კი ისე მიხარია, ისე მიხარია, რომ მარტო ყოფნა არ შემიძლია... მე მინდა, რომ თქვენთან ვიყო... მაჩუქეთ დღევანდელი დღე... — ბოლოს ლაპარაკში ისე წათამამდა, რომ ხუმრობაც მოახერხა: — ღმერთმანი, ჭკვიანად ვიქნები... — მაგრამ მაშინვე ისევ თავის გულითად კილოს დაუბრუნდა: — აი, წავიდეთ სადმე... ერთად ვისადილოთ... — ისე ევედრებოდა, მოითხოვდა კიდევაც, რომ ძნელი იყო, ცოდვაც იყო მისი გაწბილება.

დარიკომაც ხათრი ვერ გაუტეხა, — დათანხმდა.

## 2.

ქარხანა ისევ გუგუნებდა. ისევ გრიალებდნენ მექანიკური უროები, ისევ ჩხარუნობდა ამწე ონკანის ჯაჭვი, ისევ ისმოდა მღრღნელი ღულუნი სახარატო დაზვებისა.

ტრანსმისიები ღარში გაშვებული წყალივით ატლავდნენ უთვალავ ღვედებს და პნევმატიური ჩაქრების ყურთასმენის წამლებ რახტუნში სამანევრო ორთქლმავლები კივილით იჭრებოდნენ.

დარიკოს ეს ხმაური და საქმიანობა კიდევ უფრო ახალისებდა. ხან ლიღინებდა და ხან ისე უსაბამოდ იცინოდა, რომ ქარხნის დირექტორის, პლატონ ასკურავას, ყურადღება ძალაუვნებურად მიიქცია, ერთხანს უცქირა, უცქირა და მერე ღიმილით უსიტყვოდ ჩამოშორდა.

მთელი დღის ჯაფაში დრო წყალივით, შეუმჩნევლად გაპარულიყო და, შაბაშის საყვირი რომ აგუგუნდა, დრო კიდევ უფრო გაკვიანურდა. დარიკო არას იმჩნევდა, განზრახ არა ჩქარობდა და ახლა კიდევ მეტი საქმეები გაიჩინა.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალი ცვლა მუშაობას შეუდგა და ის ისევ საამქროს კანტორაში იჯდა, — გრაფიკს ყურადღებით სინჯავდა.

კარი ესტატემ შემოალო.

— დარიკო, არ მოდიხარ?

— არა, ძია, დღეს სადილად ნუ მომიცდით... — უნდოდა ეთქვა: „საქმე მაქვს“, მაგრამ ტყუილის სათქმელად ენა ვერ მოაბრუნა.

ესტატემ კარი გაწბილებულად გაიხურა.

დარიკო ერთხანს კიდევ ამოწმებდა ორთქლმავლთა რემონტის მიმდინარეობას, მერე ყველა საქმეები უჯრაში ერთბაშად ჩაკეტა, პირი დაიბანა და კარადას მოფარებულმა ტანისამოსი ხელდახელ გამოიცვალა.

ქარხანა დასტოვა.

დემოს ნელი ნაბიჯით ჩაუარა და, მირიანი რომ ვერსად ნახა, ელდა ეცა. მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ როგორი ნატვრით ელოდა ამ წუთს და უცებ თავი ისე მარტოდ იგრძნო, ისე დამცირებულად, რომ მზად იყო ეტირა, შინ ველარ მივიდოდა, რადგან ეს-ეს არის ახლა გააწბილა ძია ესტატე და უარით გაისტუმრა. ვადასწყვიტა ისევ ქარხანაში დაბრუნებულები. ის იყო გაემურა კიდევაც, რომ ამ დროს მირიანის ხმაც მოესმა.

მოიხედა, სახეზე სიხარულის აღმურმა გადაურბინა.

თურმე აქვე იყო და ვერ დაენახა.

საყვედურით საეცე მადლიერი თვალებით უსიტყვოდ მხედდა და უსიტყვოდ ვინდაწინ შეთანხმებულებივით დიდუბისაკენ გაემართნენ.

ქარხნისა და ლიანდაგებს შუა ვიწრო ტროტუარს ნელა გაჰყენენ.

საამქროებიდან ისევ მოისმოდა გუგუნე ქურებისა, ავტოგენური მადლები ცისფრად აელვებდნენ რკინით ამესრილ უზარმაზარ ფანჯრებს, პნევმატიური ჩაქუჩები ისევ ისე რახუნობდნენ.

ისევ ჭრაჭუნობდნენ ონკანები და ისევ ისმოდა:

— ვირა-ა!

— მაინა-ა!

ტრანსპარანტივით დაშოლილ ლიანდაგს ზემოდ ხორთმუმივით გადაქნულ ხიდზე წყნარი ნაბიჯით ავიდნენ.

ზემოდან თვალის მომკრელად მოსჩანდა თბილისი.

ახლად დასახლებული საბურთალოსი და ვაკის უზარმაზარი მრავალსართულიანი კორპუსები პირდაპანილებივით გამოიციქირებოდნენ.

— ხედავთ, დარიკო? — წამოიძახა მირიანმა. — ხვარა და ნანული!

დარიკო შეკრთა.

ისინი, ალბათ, საბავშვო რკინიგზიდან მოდიოდნენ.

რატომღაც არ უნდოდა, რომ ახლა ვინმე ნაცნობს შეხედროდა. ამიტომ ჩამოიტოვა წელან ფეხი, ამიტომ დაავიანა ქარხნიდან გამოსვლა და მაინცდამაინც ხვარას შეეფეთა. ნანულიც რომ დაინახა, მათკენ განზრახული სიხარულით გაექანა, მაგრამ შეგობრის ქვეიან თვალებს რომ შეეფეთა, დაიბნა და ამ დაბნეულობის დასაფარავად ბავშვს განსაკუთრებული სინაზით მიეაღერა.

ნანული მოაჯირის მესერს ხელებით ჩაფრენოდა, სახით ზედ მიყრდნობოდა და მატარებლების მიმოსვლას თვალყურს გაფაციცებით ადევნებდა. აი, ჯაეწიან ორთქლმავალსაც მოჰკრა თვალი და გაკვირვებით იკითხა:

— ეს ლანაილი მატარებელია, დეიდა?

— იცი რა? — შეეკითხა ისიც თავის მხრივ გოგონას მისივე წაბაძულობით ოდნავ ენამოკიდებულად. — იცი რა... იცი რა... — და წელანდელ დაბნეულობისაგან ჯერ კიდევ გამოურკვეველი ამ „იცი რას“ ძახილში უფრო გასაგებ სიტყვებს ეძებდა, რომ მისთვის ეს რთული საკითხი, როგორმე კარგად განემარტა.

— ლა, ლა? — მოთმინებიდან გამოვიდა პატარა ამდენი „იციორათი“ და დიდებმა სამივემ ერთად გადიხარხარეს.

დარიკომ ებტიბარი მაინც არ ვაიტეხა.

— ლა და... უწინ, უუჰ, ასი წლის წინად, თურმე ერთი ავი კაცი იყო... მდევე ზომ იცი?

— ვიცი.

— ჰოდა, იმასავით დაჯღანებული, იმასავით პირსისხლიანი... სახელად ზემწიფე ერქვა და, რასაც მუშები აკეთებდნენ, სულ ისა სქამდა. მუშები გაჯაერდნენ, ამ მატარებელში ჩასხდნენ და იქიდან ზარბაზანი ესროლეს. ესროლეს და მოკლე-ეს. — ასე ხელდახელ გაუთავა ამბავი თავის პატარა შეგობრის დარიკომ.

ხვარა თან მირიანს ესაუბრებოდა და თან შვილს ბედნიერი ღიმილით დასცქეროდა. მერე ბაასი ერთბაშად შესწყვიტა და დარიკოს თვალგაბრწყინვებით მიუბრუნდა:

— იცი, დარიკო, დღეს დათასგან წერილი მივიღე.

— მართლა? რას იწერება?

— იწერება, რომ კარგად ვარო... ერთ წელიწადში საბოლოოდ განვიკურნებიო... — სთქვა მღელვარებით და უცებ მიხვდა, რომ ახლა დარიკოს იმისი თავი არ ჰქონდა. მათი ერთად ყოფნა უცებ სხვაგვარად ენიშნა და სიტყვა დამნაშავესავით, ოდნავი ღიმილით მოსწყვიტა.

— დეიდა, ხემწიფე ლა აღის? — ჩამოერია უხერხულად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ისეც ნანული და თან ხიდის რიკულებს ქუსლს მიზეზიანად სცემდა.

— ხემწიფე? ხემწიფე? — მაშინვე ჩაეჭიდა დარიკო ამ სიტყვებს, მაგრამ უბედურება ის იყო რომ არ იცოდა როგორ აეხსნა და პასუხის თავიდან ასაშორებლად აღერსიანად შეუტია:

— რა სულელი ხარ, გოგო, რა სულელი!

ნანული ამ უსამართლო ლანძღვაზე გაიბუტა და პირი მიზეზიანად აიბზუა. მერე ორთქლმავალთა დგუშის წაბაძვით იდაყვები მოიქნია და „ჩიჭი-ჩიჭის“ ძახილით ხიდზე გაიქცა.

შეშინებულმა ხვარამ, შვილი სადმე რომ არ გადავარდნოდა, გამოთხოვბაც ვერ მოასწრო, გაქანებულ ბავშვს დაედევნა.

(გაგრძელება იქნება)

ივან ზრანკო

## მ რ ი ლ ე ქ ს ი

პარკატის არწივი

კლდეთა ნაპრალში დაფარულსა ბუდეს ასცილდა  
და შორს ქშულით ლურჯ ღრუბლებში მძიმედ აფრინდა,  
თითქოს იღუმალს აცდა წყაროს ფიჭვი მრისხანე,  
მიზოიფრინა ეს ქვეყანა, მიჰქრის ცისაკენ.  
დასაყრდენს ეძებს, ლაევარდს ფრთებით გაეკიდება.  
მოსთქვამს: „სად არის, ღმერთო, შენი რისხვა, დიდება?  
ენახე ვარსკვლავნი და ბუნების გავეცან წესსა,  
გეძიე ირგვლივ და ვერ შეგხვდი სრულიად ვერსად“.

\*  
\*

ლაევარდს გაკვრია უმოძრაო, თან ფრთებგაშლილი.  
თითქოს სიცოცხლეს სიკვდილისა ფარავს აჩრდილი.  
მიუქედიათ თითქოს ცაზე — და ცის სამყაროს  
აი მზად არის ამ წუთს მოსწყდეს, სისხლი დაღვაროს.  
ამას გრძნობ, თანვე შიში გზარავს აუწყერელი.  
მაგრამ ცაზეა ის არწივი დაუქერელი.  
ველარ მოგწყდება, ის შორს არის, მალაია მეტად.  
რამდენ წუთს ილხენს მის წყალობით კვლავ ქვეყნად, ნეტავ?

\*  
\*

აი დაიძრა. ფრთებს არ არხევს არ არის მძაფრი.  
თითქოს დაურთავს მას მაქოსებრ ჩვენ დღეთა ძაფი.  
ხან ძირს დაიწვეს, ხან კვლავ თითქოს გაიყინება.  
ღრუბლები ფარავს, ლაევარდს ფრთებით დაეფინება.  
შიან — და მიტომ გვასმენს შორით გულსაკლავ ძახილს:  
სიჩუმეს ხშირად აპობს ასე ტკივილი ხალხის.  
და შეაშფოთებს ქვეყნის დიდკაცთ ბნელი-უკუნე,  
ვით მიწის ძვრის წინ საზარელი ქვესკნელთ გუგუნე.



\* \*

მე არ მიყვარხარ შენ, არწივო, მე მეზიზღები  
 მისთვის, რომ მკერდში გიცემს გული ავი, უძღები-  
 მისთვის, რომ სისხლს სწოვ დაბალ ხალხსა, უძღლურს და სუსტსა,  
 აბუჩად იგდებ, თუმც ამ ხალხით იბრუნებ სულსა.  
 მისთვის, რომ ჩაგრულთ აწყველინე ქვეყნად გაჩენა!  
 მძულხარ, ვით მეფე, რომ მოუსპე დაჩაგრულთ ლენა!  
 პა ჩემი თოფი ნიშანსწორი, მტერთან ნაბრძოლი,  
 თვით ღრუბლებს სწევდება ტყვია, მისგან მარჯვედ ნასროლი.  
 და მის მავივრად, რომ მოგვეწიო სიკვდილი მთიდან,  
 საბრძოლოვ, ჰპოვებ იმ ღრუბლებში სიკვდილს შენ თვითონ.  
 არა თუ უფლის სამართლითა, უსულო ლეში  
 ჩემი ტყვიების სამართლითა ეგდები ხევში.  
 განა მარტო შენ! — ჩვენ უთვალავს ვეულობთ მსაროლელსა,  
 და აქ რამდენსაც ენახავთ არწივს სისხლის მწოველსა,  
 თავი რომ მოაქვთ, შიშს და ძრწოლას რომ სთესენ ხალხში,  
 დადგება ეამი — არ ავაცდენთ მათ ტყვიებს მაშინ.  
 უსულო ლეშთან შეჩერებას ჩვენ არ ვაპირობთ:  
 მას ფეხით გავსრესთ და კვლავ გავსწევთ წინ — სანადიროდ.

### 6 ა 3 0

ტალღა ცელქი, მზიარული ჩემს ნავს ეშხაპუნება,  
 როგორც ბავშვი საყვარელი, ჩურჩულით ეკითხება:  
 „ვინ ხარ, ნავო? რა ხარ, ნავო? საითკენ გეშურება?  
 რა დაკარგე? რას ესწრაფვი? რის გსურს ქვეყნად ყურება?“

ნავი ისევ მისრიალებს საპასუხოდ ბუტბუტებს:  
 „მე არ ვიცი, თუ ვინა ვარ, არც ის, თუ რას ვუყურებ.  
 არც ის ვიცი, ამ უფსკრულზე ჭროლვა სად დამთავრდება.  
 ტალღას მივსდევ, ქარს მივყვები, ნაპირზეც კლდე დამხვდება.“

ზღვა სიცოცხლედ მიჩანს, ხან კი — საფლავია, სიკვდილი.  
 იმ საკუთარ საფლავს ზემოთ მიმძიძის შფოთი, სირბილი.  
 სანამ ქვეშ ბნელ საფლავს ვლმზერ, თითქოს დღე არ გამწირავს,  
 როს დაჰქროლებს ქარი, ტალღა სწრაფად უფსკრულს ჩამძირავს.  
 რა ფიქრი და რა მიზანი? რაზე ვიწყო ჩივილი?  
 დღეს თუ ვცოცხლობ, ზეალ აღარ ვარ, მელის შფოთი, ტკივილი-  
 ამბობენ რომ ეს ბუნება ჩვენ იმ დრომდე ავიტანს,  
 სანამ ჩვენ მას ვსჭირდებით, შემდეგ მეც თან წამიყვანს.  
 ხან გვიშორებს, ხან გვიტაცებს, — რა ვიფიქრო, რა ვითბრა?  
 არც აქა და არც იქა, ჩვენ არაფერს არ გვეკითხავს.  
 დაშულია ჩემი ღღენი, გინდ მოგვედგე, გინდ ვიცოცხლო.  
 სულერთია! უნდა ვიყო, ვიტრიალო, ვიბრძოლო!  
 ცელქი ტალღა, მზიარული ჩემს ნავს ეშხაპუნება

მას ვით ბავშვი, იგი ნაზად ჩურჩულით ეუბნება:

„ძმაო ნავო! საფლავთ შორის — სთქვი — სიხარულს ვინ ეძებს.

აი ეს ზღვა გადაშლილი, გადახედვ იალქნებს!

რა ეუყოთ, რომ აქ ზოგიერთს შავი ბედი ხედომია.

ეთქვათ, ცხრა ვერა, — მეათე ზომ შორ ნაპირს მისდგომია.

ვის მიზანი არ ჰქონია, ზღვა ვერ დაუძლევია,

ვერასოდეს ნაპირისთვის ველარ მიუხწევია.

ზღვაც ზომ მუდამ არ ბობოქრობს. ხშირად იგიც ჩუმდება.

ინუგეშე: ჭარშიც ყველა ნავი არ ილუპება.

და ვინ იცის — შეიძლება სწორედ შენი ჯერია:

იმ მიზნების ასრულება იქნებ შენ გიწერია.

თარგმანი ლკრაინულიდან  
იანაშანიძე.

შალვა დადიანი  
აღ. გურთიკაშვილი

## ლადო კახოველი

თავი მეოთხე

### კახოველი კიევის სამინარიაში

საახალწლო არდადეგები დაიწყო. 20 დეკემბრიდან 7 იანვრამდე სწავლა შეწყვეტილია. ქალაქებიდან მოსწავლენი დაიძრნენ სოფლებისაკენ. მიდიან სახლებში—ორი კვირით უბრუნდებიან მშობლიურ კერას, თავისუფლად გაინავარდებენ ტოლბიჭებში, სიყვარულის მეგობრებთან თოვლის გუნდაობით გახურებულნი და სახე-აწითლებულნი მოგიზგიზე ბუხართან გაითბობენ დამძრალ ფეხებს, წყალზე გარეკავენ საყვარელ ნიკორას, შვინდას, დაკუტებულ პურის ნატებს მიუგდებენ ერთგულ მურას, ახალწლის ღამეს გოზინაყით და მურაბებით გაიტკბანურებენ პირს, აქა-იქ მოზრდილნი საფანტოთ ვატენილ ჩახმახიან თოფებს დასცლიან და ძველ წელიწადს გააცილებენ. მიემგზავრებიან სახლებში მზიარულნი, ცელქნი, აბეზარნი და კრავივით წყნარნიც. ზოგს თუ უბით მიაქვს მშობლებთან ოთხად დაკეცილი ქალაღში გამოხვეული ნიშნები, ხუთიანებით და ოთხიანებით აჭრელებული, ბევრს სამიანებიც ენატრებოდა და კარგი მახარობელი ვერ იქნებოდა მომლოდინე დედისა.

ზაქარია კახოველიც საახალწლო არდადეგებზე მოელის თავის ხუჭუჭა. უკვე დავაჯაცებულ ბიჭს. მამის ყურამდე მიალწია სემინარიაში მომხდარმა არეულობის ამბავმა. წინათგრძნობა კარგ ფიქრზე არ აყენებს მოხუცს ზაქარიამ კარგად იცის, რომ თუ სკოლაში მეფის მთავრობისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ რაიმე გამოსვლა მოხდება, არ შეიძლება, რომ ლადო პირველთაგანი არ იყოს. იცის მამამ და გულის ფანცქალით მოელის შვილს. ასრულდა ზაქარიას ნატვრა, 1893 წ. დეკემბრის მიწურულში ლადო ტყვიავს დაუბრუნდა სემინარიიდან გამორიცხული „მგლის ბილეთით“ თბილისიდან გამოდევნილი, როგორც აქტიური ხელმძღვანელი სემინარიაში მომხდარი გამოსვლებისა. შვილის ჩამოსვლამ გაახარა მშობელი, მაგრამ თანაც მწარე ფიქრები აღუძრა. სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა იმ ფიქრს, რომ „კურსოვნიკი“ შვილი როდესმე მამის ადგილს დაიჭერდა.

ბრძოლის ასპარეზი შემოიფარგლა ლადოსათვის, ცენტრს მოაშორეს და ტყვიავში უნდა გაატაროს თავისი ახალგაზრდობა.

ბავშვობიდანვე შეჩვეული ლადო ეხმარება მამას მეურნეობაში და მთელ თავისუფალ დროს პოლიტიკური წიგნების კითხვაში ატარებს და მომავალი ბრძოლისათვის თეორიული ცოდნით იარაღდება, დროდადრო თავის დღიურს

<sup>1)</sup> დასაწყისი იხ. „მნათობი“ № 9.

უმჯრუნდება და შთაბეჭდილებებით ავსებს მას. მამას თუ შვილი დამჯრუნდა, ტოლებს გულის მესაიდუმლე, სიტყვის მეგობარი ეწვიათ. *ერკუნულე*

როცა ლადო სოფელ ტყვიავში ბრუნდებოდა, ჩემს სუბელურს სხედვარი არა ჰქონდაო, — ამბობს 70 წლის მოხუცი, დამკვრელი კოლმეურნე გივა ჩიხლაძე. ლადო ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა გულითადი მეგობარი ვყოფილიყავით. როცა ლადო ტყვიავში მოდიოდა, მე სიხარულისაგან ცას ვეწეოდი ხოლმე. მოგვიყრიდა ახალგაზრდებს თავს და მრავალ საინტერესო ამბავს გვიამბობდა. ლადო იყო ჩვენი თვალის ამხელი, ჩვენი მასწავლებელი. მე ხომ სკოლის კარები არ მინახავს, ლადოს დახმარებით შევისწავლე წერა-კითხვა, და განა მარტო მე: ჩემ ტოლებს ლადომ აღუძრა წიგნისადმი სიყვარული. ლადო ხშირად დაგვსხავდა ხოლმე ბიჭებს ხის ჩრდილში და წიგნებს გვიკითხავდა. ძალიან დაგვიანტერესა ბიჭები კაკო ყაჩაღის ამბავმა. როცა ლადო გვიკითხავდა, მაგონდება, დავცქეროდი წიგნებს, თვალეები მიჭრელდებოდა და დავნატროდი ლადოს, რომელიც ასე კილოიანად გადმოგვეცემდა კაკოს და ზაჭროს თავდადასაყალს. ყოველთვის მე ხომ ვერ წავიკითხე წიგნებს, შენც უნდა გაისარჯო და წერა-კითხვა ისწავლო, მითხრა ლადომ. ნუ გეშინიან, ადვილი საქმეაო. ამ სიტყვებმა გამამხნევებს, — იგონებს მოხუცი. — მეორე დღეს ლადომ მომიტანა რვეული და ქართული ანბანი ჩამომიწერა. სულ მცირე დროში შემასწავლა წერა-კითხვაო, — ამთავრებს თავის მოგონებას მოხუცი კოლმეურნე.

ცხრა თვეს დაჰყო ლადომ თავის მშობლიურ სოფელ ტყვიავში, მართალია, თბილისის მოაშორეს, მაგრამ კავშირი ცენტრთან არ შეუწყვეტია და მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული თავის ამხანაგებთან, მისებრ „მგლის ბილეთთან“ პირებთან. სწავლის წყურვილით აღჭურვილი ჰაბუკი 1894 წლის აგვისტოს გაემგზავრა ქალაქ კიევის და მოახერხა კიევის სასულიერო სემინარიაში შესვლა.

კიევის სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ იოანიკის მიერ 1894 წ. სექტემბრის თარიღით დაწერილ კერძო წერილიდან, რომელიც მას გამოუგზავნია თბილისის სემინარიის მოძღვრის დავით ბერძინაშვილისათვის (შემდგომში არქიმანდრიტი დოსითეოსი), ეტყობილობთ, რომ 1894 წელს კიევის სემინარიაში თბილისის სემინარიიდან 1893 წელს გამოირიცხულ მოწაფეებისგან მიუღიათ მჭედლოვი (მჭედლიშვილი) და მგელაძე (მეექვსე კლასში), ყიფშიძე (მეხუთე კლასში), ლეყავა და ოქროპირიძე (მეოთხე კლასში), ლადო კეცხოველი (მესამე კლასში). 1894 წლის სექტემბერს ლადო კიევის სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოწაფეა. კიევის სემინარია დიდად არ განსხვავდებოდა თბილისის სემინარიისაგან. იგივე სქოლასტიკური სწავლების მეთოდი, სულის შემხუთველი ყაზარმული რეჟიმი, კულტის მსახურთა თავაშვებული თარეში და ყოველივე „კრამოლის“ აღმოფხვრა რეგოლუციურად განწყობილ მოსწავლეთა შორის. ან რა განსხვავება უნდა ყოფილიყო, როცა დასაბამი ერთი იყო, როცა სათავე აშმორებული და ამყარებული იყო და რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის ყველა სასწავლებელს ერთი მიზანი ჰქონდა: — ძირმომპალი ტახტის ერთგულ მოხელეთა აღზრდა, სამოქალაქო დარგში იქნებოდა ეს თუ სასულიერო დარგში.

რექტორების და მათი დამქაშების რეპრესიებმა ვერ შეანელეს და ვერ ჩაახშეს ის ძლიერი გრივალი, რომელიც მთელ რუსეთს მოედო და სემინარიების კედლებშიაც შეიჭრა. კიევში, ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა სამრე-

წველო ცენტრებში, იმ პერიოდში, როცა კეცხოველი სემინარიაში იმყოფებოდა, მრავალი არალეგალური რევოლუციურ-მარქსისტული წრეები არსებობდა. კეცხოველი ერთი ასეთი წრის თვალსაჩინო წევრი ხდება და მისი მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. ეს ის პერიოდი იყო, როცა მამინდელ პეტერბურგში დაბრუნებული ლენინი კავშირს აბამს სოციალ-დემოკრატების ჯგუფთან, რომელიც პეტერბურგის მუშათა შორის საპროპაგანდო მუშაობას ეწეოდა.

„ლენინის პირველმავე გამოსვლებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს პეტერბურგის მარქსისტული წრეების მონაწილეებზე. მარქსის არაჩვეულებრივად ღრმა ცოდნა, მამინდელ დროის რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებისადმი მარქსიზმის მიყენების უნარი, მხურვალე, ურყევი რწმენა მუშათა საქმის გამარჯვებისადმი, შესანიშნავი ორგანიზაციული ნიჭი, — ყოველივე ეს ლენინის პეტერბურგელი მარქსისტების აღიარებულ ხელმძღვანელად ხდიდა.

ლენინი მხურვალე სიყვარულით სარგებლობდა მოწინავე მუშებში, რომლებთანაც იგი მეცადინეობდა წრეებში.

ჩვენს ლექციებს, — იგონებდა მუშა ბაბუშკინი მუშათა წრეებში ლენინის მეცადინეობის შესახებ, — მეტად ცოცხალი, საინტერესო ხასიათი ჰქონდათ, ჩვენ ყველანი მეტად კმაყოფილნი ვიყავით ამ ლექციებით და მუდამ აღტაცებაში მოვყავდითო ჩვენი ლექტორის გონებას“.

1895 წელს ლენინმა პეტერბურგში გააერთიანა ყველა მარქსისტული წრე (მათი რიცხვი დაახლოვებით უკვე 20-ს უდრიდა) ერთ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად“. ამით მან მოამზადა რევოლუციური მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნა“ („საქ. კ. პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“, მე-21 გვ.)

პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი“ მომავალი ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებელი იყო. ამ კავშირმა ძლიერი ბიჭვი მისცა გაერთიანებულოყენენ ასეთივე წრეები სხვა ქალაქებშიაც — მოსკოვში, კიევში, ივანოვო-ვოზნესენსკში და სხვაგან.

კიევის წრეები დაკავშირებული იყვნენ პეტერბურგთან და თავიანთ მუშაობას წარმართავდნენ იმ დირექტივების მიხედვით, რომლებსაც ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებელი დიდი ლენინი იძლეოდა.

„ლენინი „ბრძოლის კავშირის“ წინაშე აყენებდა ამოცანას — უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა მუშათა მასობრივ მოძრაობას და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის. ლენინმა წამოაყენა წინადადება პროპაგანდისტულ წრეებში თავმოყრილი მოწინავე მუშების მცირე რაოდენობას შორის მარქსიზმის პროპაგანდიდან მუშათა კლასის ფართო მასებს შორის საჭირობოროტო პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის შესახებ. ამ მობრუნებას მასობრივი აგიტაციისაკენ სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში მუშათა მოძრაობის შემდგომ განვითარებისათვის“ („საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 21—22).

ლადო კეცხოველის კიევში ჩასვლის სამი თვის წინათ კიევის პროლეტარიატმა პირველად მოაწყო საპირველმასის დემონსტრაციაზე გამოსვლა და ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკური ლოზუნგებიც წამოაყენა. წრეებმა გააჩაღეს მუშაობა, ისინი მტკიცე კავშირს ამყარებდნენ „პეტერბურგის ბრძოლის კავშირთან.“ ამ პერიოდში ლენინი სწერს თავის შესანიშნავ შრომას: „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორც ამოზენ ისინი სო-

ციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" ამ წიგნში ლენინმა სასოველითაა დასაბუთებულად დაამტკიცა, რომ ნაროდნიკებს და ამხილა მათი ნამდვილი სახე, როგორც ხალხის ყალბი „მეგობრებისა“.

„90-იანი წლების ნაროდნიკებმა არსებითად დიდხანაია ხელი აიღეს მეფის მთავრობასთან ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე. ლიბერალური ნაროდნიკები ჰქადაგებდნენ მეფის მთავრობასთან შერეობას. „მათ ისე ჰგონიათ, — სწერდა ლენინი მაშინდელი დროის ნაროდნიკების შესახებ, — რომ თუ ამ მთავრობას კარგად და უფრო ალერსიანად სთხოვენ, მას შეუძლიან ყველაფერი კარგად მოაწყოს“ (ლენინი, ტ. I, გვ. 161).

90-იანი წლების ნაროდნიკებს არ უნდოდათ შეეშინიათ ღარიბების მდგომარეობა სოფლად, კლასობრივი ბრძოლა სოფლად, კულაკების მიერ ღარიბების ექსპლუატაცია და ხოტბას ასხამდნენ კულაკურ მეურნეობათა განვითარებას. ისინი არსებითად გამოდიოდნენ, როგორც კულაკობის ინტერესთა გამომხატველნი.

ამავე დროს ნაროდნიკები თავიანთ ჟურნალებში აწარმოებდნენ დევნას მარქსისტების წინააღმდეგ. ნაროდნიკები შეგნებულად ამახინჯებდნენ, ასხაფერებდნენ რუსეთის მარქსისტთა შეზღუდულებებს და ირწმუნებოდნენ, ვითომ მარქსისტებს უნდათ სოფლის გაჩინაგება, ვითომ მარქსისტებს უნდათ ყოველი გლეხის „გამოხარშვა ფაბრიკის ქვაბში“. ამხელდა რა ამ ყალბ ნაროდნიკულ კრიტიკას, ლენინმა გვიჩვენა, რომ საქმე მარქსისტების სურვილებში კი არ არის, არამედ რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილ მსვლელობაში, რომლის დროსაც პროლეტარიატის რაოდენობა გარდაუვლად მატულობს, ხოლო პროლეტარიატი კაპიტალისტური წყობილების მესაფლავე იქნება.

ლენინმა გვიჩვენა, რომ ხალხის ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც სურთ მოსპონ კაპიტალისტური და მემამულური ჩაგვრა, მოსპონ ცარიზმი, არიან არა ნაროდნიკები, არამედ მარქსისტები.

ლენინმა თავის წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ პირველად წამოაყენა იდეა მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირისა, როგორც ცარიზმის, მემამულეების, ბურჟუაზიის დამხობის მთავარი საშუალებისა“ („საკ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“. გვ 25).

ლენინის შრომა „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, როგორც ვიცით, დაიბეჭდა ჰექტოგრაფიაზე 1894 წლის აპრილში თუ მაისში. არალეგალურ პირობებში ჰექტოგრაფზე დიდი რაოდენობით ვერ დაიბეჭდებოდა, მოთხოვნილება კი დიდი იყო. ეს ბროშურა ხელიდან ხელში გადადიოდა და წრის წევრები ისე ეცნობოდნენ ამ გენიალურ ნაშრომს. საჭირო გახდა რამდენჯერმე გადაბეჭდვა ამ წიგნისა და, როგორც მ. მოგილიანსკი იგონებს „ბილეთს“ 1924 წლის № 21-ში, „ხალხის მეგობრები“ 1894 წ. გადაბეჭდილ იქნა ჰექტოგრაფზე ჩერნიგოვის გუბერნიის მორუნის მაზრაში 100 ეგზემპლარის რაოდენობით; აქედან ნაწილი მოსპობილ იქნა იმ შიშით, რომ პოლიციას არ ჩავარდნოდა ხელში, 10 ეგზემპლარამდე გავრცელებულ იქნა ჩერნიგოვსა, კიევისა და პეტერბურგში.

კიევის მარქსისტული წრეები გაეცვენ ამ ბროშურას, და ლადო კეცხოველი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კიევის არალეგალურ წრეებთან და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მათში, უეჭველია გაეცნო ლენინის ამ შრომას. შემდეგში, ლადოს რევოლუციური მუშაობის, დროს, არა ერთხელ გამოაშკარავდა, რომ მას საფუძვლიანად ჰქონდა შეთვისებული ლენინის ის



ლქმა მარქსისტული იდეები და დებულებები, რომლებიც ნაწილად იყო/ მი-  
ცემული ამ შრომაში.

სემინარიის ფისკალები თვალყურს ადევნებდნენ კეცხოველის მოქმედებებს.  
არქიმანდრიტი იოანიკი, სემინარიის რექტორი, კიევის სასულიერო სემინარიაში  
დანიშნვამდე თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად იყო. მან კარგად  
იცოდა, თუ რა შეუპოვარი მებრძოლი იყო კეცხოველი ჯერ კიდევ თბილისის  
სემინარიაში ყოფნისას. იცოდა მან ისიც, რომ თბილისის სემინარიის მოსწავ-  
ლეთა გამოსვლების სულის ჩამდგმელი კეცხოველი იყო, და ფისკალები მიუ-  
ჩინა: მის ყოველ ნაბიჯს ფასიანი თუ მოხალისე ჯაშუშები ადევნებდნენ  
თვალყურს.

სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ილიაშვიტი 18 მარტს მოულოდნე-  
ლად თავს ესხმის კეცხოველის ბინას. გაჩხრეკისას კეცხოველს უპოვნეს: 1) შე-  
ღუგუნოვის თხზულებათა მე-2 ტომი, 2) ძველი და ახალი ეტიუდები ნ. კა-  
რევის ეკონომიური მატერიალიზმის შესახებ, 3) ფურნალ „რუსკაია მისლის“  
1896 წ. მარტის ნომერი, 4) „მფრინავი ფურცლები“, № 28 — თავისუფალი  
რუსული პრესის ფონდის გამოცემა ლონდონში, 5) ხელნაწერი რვეული სათაუ-  
რით: „რის გულისთვის ვიბრძვით ჩვენ“, 7) ხელნაწერი რვეული, დაწერილი  
კეცხოველის ხელით, წარწერით „ნაროდნოე პრავოს“ გამოცემა, 8) ხელნა-  
წერი რვეული სათაურით: „საქმე კაპიტანის ქალიშვილის ვერა ზასულიჩისა,  
რომელსაც ბრალად ედება პეტერბურგის გრადონაჩალნიკის გენერალ ადიუტან-  
ტის ტრეპოვის მკვლელობის ცდა“ და სხვა.

24 მარტს რექტორი იწვევს სემინარიის გამგეობის სასწრაფო სხდომას,  
რომელიც ადგენს—გარიცხულ იქნეს სემინარიიდან მეოთხე კლასის მოსწავლე  
ვლადიმერ კეცხოველი საძრაბისი ყოფაქცევისათვის. სემინარიის წმინდა მა-  
მებს საძრაბის ყოფაქცევად მიიჩნედათ მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნე-  
ბა, და იმ პირს როგორ გააჩერებდნენ სასწავლებლის კედლებში, ვინც „დაბა-  
დების“, „კატეხიზმოს“ და „სამოციქულოს“ ნაცვლად აკრძალულ „მფრინავ  
ფურცლებს“ კითხულობდა და ავრცელებდა.

სემინარიის გამგეობა ოქმის ამონაწერს უგზავნის კიევისა და გალიციის  
მიტროპოლიტს და ეს უკანასკმელი 3 აპრილის თარიღით (№ 1162) ამტკიცებს  
კეცხოველის გარიცხვას სასწავლებლიდან.

სემინარიის გამგეობამ 8 აპრილს მიიღო მიტროპოლიტის რეზოლუცია  
კეცხოველის გარიცხვის შესახებ. არქიმანდრიტი იოანიკი მეორე დღესვე თავის  
ფეხით ეახლა კიევის საგუბერნიო ენდარმთა სამმართველოს და წერილობით  
ამცნო კეცხოველის გარიცხვის ამბავი, თანაც გადასცა ჩხრეკის დროს აღმოჩე-  
ნილი არალეგალური ლიტერატურა.

10 აპრილს კეცხოველი დაბატონრებულ იქნა კიევის ენდარმთა სამმარ-  
თველოს მიერ. იმავე დღეს ჩვენება ჩამოართვეს. ენდარმთა როტმისტრის ბაი-  
კოვის დადგენილებით, ძველი კიევის უბნის ბოქაულს 12 აპრილს კეცხოველი  
გადაჰყავს საპატიმროში და, როგორც კიევის ციხის უფროსის 12 აპრილის  
(№ 2259) მიმართვიდან ირკვევა, რომელიც გავგზავნა თბილ. გუბ. ენდარმთა  
სამმართველოს უფროსს, კეცხოველი მოთავსებულ იქნა კიევის საპატიმროს  
პოლიტიკური განყოფილების მე-11 კამერაში.

ენდარმერია შეეცადა შეეტყო, ვისთან იყო დაკავშირებული კეცხოველი  
და საიდან იღებდა არალეგალურ ლიტერატურას. მედგარმა მებრძოლმა კეც-  
ხოველმა პირველ დაკითხვისთანავე თავგზა აუბნია ენდარმერის: „საქმე კა-

პიტანის ქალიშვილის ვერა ზასულიძის შესახებ“ თბილისში ვიცილდნენ ფეხზე მოვაქრეთა ბაზარში, ხოლო დანარჩენი ლიტერატურა მივედგენილად უცნობ კაცი საგან კიევის უნივერსიტეტის შენობაში, მოძრავ გამოფენაში.

ქანდარმერიისთვის აშკარა ვახდა, რომ საქმე ჰქონდა ახალგაზრდა, მაგრამ ისეთ გამობრძმედილ რევოლუციონერთან, რომლისაგანაც ამ უცნობი პირის ვერც ნამდვილ სახელს ვაიგებდა და ვერც მის ნიშანს და კვალს წააწყდებოდა. კეცხოველს ჩხრეკის დროს უპოვენეს ქართულ ენაზე დაწერილი რეკულებიც. კიევის ქანდარმთა სამმართველო 1896 წლის 1 მაისის (№ 1386) მიმართვით ხელნაწერებს უგზავნის თბილისის გუბერნიის ქანდარმთა სამმართველოს და სთხოვს, გადასთარგმნონ ეს ხელნაწერები რუსულ ენაზე, რათა გამოჩეხება სახელმწიფოებრივი დანაშაულის ბრალდებაში მხილებულის კეცხოველის შესახებ დროულად დამთავრდესო.

კიევის საპატიმროში სამ თვეს ამყოფეს ლადო. 1896 წლის 27 ივნისს ქანდარმთა კორპუსის როტმისტრმა ბაიკოვმა მოახსენა თავის უფროსს, რომ ელადიმერ ზაქარაიას-ძე კეცხოველი, რომელსაც წაყენებული ჰქონდა ბრალდება სასჯელთა დებულების 25-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სისხლის სამართლის წესდების 416-ე მუხლის თანახმად, მიცემულია პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მამის საცხოვრებელ ადგილზე, სოფელ ტყვიავში, „რის შესახებაც, მის ჩასაყვანად აღნიშნულ საცხოვრებელ ადგილზე, მე ვაცნობე ბ-ნ კიევის პოლიცმესტერს ამა 28 ივნისს, № 22 მიმართვით.“

1896 წლის შემოდგომიდან 1897 წლის აგვისტომდე ლადო სოფელ ტყვიავშია მამის ოჯახში. როგორც პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფს, ლადოს ევალეზობდა ორ კვირაში ერთხელ გამოსცხადებოდა ტყვიავის მახლობლად მდებარე ბოჭაულის კანცელარიას და მიეცა ხელწერილი, რომ იგი ტყვიავიდან არსად არ გავიდოდა.

დაუდგრომელი ბუნების პატრონს ლადოს პოლიციის ზედამხედველობა რას შეაფერხებდა და იგი ტყვიავში ყოფნისასაც უშეშრად ებრძოდა ყოველ უკუღმართობას, რაც მაშინ თავზე ჰქონდა დატეხილი გლეხობას. ლადოს დროინდელი სოფელი პოლიციური რეჟიმის ქვეშ კენესოდა.

სამაზრო სამმართველოებად დაყოფილი მაშინდელი გუბერნიები თავის მხრივ საბოჭაულოებად იყო დანაწილებული. ბოჭაულები თავიანთი „ურიადნიკებით“ და „სტრაენიკებით“ სოფლის ბატონ-პატრონები იყვნენ. სოფლებს უშუალოდ განაგებდნენ მამასახლისები, რომელთა არჩევის უფლებაც ფიქტიურად სოფლის ყრილობას ჰქონდა მინიჭებული. არჩევენებს მაზრის უფროსი ამტკიცებდა და კანდიდატებსაც მაზრის უფროსი და ბოჭაული თავიანთ ერთგულ ბობოლა გლეხებიდან წამოაყენებდნენ ხოლმე.

„ტყვიავის სამამასახლისოში 11 სოფელი შემოდიოდა, — იგონებს ლადოს თანამესოფლე მოხუცი კოლმეურნე ლეჟსო წიქარიძე—მამასახლისის ასარჩევად გლეხებმა სამჯერ მოიყარეს თავი, მაგრამ მაზრის უფროსმა მოსვლა არ ინება და სამჯერ ჩაშალა არჩევნები. ბოლოს მაზრის უფროსი, როგორც იქნა, მოვიდა. შეიკრიბნენ 11 სოფლის გლეხები. ლადო მაშინ თბილისიდან ახალი ჩამოსული იყო და ისიც მოვიდა კანცელარიაში. გლეხებს ძალიან გაეხარდათ მისი მოსვლა. ლადო ჩემს გვერდით დაჯდა და მითხრა, მაზრის უფროსი რომ შემოვა, ფეხზე არ ადგეო. კანცელარიაში შემოვიდა მაზრის უფროსი. ლადო და მე ფეხზე არ ავმდგარავართ. ეს რომ შენიშნა მაზრის უფროსმა, დამიძახა და ლადოზე მკითხა ვინ არისო ის კაცი, ვუთხარო, ვინც იყო. მან ხელი ჩაიჭნია. მამა-

სახლისობის კანდიტატებად გიორგი გიუნაშვილი და პეპა გიუნაშვილი იყვნენ წამოყენებული. მაზრის უფროსმა პეპა გიუნაშვილს დაუყვირა, დაიკარგე აქედანო, და შემდეგ ხალხს გადასცა, ეს არ აირჩიოთ მამასახლისადო! ამაზე გაბრაზდა ლადო და მაზრის უფროსს ხმაშლიდა მიმართა: რა თქვენი საქმეა, ხალხი მამასახლისად ვის აირჩევსო. თუ ჩემი საქმე არ არის, აბა შენ აირჩიეო, დაიღრიალა მაზრის უფროსმა. შემდეგ გაბრაზებულმა კიბეები ჩაირბინა და ეტლში ჩაჯდა. ლადო წინ გადაუდგა და უთხრა, ამას გუბერნატორს ვაცნობებ, შენ 11 სოფლის გლეხები ოთხჯერ მოიწვიე და მამასახლისი მაინც არ აარჩევინეო. შემდეგ, როგორც იქნა, მაზრის უფროსი მობრუნდა უკან, არჩევნები ჩატარდა და ასე დავემარცხეთ მაზრის უფროსი“ (ვაზ. „კომუნისტი“, 1938 წ. 30 აგვისტოს ნომერი).

სოფლად მყოფი ლადო მშრომელი გლეხობის გულის მესაიდუმლე იყო, მათი დამრიგებელი, მასწავლებელი, ჭირისა და ლხინისა გამზარებული. სადაც კი ლადო გამოჩნდებოდა, ხალხიც მის გარშემო იკრიბებოდა და ვატაკებით ისმენდა ლადოს მგზნებარე სიტყვებს. ბატონყმობა დიდხნის გადავარდნილი იყო, მაგრამ უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხები მიწებს ლალით იღებდნენ თავადებისაგან და ფაქტიურად მონობის ულელი არ ჰქონდათ მოხსნილი, ისინი თავადებისათვის მუშაობდნენ. „მიწინ ასეთი წესი იყო. გლეხებს თავად ქრისთავების ბალ-ვენახებში კვირაში 3-4 დღე უსათუოდ უნდა ემუშავნათ. ერთ დღეს ლადომ მითხრა, — იგონებს იგივე ლექსო წიქარიძე, — ჩვენი სოფლის თავადები თავს გავიდნენ, გლეხკაცი ადამიანად არ მიაჩნიათ. ნუ იმუშავებენ მათთან უფასოდ და სხვებიც გააფრთხილეო. ერთ-ორ გლეხს ვუთხარი, დღეს თავადთან ნუ წახვალთ სამუშაოდ-მეთქი. ჩემმა სიტყვამ გასჭრა. დამიჯერეს. მხოლოდ ჩემმა ქვისლმა — ურჯუმელაშვილმა (რომელიც მკვიდრი ტყვიაველი არ იყო და ზედსიძედ იყო) არ დამიჯერა და წავიდა სამუშაოდ მიხეილ ერისთავის ყანაში. ურჯუმელაშვილი დევივით კაცი იყო, მიწის ბარეაში ყველას წინ გაუსწრო. ამაზე თავადი გაბრაზდა, როგორ თუ ვილაც მოთრეულმა ადგილობრივი გლეხები დამიხაგრაო (ვითომ გლეხებს გამოეპარჩლა) და დიდი კეტი დაარტყა თავში. სისხლმა შადრევანივით იფეთქა. ურჯუმელაშვილი იქვე ჩაიკეცა. გლეხებმა სახლში მიიტანეს. ეს ამბავი მაშინვე ლადოს ვაცნობე. ლადო წამოძვია. ჩვენს ეზოში გლეხები ირეოდნენ, ქალების მოთქმა-კვილი ქვასაც ატირებდა. ლადო მოვიდა ურჯუმელაშვილიდან და ჰკითხა: რად წახვედი თავადთან სამუშაოდ, რა გემართა იმის? შემდეგ გლეხებს მიუბრუნდა და ელაპარაკა, თუ როგორ მოჰქცეოდნენ თავადებს. ურჯუმელაშვილი ერთ კვირაში გარდაიცვალა. ლადოს მგზნებარე სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტრია ჩვენზე“ („კომუნისტი“ 1938 წ. 30 აგვისტოს ნომერი).

1897 წლის აგვისტოს ლადო საცხოვრებლად გადადის სოფელ ჯავაში (სამხრეთ ოსეთში). როგორც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი, იგი ვალდებული იყო ორ კვირაში ერთხელ მეჯვრისხევში გამოცხადებულიყო და ხელი მოეწერა, რომ არ გავიდოდა სხვაგან. ორ თვეს დაჰყო ლადომ ჯავაში და ამ მცირე დროის განმავლობაში მშრომელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. ბინად ლადო სანაკოევთან სცხოვრობდა და როგორც ამ უკანასკნელის მოგონებებიდან სჩანს დიდად საწყინად დარჩა სოფლის მშრომელ მოსახლეობას ლადოს ჯავადან წასვლა.

ენერგიით სავსე, უკვე დავაგაკცებული რევოლუციონერის ბუნება ტყვიავით ვერ დაკმაყოფილდებოდა. მართალია, ჩვენი ქვეყნის ამ პატარა კუთხე-

შიაც სამკალი დიდი იყო და ლადო ერთ წუთსაც უმოქმედოდ არ ყოფილა, მაგრამ მისი ფართო, მგზნებარე ბუნება დიდი საქმისათვის იყო მოწოდებული, ლადოს თავისი მუშაობა უნდა გაეჩაღებინა იქ, სადაც ახლანდელმა მომდგარი პროლეტარიატი სამკედრო-საციკოცხლო ბრძოლებსათვის ემზადებოდა, კაპიტალისტების და მისი დასაყრდენი ძალის მონარქიის წინააღმდეგ.

კოცონი ინთებოდა, იგი ხანძრად უნდა გადაქცეულიყო, განმანთავისუფლებელი მოძრაობის სიო მოპქროდა რუსეთიდან და იგი გრივალად გადაქცევას აპირებდა. ამ დიდ ხანძარს და გრივალს თავგანწირული მებრძოლნი სჭირდებოდნენ და ლადოც იმათგანს ეკუთვნოდა, ვინც მზად იყო გაჩენილიყო იქ, იმ ფრონტზე, სადაც მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვენენ ყოფნას. ეს ამოქმედებდა ლადოს, როცა მამის მყუდრო ბინა მიატოვა, პოლიციის ზედამხედველობას დაეშალა და 1897 წლის სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა.

### თავი მესამე

## კაცოველი თბილისში

სემინარიის მოსწავლეთა გამოსვლების ორგანიზატორი 1893 წლის დეკემბერს, თბილისიდან პოლიციის მიერ განდევნილი, ოთხი წლის შემდეგ კვლავ უბრუნდება ლადო საქართველოს ცენტრს თბილისს. თუ 1891 წელს სწავლის წყურვილით აღჭურვილმა ყრვამ ფეხი შესდგა სემინარიის კედლებში, ახლა 21 წლის ჰაბუკს, ბრძოლებში უკვე გამობრძმედილს, სულ სხვა მიზნები მოუწოდებდნენ თბილისისაკენ.

სწავლა უკვე დიდიხანა მოათავებინეს. მართალია, სიმწიფის მოწმობის ნაცვლად, ორჯერ ხელში „მგლის ბილეთი“ მისცეს, მაგრამ ცხოვრებამ, განვლილმა ბრძოლებმა იმდენი რამ შეასწავლეს ლადოს, რომ სიმწიფის მოწმობა აღარ სჭირდებოდა იმისათვის, რომ მტლად დასდებოდა იმ დიდ მიზანს, რომელსაც მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე ეწოდებოდა.

ბჭოლის ასპარეზი დიდი იყო. ნიადაგს გაკაფვა სჭირდებოდა და ლადოც ერთი იმ ფალავანთაგანი იყო, რომელიც მზად იყო თავისი მყარდით გაერღვია ის ზღუდები, რაც კი წინ შეეხებებოდა.

ლადო თბილისში იმ პერიოდში მოხვდა, როცა მთელს რუსეთში მუშათა კლასი წელში იმართებოდა და მომავალი ბრძოლებისათვის ირანზმებოდა. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა პროლეტარული კლასის ჩამოყალიბება.

საქართველო, ისევე, როგორც მთელი ამიერ-კავკასია, როგორც რუსეთის იმპერიის კოლონიური ქვეყანა მისი კაპიტალისტური განვითარების საერთო სისტემაში მოექცა „...რუსული კაპიტალიზმი კავკასიას ითრეედა მსოფლიო სასაქონლო მიმოქცევაში, ათანასწორებდა მის ადგილობრივ თავისუფლებებს, — ძველი პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთებს, — ჰქმნიდა ბაზრებს თავისი ფაბრიკისათვის“. (ვ. ლენინი, — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. თხზულებანი, ტ. III, გვ. 464), თუ 1835 წლის ოფიციალური სტატისტიკური შიშობილივით, „საქართველოში არ არის ფაბრიკები, გარდა თბილისის აბრეშუმის სახევისა“, იმავე ოფიციალური ცნობებით, მაშინდელ თბილისის გუბერნიაში 1858 წელს უკვე წერილი ტიპის 239 ფაბრიკაა, რომელთა წლიური პროდუქციაც 512,3 ათას მანეთს აღწევს. ხოლო 1865 წელს ამ ფაბრიკების პროდუქცია 1.204 ათას მანეთს აღწევს. დიდი ეკონომი-

ური მნიშვნელობა ჰქონდა გზათა მშენებლობის დაწყებას ამერიკაში. 1860 წელს რუსეთის კაპიტალი შეუდგა თბილის-ფოთის რკინისგზის მშენებლობას, რომელიც დამთავრებულ იქნა 1871 წელს. 1883 წ. დასრულდა ბაქო-ბათუმის რკინისგზა, რამაც ხელი შეუწყო ქიათურის მარგანცის კაპიტალიზაციას.

1895 წელს ქიათურის მალარობში უკვე 2687 კაცი მუშაობდა. ამაზე ადრე გაფართოვდა ტყიბულში ქვანახშირის ამოღება. თუ 1847 წელს ამოღებულ იქნა მხოლოდ 700 ტონა ქვანახშირი, 1880 წელს ქვანახშირის ამოღება უკვე 10 ათას ტონას აღწევს. 1878 წელს მოეწყო ბათუმის ნავთსადგური, ხოლო 1890 წელს იქ უკვე 10-ზე მეტი დიდი სამრეწველო იყო.

კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა მისი მუდმივი თანამგზავრის, პროლეტარული კლასის ჩამოყალიბება და მისი მოწინავე კოლონების ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლა. ცხოვრების ახალ დღეში იზრდება მუშათა მოძრაობა და ნიადაგს უმზადებს მარქსიზმის დიადი რევოლუციური იდეების გავრცელებას. „მარქსიზმის პირველი თესლი შემოტანილ იქნა ამერიკაში 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ერთის მხრივ, მეფის მთავრობის მიერ რუსეთის ცენტრალურ რაიონებიდან გადმოსახლებულ რუს სოციალ-დემოკრატების მიერ (იოსებ კოვანი, ივანე ლუზინი, გ. ფრანჩესკი და სხვა) და, მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ ნამყოფ ქართველ ლეგალურ მარქსისტების მიერ (ნოე ჯორდანი, კარლო ჩხეიძე და სხვა).

პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში „მესამე დასი“ იყო.

90-იან წლებში სამოქმედოდ გამოსულ ახალგაზრდობას, რომელიც მარქსიზმს ჰქადაგობს, მწერალმა-პუბლიცისტმა გ. წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა. პირველად ეს სახელწოდება მან იხმარა ეგნატე ნინოშვილის საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში. „მესამე დასი“ მან უწოდა ეგნატეს და იმ ახალგაზრდებს, რომელნიც ეგნატე ნინოშვილის საფლავთან შეკრებილიყვნენ და ახალი გზით აპირებდნენ ძველ თაობასთან შებრძოლებას.

„გიორგი წერეთელი, როცა ამ ახლად აღმოცენებულ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას „მესამე დასი“ უწოდებდა, სთვლიდა, რომ ახალი თაობა — მარქსისტული ახალგაზრდობა — წარმოადგენდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენციის ორი წინანდელი პოლიტიკური მიმართულების საქმის განმგრძობს: ფეოდალურ-პროგრესული მიმართულებისა, მწერლის ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, და ბურჟუაზიულ-პროგრესიული მიმართულებისა, თვითონ გ. წერეთლის მეთაურობით. მისი აზრით, ახალი მიმდინარეობა ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური მემკვიდრე უნდა ყოფილიყო“) „მესამე დასი“ საქართველოში პირველი მარქსისტული ჯგუფი იყო. იგი, როგორც ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 1893 წელს. მესამე დასელებმა თავიანთ ორგანოდ გაიხადეს საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ ყოველკვირეული დამატება „კვალი“, რომლის ოფიციალური რედაქტორიც იყო გიორგი წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი — წერეთლისა. „კვალის“ ფაქტიურმა რედაქტორმა და ხელმძღვანელმა გ. წერეთელმა

1) ლ. ბერი — „ამერიკაში კაცხიავის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 7.

2) ლ. ბერი — „ამერიკაში კაცხიავის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 8.

ფართოდ გაუღო კარები ახალ მარქსისტულ მიმდინარეობას და ცდილობდა მათთან იდეოლოგიურ-პოლიტიკურ კონტაქტის დამყარებას. მწერეთელი „კვალის“ 1899 წლის ნომერში სწერდა: „მარქსის თეორიას ეკონომიური შატერიალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებაში იგი ადვილი უჭირავს, რაც დარვინის თეორიას ბუნების მეცნიერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკურ-ეკონომიაში და სოციოლოგიაში“.

მარქსიზმისაკენ გადასული წერეთელი არსებითად მეცნიერული სოციალიზმის მიმდევარი და ორთოდოქსალური მარქსისტი არ გამხდარა. წერეთელი არ იყო მარქსისტი, მას დიდი იდეური და ორგანიზაციული კავშირი ჰქონდა სამოციანი წლების მოღვაწეებთან. ის, როგორც რადიკალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი, ახლად ჩამოყალიბებულ დასს დაუახლოვდა, როგორც ბურჟუაზიის სულისკვეთების გამოშატველი და ცდილობდა მარქსიზმისათვის ბურჟუაზიული შინაარსი მიეცა და პროლეტარული იდეოლოგია ბურჟუაზიული იდეოლოგიით შეეცვალა. „მესამე დასის“ უმრავლესობის იდეოლოგია ნ. ჟორდანიას იყო.

„მესამე დასმა“ და მისმა უმრავლესობამ, ჟორდანიას მეთაურობით, 1893-1898 წლების პერიოდში ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა. მან დასაბამი მისცა მარქსისტული იდეების გავრცელებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში და, ყველა თავის ნაკლის მიუხედავად, მაინც ბიჭვი მისცა რევოლუციურ ახალგაზრდობას და მოწინავე მუშებს მარქსიზმის გაცნობასა და შესწავლის საქმეში“<sup>1)</sup>

მესამე დასმა დადებითი როლი ითამაშა მარქსიზმის იდეების გავრცელების საქმეში, იგი სცნობდა კაპიტალიზმის პროგრესიულობას და ჭადაგებდა კლასთა ბრძოლის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსის იდეას, მაგრამ აშხ. ლ. ბერიას თქმით „მესამე დასელთა“ უმრავლესობას არასოდეს არ მოუყვანია კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე“<sup>2)</sup>. მესამე დასის უმრავლესობა უარპყოფდა პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას. ეროვნულ საკითხში „მესამე დასის“ უმრავლესობა იცავდა ნაციონალისტურ პოზიციას და საქართველოს აღორძინების დასაბამად მიაჩნდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ზელიზელ ჩაკიდებული, შეთანხმებული სვლა: „ერი — გაერთიანებული ნიეთიერად, გაერთიანებულია იდეებითაც. ყველას სურს განავითაროს ეროვნული შრომა, გააღონიეროს იგი. ერის სიღიადში დაინტერესებულია როგორც ბურჟუა-ვაჭარი, ისე ვლეხი-მუშა“ (ნ. ჟორდანიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“).

<sup>1)</sup> ლ. ბერია — იქვე, გვერდი.

<sup>2)</sup> ციტირებულია ბერიას წიგნიდან: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ნაციონალისტურ პოზიციაზე შემდგარი მესამე დასის უმრავლესობა, თავისი იდეოლოგიის ნ. ჟორდანიას სახით, კლასობრივ ბრძოლას მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა საერთო ეროვნულ მოძრაობაში და ცდილობდა პროლეტარიატის ბრძოლა დაექვემდებარებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებისათვის. ამით ეს „ლევალური მარქსისტები“ ამახინჯებდნენ პროლეტარიატის დიად მოძღვრებას — მარქსიზმს.

1897 წელს თბილისში ჩამოსვლისთანავე ლადო კეცხოველი ოფიციალურად შედის „მესამე დასის“ ჯგუფში და ინტენსიურად აწარმოებს პროპაგანდისტულ მუშაობას მუშათა წრეებში.

„...შრომის ხელოსანთა ამხანაგობის წესდებას ვაბეჭდინებთ მაქსიმე შარაშიძის სტამბაში და იქ შემთხვევით ვავეცან ლ. კეცხოველს. ის დაინტერესდა „შრომის“ ხელოსანთა კავშირის წესდებით და მთლად გადაიკითხა. შემდეგ მადათოვის კუნძულზე „შრომის“ ხელოსანთა სადურგლო სახელოსნოში ხშირად დაიწყო სიარული. პატარა წრეც შემადგენინა მუშებისაგან და ამ წრეს გვიხსნიდა, გვიმარტავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის და რუსეთის მუშათა მოძრაობის შესახებ. ეს იყო 1897 წელს... კვირაში ორჯერ მოდიოდა ჩვენთან საპროპაგანდოთ, სადურგლოს მაღლა სართულში ტრაქტირი იყო, იქ ერთ ოთახში ჩვენი წრე იკრიბებოდა და ლადო კეცხოველი ხან წიგნებს გვიკითხავდა და ხან გვესაუბრებოდა.“<sup>1</sup>

ლადო კეცხოველი თბილისში 1897 წლის მიწურულში, სექტემბერში, ჩამოვიდა და როგორც ჩოდრიშვილის მოგონებიდან ირკვევა, 1897 წელს იგი მათ წრეს ხელმძღვანელობდა და, ცხადია, ლადო ჩამოსვლისთანავე შესდგომია პროპაგანდისტულ მუშაობას, ვაზეთ „კომუნისტის“ 1938 წლის 10 აგვისტოს ნომრის ფურცლებზე ოღლა ავლადე თავის მოგონებაში ლადოს შესახებ სწერს, რომ „კეცხოველს სხვათა შორის, დიდი კავშირი ჰქონდა რკინიგზის მუშებთან; მე თვითონ რკინიგზაზე ვმსახურობდი და ვიცით, რომ მან რკინიგზაზე მრავალი წრე შექმნაო“. ამ წრეში „ლადო კეცხოველს პირველად შეეხვდი იატაკქვეშ მომუშავე სოციალ-დემოკრატიულ წრის მეცადინეობისას თბილისში, — იგონებს „ზარია ვოსტოკას“ 1938 წლის 30 აგვისტოს ნომერში ლელაშვილი. მიხა ბოკორიშვილმა და ზაქრო ჩოდრიშვილმა, რომლებიც მაშინ რკინიგზაზე მუშაობდნენ, მომცეს მე მისამართი ელისაბედის ქუჩაზე მდებარე სახლისა, სადაც ცხოვრობდა მოწინავე მუშა ვანო სტურუა. მის ბინაში ზუთ კაცამდე მოვიყარეთ თავი, — დავოდან და რკინიგზის სახელოსნოდან. მოვიდა ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა, შეხედულებით ასე 25 წლისა. ის ხელმძღვანელობდა მუშათა წრეს და ეს იყო ლადო კეცხოველი. ლადოს საუბარს დიდი ინტერესით ვუსმენდით, საუბრისას მას მოჰყვანდა მარქსის სიტყვები, გვიამბობდა პარიზის კომუნაზე და გვეუბნებოდა, რომ მუშებმა მარტო

<sup>1</sup>) მ. ჩოდრიშვილი — „ჩემი თავგადასავალი“, გვ. 120.

ეკონომიური უფლებებისათვის კი არ უნდა იზრუნონ, არამედ პოლიტიკური თავისუფლებისთვისაცაო.“

### ეკონომიური

მუშათა წრეების ხელმძღვანელი ლადო იმავე დროს კვლავ მტკიცებით პრესაში იღებდა მონაწილეობას და სხვადასხვა ფსევდონიმით საჭირობოროტო საკითხებს ამუშავებდა. მ. ჩოდრიშვილის გადმოცემით, ლადო ვ. გუნიას „ცნობის ფურცლის“ ხშირი სტუმარი იყო.

1898 წლის აგვისტოს ლადოს ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ამ წელს „მესამე დასის“ ჯგუფში შედის ამხანაგი იოსებ სტალინი, ლადოს სიყრმის მეგობარი, რომელსაც პირველად გაეცნო და დაუმეგობრდა მოწაფეობისას გორის სასულიერო სასწავლებელში. მეგობართა და მეზობლთა გზები კვლავ შეიყარნენ დიად საქმისათვის. 1898 წელი მარტო ლადოსთვის არ იყო ღირსშესანიშნავე. ამ წელს „მესამე დასის“ ჯგუფში შესულ ამხანაგ სტალინს სიახლე, რევოლუციურობა შეაქვს ჯგუფის ცხოვრებაში. ამხანაგ მ. კალინინის თქმით, „მუშათა მოძრაობაში ამხანაგ სტალინის გამოჩენას, მესამე დასელთა ჯგუფში მის შესვლას ერთბაშად შეაქვს პრინციპულად ახალი ნაკადი სოციალ-დემოკრატიულ მუშაობაში და მიზან-სწრაფულობა რევოლუციურ მოქმედებაში“.

ამხანაგ სტალინის „მესამე დასის“ ჯგუფში შესვლისთანავე მის შიგნით ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ ი. სტალინი, ს. წულუკიძე და ლადო კეცხოველი. ამ ამხანაგებმა შეადგინეს ხელმძღვანელი ბირთვი „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტული უმცირესობისა და საძირკველი ჩაუყარეს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას საქართველოში. ამ ბირთვმა მთელ რიგ ძირითად საკითხებში მწვავე ბრძოლა გამოუცხადა „მესამე დასის“ უმრავლესობას. რაში გამოიხატებოდა ეს ბრძოლა? ამაზე გზა-გზა გვექნება ლაპარაკი, ახლა კი კვლავ ლადოს დაუმბრუნდეთ.

თორიულად უკვე მომზადებული მარქსისტი, მეზობლი, ბასრი კალმის მქონე ლადო ვერ დაკმაყოფილდებოდა ლიტერატორის როლით. მისი სტიქია იყო პრაქტიკული მუშაობა რევოლუციის საქმისათვის, ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც თავის ხელით აკეთებს რევოლუციის საქმეს, და აი ლადოს ვხედავთ ექვთიმე ხელაძის სტამბაში გამგის თანამდებობაზე.

რამ აიძულა ლადო, სემინარიის მეოთხე კლასის ყოფილი მოსწავლე, დამდგარიყო გამგედ კერძო მესაკუთრის პატარა სტამბაში? ლადო არასოდეს ასოთამწყობად არ ყოფილა, არც მზექდავად და არც ამეინძავად, მაშ რამ მიიყვანა სტამბაში? იმ დიდმა საქმემ, რომელსაც რევოლუციის სამსახური ეწოდება. „მესამე დასის“ უმრავლესობას თავისი ლეგარული პრესა ჰქონდა. გახეთ „კვალის“ ფურცლებზე „მესამე დასის“ უმრავლესობის იდეოლოგია. ჟორდანია, „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენელი და მისი მიმდევარი ამახინჯებდნენ პროლეტარიატის დიად მოძღვრებას — მარქსიზმს, ხედავდნენ კაპიტალიზმის მხოლოდ პროგრესიულ როლს და მის უარყოფით მხარე-

ებს გვერდს უვლიდნენ, იხრებოდნენ „ეკონომიზმისაკენ“ და არალეგალური პრესის იდეაც კი აშფოთებდა მათ. „მესამე დასის“ უმცირესობამ (ი. სტალინი, ს. წულუკიძე, ლ. კაცხოველი) პირველი ბრძოლა უმრავლესობას არალეგალური პრესის აუცილებლობის საკითხში გაუმართა.

„პირველმა მწვავე უთანხმოებამ თავი იჩინა 1898 წელს არალეგალურ პრესის საკითხის გამო.

„მესამე დასის“ უმცირესობა არალეგალურ პრესას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა რევოლუციური მარქიზმის პროპაგანდისა და გავრცელების, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური აგიტაციის, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა და ნამდვილი პროლეტარული რევოლუციური პარტიის მშენებლობის საქმეში და არალეგალური გაზეთის დაარსების ამოცანას აყენებდა.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით უარყოფდა არალეგალური პრესის აუცილებლობას.<sup>1</sup>)

მეფის ცენზურის მიერ არტახებ-შემორტყმული ქარაგმებით მეტყველი ლეგალური პრესა უძლური იყო წარემართა სწორი გზით მუშათა მოძრაობა. მასებს ესაჭიროებოდათ ცოცხალი, გაბედული სიტყვა, რომელიც ლახვარით გულს დაესობოდა მტერს, მოყვარეს კი ჩირაღდანით გაუნათებდა საბრძოლო გზას. ვის უნდა ეკისრა ეს დიდი მისია, თუ არა არალეგალურ პრესას? ლადომ ეს კარგად იცოდა და ამიტომ მიაშურა ხელაძის სტამბას. მაშინდელ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, იქ, სადაც ახლა ყოფილი ქუჩა შერთებულია 26 კომუნარის სახელობის რეკონსტრუირებულ ბაღთან, რომლის ტიშშიაც აღმართულია ლადოს ძეგლი, ერთ სართულიან სახლის საზღაფში მოთავსებული იყო ხელაძის სტამბა. იმ პერიოდში როცა ლადო სტამბას განაგებდა, იქ იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ და დაწესებულებათა და კერძო პირთა შეკვეთები. ხელაძემ ლადოს ჯამაგირად თვეში 35 მანეთი დაუნიშნა. ბანქოს თამაშით გატაცებული ექვთიმე ხელაძე ხშირად საღამოობით სტამბას თავისი ახალი გამგის ანაბარად სტოვებდა, ლადოსაც ეს უნდოდა. გამოცდილი კონსპირატორი უახლოვდება ხელაძისავე სტამბაში მომუშავე სანდო მუშებს და იმ დროს, როცა გაზეთის ბეჭედა თავდებოდა, 11-12 საათის მუშაობით მოქანცული ასოთამწყობნი, მბეჭდავნი და მეტრანაჟენი თავიანთ სახლებისკენ მიეშურებოდნენ, ხოლო სტამბის პატრონი ბანქოს თამაშით გაბრუნებული ტბილ ძილს ეძლეოდა, მისი გამგე სტამბაში რჩებოდა და თავის პირველ თარგმანს შიშონ დიკმტენის იმდროს მეტად პოპულარულ პროპაგანდისტულ ბროშურას „ლუკმა-პურის ისტორიას“ ბეჭდავდა. ეს იყო პირველი ნობათი რევოლუციური მუშებისათვის, ეს იყო პირველი არალეგალური ქართული წიგნაკი და ამ მხრივ ლადოს პიონერის როლი მიეკუთვნება. ხელა-

<sup>1</sup> ლ. ბერია — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 14.

ძისავე სტამბაში ლადომ რამდენიმე ბროშურის და პროკლამაციის დაბეჭდვა მოახერხა.

ქალაქის ცენტრში მოთავსებულ ხელაძის სტამბაში ავტორ-ხელმოწერა იყო არალეგალური ლიტერატურის ბეჭედა. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ პოლიციას არ მიეგნო კვალისათვის, თვით ხელაძე არ თანაუგრძობდა ლადოს საქმიანობას და ერთხელაც არის შეიტყობდა, რომ მისი გამგე სტამბას რევოლუციური მიზნებისათვის იყენებდა.

„მესამე დასის“ უმცირესობის ჯგუფის ხელმძღვანელი ამხანაგი სტალინი დღის წესრიგში აყენებს არალეგალური სტამბის მოწყობის საკითხს. ლადომ კარგად იცოდა, რომ არალეგალურ პირობებში მცხოვრები დიდხანს ვერ გაჩერდებოდა ხელაძის სტამბაში, და აი სანდო მუშების მეოხებით სტამბიდან დრო და დრო შრიფტი გამოაქვთ და ამით მომავალ არალეგალურ სტამბას საფუძველს უყრიან. 1898 წელს ჯერ კიდევ სემინარიის მოსწავლე, „მესამე დასის“ ჯგუფში შესული და მისი რევოლუციური ფრთის ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი ინტენსიურ პროპაგანდისტულ მუშაობას აწარმოებს მუშათა წრეებში, სწერს ფურცლებს, აწყობს ვაფიციებს.

1899 წლის 29 მაისს მარქსიზმის პროპაგანდისა და რევოლუციური მუშაობისათვის რიცხავენ სემინარიიდან ამხანაგ სტალინს. ერთხანს სტალინი ვაკვეთილებით ძრჩენს თავს, ხოლო შემდეგ სამუშაოდ შედის თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში აღმრიცხველ-მეთვალყურედ. ამავე ობსერვატორიაში მუშაობდა ლადო კეცხოველის ძმა ვანო, რომელსაც ობსერვატორიაშივე ჰქონდა ბინა. ამხანაგი სტალინი და ლადო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ობსერვატორიაში, - არალეგალურად მცხოვრები ლადო ღამეებსაც ათენებდა ობსერვატორიაში, და მეგობრები აქ საუბრობდნენ მუშათა მოძრაობაზე, ლენინზე, პლენანოვზე, აქ ადგენდნენ სამოქმედო გეგმებს.

მუშათა წრეებში მუშაობა გაჩაღებულია. მარტო ამხანაგი სტალინი 1898-1900 წლების პერიოდში რვაზე მეტ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეს ხელმძღვანელობდა. ლადოსაც გაჩაღებული ჰქონდა მუშაობა წრეებში. ამ წრეების პატარა ჯგუფმა 1898 წელს პირველი მაისის დღე აღნიშნა ნაძალადევიში, „ლოტკის“ გორის გადაღმა. მიხეილ ჩოდრიშვილი თავის თავგადასავალში აღნიშნავს, რომ „მუშები იმდენად მოემზადნენ, რომ 1898 წ. ამ პატარა მუშების ჯგუფმა, რამდენიმე ათეულ ამხანაგებმა, ნაძალადევის ლოტკის გორების გადაღმა პირველი მაისობაც იღდესასწაულეს. 8 საათის და შაოსობის მნიშვნელობაზე როგორც ინტელიგენტების, ისე მუშების მიერ სიტყვები წარმოითქვა. ეს პირველი მაისობა იყო თბილისში „ლოტკის“ გორის გადაღმა. ძირს ვაკეზე ოთხივ მხარეს წითელი დროშები ავაფრიალეთ. ჩვენი მეთვალყურე დარაჯებიც დავაყენეთ, მინდორზე ხელსახოცებით მიტანილი საუზმე ვავშალეთ ხელსახოცებზე, მოუსხედით საქმელს და მარსელიოზა შემოვძახეთ. ერთმანეთს პირველ მაისს ვულოცავდით. შევძახეთ: „გაუმარჯოს მუშათა“

პირველ მაისს, გაუმარჯოს სრვა საათის სამუშაო დღეს, გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, გაუმარჯოს სოციალიზმს“.

1899 წელს თბილისში, ქალაქ გარეთ, მახათის გადაღმა, შალვა ჯანაშიასთან მეორე მაისობა მოეწყო. ეს უფრო მრავალრიცხოვანი იყო. ამხ. ვანო სტურუა თავის მოგონებაში ამ მაისობაზე სწერდა: „1899 წელს ჩვენმა არალეგალურმა წრეებმა გადასწყვიტეს არალეგალური მაისობა მოეწყოთ ქალაქგარეთ. თავი მოიყარა დაახლოებით 70 კაცმა. ამ დღეს პირველად ვნახე ლადო კეცხოველი. ვახსენეს მაისობა. პირველი სიტყვა წარმოთქვა მიხა ბოჭორიძემ, შემდეგ გამოვიდა ლადო კეცხოველი“.

1898-1900 წლების პერიოდში მუშათა მოძრაობა თბილისში „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის (სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე) ხელმძღვანელობით იწყებს გამოსვლას ძველი, წმინდა პროპაგანდისტულ მუშაობის ჩარჩოებიდან.

„1898-1900 წლებში ამხანაგმა სტალინმა ლადო კეცხოველსა და წულუკიძესთან ერთად თბილისის სოციალ-დემოკრატების მუშაობა გადაიყვანა მასობრივი აგიტაციისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე“<sup>1)</sup>. „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობა წინააღმდეგია პოლიტიკურ ბრძოლისა და იხრება „ეკონომიზმისაკენ“, იმ მიმდინარეობისაკენ, რომელიც პირველად ფორმულირებულ იქნა 1897 წელს არალეგალურ გაზეთ „რაბოჩაია მისლის“ ოქტომბრის ნომერში. ეკონომიზმი, მუშათა მოძრაობის დევიზად სთვლიდა რა ეკონომიურ ბრძოლას, თითქმის ივიწყებდა პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას, რაც ეწინააღმდეგებოდა რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებს. რევოლუციურმა სოციალდემოკრატებმა რუსეთში ვ. ი. ლენინის მეთაურობით სასტიკი ბრძოლა გაუმართა ეკონომიზმს და გაანადგურა იგი. იმ დროს, როცა „მესამე დასის“ უმრავლესობა უარყოფდა მასობრივ აგიტაციაზე გადასვლას, წინააღმდეგი იყო თვითმპყრობელობასთან „ქუჩაში“ პოლიტიკური ბრძოლისა, „მესამე დასის“ უმცირესობა შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს და ეს უმცირესობა (ამხ-ბი სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე) „მესამე დასის“ უმრავლესობასთან გადამკრულ ბრძოლაში, აფართოვებს რა თავის გავლენას მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, 1899-1900 წ. წ. ახერხებს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გადაყვანას ვიწრო საწრეო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე და პოლიტიკურ ბრძოლაზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1898-1900 წლების პერიოდში, „მესამე დასის“ უმცირესობის ხელმძღვანელობით ეწყობა მუშათა გაფიცვები, რომლებიც ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად თვითმპყრობელობასთან პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს ატარებენ. ერთი ასეთი გაფიცვის უშუალო ორგანიზატორი იყო ლადო კეცხოველი.

<sup>1)</sup> „რევოლუციის მატანე“, № 2, 1925 წ. გვ. 73-74. ციტირებულია ბერიას წიგნიდან „ლადო კეცხოველი“, გვ. 1.

„ჩვენთან იკრიბებოდნენ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები—იგონებს ვანო კეცხოველი. — ამ პერიოდში სტალენი და ლადო კეცხოველი თბილისის კონკის მუშების გაფიცვებს ამზადებდნენ; ლადო კეციან ბრუნდებოდა არალეგალურ კრებებიდან და ლამე ომსერვატორიაში იძინებდა“<sup>1)</sup>.

აუტანელ პირობებში იყვნენ ჩაყენებული ცხენის ტრამვაის (კონკის) მუშები. სამუშაო დღე 13 საათს გრძელდებოდა, გასამრჯელო კი დღეში ერთ მანეთს არ აღემატებოდა. აქედანაც აუარებელ ჯარიმას ურიცხავდა დირექტორი. ათასნაირი მიზეზით აჯარიმებდნენ მუშებს: წყნარი სვლისათვის ჯარიმა, სწრაფი სვლისათვის ჯარიმა, უჩაობისათვის ჯარიმა და სხვ. ტრამვაის დირექტორი, რომელსაც სათავეში ბელგიელი რობელადო ედგა, მუშებს მეტად უხეშად ეპყრობოდა. თუ ვინმე გაბედავდა და დირექტორის წინააღმდეგ ხმას აღიმაღლებდა, მის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავდნენ.

გაფიცვის გამო როტმისტრ ბრუნთან დაკითხვისას ტრამვაის მუშამ ზ. ლომიძემ განაცხადა: „ტრამვაის დირექტორის თხოვნით ჩვენ მივყავდით მე-10 უბნის პოლიციაში, სადაც ბოჭყული თუმანოვი შრავალგზის ცემის შემდეგ გვაიძულებდა უეპველად დავმორჩილებოდით ტრამვაის უფროსის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გვემუჭრებოდა თბილისიდან გადასახლებას“.

ლადო კეცხოველი შეუღლა სამზადისს გაფიცვისათვის.

დავით ბაგდავიძე, გაფიცვის ერთი მონაწილეთაგანი, იგონებს: „პეტერ-ბურგიდან ახლად ჩამოსული ვიყავი, რომ ლადოს შეეხვდი. დამავალა მოვწყობილიყავი ტრამვაიაში კონდუქტორად და სანდო მუშების სია მიმეცა და ნომერი. კონდუქტორებს ქუდებზე ნომრები ჰჭონდათ და ნომრის მიხედვით ვატყობინებდი, სანდო მუშა იყო თუ არა. სამზადისი ერთ-ორ თვეს გრძელდებოდა. ლადო ტრამვაის კონდუქტორის შინელ გადაცმული ზშირად მოგზაურობდა კონკით და თუ დაინახავდა იმ ნომერს, რომელიც მას აცნობეს, რომ სანდო პირია, გაუბამდა ლაპარაკს და გაფიცვის საჭიროებაზე ესაუბრებოდა“<sup>2)</sup>.

ამავე ბაგდავიძეს გადმოცემით, ლადომ მოუხშირა სიარული მუშებში, გაფიცვის საორგანიზაციო საკითხებზე ესაუბრებოდა. 1899 წლის 31 დეკემბერს შესდგა მიტინგი, რომელსაც მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ლადომ. გადაწყვედა წარედგინათ ტრამვაის დირექტორისთვის მოთხოვნები და თუ არ დააკმაყოფილებდა, 1900 წლის 1-ლ იანვარს გამოეცხადებინათ გაფიცვა.

ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა რობელადომ არ დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნა და 1-ლ იანვარს დაიწყო გაფიცვა. დირექტორი რეპრესიებს მიმართა: 50 კაცამდე დაპატიმრებულ იქნა. მაგრამ გაფიცვა იმდენად ორგანიზებულად იყო მოწყობილი, რომ იგი მუშების სასარგებ-

<sup>1)</sup> ლ. ბერი — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 15. „ზარია ვოსტოკა“ 1937 წ. 17 ივლისის ნომერი.

<sup>2)</sup> იხ. ლ. ბერიას წიგნი „ლადო კეცხოველი“, გვ. 11.

ლოდ დამთავრდა. პოლიცია გამგელებული ეძებდა გაფიცვის ორგანიზატორს, კონდუქტორის შინელ-გადაცმულ კაცს.

დიდ ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად ლალო იშვიათი კონსპირატორი იყო, სწრაფი ორიენტაცია საშუალებას აძლევდა მას თავი დაეღწია მრავალ ხიფათისაგან, ლალოს, როგორც კონსპირატორს, მერე შეეცხებით, აქ-კი ერთ ფაქტს, აღვნიშნავთ: „ერთხელ თბილისში ჩამოსვლისას, ლალოს მოუხდა ერთ თავის მეგობრის ოჯახში ღამით დარჩენა,—იგონებს ვ. კეცხოველი.—ქანდარმებმა იცოდნენ ლალოს თბილისში ყოფნა. შუალამისას ისინი მიადგნენ იმ ბინას, სადაც ლალო იყო. ამ ოპერაციას პირადად როტმისტრი ლავროვი ხელმძღვანელობდა. მთელი რაიონი კარგად შეკრეს პოლიციელებით და ქანდარმებით, რომ ხელიდან არ წასვლოდათ უშიშარი რევოლუციონერი. მოესმა თუ არა ლალოს აივანზე ხალხის ფეხების ბრაგუნე და კაჩუბის ჯახუნე, მაშინვე თავისი ტანსაცმელი საწოლქვეშ ამოსდო და მეორე ოთახში შეშინებულ დიასახლისს შეეხმინა: გახსოვდეს, რომ მე ლალო კეცხოველი არა ვარ. წინაღობით ჩამოვედი სოფლიდან, როგორც შენი ნათლიმამა, კვერცხები ჩამოვიტანე გასასყიდად, გლეხი გესტუმრე, ძალზე დაღლილი ვარ ქუჩებში სიარულით და ამიტომ ახლა მაგრად მძინავს“. ამ სიტყვებთან ერთად ისეთი ოსტატური ხერხევა ამოუშვა, რომ ექვი არაღვის შეეპარებოდა, თუ თავს იმძინარებდა.

ქანდარმებმა მთელი ბინა გადაატრიალეს, მაგრამ საექვო ვერა იპოვეს რა. ბოლოს იკითხეს მძინარის ვინაობა. დიასახლისმა მიუგო, რომ ეგ მძინარე კაცი ჩემი ნათლიმამა არის, გუშინ ჩამოვიდა სოფლიდან კვერცხის გასასყიდათო. ლალო კი ერთნაირად ხერხინავდა. ერთმა ქანდარმმა კიდეც წამოიძახა. „Ну и мужик то! храпит точно душат его“.

ლალოს არტისტულმა ძილმა სრულიადაც ვერ მოიყვანა აზრზე ქანდარმი ლავროვი, რომ ეს მაგრად მხერხინავი გლეხი ის კეცხოველი იყო, რომელსაც დაეძებდნენ. როდესაც ხელცარიელი დაბრუნდა ლავროვი, ლალო წამოგდა და თავს უშველა. არ გასულა ერთი საათი ამ ჩხრეკის შემდეგ, რომ ლავროვი კვლავ დაბრუნდა თავისი ამალით ამავე ბინაზე. ვაცოფებული მივიარდა დიასახლისის და ყვიროდა: სად არის შენი ნათლიმამა, ის ხომ ლალო კეცხოველი იყო, სთქვით, სად წაივინა სად იქნებაო და სხვა. მაგრამ ლალო უკვე სამშვიდობოს იყო გასული“. ეს პატარა ეპიზოდი, ერთის მხრივ, თუ ააშკარავებს ქანდარმ ლავროვის სიყვეყნეს, მეორე მხრივ მთელი სიცხადით გვიხატავს ლალოს ძლიერ ნებისყოფას, რომელიც მოხერხებულად გამოდის შექმნილ მდგომარეობიდან. რა ნერვების ადამიანი უნდა იყოს, რომ ქანდარმების ხროვა სულთამხუთავივით თავზე ედგეს, ესმოდეს მათი ლაპარაკი და ის კი ტკბილად განავრძობდეს ხერხინავს.

ცხენის ტრამვაის გაფიცვის ორგანიზატორის, კონდუქტორის შინელ გადაცმულის კვალს ქანდარმერიამ ვერ მიაგნო. იმ დროს, როცა ქანდარმერიის აგენტები ქუჩებში დაძრწოდნენ და მოუსვენარ რევოლუციონერს ეძებდნენ, ლალო კეცხოველი უკვე კავკავში იყო.

დღის წესრიგში სდგას ახალი საჭმე: არალეგალური სტამბის დაარსება და კავშირის დამყარება სხვა ქალაქების მუშებთან. ცხენის ტრეპეჯის უკიდურესის შემდეგ, — იგონებს ვიორჯი ნათაძე, — ერთ დღეს ლადო *სტამბის* (ახლანდელი ორჯონიკიძე) ჩამოვიდაო. კარგად არ მახსოვსო, განცხადება წავეითებე „Опытный конторщик ищет место“.

ლადო როგორც არალეგალურ მდგომარეობაზე ვადასული, სხვადასხვა გვარით ცხოვრობდა და განცხადება სულ სხვა პირის გვარით იყო მიცემული. რამდენიმე დღის შემდეგ სხვისი გვარით მოეწყო ლადო ლუდისა და ლიჭიორის მეწარმის რებეკოვის ქარხანაში. ლადო, — განაგრძობს ნათაძე — კარგად ხატავდა. ერთ დღეს ჩემს ოთახში დახატა მარქსის სურათი და ზედ წააწერა: „დაე ხელი გაუხმეს იმას, ვინც ამ სურათს ამ ადგილიდან ჩამოხსნისო“ და კედელზე გააკრაო.

სულ ცოტა ხანს დაჰყო ლადომ კავკაეში. მან სწრაფად გააკეთა თავისი საჭმე, კავშირი გააბა კავკაეის ამხანაგებთან და გამოემშვიდობა ნათაძეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, — განაგრძობს ნათაძე, — მიეხვედი, თუ რა კონტორშიცა იყო ლადო, როცა შივილე მისგან გამოგზავნილი ამანათით არალეგალური გაზეთის „ბრძოლის“ პირველი ნომერი და ჩამდენიმე ბროშურაო<sup>1)</sup>.

1900 წელს ლადო, თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის გადაწყვეტილებით, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი, გაგზავნილ იქნა ბაქოში, რათა განემტკიცებინა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და მოეწყო იქ არალეგალური სტამბა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

<sup>1)</sup> ნათაძის მოგონება შემოკლებით ამოღებულია „იმელის“ თბილისის არქივიდან.

## იაკობ გოგებაშვილი

(1840 — 1940)

ბედნიერმა ქართველმა ხალხმა დიდის ზეიმით იძღვრასწაულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაურის, უდიდესი პედაგოგის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და შესანიშნავი საზავშეო მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების ასი წლის თავი.

60-იანი წლების დიდი ქართველი მწერლების ბრწყინვალე პლეადას მხარში უდგა ი. გოგებაშვილი. იგი თავის კალმით, პრაქტიკული და თეორიული პედაგოგიური მოღვაწეობით ემსახურებოდა მშობელი ქვეყნის, მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და გათვითცნობიერების საქმეს.

ქართული პრესა და ნაბეჭდი წიგნი ჯერ კიდევ ახალი საქმე იყო. ქართული სკოლა რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით ქართველი ახალგაზრდობის გადაგვარებას უფრო ემსახურებოდა იმდროს, როცა ი. გოგებაშვილი ჩაუდგა სათავეში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ი. გოგებაშვილმა ჯერ კიდევ კიევის აკადემიაში მეცადინეობის დროს საკუთარ თავზე განიცადა ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის მთელი უსამართლობა.

ი. გოგებაშვილი კიევის აკადემიაშივე გაეცნო მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე იდეებს. იგი საქართველოში დაბრუნებისთანავე შეუდგა სახალხო განათლების დარგში პრაქტიკულ მოღვაწეობას.

მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ახალგაზრდობის გარუსებისა და გადაგვარების, სკოლიდან ქართული ენის განდევნის პოლიტიკას.

თვითმპყრობელობის შავრაზმული მაშინდელი პროპაგანდისტები, ვოსტოგოვი, ლევიცი და სხვები. ი. გოგებაშვილის სახით წააწყდნენ ისეთ მოწინააღმდეგეს, რომელსაც პრაქტიკული მუშაობის დიდ ნიქთან ერთად, დიდი საერთო ერუდიცია და ღრმა პედაგოგიური ცოდნა ჰქონდა.

მოწინავე პედაგოგიური იდეებით გატაცებულ ი. გოგებაშვილს არ აკმაყოფილებდა სწავლა-განათლების გაბატონებული სისტემა. იგი იბრძოდა იმისთვის, რომ ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირება, სპეციალური ცოდნის მიცემა გამზდარიყო სკოლაში აღზრდის ერთ-ერთ პრინციპად.

ქართულ სკოლას, არ გააჩნდა მშობლიურ ენაზე რაიმე რიგიანი სახელმძღვანელო, უამისოდ კი შეუძლებელი იყო მოსწავლე ახალგაზრდობაში ეროვნული სულის დანერგვა.

ი. გოგებაშვილმა თავისი პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისშივე მიაქცია ყურადღება ამ დიდ ხარვეზებს და მთელი სიცოცხლე მის ამოცებას მოანდომა.

ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ გრძელქონენ ჩვენი ახალგაზრდობის უსაყვარლეს წიგნებად, მის მუდმივ თანამგზავრებად და მეგობრებად. „დედა-ენამ“ აღზარდა მრავალი თაობა, განაწესა ბავშვებს სამშობლოს სიყვარული და მშრომელი ხალხის სამსახური.

„დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ შედგენილია ბავშვის ფსიქოლოგიის ზედმიწევნითი ცოდნით, სურათოვანი ენით. მის ყოველ სტრიქონში ჭეშმარიტი ხალხურობა გამოსჭევის.

გამოჩენილი რუსი პედაგოგის უშინსკის სახელმძღვანელოების მსგავსად, გოგებაშვილის სახელმძღვანელოები აშენებული იყო მოწინავე პედაგოგიურ პრინციპებზე.

დიდი პატრიოტი და სამშობლოს უანგარო მოსიყვარულე ი. გოგებაშვილი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარებას არ საზღვრავდა ვიწრო ეროვნული ფარგლებით.

მას შეგნებული ჰქონდა ქართველი ხალხის დიდ რუს ხალხთან კავშირის ისტორიული მნიშვნელობა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებას.

„დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორსვე ეკუთვნის ქართველ მოსწავლეების კიდევ ერთი საყვარელი წიგნი — „რუსკოე სლოვო“.

ი. გოგებაშვილი მკერმეტყველურად ასაბუთებდა იმ მნიშვნელობას, რომელიც რუსული ენის ცოდნას ჰქონდა ქართველი ახალგაზრდობისათვის: „პირველი იმიტომ, რომ ის არის სახელმწიფო ენა; მეორე — დიდი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულ განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთი მსოფლიო ენისა; მესამე — იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენის შესწავლა მიუცილებლად უნდა მოსდევდეს ქართულ ენას, როგორც სკოლაში, ისე სახლში, და ქართველები უნდა ვცდილობდეთ შევითვისოთ მისი ენა და მისი ლიტერატურა“.

ასევე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ი. გოგებაშვილი ევროპული ენების შესწავლას.

ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულის გულსიყუროთ ეკიდებოდა საბავშვო მწერლობას. მან უდიდესი ნიჭი, მალალი გემოვნება და ბავშვის ბუნების ზედმიწევნითი ცოდნა გამოიჩინა, როგორც ორიგინალურ საბავშვო ნაწარმოებებში, ისე გადმოკეთებულ და თარგმნილ თხზულებათა შერჩევა-გადამუშავებაში.

იგი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით სწერდა ბავშვებისათვის და სხვებსაც მუდამ ამ დიდს პასუხისმგებლობაზე მართითებდა. „უამბეთ ბავშვებს ცოცხლად და სურათულად, — სწერდა იგი, — და თქვენ მათს ნორჩ გულში ჩასახავთ ღრმასა და მეტად ნაყოფიერს „შობაბქვილებასა“.

გოგებაშვილი თვითონ დინჯად, მოფიჭრებულად და გასაგებად სწერდა ბავშვებისათვის. იგი საბავშვო მწერლისთვის, ღრმა ცოდნისა და ნიჭის ვარა, აუცილებელ ღირსებად სთვლიდა სიბეჯითეს, მუყაით შრომას. საბავშვო მწერალმა, იაკობის სიტყვით, უნდა მიბაძოს „იმისთანა მალაღნიჭიერ ავტორებს, როგორიც იყო გოგოლი, რომელსაც კანონად ჰქონდა რვაჯერ გადაესწორებინა თავისი ყოველი ნაწერი, რვაჯერ თავისავე ხელით გადაეწერა და მხოლოდ მაშინ ეღირსებინა სტამბა, ან ემილ ზოლა, ახლანდელი უნიჭიერესი ბელეტრისტი საფრანგეთისა, რომელიც ისეთი გულდადებით,

ვარდს გაუფურჩქნა კოკორი,  
გადაქსვევოდა იახა,  
სამბახსაც გავლიებოდა  
და თავს უჭრიდა ნიავსა.



ტორილა მალლა-ღრუბლებში  
წყრილ-წყრილით გალობდა,  
ბულბულიც გახარებული  
ნაწის შმით ამას ამბობდა:

„აქვეყადი, ტურფა ქვეუანავ,  
იღბინე, ქართველთ მხარეთ,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
სამშობლო გაახარეთ“.



ახალგაზრდა სტალინის (ი. ჯუღაშვილის) პირველი ლექსი დაიბეჭდა „ივერიაში“ 1895 წლის 14 ივნისს. ეს ლექსი „დილის“ სახელწოდებით ი. გოგიაშვილმა შეიტანა თავის „დედა-ინის“ მე-38 გამოცემაში 1916 წელს.

სურათზე: „დედა-ინის“ გვირდო, რომელზედაც დაბეჭდილია ლექსი „დილა“.

გულისყურის დამყარებით ეპყრობა თავის ნაწერებს, რომ დღეში ოთხჯერ მხოლოდ სამს გვერდსა სწერს“.

ი. გოგებაშვილი მწერლობის დანიშნულებად სიმართლეს, კონსტანტინე სთელიდა და თავისი საკუთარი შემოქმედებით ამ პრინციპს შემსახურებდა: „უკეთესი ღონისძიება კარგი აღზრდისათვის ქეშმარტებაა, სინამდვილეო“, სწერდა ი. გოგებაშვილი.

საბავშვო მწერლის ნაწარმოები მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, თუ იგი დაწერილია სადა, ვასაგები ხალხური ენით, ენის ხალხურობა იყო, იაკობის აზრით, მიზეზი აკაკის დიდი პოპულარობისა: „იშვიათი გონების სიმახვილე და მშვენიერი ცოდნა ხალხური ენისა შეძლებას აძლევენ აკაკის გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა“, სწერდა იაკობი.

ნამდვილი, მაღალმხატვრული საბავშვო მწერლობის დამწყებად ჩვენში, სხვა მის დიდ თანამედროვეებთან ერთად (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხ.), ი. გოგებაშვილიც უნდა ჩაითვალოს. ვის არ ახსოვს მისი „ენაო და ფრინველები“, „იანვანამ რა ჰქმნა“, „ასპინძის ომი“ „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ და სხვა.

სადა ხალხური ენით დაწერილი, სურათოვანი პატარა მოთხრობები ცოდნის წყურვილს და უსაზღვრო სიყვარულს უნერგავდნენ მოზარდ თაობებს.

ი. გოგებაშვილი ოსტატურად ამუშავებდა ხალხურ ლექსებს, თქმულებებს, ზღაპრებს და ანდაზებს. იგი პატარებს აყვარებდა ხალხურ სიბრძნეს, ამზადებდა მათ მშრომელი ხალხის სამსახურისათვის.

ი. გოგებაშვილი იყო ჩვენი საბავშვო ჟურნალების „ჯეჯილი“-სა და „ნობათი“-ს დიდი მოამაგე. 1899 წ. როცა „ჯეჯილის“ გამოცემა გადასწყდა, იგი სწერდა: „რიგიანს საბავშვო ჟურნალს იმოდენა სიკეთის დათვისვა შეუძლია, რომ ამ სიკეთის გაზვიადება შეუძლებელია“.

ვერობის განათლებულ ხალხთა მაგალითით, იგი ქართველ საზოგადოებას უსაბუთებდა საბავშვო ჟურნალისა და მისდამი ჯეროვანი ყურადღების მნიშვნელობას.

ახლად დაბადებულ საბავშვო პერიოდიკას იაკობი გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, არჩევდა მის ნაკლსა და ღირსებას, მიუთითებდა საბავშვო მწერლებს თავიანთ ნაწარმოებების აკვარზე.

ი. გოგებაშვილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართული კულტურის ერთი ბიზანტიანთაგანი იყო. ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და ვაჟა-ფშაველას გვერდით იგი თავისი კალმით, ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით ნაყოფიერად ემსახურებოდა ქართველი ერის აღორძინების საქმეს. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ჩვენი ქვეყნის ყველა მოწინავე ადამიანი დიდად აფასებდა ი. გოგებაშვილის ღვაწლს. ბევრ მათგანს იაკობთან სისტემატური პირადი მიწერ-მოწერაც ჰქონდა.

განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა იაკობთან აკაკის ჰქონდა. ეს ურთიერთობა დამყარებული იყო ერთიმეორის საზოგადოებრივი ღვაწლის ღრმა პატივისცემაზე. აკაკი იაკობს „წარსულის შვილს, მომავლის მამას და მყობადის გადიას“ უწოდებდა. ასე მოხდენილად და შინაარსიანად იაკობის დიდი როლი არავის შეუფასებია.

იაკობ გოგებაშვილი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი წამოწყების მონაწილე იყო. მისი მხურვალე მონაწილეობით დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. შემდეგში

გოგებაშვილი იყო ამ ორგანიზაციის ერთი სულისჩამდგმელი და შესაქუთრეთაგანი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა <sup>ქართული</sup> <sup>საზოგადოებრივი</sup> <sup>მნიშვნელოვანი</sup> <sup>და</sup> <sup>სასარგებლო</sup> საქმე გააკეთა.“  
 იაკობ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით <sup>ქართული</sup> <sup>საზოგადოებრივი</sup> <sup>მნიშვნელოვანი</sup> <sup>და</sup> <sup>სასარგებლო</sup> საქმე გააკეთა.

თვითმპყრობელობის აუტანელი რეჟიმი უშლიდა და გზას უღობავდა მშრომელი ხალხის დაუღალავ მოქირნახულეს. მას გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა ქართული სკოლისა და ქართული ენის დასაცავად. მას თავს ესხმოდნენ ანაფორიანი შავრაზმელები, რუსიფიკატორი ჩინოვნიკები, ქართველი ხალხის შინაური და გარეშე მტრები.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი წარსულის დიდ მწერალთა და მოღვაწეთა ჯეროვანი დაფასება. თავისუფალმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ნამდვილად გააცოცხლა და დიდების შარავანდედით შემოსა ქართული მწერლობის, ქართული სიტყვის დიდი კლასიკოსები.

დიდი სტალინის მზრუნველობით გამთბარმა ქართველმა ხალხმა თავისი დიდი მოამბე ი. გოგებაშვილი ღირსეულად დააფასა და მისდამი უსახდერო სიყვარული მისი დაბადების 100 წლის თავზე სახალხო დღესასწაულად გადაქცეული ზეიმით გამოხატა.

შალვა გოჯალიშვილი

## ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმონარა იაკობ გოგებაშვილთან

დიდი ქართველი პედაგოგი და სამშობლოსათვის თავდადებული საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი შემკობილი იყო საუკეთესო ადამიანური თვისებებით, იშვიათი მოსიყვარულე გულით. მეგობარი და დიდად მზრუნველი ადამიანი იაკობი პატივს სცემდა და აფასებდა ყველა მას, ვისაც გული სამშობლოსა და ხალხის სამსახურისათვის უცემდა.

იაკობ გოგებაშვილს თავდავიწყებით უყვარდა თავისი თანამედროვე ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები: დიდი ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვეა-ფშაველა, ეგნატე ნინოშვილი და სხ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდებში დაცულია იაკობ გოგებაშვილთან მიწერილი ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პირადი წერილები. ეს წერილები უხვ მასალას იძლევიან იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების შესახებ, ნათელს ჰფენენ მის მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობას, რომელსაც იგი ეწეოდა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი სამშობლოს ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის.

ამ წერილებში აღძრულია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხებიან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლების განმავლობაში არსებულ ვითარებას საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

იაკობ გოგებაშვილთან მიწერილ პირად წერილებში იგრძნობა უაღრესად გულთბილი დამოკიდებულება და დიდი სიყვარული, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ იაკობისადმი ქართველი მოწინავე ადამიანები: მწერლები, სახალხო მასწავლებლები, საზოგადო მოღვაწეები და მთელი ხალხი — დიდი და პატარა, ვისაც კი წერა-კითხვა უსწავლია იაკობის მომადლებული ნიჭით შექმნილი სახელმძღვანელოებით — „დედა-ენითა“ და „ბუნების კართი“. ი. გოგებაშვილი იყო ქართველი ხალხისათვის — როგორც აკაკი პირად წერილში სწერდა: „წარსულის შვილი, მომავლის მამა და მყობადის გალია“.

განსაკუთრებით პირადი დიდი მეგობრობა, სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ ურთიერთისადმი იაკობ გოგებაშვილსა და ქართული პოეზიის მშვენიერებს აკაკი წერეთელს. იაკობს უზომოდ უყვარდა აკაკი და პატივს სცემდა მას, იაკობ გოგებაშვილის დახასიათებით, „აკაკის მალალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოსას, არამედ მთელს საქართველოს. აკაკი პატარა საქართველოა. მაგრამ ამ დიდებულს სახელს შარტო მას ვერ გაეუსაკუთრებთ, რადგანაც, თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა

სანუგეზოდ, პატარა საქართველოში სხვანიც გვეყავს: რუსთაველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა.“

იაკობს ასე ვატაცებით იმიტომ უყვარდა აკაკი, რომ <sup>მეცნიერული</sup> ლეგენდული მამულიშვილობაა. მას საქართველო ისეთივე გაგიჟებით უყვარს, როგორც ტარიელს უყვარდა ნესტან-დარეჯანი. რასაც უნდა სწერდეს აკაკი ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალბებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი“ (იხ. ი. გოგებაშვილის „იალბუზი ქართული პოეზიისა“)

თვით აკაკი წართელი დიდი თავყანისმცემელი იყო იაკობ გოგებაშვილისა. უყვარდა და აფასებდა მას, როგორც ქართველი ერის დიდ მოამაგეს, ხალხისათვის თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს. იაკობი მისთვის ყოველთვის სულიერი მეგობარი და გამამხნეველებელი იმედი იყო.

აკაკი დიდად აფასებდა იაკობ გოგებაშვილს, როგორც სახელმძღვანელოების ავტორს, იგი ალტაცებით ეგებებოდა იაკობის ყოველი ახალი წიგნის გამოსვლას: „ხანდახან, რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს შიკეთებ!... — სწერდა აკაკი იაკობს მეორე წერილში. — აი ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამყარეს მოწოლილი სევდა!.. გადავიკითხე, გადავათვალე იერე მუშტრის თვალით; ავწონ-გავწონე და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეულ იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი!..“

აკაკის პირად წერილებში მოცემულია იაკობ გოგებაშვილის ნათელი სახე და მისი მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობა. ამ წერილებში აკაკი ეხება მთელ რიგ უაღრესად საინტერესო საზოგადოებრივ საკითხებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ ორი სახელოვანი ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის ნათელსაყოფად.

დიდად საყურადღებოა მეორე მწერლის ნიკო ლომოურის წერილებიც. ნიკო ლომოური დიდი თავყანისმცემელი და მოსიყვარულე იყო იაკობისა. ეს სჩანს მისდამი მიწერილ პირად წერილებიდან.

სამშობლო ქვეყნის მოსიყვარულე მწერალი ნიკო ლომოური კარგად ზედვადდა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის ხანგრძლივ მოღვაწეობას ქართველი ხალხის საუკეთესო ცხოვრებისათვის ბრძოლაში. დიდი ილიას სიკვდილის შემდეგ სამშობლო ქვეყნის ერთგული შვილი იაკობ გოგებაშვილზე მეტად არეინ ეგულებოდა.

ოფიციალურ პრესაში დაბეჭდილ და გამოქვეყნებულ სხვადასხვა ავტორის რეცენზიებსა და შეფასებებს გარდა, არსებობენ აგრეთვე გამოუქვეყნებელი შეფასებანი იაკობის შესახებ. საქმიან შენიშვნებს და მითითებებს გოგებაშვილი დიდს ანგარიშს უწევდა და შემდეგ ყოველ ახალ გამოცემაში შეჰქონდა ცვლილებები, შესწორებები სახელმძღვანელოების სისტემატურად გაუმჯობესებისათვის.

რეცენზიების უმართებულო შენიშვნებს ი. გოგებაშვილი ყოველთვის საკადრისად უმასპინძლდებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი შემფასებლის შესახებ ეურნალ „იმედის“ ფურცლებიდან („გადაღმიელი“) ი. გოგებაშვილი თავის პასუხში („უმეცრების ამაყობა“) სწერდა: „ღედა-ენას კიდევ ესროლეს კენჭები. ადგილი, საიდანაც სროლა მოხდა, არის „იმედის“ ფურცლები და მსროლელი გახლავთ მეტის-მეტად მამაცი მოლაშქრე. სიმამცით მან ბევრი გადააქარბა სხვა კენჭის მსროლელებსო.“

ერთ თავის ავტოგრაფში — „უშვერი ცილისწამება“ — გოგებაშვილად აკურით ამბობდა: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთებას, ათი ექვსდღე უფრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვადასხვა ცილისწამებებისადმი“ (საქ. სახ. მუზ. ხელნაწ. განყ. წერაქითხვის ფონდი — 5331)

„ბუნების კარის“ გამოცემით აღფრთოვანებული ნიკო ლომოური 1908 წელს იაკობს სწერდა: „ეს არის ახლა მომივიდა ეს წიგნი თბილისიდან. მხოლოდ გადავწინავე და ამ გადაწინავემაც კი ალტაცებაში მომიყვანა... მშვენიერი, საუცხოვო რამ არი! რაც კი ქართველი ჰაბუკისათვის აუცილებლად საჭიროა, ყველაფერი ამ წიგნშია მოქცეული. ამ წიგნს „ბუნებისა“ კი არა, სამშობლო ქვეყნის კარი უნდა ერქვას!.. სამშობლო ქვეყნის ყოველ მხარეს გაიცინოს ყმაწვილი ამ საკვირველი წიგნის მეოხებით“ (იხ. საქ-მუზ. ხელთნ. განყ. წ-ლ. ფონდი, № 1745)

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ მრავალი მასალა მოიპოვება ქვემოთ მოყვანილ პირად წერილებში. მეტად საყურადღებო შეფასება მისცა და დაწვრილებით გაარჩია ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, 1882 წელს პეტერბურგში გამოცემულ „ახალი ქართული გრამატიკის“ ავტორმა დიმიტრი ყიფიანმა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ აკაკი წერეთლისა, დ. ყიფიანის, ალ. ცაგარელის, დ. კლდიაშვილის, თედო რაზიკაშვილის, ი. მუხნარგიას წერილებს ი. გოგებაშვილისადმი.

## აკაკი წერეთლის წერილები

### წერილი პირველი

4 ივლისი [1891 წ. პეტერბურგი]

ძმაო იაკობ!

არის ბოლმე მისთანა გარემოებაც, როცა ადამიანი მადლობასაც ვეღარ ახერხებს! შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონათ მივითვალე, იმდენად დააკმაყოფილა ჩემი ზნეობითი მხარე. ეს სიამოვნება უბრალო თავ-მოყვარეობის ნუ გეგონება!.. მე ჩემ თავს დიდათ აქამდისაც არ ვაფასებდი და ახლა ხომ სულ აღარად მელირება ამ ავადობის გამო!.. ის ნიშანი, რომლის გამოც მე ქართველი მიყვარს მის წარსულში, რომლის გამოც, საყვარლად და სასურველად წარმოვიდგენ მომავალში და რომლის ნიშნებსაც ახლანდელეებში ვეძებ, არ ყოფილა გამჭრალი და მასისადამე წარსულისა და მომავლის კავშირი განუწყვეტელი ყოფილა და ეს იმედი სიკვდილის წინეთაც დიდი ნეტარებაა... მე ძალიან ავათა ვარ, თუმცა პირველი ექიმები მივიღიან, მაგრამ დიდ-იმედს მაინც ვერ მაძლევენ. მეუბნებიან, საზღვარს გარეთ წადი და იქ იექიმეო, რომ ცოტა მაინც მოგიშვასო!..)

პირადათ ჩემთვის სულ ერთია დღეს აღარ ვიქნები თუ ხვალ, მაგრამ ის კი მწყინს რომ, როდესაც დავმწიფდი, ჩაეჯექი გრძნობა-გონებაში, მაშინ უნდა შევიქნე უძლური და ურგები ქვეყნისათვის. მეორე კიდევ იმასაც ვერ დავიფარავ, რომ ჩუბინაშვილის<sup>7)</sup> სიკვდილმა შემაშინა. განა სიკვდილმა, იმან უფრო რომ ვიფიქრო: ვაი თუ მეც ასე რუსულად დამძახონ თავზე და

წამილწონ კაცი კაცი თქო. სხვებ რაღა გაწუხო, იყავ მშვიდობითა და ბედნიერად.

შენი მარტოვენი  
მისწერე

P. S. ივერია არ წამიკითხავს თხოთმეტ აბრისს აქეთ, არც ჯეჯილი და ცოტა გული მწყდება და არც მაქვს საშუალება რომ გამოვიწერო. ამდენ მგლებს, ე. ი. ექიმებსა და აფთექებს, რაღა ვადაურჩებათ?

ა. კ.

### წერილი მემოდა

[1891 წ. ზაფხული, პეტერბურგი]

ძმაო იაკობ!

შე იმ განზრახვით ჩამოვედი პეტერბურგში, რომ, როგორც უსაშუალო კაცი, სამსახურში როგორმე შევესულიყავ და მართლაც ვიშოვნე ას მანეთიანი ადგილი ერთს სააგენტსტოში, მაგრამ ჰაერმა მაწყინა, ავად გავხდი და ექიმებმა მიჩიხეს: საჩქაროთ თბილი ქვეყნისაკენ გასწიეო ან საზღვარ გარეთ, ნიცაში, იტხოვრე და ან ისევ კავკასიაშიო. აბა, საზღვარ გარეთ ცხოვრება სად შემიძლია? და ისევ მანდეთკენ უნდა წამოვეთრე. ახლა გულითა გთხოვ რომ წერაკითხვის საზოგადოებას შემახვეწო: ეგებ მაგან მომაშველოს გზის, წამოსასვლელი ფული და ვეცდები როგორმე გადავიხადო. ეგ ერთად-ერთი ლა ნუგეში დამჩინია და თუ დამიგვიანდა აქ, ცუდათ იქნება ჩემი საქმე. დღურნოვო გამოესარჩლა თავ-გამოდებით ჩვენს ავტოკეფალიას. ორი ბროშურა გამოსცა, სადაც ვოსტოროვს\*) ცუდათ იხსენიებს და ვოსტოროვმა ც უჩივლა, ხულიგნობის იმედი აქვს.

იხმარე შენი გავლენა და ჩვენს ინტელიგენციას ადრესი თუ არა, ტელეგრამა მიიწვ გამოავზაენიე მისთვის. მოსკოვში არის. მე ჩემის მხრით ლექსი გავუგზავნე, მაგრამ იმას რა მნიშვნელობა აქვს. სულ სხვა იქნება მისთვის, როცა ქართული ახალთაობა გამოეხმალურება. სხვა აქაური არა ვიცი რა. ეს ოცი დღეა ოთახიდან არ გამოვსულვარ. მანდედან წერილი მომივიდა: წერაკითხვის საზოგადოება თავმჯდომარეს ირჩევსო და თუ შენ არ იქნები ან (ცხვედაძე\*) ყველას ყაზბეგი აჯობებს ჩემის აზრით.

მარად მოყვარული აკაკი.

### წერილი მესამე

1-ლი იანვარი [1896 წ.]

წარსულის შვილო, მომავლის მამე და  
მყობადის ვადაე, ძმაო იაკობ!

გილოცავ დღესასწაულებს და ახალს წელს!.. გილოცავ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს ახალი წელი, ჩვენ რომ გვინდა, მისთანა დავგდგომოდეს!.. მაგრამ, ვაი შენს მტერს, იქვი კი მაქვს!.. ჩვენთვის კარგი რამ, როგორ მოიცილის? რასა იქ და როგორ ხარ? მე ეს ერთი ხანია აქ ვზივარ, ამ დასაქცევ ხარკოვში\*) და სიცივეების გამო ჯერ კარში არ გამოვდივარ, მხოლოდ საღამოს საღამოობით კი ოპერაში ვარ, რადგანაც მუქთია, ჩემ შვილს უჭირავს. დილი-

დან სალამომდე კი თავისუფალი ვარ და წერა-კითხვით თავს ვიქცევ. როგორც დაძველებული და ახალ რასმესათვის გამოუსადეგარი, მეც ჩემ ძველ ნაწერებს, რომლებიც არ ყოფილან ჯერ დაბეჭდილი (და ამგვარი წიგნ-შეტად ბევრია) გასალაშქრებლად მივჰყავ ხელი: ჯერ-ჯერობით „მეტად“ „საგანთა-ვე. კარგი იქნება თუ არა, რა მოგახსენო, მაგრამ მე კი მეტად კმაყოფილი ვარ. ეგები მიტომაც, რომ ამდენი არცერთ ჩემ თხზულებაზე არ მიშრობნია? ვაი თუ მეც იმ დედასავით მომივიდა, რომელიც ამტიკებდა, რომ ეს ჩემი შვილი ყველა შვილებზე უკეთესი უნდა იქნეს, — რადგანაც ძალიან დიდხანს მტკიოდა მუცელი, ვათავებ „ბაში-აჩუკს“ და მერე შეუღლები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ შენიშვნების წერას. მაღლობა ღმერთს დრო ბევრი მაქვს და მანდაურობას მოშორებული და ოპერით გულ-გადაფერილი, წერის გუნებაზე მოვდივარ!.. სტუდენტები დამიხედნენ ვოჯალზე, რომ მოვედი და გამიკვირდა, რა იცოდენ ჩემი მოსვლა-მეთქი? ბევრი ყოფილან: აქ სულ ორმოცამდე, მაგრამ ჯერ მე იმათთან არა ვყოფილვარ. ისინი კი იყვნენ! — სხვათა შორის „მოამბის“ № 11 გადავიკითხე და ძალიან მომეწონა. სწორედ კარგი ნომერია. მაგრამ გვირგვინი ყველა სტატიების „ნაცნობის“ სტატიაა. მე შენი სტატია მგონია და მართალია, თუ არა? მაგრამ, რომ შენი არ გამოდგეს, უფრო მოხარული ვიქნები!.. მაშინ ერთის მაგიერ ორი იაკობი გვეყოლება!!!.

არ ვიცი, რამდენხანს დაერჩები აქ და თუ დიდხანს დაერჩი და საშუალებაც ჩავიგდე ხელში, მინდა აქაური არხივიდან, რაც კი რამე ცნობაა ვახტანგის დროს გადმოსახლებულ ქართველებზე, სულ გამოვიწერო და თანაც ის ქართველი ოჯახები პოლტავის გუბერნიაში სულ მოვიარო. ამბობენ, რომ ზოგიერთებს კიდევ აქვსთ ოჯახში, როგორც საოჯახო რამ ნიეთი, ქართული ხელ-ნაწერებიო, აგრეთვე სასაფლაოებზე ქართული წარწერებიო და ეგები დ. გურამიშვილის საფლავს წაეაწყდე. სხვა რაღა მოგწერო. ჩვენი სიცოცხლე, სულ ცარიელი სურვილია! —

თუ, ვინცნობაა მოიცალო და მოგინდეს ჩემთან წერილის მოწერა, რომელიც ჩემთვის სასიამოვნო იქნება, აი ჩემი ადრესი:

Харьков, Сумская улица, дом Гиршмана.

აკაკი.

## წერილი მეოთხე

[1898 წელი ზაფხული]

ბატონო იაკობ!

ხანდახან, რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ!.. აი ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამყარეს, მოწოლილი სევდა!.. გადავიკითხე, გადავათვალიერე მუშტრის თვალით; აეწონ-გაფხომე და შიგ ქეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვერა. კურთხეულ იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი!..

მარად შენი მოყვარული აკაკი.

საარშო: (P. S.) „ძვირფასობით“ მინდოდა მოწერა, მაგრამ ნიკოლაძე \*) გამახსენდა: ნიკო რომ საზღვარგარეთ ჩარჩა და ველარ დაბრუნდა, მამას მო-

სწერა: „ძვირფასო“, მამამაც უპასუხა „შვილო ამდენ ფულს გიგზავნი გყიდულობ და ველარ მიყიდხარ, თვალთ ველარა გზედავ და მჭირფასი შენ ხარ, მე კი არაო“ და სხვანი.

ამ თვის 15-ს ბორჯომში უნდა გამოვიარო, გზახავდი, მაგრამ სახლობა მიმყავს ცემში ლამბაშიძესთან და ველარ ვახერხებ.

## წერილი მხეშთი

27 ენენისთვე [1898 წ.]

ძმავ იაკობ!

წელს ორჯერ ჩამოველ ბორჯომში რამდენიმე დღით, რადგანაც ვარეზობა მეტს დროს არ მძღვედა, რომ საკუთრად შენ შენახე, მაგრამ ხომ გაგვიგონია: „უბედო კაცს ქვა აღმართში მიეწვევაო“, ჩემი პირადი სიამოვნება, გინდ მკირეც იყოს, არა სწერია ბედის ვარსკვლავზე!.. ორჯელვე გულდაწყვეტილი დავბრუნდი და ახლა აქა ვარ ჩემ საჩხერეში, სადაც სამუდამო ბუნავს ვიკეთებ, თუ დამცალდა. როგორც არის, აქ უფრო ვუძღებ ჩემ სენს და სატკივარს. ახლა მაინც მუწუხობაა და გულს ვაყოლებ მუშაობას. დაღამდება თუ არა, რომ მოიცილიან, მუშები მომისხდებიან ხოლმე გვერდითა და ცა და მიწა, მთა და ბარი გაერთიანებული გვაქვს. ვერ ვიტყვი რომ მოწყენით ვიყო!.. უსიამო სტუმრებისათვის სახლში არა ვარ ხოლმე, მაგრამ ხანდახან კი მომენტურება ხოლმე, როგორც მარტო ხელს, ზოგიერთ ჩემი ნაცნობების ნახვა და მათ რიცხვში შენი ყველაზე უმაღლ. არ გეგონოს, რომ იმერულათა გწერდე!.. აკაკურადა! — გწერ მხოლოდ გულის აყოლით. მაგრამ შენ აქეთ რა წამოგიტყუებს, ამსიშორეს? თუმცა სურამსაც და ბორჯომსაც სჯობია ჩვენი საჩხერე!.. განსაკუთრებით, სადაც მე ვსახლობ, არც ქარი იცის, არც სიციხე და არც სიცივე, — თუ მივაწიე ვისამღი, ეგება გაგაბედვიო, როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება!.. იმედი კი არა მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებ და გიმზადებ ოთახებს, სწორეთ, შენი გემოს საკადრისს. რა არის, ნუ ხარ ეგოისტი, ერთი აქეთენაც დაენახე თვალთ ჩვენებურ ბავშვებს!.. გუშინ ერთი პაწაწინა, მეზობლის გოგონა შეკითხებოდა შენ შესახებ: ბელატია (მელოტი) თუ არა იაკობ გოგებაშვილი? შეილები თუ ყავსო? გაწყრომა იცისო? და სხვანი... ნეტავი მაჩვენაო და მეც შენს პორტრეტს დავბირდი. დიდათ გაიხარა ცალკე მინდაო თვარა „ფერხულიანი“ არის ჩვენს სახლშიო. „ფერხულიანს“ თურმე სხვებთან, რომ ხარ ერთად იმას ეძახის. თუ გაქვს, გეთაყვა, შენი პატარა სურათი გამომიგზავნე. აქ ჭორები დადის, რომ ვანო<sup>9)</sup> მამაბელი უნახამთო და მართალია, თუ ჩვენი ბისმარკების განძრახ-გამოგონებული რამ? ამ დღეებში, მარია ივანოვნა დემურისაგან<sup>10)</sup> წერილი მომივიდა, საყმაწვილო წიგნები უნდა გამოვსცეთ ქალებს-მავ და დაგვეხმარეო!.. მე რა ავტორიტეტი ვარ, რომ აქ მომწოდენ? შენ მანდ არა ხარ? შენ უკეთ არ მოახერხებ საყმაწვილოსაც და სავაშკაცოსაც?.. მეც სწორეთ გამოტეხილი მივსწერე: მე სიბერემ ყოველგვარად დამაუძღურა, აღარც გრძნობა მიჭრის და აღარც გონება თქვენ საკადრისათ მეთქი. გეთაყვა, თუ მოგმართონ ზურგს ნუ უჩვენებ!..

შენი მარად ერთგული და მოსიყვარული აკაკი.

წერილი მამაკვსი



ძვირფასო ძმაო ბატონო იაკობ!

მეტად ცუდ გუნებაზედ ვარ და მიტომაც მინდა გამოგვლაპარაკო. რასაკვირველია იტყვი: ამ სიშორეს რომ შეპოტინება, იქვე იმერეთში, უფრო ახლოს არ არიან სხვები, რომ იმათ გაუზიაროს თავისი ნაღველიო?

მართალია, როგორც თვითონვე გვარწმუნებენ, ბევრი არიან ჩვენში „საქართველოს მთიები“ მაგრამ მათი სხივი არც თვალსა და არც გულს ჩემსას არ ჰხვდება. ჩემს ნაღველს ისინი ვერ გაიგებენ და მეც მათი შარბათი ვერ გამიგია!... და „ობოლ სულად“ დარჩენილი თავს შეეპკოდება: „ალარც ნატვრა და ალარც იმედია“ მეთქი!... გამიცრუვდა წინანდელი ოცნება და რამღა მასულდგმულოს? სული ბოროტი, შავი ყორანივით ჩამოხახვის ყურში! „შენის პოლონია“-ო! სადღაა საქართველო და ქართველობა? ქუთაისში მეგრულის მეტი არა ვაისმის რა, ტფილისში სომხურისა და ბაქოში თათრულისა!... და საერთაშორისოც სკვითურია!.. მეტყვი არ ვარგა სულით დაცემა... ბრძოლა... ბრძოლაა საჭირო?! მაგრამ განა ცოტა გვიბრძოლია ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში და რა გამოვიდა? „ხმა უდაბნოსა შინა!“ ერთადერთი საიმედო, დღემდის შენი სახელმძღვანელოები იყო, მაგრამ დღეს კი ვხედავ, რომ იმასაც ბოროტი ძალა ეღობება წინ და ჩვენ კი გულგრილად შევყურებთ!.. „ეს ლევიცკიაო“, „ეს „მუნჯური მეთოდიო“, გიმნაზიის განზრახვ-დანისწული, უფიცი მასწავლებლებიო და სხვანი!.. ოჯახიც რომ მისკვითურ [ი] ხიზლა [ეს] ჩვენში... ქართველობაში?! დავიარე ჩვენი მხარე და ის ვეღარ ვნახე, რაც მენახა. საქანელზე ვდგავართ და მივისწრაფით უფსკრულისაკენ და ჩვენი ჟურნალ-გაზეთები კი თვალ-დამდგარ მენახირესავით „ბუზანკალს გაიძახიან“. ამისთანა დროს, ყოფნას, არ ყოფნა სჯობს. ეჰ, რალა თავი გაწყინო?! მე თუ ამ სიმთელითა და ამ გუნებაზე კიდევ დიდხანს დავრჩი, ვგონებ ერთმანეთი ვეღარც კი ვნახოთ და ვისურვებ მხოლოდ შენს ზანგაძლივობას, რომ შენ, როგორც იმედდაუკარგავ კაცს კიდევ ბევრი გეშრომოს და გებრძოლოს!.. ვინ იცის? ეგებ მართლაც რამე გამოვიდეს!.. ნათქვამია: „სასწაული მორწმუნეთათვის“-ო.

შენი მარად აკაკი.

წერილი მუშვიდ

[1908 წელი].

ბატონო იაკობ!

მიკვირს და გამკვირვებია, რომ ის გაზეთი, სადაც შენ მხურვალე მონაწილეობას იღებ, კიდევ მაინც ასე წინდაუხედავად წაიკუნტრუშებს ხოლმე!.. ჯერ იყო და ვოსტროვოვის ქებით გაგვაყრუა... ახლა და, ამდგარა და ქებათქებას უძღვნის ახლადნაკურთხ კერპთ-მთავერებს: „ამასთან ნასწავლი და ამგვარად ნამსახურები არიანო!“ მკითხველებს უმახარობლებს, თითქო საბედნიერო რასმე. მერე რა დროს? მაშინ როდესაც ქართული ეკლესია განსაცდელშია ჩავარდნილი და მასთან ერთად ენისა და ეროვნების გაქრობას გვიქადავებენ... აი ამას ქვიან, სწორედ, პოლიტიკური მახინჯობა და „გორიბაური“

მეთაურობა! — მაშინ როდესაც უფლება არა გვაქვს ისტორიულად/გამცემელი დაუძახო, იმას მაინც რა გრჯის, რომ იმავე ქვეყნის მტერს, მტკიცებულებათა შორის იხსენიებ?!.. მაგრამ ჩვენი არა მკითხვე მეთაურები... გუჯრუ ვაჟარჩევან სად რა სთქვან? და როდის? მტრები ცეცხლს გვიკიდებენ და ჩვენ, რომ გავაქროთ, წყლის მაგიერად, ნავთს კი ვასხამთ!.. მართლა ცეცხლის წაქიდებზე მომაგონდა. ამ დღეებში, ღამის სამ საათზე, წამიკიდეს ცეცხლი. თავლიდან დაწვებული, რაც რამე კი ნამშრალობა მჭონდა სულ გადამიბუგეს; სახლი კი სოფელმა გადამირჩინა. კიდევ კარგი რომ დაზღვეული არ ყოფილა, თორემ, ვინ იცის, უცნაურ რამესაც ამიტუხდნენ და სამართალში მიმცემდნენ. რუსობაა!.. გამომძიებელი გადმოვიდა და გლეხკაცებში და მოსამსახურეებში დაიწყო დამნაშავეის ძებნა. მაგრამ ტყუილად, ისინი მე არას მერჩოდნენ. იმათ თვალშიაც რომ ჩაუფარდევ ხელსაც არ ამოისმენ. — გამომძიებელსაც ასე ვუთხარი და თავი დავანებებო. ეს მტრობით კი არ არის ნაქნარი მოყვრობით არის მეთქი: ორმოცდაათი წლის იუბილეის ჩირაღდანი გამიკეთეს და ეს უფრო შეგნებულების საქმე იქნება, აბა დაბალი ხალხი რას მიხვდებოდა მეთქი? ბევრი იცინა, თუმც ჩემზე უფრო კი სწუხდა. მე კი ყურიც არ გამიბერტყია! დაიწვას ყოველიფერი, მაინც დასაწვავია!.. ნეტავი სახლიც არ გადაერჩინათ, ერთ ჭირს გადავრჩებოდი: ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ვერიდებოდი ჭინჭარსაო, ამომივიდა წინ კარსაო!“ ეს ერთი ხანია, ერთი რუსი, ჩემი შეილის ნაცნობი, ჩამიდგა სახლში და ვეღარ მოვიშორე. „მომწონს აქაურობაო!“ მე კი აღარ მკითხავს!.. ამის ლოლიობას ვუნდები და ვეღარა გამიკეთებია! რა!.. ასე უნაყოფოდ ჩემ დღეში არ ვყოფილვარ, არ დავრჩენილვარ სოფელში, ოკიოდე იგავ-არაკი დამრჩა კრილოვის იგავ-არაკებიდან და ისიც ვეღარ გავათავე... ტყულა კი არ არის ნათქვამი: თვით არ იყო ძმარო და ჩაერიო წყალი“. მე რალა ხელის შემშლელი მეჭირვებოდა!..

შენი ღრმად პატივისმცემელი აკაკი.

ბ. გაურკვეველ ხელზე ნუ დამემდურები.

როცა გუნებაზე არა ვარ ველარას ვახერხებ ხოლმე.

წერილი მირამი

[1909 წ. ზაფხული. წერილი პარიზიდან]

ძვირფასო მეგობარო იაკობ!

გუშინ მივიღე თამარიშვილის<sup>22)</sup> წერილი რომიდან. ალბათ სტამბოლიდან მოუწერიათ ჩემი მოსვლაც და ჩემი აქაური აღრესიც. — დიდ იმედებსა მწერს და ალტაცებითაც მიზარებს რომში. მე ჩასვლის დასტური მივსწერე, მაგრამ ჯერ წავალ, რადგანაც საგზალზე ნაკლებათა ვარ და სტამბოლიდანაც ნიკოლოზი უნდა დავიბარო, რასაკვირველია, ჩემი ხარჯით. ასე რომ არ ვიცი როდის მომიხდება წასვლა? თამარიშვილი კი მწერს, რომ ჯერ სიუხეებია იმ თვის პირველში მოველითო.

ახლა მინდა რჩევა გკითხო: ვენეციაში მინდა შევუხვიო და იქ ალექსანდრე ზუბალაშვილი ვნახო, მდიდრებ ზუბალაშვილების ბიძა და დიდი შეძლებული, უცოლშვილო კაცი, მე მგონია იმასთან მოლაპარაკება, არ იქნება ურიგო. თუმცა გული არ მიწევს მათკენ, მაგრამ, თუ მირჩევ, იმ ზუბალოებსაც ვნახავდი. შევიტარიში არიან. „ნათქვამია ცდა ბედის მონახვერეაო“.

მით უფრო, რომ აქ საპირადო არ არის რა. თუ შირჩევ მათ ნახვას <sup>შედეგად</sup> ადრესიც, რომელსაც ისინი მალავენ, მიშოვნე ან ცხვედაძესა და ან მის/სიძეს ექნება. სხვას ყოლიფერს თვითონვე მიხედები. სიფრთხილით <sup>გვეტანა</sup> და მან-დაც ძალიან სიფრთხილზე საჭირო, თორემ ხომ იცი ჩვენი <sup>სიფრთხილზე</sup> სიფრთხილების უნას ცენზორი არა ჰყავს. ამ წერილს მიტომ ვერა გვერ პირდაპირ, რომ შენი ადრესი არ ვიცი და წერა-კით. საზოგადოების სახელზე მიტომ არა ვგზავნი, რომ იმათი ძალიან შეშინია! ვაი თუ არ ვადმოგცენ, ან გახსნან ჩემათ რომ დაინახავენ. — მე კი სანამ შენი რჩევა არ მომივია, ფულიც რომ ვიშოვნო, არ წავალ. ძალიან ვაგვხდი, ასე რომ გუშინ ქუჩაში კინაღამ შალეარი და მისი თანაშემწე ჩამეარდა. და არც ვასაკვირველია, რომ ვერაფერს ვერა ვსკამ. ვერ შევეჩვიე ფრანგულ საქმელებს... ისე აკეთებენ ყოლიფერს სოუსად, რომ ველარ გამირჩევია: წიწილაა, თუ ბაყაყი. — და ამ გვარად. — ეჰ, შენ იყავი კარგად და ბედნიერად და ჩემზე აღარა ჰღირს ლაპარაკი.

შენი მარად კეთილის მოსურნე აკაკი.

დირიქტორი ყიფიანის შეფასება ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „დედა-მინისა“

(სამ. სახ. მშხ. ხელნაწ. განმ. წ. კითხ. ფონდი № 5331 ა)

დედა-ენა ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოთ არის შედგენილი.

მაგრამ ახალ მოსწავლეთათვის გამოცემულს პირველ საკითხავს წიგნში შეცთომა არა უნდა იყოს რა, რომ ნაკლულოვანება კანონიერებად არ დამკვიდრდეს და შეცთომა შემეცნებათ არ მიიღონ. მოსწავლენი იფიქრებენ, რადგან ასეა დაბეჭდილი, უთუოთ ასე უნდა იყოსო და დედა ენა შეილახება.

წინასიტყვაობაზედ ამის მეტს სულ არას ვიტყვი, რომ თავიდან ბოლომდის ქართულს ენაზედ ვადითარგმნოს; სიტყვები ქართულია, მაგრამ ენა არა.

11 გვერდზე 4 სტრიქონი ასე იწყება: „ამ ისოების გარდა... ყოვლად უსაფუძვლო არის ეს ახალი შემოღება, რომ ნათესაობითი ბრუნვა წინ უძლოდეს ზმნის ზედას: წინა, აქეთ, იქით, უკან, გარდა და სხვა“.

ქართველი არას დროს „არ იტყვის: ამის წინა, იმის აქეთ, მაგის იქით, ამის უკან, ამის გარდა და სხვა. ნათესაობითი ბრუნვა ძველს სამწიგნობრო ენაში დაჰყვებოდა ზმნის ზედას და ახლანდელს სასაუბრო ენაში მიცემითი მიუძღვის: ამას წინა, იმას აქეთ, მაგას იქით, ამ სახლს უკან, ამ კაცს გარდა და სხვა.

28 გვ. 9 სტრ. „ქურდზედ ქუდი იწვისო“. ეს ხომ წმინდა რუსულია, на воре шапка горит. ქართველი იტყვის: ქურდს ქუდი ეწვისო.

30 ქვეიდან 10 სტრ: „მიქონდა... დაჰკარგა“. მ ისე მეორე სიტყვაში არ არის საჭირო, როგორც პირველში. ბევრნი არა თუ მ-ს ცხადადა გამოსთქვამენ, მიქონდათო, — მ-ს მაგიერად თითქმის ხ-საც ხმარობენ — მიხქონდაო.

33 გვ. 13 სტ: გამლეულ და გამომლელისათვის“, და უფრო სწორეთ: გამვლეულ და გამოვლელისათვის. იქვე, ქვეიდან 5 სტრ: „სახნისი და საკვეთი“. ქართულად. „სახნისი და საკვეთი“.

35 გვ. 3 სტ: „გამოჩიკა“. ქართულად გამოჩიკა“.

40 გვ. 5 სტ: რასაც რუსულად **ДОМАШНИЙ ЖИВОТНЫЙ** ჰქვია, რასს ქართულათა ჰქვია, საზოგადოდ: საქონელი: და კერძობითად — საქონელი — **КРУПНЫЙ ЖИВОТНЫЙ**, წვრილ ფეხი — თხა, ცხვარი, ღორი, ცხენი

47 ქვეილამ 5 სტ: „ყველას ეშინოდათ“. ყველა მზობრისმარება და ზნა მრავლობითი ვერ დაჰყვება“).

იქვე: ირემმა ირემს რომ ბალახი აუშვირა, ქართულად ასე ვამბობთ: „არც შენ გაკლია, ვიციო“, ან: შენც კი იშოვნე, ვიციო, მაგრამ იჩენება ჩემგან გამოსო, ან გიამოსო.

49 — 9. „ერთ ღღეს“. ეს სტამბის შეცთომაა: „ერთ ღღეს“.

63 — 13 „სლუპავდა“. უნდა იყოს სვლუპავდა; ანუ უფრო სწორეთ: სვლუპადა.

79 ქვეილამ 1 სტ: პურისას, ქერისას, სიმინდისას და სხ. არაინ იტყვის: მწიფდებაო. ვარგდებაო, დავარგდაო, შემოსული არისო, გასაქრელი არისო.

მწიფდება ითქმის ყურძენზედ, ხილზედ, მუწუჯზედ.

79 გვ. — 6 სტ. საპურე მცენარეს ქართულად ჰინახული ჰქვია.

83. — 5. „ანამყენედა“ ქართული არ არის. ან ამყნობდა უნდა, — ან ანამყენებდა. ვამყნობ, დავამყნე, დავანამყენე.

102 — 15. „ღიუმი“. აქ პირველი ო სულ არ უდგება ქართულს გამოთქმას და არც არის საჭირო. აქ ვ იჩენებოდა თავის ადგილს, მაგრამ აღარა ხმარობთ და რა გაეწყობა. მაშ სწერეთ ღიუმი.

102 გვ. ქვეილამ 5 და 6. ქართულს ენაზედ ორი სხვადასხვა ზნა არის: წყვა და რწყვა; სწყვენ, რწყვენ; აიწყვის, მოირწყვის. აქედამ: საწყავი, საწყაო, სარწყავი. პური, ქერი, ფქვილი, ღვინო აიწყვის; ბოსტანი ვენახი მოირწყვის.

111 გვ. 8 სტ. „ტიულპანი“. — სხვა ენებზედ ჰქვია ტულიპი, ტულპანი.

114. სადაც აქ ნაწილები იხსენება, ჩვენ ვამბობთ ასოებშიო. ნაწილები — **МОЩИ**.

(დანქრით, იაკობ გოგებაშვილის მიერ ჩაწერილია: დამისახელეთ ტანის ასოები თუ ნაწილები?)

115. ქვეილამ 5. ეს ჩქარა გამოსათქმელი მე ყოველთვის ასე გამიგონია: „ბერკაცსა ბლისკინასა ბლის ხიდზედა ბლინ ბოყვითა ბალი გააქვს და გამოაქვს“.

117. ქვეილამ 10 სტ: „აკეთებს მათგან გროვებსა“. ქართულად აქ აკეთებს არ ითქმის. აყენებს გროვებსაო, გროვა შეაყენაო და არა გააკეთაო. გაკეთებას ჩვენში ცოტაც არის მოაზრება უნდა უძლოდეს.

120 — 1. ზარის რეკა და არა რეკვა.

[120 გვ.] ქვეილამ 7. თვალეზი და არა ორთავ თვალეზი. ეს შემოღებაც ყოვლად უსაფუძვლო არის და რათ უნდა დამკვიდრდეს.

[120. გვ.] 8, იყოს და არა იყვეს. იყვეს-სხვა ზნაა: იყვეს, იყვეს და ვერ გაიყვეს.

129 — 9. ხმლიანი და არა ხლმიანი.

133 გვ. 4. მიიარა და არა მიარა. — მიარა, მიარა და ვერ შემომიარა“)

[133 გვ.] 8. 9. „თუ ამაზე უფრო დიდი ნაყოფი ბმოდა“. აქ თუ არ ვარგა; ქართულად ასე ვიტყვით: „ამაზე რომ უფრო დიდი ნაყოფი ბმოდა“...



135. ქვეიდამ 7. ოცჯერ მომეტებული კი არა, ოცჯერ მეტი რცათ მეტი.

136. — 1. „რომლებიც აქ არ ითქმის, მხოლოდითად უნდა წიგნსკმტკა

139. — 13. „მოუყევა — რასა?.. ხადსა, უამბო-რა?.. ხადი.

143. — 10. კაცს გარდა და არა კაცის გარდა.

[143 გვ.] — 13. „მგელი თხასთან და თივა თხასთან“ კი არა, მგელი თხასთან და თხა თივასთან.

148. ქვეიდამ 10. ჰყავდა და არა ჰყავდა. ჰყვანდა სულ არ ითქმის, გაჰყვანდა კი, მაგრამ ეს სხვა ზმნაა.

151. — 4. ჯასჯანჯიელი — [ფანქრით იაკობ გოგებაშვილის მიერ ზედ-ვასწორებულია: ჰასჰანჯიელი.] ამის მეტად არც გამოიგონია და არც ვიცი რას ნიშნავს.

153. გვ. 9 სტრ. თამაზ ხნისაო, თუ თამარხნისაო?

[153 გვ.] ქვეიდამ 8. „გენაცვას“ ქალი იტყვის და არა ვაჟი. ვაჟი იტყვის-გეთაყვაო.

156. 13. კიდევ ჰყვანდა. ერთი ზმნა არის ყოლა, მეორე ყვანა.

158. 10. სახლწინ, სახლს უკან და არა სახლის...

173. სარწმუნოების სიმვოლოში ორი შეცთომა არის:

1. „ლთი ჰეშმარიტი ღთისაგან ჰტისა, შობილი“... აქ მძიმე უადგილობა ზის, — უნდა იყოს: „ლთი ჰტი, ღთისაგან ჰტისაშობილი და“... 2. თუ იტყვივით ვაღმალღებ, ვაღვაშენებ, — მაშინ ვაღვიარებსაც იტყვივით, მაგრამ ქართული არც ერთი არ იქნება. აღვაშენებ, ალაშენებ, ალაშენებს; ალაშენა: — აღვაშალღებ, ალაშალღებ, ალაშალღებს, ალაშალღა; — აღვიარებ, აღვიარებ, აღვიარებს, აღვიარა, ალშენება, ალშალღება, ალსარება.

174. 175. სინანულის ლოცვაში ორგან არის ახოცენ. უნდა იყოს აღხოცენ. ერთს ადგილს არის ღმერთმან აქ შეცთომას გამართლება არა აქვს.

რადგან უეჭველია, ეს წიგნი კიდევაც ბევრჯელ დაიბეჭდება — კარგი იქნება უკეთ გაშალაშინდეს.

კარგი წიგნი რომ არა ყოფილიყო, არას ვიტყვოდი.

დიმ. ყიფიანი.

პროფ. ალ. ცაგარელის წერილი

(საბ. სახ. მუზეუმის ფონდი № A 1745)

ყოვლად პატივსაცემო იაკობ სვიმონისძე! კარგა ხანია თქვენი წიგნი განვიხილე, მოვიწონე და გავგზავნე კომიტეტში, აქამდინ, მგონი, მოგვიცოდოდათ: ჩემის აზრით აკადემიური ასოებით რომ ბეჭდოთ ემუჯობინებოდა (გვ. 448 — 497), რადგან აკადემიური შრიფტი თუმცა წერილია, მაგრამ უფრო ცხადია და მშვენიერი, ვიდრე „დროების“ შრიფტი, რომლითაც თქვენი წიგნის უმეტესი ნაწილი დაბეჭდილია. ქალაღდიც რომ უფრო სქელი იყოს და ერთი გვერდიდგან მეორეში შავი ხაზები არა სჩანდეს, — ემუჯობინება თვალისთვის. სხვაფრივ მშვენიერი წიგნია თქვენი წიგნი. ეგონებ ცალკე „ქრისტომატია“, რომ გამოსცეთ ძველი და ახალი მწერლების ნიმუშებითა, ასწინით და განმარტებით ბიბლიოგრაფიულ-ბიოგრაფიულითა სასარგებლო წიგნი იქნება.

ახლა ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: წიგნებსა ეწერეთ და ცშრომობთ იმიტომ კი არა, რომ შინ ეწყოს, არამედ გავრცელდეს საჭრეგადღობაში, — ამას მოთხოვს სარგებლობა არა მხოლოდ მატერიალურად, ჩინობითიცა, ავტორისაცა და საზოგადოებისაცა, თუ კარგია იყიდიან, თუ არა—არა, აი, თუ-თხმეტი წელიწადი იქნება ესწერ, მაგრამ თოთხმეტი გროზისა არა გამიყიდნია რა: ენფიანჯიანსა და გრიჭოროვსა ჰქონდათ მიბარებული ჩემი წიგნები, მაგრამ ამდენი ხანია, არამითუ ანგარიში, უბრალო პასუხიც არაფერი მიმიღია მაგათვან ამის თაობაზედ, იმიტომ გთხოვთ, როგორც ამ საქმის მკოდნესა, თავს იღო ზრუნვა და მოკითხოთ ზ. გრიჭოროვის მალაზიაში და ენფიანჯიანსაც ჩემი წიგნების ანგარიში, რამდენი გაჰყიდეს და რამდენი დარჩათ და მაცნობონ. ამ კვირა ნახევარში გამოვა ჩემი წიგნი: „Сведения о памятниках грузинской письменности“ და მინდა მანდ გამოვგზავნო ვასასყიდათ ეგზემპლიარები და გთხოვ რაც შეიძლება ჩქარა მომწერეთ: ვის და რა პირობით გამოუგზავნო? ეგ გრიჭოროვის მალაზია სჯობია სხვა მალაზიებსა? თუ მაგას, ან სხვას გამოუგზავნი იმ პირობით, რომ ორ თვეში ერთხელ ანგარიში მაძლიოს, რომ თითონ გაუგზავნოს ეგზემპლიარები ქუთაისში და სხვაგან და თითონ მაძლიოს ანგარიში, რომ მაგის მალაზიაში იყოს ჩემი სხვა წიგნებიცა, რომელთ სია დაბეჭდილია ამ უკანასკნელი წიგნის ყდაზე. ერთი სიტყვით მსურს, რომ მანდ თბილისში ერთი ვინმე ღირსი (СОЛИДНЫЙ) წიგნის გამყიდველი მყვანდეს კომისიონერთ, და გთხოვთ რომ ამისთანა ვინმე სარწმუნო მალაზია დამისახელოთ, მოელაპარაკოთ რაც შეიძლება ჩქარა და მომწეროთ, რომ დაუყონებლივ წიგნები გამოვგზავნო, რომლებს საგანი ჩვენი ცოტათ ცნობილი და ცოტათ გამოკვლეული სალიტერატურო ისტორია არის. ყველა პირობებს მომწერთ მალაზიისას და პირდაპირ მანდ გამოუგზავნი 50 — 100 ეგზემპლიარს.

უკაცრაოთ, რომ თქვენ გაწუხებთ, მაგრამ არ ვიცი, ვის მიემართო, — ჩემმა ძმამ ამებისა არა იცის რა და თქვენ კი კარგა ხანია გამომცემლებთან და მალაზიებთან საქმე გაქვთ და შემთხვევა გქონდათ გაგეცნოთ ვინ არის ღირსინდობისა და ვინ არა, და ან როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ მთელი წლობით წიგნები ერთ ალაგას არ ეწყოს გაუყიდავი. მე მიკვირს, რომ მაგ გრიჭოროვმა ამდენი ხანია ერთი სიტყვა არ მომწერა, რა უყო ჩემი წიგნები.

მთავრად, რომ ვაზეთი „ივერია“ გამოვა, მომიკითხე ილია.

თქვენი მშვიდობის და სიკეთის მოსურნე ალ. ცაგარელი.<sup>23</sup>

23 დეკ. 1865 წ.

სპ. [სანკტებტერბურგი]

P. S. აღრესი უნივერსიტეტში.

### ღამით კლდიაშვილის წერილი

(საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერ. განყ. A ფონდი, № 1745.)

ღიდათ პატივცემულო ბატ. იაკობ!

მოგმართავთ იმ რწმენით, რომ თქვენი სიტყვა და მფარველობა იხსნის უბედურებისაგან ყოვლად უდანაშაულო ბავშვს ნიჭიერს, კეთილი ყოფაქცევისა და სიცოცხლით სავსეს. ყოველი მოსწავლე ქართველი თქვენი სულიერი შვილია, რადგან თქვენით იწყებს იგი სწავლაში შესვლას და როცა ამას ერთ-ვის თქვენი ფართო გულუბნობა და შეძლებისადაგვარად შემწეობა, ეს მამუდვინებს ამ ხანათაც მოგმართოთ და გთხოვოთ, გთხოვოთ მოწინებით, ეგებ

თქვენი შემწეობა არ მოაკლოთ საწყალ ყმაწვილს, ყოველის მხრივ ღირსეულს და ტყვილა უბრალოთ გაუბედურებულს. აი საქმე რაში გახლავით.

აქაურ ბათუმის გიმნაზიაში ეს ერთი ხანია საოცარი ამბებთა წინაშე დგანდა. დანაც წრეულს გადმომწესებულ ფრანგული ენის მასწავლებლებს, გმნაზიაში გაფუჭებული, გარყვნილი მასწავლებელი ამოფარებულა იმას, რომ ყოველივე უკმაყოფილება მის წინააღმდეგ გამოცხადებული უსათუოდ თავს დაატყუებდა მოსწავლეთ, მიუხედავად იმისა მართალი არიან ესენი თუ მტყუანი (ასე გამოაცხადა აქაურმა კომენდატმა გენერალმა ბაუერმა, რომელიც [ც] ჩაერია გიმნაზიის საქმეში). ამას ზედ ერთვის მასწავლებელთა ერთი გუნდი, წევრნი კეშმარიტ რუსთა კავშირისა, მოძულენი ნამეტურ ქართველებისა. ჯგერო მოსდისთ, რომ ბავშვებმა იმდენათ იმაცადინეს, რომ ყველა კლასებში ქართული ენის სწავლება შემოაღებინეს. ამათ იშოვეს ეს ფრანგი, კაცი ზნე დაცემული და პროვოკატორული მოქმედებით იწვევენ ათვალწუნებულ ბავშვებს ისეთ საქციელზედ რომ მიზეზი იპოვნონ და გიმნაზიიდან გამოაძევეონ. ასეთი ამბავი დამართეს მეოთხე კლასის მოსწავლეს გუგუშვილს, ბავშვის საოცარ ნიჭიერს, ზნეობით სავსეს და ამხანაგთა საყვარელს. წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთი მასწავლებელნი ფულებს აძლევენ ტანსაცმელისათვის, სწავლის ფულს არ ახდევინებდნენ, რადგან მეტად ღარიბია. მამა მისი სამთელნიან ჯამაგირზე სდგას და რვა შვილის პატრონია. საწყალი ბესარიონი გიმნაზისტი რამდენათ ბელმოკლეა, იმდენათ ნიჭიერი და მოსაწონი ყოველის მხრივ. ყმაწვილ[მა] ამ ორი კვირის წინათ ზემოდასახლებული ფრანგულის მასწავლებელს მიმართა თხოვნით, რომ გავლილი ვაკვეთილები ეკითხნა მისთვის, რომ უკითხავათ არ დაესვა ნიშანი, როგორც ეს მან სხვებს უყო. მასწავლებელმა უკმეხი სიტყვით უარი, უთხრა; ყმაწვილმა საჩივრით მიმართა ინსპექტორს, ამან დირექტორთან მიჰგზავნა და ამ უკანასკნელმაც უკმეხი სიტყვებით უპასუხა და დაითხოვა რჩევის ოთახიდან, გულნატკენმა ბავშვ[მა], დერეფანში გამოსვლის დროს წამოიძახა: „*все мерзавцы!*“ მისდა საუბედუროთ დერეფანში მომავალმა მასწავლებელმა ქალმა გაიგონა ეს სიტყვები, შევიდა რჩევის ოთახში და მოახსენა ყველას, რომ გუგუშვილმა ყველას „*мерзавцы*“ დაგვიძახაო. შეიქმნა ერთი ალიაქოთი და საქმე იმით ვათავდა, რომ ყმაწვილის მშობელს უთხრეს, ყმაწვილი გიმნაზიიდან გაეყვანა და ესეც იმიტომ, რომ წინათ კარგი ყოფაქცევისა და კარგი მოსწავლე იყო; თუ არ წაიღებ ქალაღლებსო, კომენდანტი გადაგასახლებსო. დარჩა საწყალი ნიჭით სავსე ყმაწვილი ქუჩაში, ასე ტყვილუბრალოზედ სწავლას მოწყვეტილი როცა თავს აკვებოდა წიგნს. გული მეტკინა, მეუბნებოდა თვალცრემლიანი ყმაწვილი-ისე რომ მომეჭკნენო და ჩემთვის წამოვიძახე დერეფანში გამოსულმა და ასე დავისაჯეო.

ბატონო იაკობ, არ შეგაწუხებდით ამ წერილით, რომ ყმაწვილს კარგათ არ ვიცნობდე; იგი ამხანაგია ჩემი შვილისა, ერთათ იყენენ ერთ კლასში; ვიცნობ კარგათ, როგორც მშვენიერ ყმაწვილს, გული მიდულს რომ ასეთი ნიჭიერი ბავშვი ქუჩაში გამოაგდეს და როცა წარმოვიდგენ მის ხელმოკლეობას, უსაღსრობას და რა შავბნელი მომავალი მოელის და ამიტომ მოგმართავთ, მოგმართავთ ვედრებით, ეგებ შესაძლებლათ დაინახოთ გაუწევინოთ ხელი შემწეობისა და გაიხადოთ უფრო ახლობელ სულიერ შვილათ. თქვენი ერთი სიტყვა საკმარისი იქნება, რომ იგი მიიღონ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, ქუთაისში იმიტომ რომ იქ ყავს ბიძა, სადაც ბინათ შეუძლია დააყენონ და თუ რვა-ცხრა თემანი მოიძებნა მისთვის თქვენივე დახმარებით; ნიჭით სავსე და

კეთილი ბავშვი საცოდაობას ასცთება და მიაღწევს იმ კეთილ მომავალს, რომელიც მას მოელის თუ რომ ბედი შეეწევა და სწავლა-განათლებლს არ ჩამორჩება. გარწმუნებთ, ბატონო იაკობ, რომ არა თუ ჩემგან მანკულ გარეთნებთ ამ ყმაწვილის შესახებ ქებას, ყოველი მისი მცნობი აგრე მოგახსენებთ და ყველანი ჩვენს ქართველობაში მის საცოდაობით შეწუხებულთა და მის სიბრალულში. თუ რომ თქვენი თანაგრძნობა არ მოაკლდება მას, ვთხოვთ შეეწიოთ და უშუამდგომლოთ, რომ მიღებულიქმნას ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და თუ ამასთანავე მატერიალურ, იმ ზომაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღმოუჩინოთ, — ეგ იქნება ისეთი მადლი, რომლის ძალა კიდევ უფრო გაამშვენიერებს ამ საცოდავ, ყოველივე ღირსებით შემკულ, დღეს უბედურ, ყმაწვილს.

კვლავ ეიხდი ბოდიშს შეწუხებისათვის, მაგრამ მეტი გზა ვერ მომიინახავს ამ უბედურების მოსაშორებლად. დარწმუნებული რომ უყურადღებოდ არ დარჩება ეს ჩემი ვედრება. დაევთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

დავ. კლდიაშვილი.

### თედო რაზიქაშვილის წერილი

(A ფონდი № 1745).

დიდად პატივცემულო იაკობ სვიმონისძე! რუსეთის ძღვეამოსილმა მთაერობამ იმითი ამოიყარა ჩემი ჯავრი, რომ ჯერ ზარბაზნებით დაანგრია და გაანადგურა ჩემი სახლი და კარი, ისიც არ აკმაბრა და შერე ცეცხლით ამოწვა და ამობუგა. ჩემი უდანაშაულო ცოლშვილი ულუქმაპუროდ ცის ქვეშ გაუშვა და ამითი დამსაჯა.

დღეს ჩემი ცოლშვილი მთაში ვაეხასა და ბაჩანას შაეხიზნენ, თუმცა იმათ თავის ცოლშვილისათვისაც არა აქეთ-რა. ჯერ შარშანვე, ხელთუბნის სკოლა რო დაიკეტა, სამი ქალიშვილი სკოლის გარეთ დამრჩა.

უფროსი, როგორც იყო, ვორის საქალაქო გიმნაზიაში მივაბარე, სამი სახლში დამრჩა, ერთი მეოთხე განყოფილებიდან, მეორე 1 განყოფილებიდან და უმცროსს მხოლოდ მომავალ შემოდგომაზე ექნება სწავლის ვადა. ესენი არიან უსწავლელად და იმასაც იფიწყებენ, რაც იცოდენ. მე რომ ერთ ბინაზედ ვიყო, შეიძლებოდა თვითონ მესწავლა იმათთვის, მაგრამ ისეთ გარემოებაში ვარ ჩაყენებული, რომ მუდამ დღე მოველი თავისუფლების (და იქნება სიცოცხლისაც) დაკარგვას.

როგორც პედაგოგი, თქვენ კარგად გრძნობთ, რაც არის უსწავლელად გაშვება შვილებისა იმისთანა კაცისთვის, რომელიც 15-16 წელიწადს თვითონ იყო მასწავლებლად. ამაზე მეტი სასჯელი ჩემთვის სხვა აღარ იქნება.

თქვენ, როგორც ცნობილი და სახელისა და გავლენის მქონე ქვეყნის მოღვაწე და ქართველთა ბავშვების აღზრდა-განათლების ჭირისუფალი, იმედი მაქვს მომიხერხებთ რასმე კერძო პირთან (მაგ., ზუბალოვები<sup>1)</sup> ან სარაევოვი ან სხვა) ან საქვეყნო დაწესებულებაში, ორი უფროსი ქალის აღზრდა მაინც უზრუნველყვო (პირობას ვდებ, თუ ჩემი შვილი ერთ—და იმავე კლასში დარჩეს უნიჭობით, სტიპენდიას ნულარ მისცემენ). თითო ქალის სწავლა-გამოყვებას დასჭირდება არა უტემეს 150 მან. წელიწადში, რასაკვირველია, მე ვიფულისმშებ ჩვენისთანა საწყალ ხალხს. არისტოკრატების სკოლაში, თორემ ღარიბი ხალხისთვის სად არის რუსეთში ხელმისაწვდომი სასწავლებელი! თუ გული ვისმე შეტკივა თავის ქვეყნისთვის და ან გაჭირებულთათვის ხე-

ლის გაწოდება სურს, დროც ეხლა არის. მეონი სირცხვილი არ არის სიტყვას კაცმა „მშინაო“, როცა მართლა მშინა! უნდა აღვიარო, რომ ცხოვრების არავითარი საღსარი არ გვაქვს იმ 15 მან. გარდა, რასაც ჩვენი „ქართული მშინაო“ წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოება“, თვეში გვაძლევს, უფროსი გვეძირდება. ამიტომ რომ მე იქიდან დროზე არც ერთხელ არ მიმიღია, ან როგორ გავამტყუნო? P. S. თუ რაიმე ცნობები დაგვირდით ჩემს შესახებ, თბილისშივე მიმართეთ ჩემს ძმას ვაჟას, ან და ალექსანდრეს, რომელიც თბილ. ფოშტატ-ტელეგრაფის კანტორაში მსახურობს. თქვენს პასუხსაც ეგენი გადმოგიმეზნ. ძალიან, ძალიან იმედი მექნება თქვენი.

თქვენი დიდად პატივისმცემელი

თ ე ღ ო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი .

### იონა მეშნარბიას წერილი

(A ფონდი № 1745).

29 აგვ. 901. სურმუში.

ჩ ე მ ო ბ ა ტ ო ნ ო ი ა კ ო ბ !

ამას წინათ აღადგოვს შევხვედი სენაკში და მითხრა: ხანანოვი იყო აქ და ეშურებოდა ბორჯომს წასვლას გოგებაშვილთან საიუბილეო წიგნის შესადგენადო. ამ ნიშნით შენ უნდა იყო თავი გამგე ამ წიგნისა და ამისთვის გწერ ამ ბარათს.

მაგრამ ჯერ არაკი უნდა ვითხრა.

ერთს ზაფხულის კვირა დღეს, ასე საათის 12-ზე, როცა თბილისის ხალხისაგან სასახლის ქუჩაზე ტევა აღარ არის, ზედ სასახლის ბაღთან, როცა პროსპექტი თავდება, შევხვედი მე მიხაკ სარაჯოვს. „დახე, რამდენი ხალხი დიდის, მითხრა, იმან, ერთი არავინ გაჩერდება და არ მკითხაეს: მიხაკ დღეს რა-სა სკამი?“

ამის არ იყოს, ამდენი კამისია არის საიუბილეო წიგნისთვის და ერთს არავის უთქვამს ჩემთვის: იონა, ერთი-ორი გვერდი შენც შეგვაწიე რამ ალბომისთვის, თუნდ შენს ღეათება ორბელიანზეო. (მხოლოდ ქოჩაქიძემ მითხრა, დამიწერე რამე ჩემს ძმაზეო — ჯალა-დიდელზე — მაგრამ მისგან დაპირებულს მასალას ჯერ არსად ვხედავ).

არავინ მითხრა და მეც ჩემს ჩვეულებრივს მუნჯობას არ ვუმტყუნე, მეტიჩარა არამკითხე არ შევიქენი და გაუფრთხილებელი ვზივარ შინ. მაგრამ ორბელიანი სხვა რამ ჯდავირია და გულმა არ მიყო არ მეკითხა შენთვის: რას უწერთ მის სურათს ტექსტად? მოკლე ბიოგრაფიასა თუ რამე ნაწყვეტს მისი ნაწერიდამ? თუ ბიოგრაფიას, ვინა სწერს? თუ ნაწერს, რას სახელდობ და რა ენაზე? ჩემს რჩევას თუ მიიღებთ, აი როგორ სჯობია: ბიოგრაფიაც უნდა იყოს მოკლე, არა უმეტეს ერთის ან ორის გვერდისა — და ნაწერის მინუშიც, ბიოგრაფიას თქვენ თითონ შეადგენთ. მინუშს მე მოგართმევთ, რადგანაც ალბომი რუსულად იწერება და, ვიცი, რუსული ნაწერი ორბელიანისა თქვენ არა მოგეძევათ რა. გიგზავნი ამასთან სამს წერილს და ორს სხვას მე თითონ ჩამოგიტან სეკედმბერში (ამჟამად აგარაკათა ვარ ამოსული ლეჩხუმს და თან არა მაქვს ეს ორი). ამ წერილებიდან ყველაზე უკეთესი, საყოველთაოდ მოსაწონი, არის წერილი ტეხნიკურ შკოლებზე. ეს წერილი მე დავბეჭდე, თუ მოგხვდა

თვალში, გაზეთს Нов. Обозр.-ში ნიკოლაძის დროს, მოწინავე სტატიად-დიდი წერილი მირსკისთან, რომელსაც ამასთან გიგზავნი, ყველა ქართველებს მოეწონება, მაგრამ ალბომისთვის მე ის ნაკლად მომწონს, რადგან ვერ ვხედავ არ მოეწონება და მე კი იმისი მსურველი ვარ, რომ ორბელიანის ყოველ კაცს მოსწონდეს.

მომწერე როდის დაბოლოვდება ალბომის რედაქცია. ვის აღირსეთ უკვ-დადება და ვის არა? შედიან თუ არა ალბომში მთაერები: ლევან დადიანი (ამის პარტრეტი გიორგი დიმიტრ. შარვაშიძეს აქვს), დავით დადიანი (ამის პარტრეტი პრინციესა მიურატს აქვს), მამია გურიელი და მათი შემკვიდრენი: ნიკო მენჯრელსკი და ტერეზია დადიანისა. გრივლ დადიანის პარტრეტისთვის ტექსტს ვინ გიწერათ? ყველა ამეების შესახებ შემწეობა შემიძლია, თუ საჭირო იქნება.

თუ საჭირო იქნება, ჩემი ნაწერებიდამ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, ვრ. ორბელიანზე, ტატო ბარათაშვილზე, გიორგი ერისთავზე და მამია გურიელზე მეთითონ ამოვიჩვენებ შესაფერ ადგილებს.

მარად თქვენი პატივისმცემელი

ი. მეუწარგია.

მირსკისთან წერილის დაბეჭდვისათვის თუ საჭირო იყოს, მელიქოვმა ნუ-ბარათვა სთხოვოს მის შვილს პეტრე მირსკის, მინისტრის ამხანაგს. მერე ცენ-ზორიც უფრო გამბედოვანი იქნება.

ი. მ.

ჩემი ადრესი: ზუგდიდი.

### შ ე ნ ი შ ვ ე ნ ი ა :

\*) აკაკი წერეთელი — 1851 წლის ზაფხულს იყო პეტერბურგში. იქ იგი მძიმედ გახდა ავად, რის შესახებაც თვით სწერს წერილს 4 ივლისის თარიღით.

\*) დავით ჩუბინაშვილი — პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში, აკაკის სტუდენტობის დროს ყოფილი მასწავლებელი. ცნობილი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონის ავტორი. აკაკი 1891 წლის ივნისს, პეტერბურგში უფნის დროს, დასწრებია ჩუბინაშვილის დაკრძალვას და მგრძნობიარე სიტყვა უთქვამს (იხ. „ივერია“, № 125, 1891 წელი).

\*) ვოსტოროვი — რეაქციონერი, მღვდელი, საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების უფროსი 900-იან წლებში. იგი სასტიკად სდევნიდა ქართულ ენას სკოლიდან და ეკლესიიდან. იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებით ებრძოდა მას და იცავდა ქართული ენის სწავლებას სკოლებში.

\*) ნიკო ცხვედაძე (1845 — 1911) — ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. იაკობ გოგებაშვილის დიდი მეგობარი და თანამებრძოლი.

\*) აკაკი ხარკოვი 1895 წლის დეკემბერს ჩავიდა თავის შვილ ალექსი წერეთელთან.

\*) აკაკის პოემის „მედიას“ ნაწილი დაიბეჭდა „კვალში“ 1895 წ. (№ 23 და 25). სრულად იგი დაიბეჭდა 1897 წელს, აკაკის „კრებულში“ (№ 2, ოქტომბერი).

\*) აკაკის მხედველობაში აქვს 1895 წლის „მოამბეს“ მე-11 ნომერში დაბეჭდილი სტატია „ხალხის განათლების შესახებ“ „ნაცნობის“ ხელმოწერით.

\*) ნიკო ნიკოლაძე (1843 — 1928) — ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

\*) ვანო მაჩაბელი (1854 — 1898) — საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეურნალისტი, შექაპირის ტრაგედიების ნიჭიერი მთარგმნელი.



<sup>10)</sup> შარიაშ დემურია (1860—1910)—საბავშვო ჟურნალ „ნაკადული“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი; საზოგადო მოღვაწე.

<sup>11)</sup> ლევოცკი—შაერაზმელი, ცარიზმის სასწავლო-საგანმანათლებლო მეთოდოლოგიური გაშვებული ქართულ სკოლებში.

<sup>12)</sup> პატრი მიხეილ თამარაშვილი (1858—1911 წ.)—ღვთისმეტყველების დოქტორი; ავტორი ისტორიულად მნიშვნელობის მქონე შრომების: „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“, საკმაოდ მოზრდილი წიგნი 1903 წელს დაბეჭდილი; „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას“ 1904 წელს და „ისტორია საქართველოს ეკლესიისა“ 1910 წელი.

<sup>13)</sup> ი. გოგებაშვილს ფანქრით გვერდზე მოწერილი აქვს: დედა ჩემის გარდა, მამაჩემის გარდა. 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 23. გოგებაშვილს ფანქრით მიწერილი აქვს: „კორექტორ“, რაც გულისხმობს, რომ კორექტორული შეცდომაა დაშვებული.

<sup>14)</sup> ფანქრით მოწერილია ი. გოგებაშვილის მიერ: „ვანოს აკვირებდა... მრავალი დეტები ხელოსნებისა და ვაჭრებისა, რომლებიც საესენი იყვნენ მუიდეულებითა“.

<sup>15)</sup> პროფ. ალ. ცაგარელი—საქართველოს წარსულის დაუღალავი მკვლევარი, ფილოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. ახლო ურთიერთობა და მიწერ-მოწერა პქონდა ი. გოგებაშვილთან.

<sup>16)</sup> ცნობილი ქართველი მრეწველები ზუბალაშვილები, რომელნიც თავიანთი შემოსავლის ნაწილს ახმარდნენ სატელმოქმედო საქმეებს.

ილია ზურაბიშვილი

## ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“

როდესაც „აბესალომ და ეთერი“ მთლად მოისმენ, პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქო სამი საათის განმავლობაში ისმენდი ერთ დღიად მთლიან, მაგრამ მრავალფეროვან სიმღერას.

ამას ზედ ერთვის ის გრძნობა, რომ ეს ერთი მთლიანი სიმღერა თითქო უკვე გასმენია — და არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ. თითქმის მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში. უფრო მეტიც, — იგი თითქო ოდითვე შენში ყოფილა დაბუდებული, შენს სისხლსა და ნერვებში გაქნილი, შენი სულიერი და ზორციელი არსებობისათვის რაღაც მშობლიური, განუყრელი.

და აი, სწორედ ახლა აელერდნენ შენს არსებაში ამ ერთი მთლიანი სიმღერის სხვადასხვა მელოდიები, როგორც დიდი ხნის ნაცნობი ზმანებანი და, ასე გგონია, იდუმალი ზმა გეტუნება: „ეს ხომ დედიშენის ნანაში მოგისმენია... ეს კიდევ — შენი მორთოლვარე მიჯნურის ალერსში... ეს კი ვისიმე მახლობლის განუქარებელ წუხილში ან სიზარულის კისკასში... ეს ხომ ქართველი ხალხის ალტყინებაა ან დრტვინვა, შენში, როგორც მის ატომში, არეკლვილი.

თუ დაკვირვება გეზარება, თუ ზერელედ და იოლად გინდა გაერკვე ამ პირველ შთაბეჭდილებაში, ადვილად იპოვი ამის განმარტებას: „აბესალომი“ ხალხური სიმღერებისაგან შესდგება, შენც ხალხის შეილი ხარ, არა ერთხელ გაგიგონია ეს სიმღერები და იმიტომ ინიშნეო.

და... შესცდები. ეს პირველი შთაბეჭდილება უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე შენა გგონია.

„აბესალომში“ ხალხურობაა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ბევრ გულუბრყვილო ადამიანს წარმოუდგენია.

ეს დიდი ღირსება ამ მუსიკალური ნაწარმოებისა იმით კი არ აიხსნება, რომ იგი ხალხური სიმღერების კრებულია, ოპერის ფორმად მოცემული.

არა, სრულიადაც არა. ეს რომ მართალი არ არის — ამის საბუთებს ქვევით ვნახავთ.

„აბესალომში“ მოცემულია არა მარტო ქართული სიმღერები, როგორც ასეთნი, არამედ საერთოდ ქართული სიმღერის სინთეზი, მისი ზოგადი არსი, მისი სული!

მე მგონია, ფალიაშვილს თავის მხატვრულ წარმოდგენაში შექმნილი ჰქონდა ქართული მელოდის ზოგადი ტიპი, სახე... სული... რაც განსაზღვრის უწოდეთ.

ხომ არის რუსული, ქართული, ფრანგული და სხვა სილამაზის ზოგადი ტიპი?

არის აგრეთვე ზოგადადამიანური სილამაზის ტიპიც, რომელზედაც ვერ იტყვი, ძალიანაც რა თავე იმტერიოთ, სადაურია ეს სილამაზე, რომელი ერის შვილს ამშვენებს იგი.

ბუნებას შეუძლიან სხვადასხვაგვარი ნაკეთებიდან — ცხვარი იქნება იგი, ბაგე, ღაწვები, თუ თვალები — ჰარმონიულად შეჰქრას თვალმომპყრელი სილამაზე სახისა, მაგრამ საკმარისია დააკლოს ამ ჰარმონიას რაიმე განსაკუთრებული აქცენტი თუ იერი, რომ ვერას გზით ვერ განსაზღვროთ, რუსული სილამაზეა ეს, ქართული, თუ ფრანგული.

ბუნება, რომელიც ჰქმნის ამას თავისი საკვირველი ეინიანი კანონების მიხედვით, ხომ არ გვეუბნება, ეს ფრანგული სილამაზეა, ეს კი ქართულია.

და ის მხატვარი, რომელიც ამ საიდუმლოებას მიაგნებს, განსაზღვრავს და მოგვეცემს ამგვარი ტიპის ქმნილებას — ისე, რომ იგი უმრავლესობამ ჰეშმარიტებად მიიღოს, — ამას ვერც მარტო შემოქმედი ინტუიციით და ფანტაზიით მიაღწევს იგი, ვერც მარტო ხატვის კანონების ცოდნით და მდიდარი ტექნიკით. ამას იგი მიაღწევს მხოლოდ ამ ორი ელემენტის შერწყმით, შეთავსებით.

ასევეა მუსიკაშიც.

თორემ ჩვენ ვიცით შესანიშნავი მუსიკოსები, რომელნიც თავიანთი იშვიათი ეროდიციისა და საკვირველი ტექნიკის წყალობით ჰქმნიდნენ თვით მათი ბუნებისათვის უცხო აღმოსავლური მუსიკის სხვადასხვა ფორმებს, ოპერებსაც კი. მაგრამ მათი აღმოსავლური მუსიკიდან დაპბერს ისეთი სიცივე, რომ ნამდვილად ჩრდილოეთის პოლუსზე გვეგონებათ თქვენი თავი.

რატომ?

იმიტომ, რომ ისინი ჰქმნიდნენ არა ჰეშმარიტი განცდით, არა შეგრძნებით, არამედ მარტოდენ მშრალი გონებით და საუცხოოდ შესწავლილი კანონების მიხედვით, რომლებითაც ფორმალურად ხასიათდება აღმოსავლური მუსიკა. აქ არის მხოლოდ ფორმა, შეიძლება შინაარსიც რაიმე თავისებური მუსიკალური ფრაზების სახით. ხოლო ის რალაცა, წონით აუწონელი და ზომით განუზომელი, ის რალაცა, რასაც მე ცოცხალ სულს ვუწოდებ, არა ფეთქავს მათ ნაწარმოებში. ამიტომაც ნამდვილ აღმოსავლურ მუსიკაზე ალღო-ართმეულ მსმენელს ეს გარეგნობით ოსტატურად გააკეთებული ნაწარმოები არ ეხმაურება.

ვიმეორებ, ზაქარია ფალიაშვილს თავისი შემოქმედი ალღოთი და თანაც ქართული მუსიკის კანონების შესანიშნავი ცოდნით განზოგადოებული ჰქონდა ეს მუსიკა ერთ მთლიან სახედ და ეს იყო მისთვის მხატვრული პრიზმა, რომელშიაც იგი გაატარებდა ხოლმე ყოველ მუსიკალურ აზრს, ან თემას, საკუთარი იქნებოდა იგი, თუ ხალხური საგანძურიდან ამოღებული.

• • •

„აბესალომით“ ჰეშმარიტად დაინტერესებული მსმენელი (მუსიკის სპეციალისტი — მით უფრო) მარტო შთაბეჭდილებით ვერ დაკმაყოფილდება.

იგი, უამბველია, შეეცდება გამოარკვიოს მისი შემადგენელ ნაწილები ცალ-ცალკეულად, ასწონ-დასწონოს თვითეულის ღირსება-ნაკლოვანება იმ სცენიური სიტუაციის თვალსაზრისით, რომლის გამოსახატავადც იგი შექმნილი, და გამოავლინოს მათი ურთიერთობა, როგორც ერთი მოლოდინი ნაწარმოების შემადგენელი ნაწილებისა.

და სწორედ მაშინ გამოირკვევა, რა ფორმებს ხმარობს ზაქარია ფალიაშვილი დრამატული სიტუაციების გამოსახატავად და, მაშასადამე, რა სახისაა მისი ოპერა, როგორც საერთოდ მუსიკალური ნაწარმოები.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავიხსენოთ სულ მოკლედ დრამის ექსპოზიცია.

პირველი მოქმედება შესდგება ორი სურათისაგან. I-ე სურათში: ეთერის ჩივილი ობლობასა და დედინაცვალზე, აბესალომისა, მურმანისა და ეთერის შეხვედრა ტყეში. ტრფიალება აბესალომისა ეთერისადმი. მურმანის შური მისივე სიყვარულის გამო ეთერისადმი. ეთერის მიერ უარყოფა აბესალომის მიჯნურობისა — შენ ხარ დიდი დიდებული, მე კი ობოლი, ობლობაში ვაზრდილიო... ეთერის გაქცევა. აბესალომის გამოდევნება. მურმანის მუქარა. მე-II სურათში: მურმანის წუხილი და განზრახვა — წაართვას აბესალომს ეთერი. ეთერისა და დედინაცვლის შეკრტიმლება. ეთერის ჩივილი (ვანმეორება პირველი ჩივილისა). აბესალომის შემოსვლა და კვლავ მტკიცება არ გილალატებო, ეთერის თანხმობა და წაყვანა.

მეორე მოქმედება. მეფის დარბაზი. აბიო-მეფის დიდება დარბაზში მყოფთა მიერ. აბესალომისა და ეთერის შესვლა საქორწინო მაყრიონით, დედამამის მიერ დალოცვა ნეფე-დედოფლისა. მათი (მთელი ოჯახის) ფიცი ერთმანეთთან ტყბილად ცხოვრებისა, ნადიში. თამადის არჩევა. თანდარუხის მიერ სადღეგრძელოების წარმოთქმა. მოკლე მრავალეამიერი. პერსონაჟებისა და ხოროს მიერ „ჩაკრულოს“ თქმა. აბესალომის მიერ მურმანის მოკითხვა, სად არის ჩემი მურმანიო, მურმანის მიერ ეთერისათვის საჩუქრის (ჯადოს) მირთმევა. აბიო-მეფის მიმართვა მარიხ-ვარსკვლავისადმი — შენი სიმღერა გვასმინეო. მარიხის განახება. მამის შენიშვნა. მარიხის დამღერება. დამსწრეთა მიერ სიმღერის მოწონება. თანდარუხის მიერ ქალ-ვაჟთა მოწოდება — შუშრობა დაეწყეთო. ცეკვა.

მესამე მოქმედება. აბესალომის დარბაზი. აბესალომის წუხილი ეთერის დაავადების გამო (დიდი არია.) კარისკაცთა გამოსვლა და მათი წუხილი იმავეზე. აბესალომის მიმართვა — მიშეღეთო. ეთერის შემოყვანა. მისი აჯა — გამიშვიო. აბესალომის დედის ნათელას და მარიხის რჩევა — გაუშვას ეთერი, ასევე მურმანისა. ასეთივე საერთო რჩევა. აბესალომის პროტესტი. ყველას საერთო მიმართვა. აბესალომის თანხმობა. მოწოდება — ვის გინდათ ქალი ეთერიო. მურმანის განცხადება — მე მინდაო. მურმანისათვის ეთერის გადაცემა. მათი წასვლა. საერთო წუხილი.

მეოთხე მოქმედება. მურმანის ციხედარბაზის კარმიდამო. ეთერის წუხილი (დიდი არია). მურმანის დედისა და დების მიერ ეთერის ფარეზობა. დასწეულელებული აბესალომის შემოყვანა. ეთერის საყვედური აბესალომისადმი — რას ამივლი და ჩამივლიო. აბესალომის ხეყნა — მომისმინეო. კვლავ ეთერის სამღერავეი — რად გამიწბილე მაყარიო. მისი და მისი შინაურების წასვლა. აბესალომის მიერ მსახურთ-უხუცესის გავზავნა მურმანის გამოსახებლად. მსახურთ-უხუცესის მიერ მურმანის გამოძახება. მურმანის შეშფოთე-

ბა. მისი ბრძანება შინაურებისადმი—დაკრძალეთ ქალი ეთერი და მრუალებრ-სეთო. აბესალომისა და მურმანის დიალოგი („მურმან, მურმან, შენსა მზესა..“) მურმანის უკვდავების წყაროზე გაგზავნა (დუეტი „ამალამდელო ღამეო“). ნათელას წასვლა ეთერის გამოსაძახებლად. ნათელას და ეთერის დიალოგი. ეთერის უარი. აბესალომის მიერ მარიხის გაგზავნა იმადვე. ეთერის მოწოდება და ეთერისა, მარიხისა, ნათელასი და აბესალომის გამოლაპარაკება (კვარტეტი). ეთერის მოსვლა. მოკლე დიალოგი აბესალომსა და ეთერს შორის ეთერისათვის ცხენის მიართმევაზე. მერე შეყრა, მიჯნურობა (დუეტი „წამწამსა და წამწამს შუა“). აბესალომის სიკვდილი. ეთერის მიერ თავის მოკვლა. საერთო მწუხარება.



აი, ამ სადრამო სიტუაციების გამოსახატავად მოცემულია შემდეგი მუსიკალური ფორმების ნაკვეთები: სამი დიდი არია: 1) მურმანისა „ამომავალსა მზეს სწუნობს“ — ბარიტონისათვის — 1-ლი მოქმ. 1-ლი სურ. 2) აბესალომისა „ვეძებდი ბედსა და ეპოვე იგი“ — ტენორისათვის — მე-3 მოქმ.; 3) ეთერისა „დედამთილი, მამამთილი“ — სოპრანოსათვის — მე-4 მოქმ.). ერთი მცირე არია (ეთერისა „დედინაცვალი — თვალში ნაცარი“ — 1 სურ). ერთი კანცონეტა (მარიხ-ვარსკვლავის „საყვარელო გულისა“ — ლირ.-კოლ. სოპრ. მე-2 მოქმ.) შვიდი ცოტად თუ ბევრად დიდი დიალოგი: 1) აბესალომი და ეთერი: „მე ბანი ბანად გეძებდი“; „აჰა მზეო, ხელმანდილი“; „ტურფავ, თუ გსურს ჯორ-ცხენები“, „არა, არა მსურს ხელმანდილი“, მერე — ჯორცხენებიც; „შენ ხარ დიდი დიდებული“; „არა! წყალ-წისქვილ ქვიშამანი!“, „რა ლამაზი ხარ ეთერო“ — ყოველივე ეს 1-ლ სურათში; 2) დედინაცვლისა და ეთერის დიალოგი; 3) ეთერი და აბესალომი „ეთერო, შენსა ლალატსა“; ეთერის პასუხი „რაც გსურდეს. არა, მერწმუნე“... შემდეგ დუეტი. — სულ მე-2 სურ. 4) აბესალომი და მურმანი „მურმან, მურმან, შენსა მზესა“; 5) იგინივე — „ამალამდელო ღამეო“ (დუეტი); 6) ეთერი და აბესალომი „რას ამივლი და ჩამივლი“ და სხვ.; 7) ნათელა და ეთერი „ეთერო, შემოგვიარე...“, დუეტით რომ თავდება — მე-4 მოქმ. ერთი მოკლე ტრიო (ეთერი, აბესალომი და მურმანი — 1-ლ სურ). ერთი კვარტეტი (მარიხი, ეთერი, ნათელა და აბესალომი... „მე პატარა გამოგზავნეს“ — მე-4 მოქმ). ერთი კვინტეტი (ეთერი, აბესალომი, მარიხი, ნათელა და აბიო-მეფე — „ღმერთმა კარგად აგვისრულოს“ — მე-2 მოქმ). გუნდის შვიდი სასიმღერო: 1) მონადირეთა სიმღერა — 1-ლ სურ.; 2) „დიდება“; 3) „მაყრულო“; 4) „ჩაყრულო“; 5) მოკლე „მრავალეამიერი“ — მე-2 მოქმ. 6) ქალთა გუნდი — „ქალია ქვეყნის თვალთა“ და 7) საგალობელი — მე-4 მოქმ. ამ რიცხვში არ შედის გუნდის მონაწილეობა მე-3 მოქმედების დიდ ანსამბლში და მე-4 მოქმ. „წამწამსა და წამწამსა“ ანსამბლში, აბესალომისა და ეთერის დუეტით რომ იწყება. ერთი დიდი ანსამბლი (მე-3 მოქმ). ოცდახუთი ცალკეული მუსიკალური ფრაზა ცალკეული პერსონაჟისა და ოთხი ცალკეული ფრაზა ვაჟთა და ქალთა გუნდისა. ერთი დიდი საბალეტო ნომერი (მე-2 მოქმ).



ამ მუსიკალურ მასალას რომ ჩატკვირდები და ასწონ-დასწონავ, ის აზრი, რომელიც ზევით გამოვთქვი, ვითომ „აბესალომ და ეთერი“ „დიდი ოპერის“

ყაიდაზე იყოს შეთხზული, მართლდება მხოლოდ ფორმალურად, ე.ი., რომ აქ გამოყენებულია „დიდი ოპერის“ მუსიკალური ფორმები.

ხოლო ეს მუსიკა თავისი არსით უმეტეს შემთხვევაში უფრო მუსიკალური დრამის“ ფორმებს უახლოვდება.

მართლაც და, იშვიათად შეხედებით ამ ოპერაში ისეთ მუსიკალურ ნაკვეთს, არია იქნება იგი, დღეები თუ ცალკეული ფრაზა, რომ არიოზული მღერის ან მელოდიური რეჩიტატივის სახეს არ ატარებდეს.

თვით იმ სამს დიდ არიაში, რომლითაც ზევითაღნიშნული მუსიკალური ნაკვეთების სია იწყება, ერთი მხოლოდ მურმანის არიაა („ამომავალსა მზეს სწუნობს“) ნამდვილად „სადიდოპერო“ ფორმის გამომხატველი, ე.ი. ერთი მთლიანი, თავიდან ბოლომდე დასრულებული, მუხლობრივი წყობის არია, რომლის კიდური ნაწილები (თავი და ბოლო) ერთიდაიმავე მუსიკალური შინაარსისაა და მათ შუა მოთავსებულია რეჩიტატული ფრაზა.

დანარჩენი ორი დიდი არია (აბესალომისა — „ვეძებდი ბელსა“ და ეთერისა — „დედამთილი, მამამთილი“) აგებულია უმთავრესად მელოდურ რეჩიტატივზე, რომელიც ნამდვილი არიოზული მღერაა, ადგილ-ადგილ ჩართული მდიდარი ფიგურაციებით. მხოლოდ მეორე ნაწილი ორივე არიისა ნამდვილ სიმღერად გადაიქცევა, ე.ი. ფართოდ გაშლილ კანტილენად.

არიოზული მღერის შესანიშნავი ნიმუშია პირველი სურათის დიალოგი აბესალომსა და ეთერს შორის, ორ ადგილას მურმანის ფრაზების ჩართვით. ეს მართლაც ნამდვილი დიალოგია და არა დღეები. აქ თვითეული წინადადება ცალ-ცალკეულ მუსიკალურ თემას შეიცავს და არა ერთ რომელსავე ძირითად თემას და მის განვითარებას. აქ არ არის გაბმული მღერა არც ორისა ერთად, არც თვითეულისა ცალკე, არამედ — ნამდვილი სიტყვა-პასუხია, მელოდიური მღერით ლაპარაკი. და თვითეული ფრაზა ზედმიწევნითლობით ახასიათებს დიალოგის მონაწილეთა სულისკვეთებას.

რამდენადაც აბესალომის ფრაზებია ალერსით და ალტაცებით სავსე, იმდენად ეთერის პასუხებია თავშეკავებული, შეიძლება ითქვას, ციციც, ვინაიდან ეთერი უარპყოფს აბესალომის მიჯნურობას და საჩუქრებს, რადგანაც შენ დიდი დიდებული ხარ, მე კი ობოლი, ობლობაში გაზრდილი.

და საყურადღებოა ის, რომ სწორედ აბესალომის ფრაზები შეიცავს უაღრეს ლირიზმს, მეტ მელოდიურობას და ქართული სიმღერის დამახასიათებელ ფორშლაგებს და მელიზმებს, როგორც შენივთებული გრძნობის ხვეულებს, მაგალითად, სიტყვაზე „გაგებსნა“ („გაგეგებსნა-ა-ა ოქროს საკინძი“), ან სიტყვაზე „დაგინახე“ („დაგინახე-ე-ე, მყის ავტირდი...“)

რა მშვენიერებაა აქვე, მაგალითად, როგორც სულისკვეთების გამომხატველი, აბესალომის ფიცი „არა! წყალ-წისქვილ-ქვიშამან, არ შევირცხვინო პირია!..“ თითქო უნდობლობით აღშფოთებული ადამიანი არ კი მღეროდეს, არამედ კილოშეკიდებით მეტყველებდეს. და მერე, მცირე პაუზის შემდეგ, ორკესტრი რომ რიტურნელს გაათავებს, ალტაცებით მიმართვა: „რა ლამაზი ხარ ეთერო! რა მომხიბლავის ფერისა..“

სულ სხვა მუსიკალური თემა, სულ სხვა რიტმი, სულ სხვა მეტყველება გრძნობისა. ამავე დროს იგი თითქო წარმოთქმული ფიცის განმეორებაა: განა ამისთანა მშვენიერებით მოსილ არსებას ადამიანი უღალატებსო.

აღსანიშნავია ამავე სურათში მოკლე დღეები, ეთერის — „შენ ხარ დიდი დიდებული“-ს თემაზე და აბესალომის ფიციდან ვარიაციულ გამოძახილზე

აგებული, და აბესალომისა, ეთერისა და მურმანის მოკლე ტრიო, დიდის ოსტატობით გაკეთებული: თვითეული პერსონაჟი სულ სხვადასხვა გულის-თქმას ამჟღავნებს და ეს მოცემულია ერთ მთლიან პარმონიზაციურ ნათქვამში. არა სიმღერის სახით, არამედ მელოდიური რეჩიტატივით, განსაკუთრებით აბესალომისა და მურმანის ფრაზებით.

ასევე მელოდიურ რეჩიტატივზეა აგებული მურმანის უკანასკნელი ფრაზა ამ სურათში: „წყალ-წისქვილ-ქვიშაც არ დავიფიცო...“, კილო-შევიდებით უკანასკნელ სიტყვებზე „შენს დაჯაბნასა“.

მეორე სურათში, მურმანის არიის შემდეგ, პირველივე სცენა დედინაცვლის და ეთერის შეტაკებისა მოცემულია იმავე მელოდიური რეჩიტატივით და თავდება ეთერის წუხილით „ნეტაეი ვინმე გამოჩნდებოდეს...“ ე-ი-ეთერის არიით „დედინაცვალი — თვალში ნაცარი“. ეს განმეორება სრულიად ბუნებრივია, სცენიური სიტუაციის მიხედვით შექმნილი, და უფრო აძლიერებს ეთერის უმწეო მდგომარეობას.

მე მგონია, კომპოზიტორმა განგებ არ შეუქმნა ეთერს ახალი მუსიკალური გამოთქმა და განიმეორა უკვე ნახმარი ფრაზა, როგორც ეთერის იდეფიქსი.

ზოგიერთი რეცესორი თუ ლოტბარი ამ სცენას გამოსტოვებს ხოლმე და პირდაპირ აბესალომის შემოსვლაზე გადადის. ეს შეცდომაა. იმიტომ, რომ ეთერის დრამატული მდგომარეობის გამძაფრებას ვერა ვხედავთ, და მისი უცარი თანხმობა აბესალომის მოწოდებაზე გაუმართლებელია, ვინაიდან ის იყო მას ვაექცა. თორემ გამოდის რალაც ფაუსტისა და მარგარიტას კეკე-მალულობის მსგავსი რამ. იქ ის მაინც ვიცით, რომ მარგარიტა უკვე მოხიბლულია. აქ კი ეთერმა ის იყო, მტკიცე უარი სტკიცა თავის მოტრფიალეს.

ამავე მეორე სურათის შემდეგ სცენაში სასწორი უკვე მელოდიური რეჩიტატივიდან ნამდვილ გაშლილ მღერისაკენაა გადახრილი. აბესალომის „ეთერო, შენსა დალატსა“ არიონული მღერის ხასიათი აღარა აქვს, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, „საარიო“ მღერის სახე აქვს. მართალია, ეთერის თანხმობის პასუხი „რაც ვსურდეს, ბრძანეთ...“ მელოდიურ რეჩიტატივის უბრუნდება, მაგრამ აბესალომის ასეთივე ფრაზა „არა, მერწმუნე, არ შევირცხვინო პირია“, უკვე ბოლოშივე სიმღერის კილოზე გადადის და წარმოშობს აბესალომის მუსიკალურ თემაზე „ეთერო, შენსა დალატსა...“ აგებულ დუეტს, რომლის ბოლო ნამდვილი „დიდოპერული“ დუეტის ეფექტური ხმაშევიდებით თავდება.



მეორე მოქმედებაში ქორწილია. მაშასადამე, ამ მოქმედების მუსიკაც ზეიმურია, სადღესასწაულო. იგი მეტწილ ანსამბლურია, აქ-იქ ცალკეული საპერსონაჟო ფრაზებით და სხვადასხვა რთული მუსიკალური ფორმებით.

იწყება მოქმედება აბიო მეფის დიდებით, რომელსაც ხორო ასრულებს ორკესტრის თანაყოლებით.

დიდება, როგორც მას შეეფერება, კოლეკტიური აღტყინების გამოხმატველია. იგი, რასაკვირველია, თავიდან ბოლომდე სიმღერაა, რომელიც ჯერ მდორედ იწყება, თანდათან ვითარდება, მალლა-მალლა მიდის და მძლეთამძლე აკორდით თავდება.

როგორც ამ ჰანგისა, ისე სხვა ჰანგების მუსიკალურ სადასტრინოებსა და ავკარგინობაზე აქ არას ვიტყვი. ამაზე, საერთოდ, ქვევით მექნება საუბარი. ჯერ მხოლოდ მათ ფორმებს ვეხები. არც საორკესტროდ, არც სტრუქტურად, ინსტრუმენტალურ ნომრებზე ვამბობ რასმე ჯერ-ჯერობით. *М. З. И. П. У. Ш. Ж.*

შემდეგი ვოკალური ნომერი ისევ ხოროს ეკუთვნის. ეს არის კახური „მაყრული“, რომელიც სცენის გარეთ იწყება უორკესტროდ. მაყრიონი მოდის და თან შემოიტანს ამ სიმღერას. ამას მოსდევს ქალთა გუნდის მილოცვა, რომელიც ვაშას ძახილით თავდება. იგი მელოდიური რეჩიტატივი უფროა, ვიდრე სიმღერა, მაგრამ ნამდვილად სიმღერა გამოდის იმ მიზეზების გამო, რაზედაც ქვევით მექნება ლაპარაკი. აქ კვლავ ავსუგუნდება „მაყრული“, რომელსაც მღერიან ყველანი სცენაზე მყოფნი, პირველი პერსონაჟების გარდა, და რომელსაც ამ რიგობაზე ორკესტრიც აჰყვება. იგი თავდება ზავთიანი, ზეიმური აკორდით, როგორც ამ სცენიურ მომენტს შეჰშვენის.

ამ საერთო აღტყინებას მოსდევს აბიო მეფის მიერ ახალგაზრდა მეჭორწინეთა დალოცვა „გაბედნიეროთ უფალმა“, კვლავ მელოდიური რეჩიტატივზე აგებული, მოკლე, გარნა თემატიურად უაღრესად მდიდარი.

კვინტეტი, როგორც განსაზღვრული ფორმის მუსიკალური ნომერი, მეტწილ სიმღერის ფარგალს არა სცილდება ხოლმე, განსაკუთრებით, როდესაც ყველა პერსონაჟს ერთიადიგივე მუსიკალური თემა და სიტყვიერი მასალა აქვს განკუთვნილი. აქაც სწორედ ასეა. მას მღერიან აბესალომი, ეთერი, მარხი-ვარსკვლავი, ნათელა-დედოფალი და აბიო მეფე („ღმერთმა კარვად აგვისრულოს, რაც ერთმანეთს ჩვენ შეეფიცეთ...“

იწყება ნადიმი.

ვითა გუნდის ფრაზები — თამადა, თამადაო, ქალთა გუნდის ფრაზები ამავეზე, აბიო მეფის ფრაზა „თამადობას მივეულოცე...“ და თანდარუხის ფრაზა „შენი წყალობა, მეფეთ-მეფეო...“, ვიდრე სადღეგრძელომდე, — მთლად ფიგუროვანი მელოდიური რეჩიტატივია, ხოლო თანდარუხის მიერ წარმოსათქმელი სადღეგრძელო „გვიბედნიერე ზენარო“ თავისი განსაკუთრებული მელოდიურობით უფრო მღერაა ან შეიძლება ვაღიბა, ვიდრე სხვა რამ ჰანგი, მაგრამ ამ სიმღერის თუ ვაღიბის უკანასკნელი ფრაზა „დღეგრძელ ჰყავ მდიდარ განძითა“, რასაკვირველია, მელოდიური რეჩიტატივია და შესანიშნავი!

სულმა წამძლია, და აქვე მინდა იგი დავახასიათო. ვაი, თუ შემდეგში დამავიწყდეს...

აი, ქართული სიმღერის დროს, ნამეტნავად სუფრაზე, რომელიმე ვალაღებული მომღერალი თავდავიწყებით რომ წამოიძახებს ხოლმე „აი, შენი ჭირიმე, შენი!“-ო, ან „თქვენი გამარჯვებისა იყოს, თქვენიო“—ო, — სწორედ ასეთი დეკლამაციური მეტყველებისაა ეს ფრაზა.

ასეთივეა, ე.-ი. მელოდიური რეჩიტატივია — თანდარუხის მიმართვა „ალავერდი შენთან მოწყალეო მეფე აბიო, — ღვინო მიირთვი ყანწითა“ და მეფის საუცხოო პასუხი „იახშიოლ“.

მოკლე „მრავალეამიერ“-ის შემდეგ იწყება კახური სანადიმო სიმღერა „ჩაყრულო“.

ყველა შემდეგი ფრაზა: აბესალომისა („სად არის ჩემი მურმანი...“), მურმანის პასუხი („მეც აქ გახლავართ, მეფეო...“), აბიოს მიმართვა მარხისა-დმი („აბა, მარხო, გვასმინე...“), მარხის განაზება და მამის შენიშვნა — ყოყმ-

ნი არ გარგებსო — ყოველივე ეს, ვიდრე მარისის „საყვარელო გულსი“ მღე-  
მოკლე მელოდიური რეჩიტატივია, ზოგი რთული ფიგურაციით, ზოგიც უფ-  
რო სადა.

თავისთავად იგულისხმება, რომ მარისის კანცონეტა „საყვარელო გულსი-  
სა“ წმინდა წყლის ლირიკული სიმღერაა. ამიტომაც ჰქვიან კანცონეტა.

თანდარუხის შემდეგი ფრაზები „მადლობას გიძღვნი, მეფეო... იცოცხლე  
მრავალკამიერ“ და „ახლა შეშრობა დაიწყოთ“, აგებულია აგრეთვე მელო-  
დიურ რეჩიტატივზე.

• • •

მესამე მოქმედება, გარდა აბესალომის დიდი არიისა „ვეძებდი  
ბედსა...“, რომელზედაც ზევით მქონდა ნათქვამი და ქვევითაც ვიტყვი, ერთი  
დიდი მთლიანი ანსამბლია. ამ ანსამბლში ცალკეული პერსონაჟე-  
ბის ფრაზებიც ბევრია. მაგრამ მათ ხასიათზე, ავკარგიანობაზე და სადღერო-  
ბაზე ერთად მიქნება ლაპარაკი ქვევით, — ისე, როგორც მთელ ანსამბლზედაც,  
როდესაც ოპერის მუსიკის არსს შევხვები.

მეოთხე მოქმედება (უკანასკნელი) ფორმათა მრავალფეროვან-  
ებით და „ამოხშიანობით“ ყველა მოქმედებაზე მდიდარია. აქ ზმირია შერე-  
ული ფორმები არიოზული და „საარო“ მღერისა როგორც მონოლოგებსა,  
ისე დიალოგებში. მაგალითად, მელოდიური რეჩიტატივით დაწყებული დიდი  
არია ეთერისა „დუდამთილი, მამამთილი“, საარო მღერად გადაიქცევა შემ-  
დეგი სიტყვებიდან „აბესალომ, სიყვარულმა დაგამონა ეთერ ქალსა“... აგრე-  
თვე, აქა-იქ დიალოგი დუეტად თავდება (ნათელას და ეთერისა — „ეთერო, შე-  
მოგიარე მაგ შენი ციხის მზვარესა“...). აქვეა აბესალომისა და მურმანის ცნო-  
ბილი, მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული, დიალოგი „მურმან, მურმან შენსა  
მზესა“... ხოლო დუეტი „ამაღამდელი ღამეო“, ადგილ-ადგილ ფიგუროვანი  
რეჩიტატივებით, აგრეთვე აბესალომისა და ეთერის დუეტი „წამწამსა და წამ-  
წამს შუა“, რომელიც ანსამბლად იქცევა, და კვარტეტი — საარო სიმღერის  
ფორმებისა; მრავალი სხვა მოკლე დიალოგი თუ ცალკეული ფრაზა არიოზუ-  
ლი მღერის ხასიათისაა.

აქვეა ქალთა გუნდის სიმღერა „ქალია — ქვეყნის თვალია“ და ორივე გუნ-  
დის საგალობელი „მათი სული — ქვეყნად ერთი“, რომლითაც თავდება მთელი  
ოპერის ვოკალური მუსიკა.

• • •

როგორც ვხედავთ, მთელს ოპერაში უდიდესი ადგილი დათმობილი აქვს  
არიოზულ მღერას, მელოდიურ რეჩიტატივს.

ეგრეთწოდებული მშრალი რეჩიტატივი, ე.-ი. უფიგურაციო თქმა „აბესა-  
ლომის“ მუსიკაში თითქმის სრულიად არა გვხვდება. ისეთს ცალკეულ სიტყვა-  
საც კი, როგორც არის, მაგალითად, „არა“, — ყველგან მელოდიურობის იე-  
რი დაჰკრავს.

ავილოთ თუნდაც სიტყვა „იახზიოლ“, რომელზედაც ზევით მქონდა ლაპა-  
რაკი. ამ ერთ სიტყვაში მთელი მუსიკალური ფიგურაა მოცემული. და აი,  
აქა ჩანს ზაქარია ფალიაშვილის საკვირველი ალღო ქართული სიტყვის თავისე-  
ბური მელოდიურობის გამოცნობისა. მსმენელი დაეთანხმება კომპოზიტორს,  
რომ გახურებული ნადიმის დროს ეს სიტყვა ლაპარაკითაც კი განსაკუთრებუ-

ლი კილოთი წარმოითქმის ხოლმე. ამიტომ იგი სრულიად მართალი იყო, როდესაც „იახშილი“ მუსიკალურ ფიგურად მოგვცა და არა მშრალ რეჩიტატივად.

მე მგონია, ამავე მოსაზრებით აიხსნება ის, რომ კომპოზიტორმა მსმართოდ, არ იყენებს მშრალ რეჩიტატივს.

სამაგიეროდ, როგორც ვნახეთ, იგი თავის მუსიკალურ აზრებს უპირატესად მელოდიურ რეჩიტატივზე აგებს და საკმაოდ იშვიათად მიმართავს საარითმლერას.

მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მისი მელოდიური რეჩიტატივი ნამდვილი სიმღერის შთაბეჭდილებას სტოვებს.

რატომ?

იმიტომ, რომ მისი მელოდიური რეჩიტატივი უაღრესად მელოდიურია და ამ თავისი ხასიათით სიმღერას უფრო უახლოვდება, ვიდრე არიოზული მღერის ბგერადობას. ეს კი იმით აიხსნება, რომ „აბესალომის“ მელოდიური რეჩიტატივი მეტისმეტად მდიდარია მუსიკალური ფიგურებით, ხოლო ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ქართული მუსიკალური კილოკავი ბუნებითვე ამ თვისებისაა. და, ვინაიდან ზაქარია ფალიაშვილი პირწმინდად ქართულად მეტყველებს, ამიტომაც მის მუსიკალურ ფრაზას სიმღერის იერი დაჰკრავს, თუნდაც იგი რეჩიტატივად იყოს მოცემული.

ამას გარდა, მხედველობაში სხვა გარემოებაც არის მისაღები.

რეჩიტატივისა და მელოდიური რეჩიტატივის გადმოცემას განსაკუთრებული დეკლამაციური უნარი ესაჭიროება, ე. ი. მუსიკალური ფრაზის სიტყვიერი მნიშვნელობით ამეტყველება, სააზროვნო მახვილების სათანადოდ დასმა და ამ ხერხით ამათუიზ აზრის მკაფიოდ გამომვლავლება. უამისოდ ძალიან ადვილია არიოზული მღერა სიმღერად გადაიქცეს ან, თუ იგი ფიგურაციებით მდიდარი არ არის, ერთკილოვან მოსაწყენ ბგერადობად გარდაიქმნას.

მე არ ვიცი, როგორ მიუღწენენ მოსკოვის დიდი თეატრის არტისტები „აბესალომის“ ვოკალურ მუსიკას, მაგრამ ჩვენში კი, აშკარაა, დეკლამაციურ მიდგომაზე არაფერ დაფიქრებულა: არც ერთი არტისტი, არც ერთი ლოტბარი, არც ერთი რეჟისორი, შეიძლება, ავტორიც კი.

თვით ისეთ საუკეთესო აღმასრულებელთ აბესალომის პარტიისა, როგორიც იყო ვანო სარაჯიშვილი, ხოლო მურმანისა — სანდრო ინაშვილი, — ამ საკითხისათვის, ალბათ ყურადღება არ მიუქცევიათ. მათ „აბესალომის“ ვოკალური მუსიკა მიიღეს თავიდან ბოლომდე, როგორც სიმღერის საუკეთესო ნიმუში. მართალია, ვანო სარაჯიშვილმა მოგვცა აბესალომის პარტიაში ზოგიერთი განსაკვირვებელი, დაუფიწყარი ფრაზა, რაც სხვა მომღერლებისათვისაც ტრადიციად გადაიქცა, მაგრამ ეს მაინც საარით სიმღერის ფარგალს არ გასცილებია და დეკლამაციურ ხელოვნებაში არ გადასულა.

სხვაგან თუ არა, აბესალომისა და მურმანის დიალოგში („მურმან, მურმან, შენსა მზესა“), მე მგონია, სადეკლამაციო ელემენტის შეტანა თავისთავად უნდა ეგულისხმებოდეს ხელოვანს. ხოლო აქაც ჩვენმა მომღერლებმა მოგვცეს მშვენიერი სიმღერა და კვლავ მშვენიერი სიმღერა.

ცდა, ცოტად თუ ბევრად, ამ დიალოგის სადეკლამაციებისა მე შევნიშნე უკრაინელ მომღერალს გრიშკოს მურმანის როლში. მაგრამ არ ვიცი, ეს შემთხვევითი ინტუიტური რამ იყო, თუ შეგნებული მიდგომა.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ თანდარუხისა, აბიო-მეფისა, მსახურთ-უხუცესისა და სხვათა ცალკეული ფრაზები, უპეველად დეკორატიული ხასიათის მქონე, ჩვენ სიმღერად ჩაგვესმის, რადგანაც ჩვენს სიმღერაში ამ ფრაზებს არ კი წარმოსთქვამენ, არამედ მღერიათ.

შეიძლება, ვცდებოდე და ზაქ. ფალიაშვილის მელოდიური რეჩიტატივების გადგელამატიება შეუძლებელი იყოს. იქნება, იგი, ბოლოსდაბოლოს, საზიანოც გამოდგეს იმ მხრივ, რომ ამ ფრაზებს დაეკარგოს მათი მშვენიერი კეთილზოვანება. მაგრამ, როდესაც ვცადე განმეზარტა ის მოვლენა, თუ რატომ ჩაგვესმის ყურთ „აბესალომის“ თვითეული მუსიკალური თქმა, როგორც სიმღერა, — არ შემძლო არ აღმენიშნა ამის „საეგებისო“ მიზეზთაგანი, სახელდობრ ის, რომ ჩვენი არტისტები პირადებით გადმოგვეცემენ „აბესალომის“ მუსიკას. მარტოდენ როგორც სიმღერას.

ყოველ შემთხვევაში, თავისთავად ეს საკითხი საინტერესოა. ერთიც ვნახოთ, ამათუიმ არტისტის ცდამ ამ მხრივ სასურველი შედეგი გამოიღოს და „აბესალომის“ მუსიკის ახალი ინტერპრეტაცია გვიჩვენოს... ნაწილობრივ მაინც.

• • •

ამრიგად, „აბესალომ და ეთერი“, საერთოდ, მოცემულია „დიდი ოპერის“ (ოპერა-სერია)... გარეგან სახედ, მაგრამ მასში უპირატესად ადგილი დათმობილი აქვს „მუსიკალური დრამის“ ფორმებს, არიოზულ მღერას, რომლის მელოდიურობაც სიმღერის მეტყველებამდე აღწევს.

როგორც ლეგენდის გამომხატველი, „აბესალომის“ მუსიკა უაღრესად ლირიკულია. ხოლო ლირიკულობა სრულიადაც არ უარპყფს სუეტის დრამატიზაციას. და ეს დრამატიზაცია „აბესალომში“ მიღწეულია უმაღლეს წერტილამდე. გაიხსენეთ მთელი მესამე მოქმედების მუსიკა, დიდი ანსამბლი, და ამაში მაშინვე დარწმუნდებით.

რასაკვირველია, „აბესალომი“ მძლეთა-მძლე ხასიათების ოპერა არ არის. და თვით კონფლიქტი ამ ხასიათებს შორის მეტისმეტად ლირიკულია. ბოლოსდაბოლოს, აქ ყველანი მსხვერპლნი არიან ერთდამივე საიდუმლოებისა—სიყვარულისა. მხოლოდ მურმანს თუ ეტყობა ოდნავ ხასიათის სიმკვეთრე ზოგიერთ ცალკეულ ფრაზაში. მაგრამ მოისმინეთ მისი წუხილი მეორე სურათის დასაწყისში („ამომავალსა მზეს სწუნობს...“) და თქვენთვის ნათელი იქნება, რომ მთელი მისი სულიერი ბორგვა მელანქოლიურობის იერიით არის დაფერილი.

მერე, რას სწადის იგი ამ სიყვარულში გამარჯვებისათვის? ვანა აუჯანყდა თავის სუზერენს? ომი გამოუცხადა და ისე წაართვა ცოლი? სულაც არა! დედბარულად ჯადო მიაწოდა ეთერს, დააივდა იგი და ამით განაშორა ერთმანეთს მოსიყვარულე ცოლ-ქმარი. და თუმცა ამაყად ეუბნება აბესალომს, ეთერს მურმანის მეტი ვერავინ ნახავსო, მაგრამ ბოლოს უდრტვინველად უკვდეების წყაროზე ეგზავნება მეფეს, დარწმუნებული, რომ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდება. არა, მურმანი ის დემონური ხასიათი არა არის, როგორც ზოგიერთს წარმოდგენია (მე რეცენზენტების აზრს ვვულისხმობ).

და არც მუსიკა იძლევა მის ასეთ დახასიათებას, თუ გვეხსოვება, რა თავზარდაცემულად წამოიძახებს მურმანი „ახლა კი ვულმა მაცნობა—ბედი გექნება შწარეო“, და, ამ ბედის მორჩილი, მხოლოდ-ლაღამეს ეხვეწება „ნუ გათენ-

დები მალეო, მახვიე ბროლის გულმკერდსა, ველარ ვიშოვნი ხვალერო“. ეს ხეყწნა კი უაღრესად ლირიკულია.

ამიტომ, ავტორი, რალა თქმა უნდა, მართებულად მოქმედებდა მძილო რეცენზენტის რჩევა და განაშორა თავის ოპერას ბელიარ ეშმაკი და მთელი წინანდელი მესამე მოქმედება, სადაც მურმანი თავის და თავის დედის სულსა ჰყიდის ჯადოს მოსაპოებლად, ვინაიდან ამ მოქმედების მუსიკას არაფერი საერთო არა ჰქონდა რა ოპერის დანარჩენ მუსიკასთან.

მე მგონია, მეტი იქნება აქ იმის მტკიცება, რომ არც აბესალომი და არც ეთერია ძლიერი ხასიათი. ისინი უნებური მსხვერპლნი არიან იმავე მძლეთამძლე სიყვარულისა და როგორღაც იოლად ჰნებდებიან თავიანთ სეე-ბედს. მართო ერთო აბესალომის დასწეულება ეთერის დაკარგვის გამო, იმის ნაცვლად, რომ მურმანისათვის წაერთმია თავისი ნაცოლარი, აშკარად გვიჩვენებს ამას.

გავიხსენოთ, მაგალითად, მისი მშენიერი — მუსიკალურად, რასაკვირველია — ფრაზა „ღმერთმა მოჰკითხოს მას, ვინც მოგვაყენა ეს ვნება“, — რა ბედის მორჩილებისა და მის წინაშე რა უძლურების გამოხმატველია იგი. არც აღმფოთება, არც პროტესტი, არამედ მწველი ტანჯვა და ლამაზად გამოთქმული კაემანი.

ერთის სიტყვით, „აბესალომი“ პირწავარდნილი ლირიკული დრამაა ლეგენდური ხასიათისა და ზაქარია ფალიაშვილმა შეუქმნა მას ასეთივე შესანიშნავი ლირიკული მუსიკა. ვიმეორებ, ლირიზმი დრამაში თუ მუსიკაში ადვილად შალღდება ტრაგიკულ პათოსამდე. აქაც ასეა.

• • •

„აბესალომის“ უდიდეს ლირსებას, — გარდა მისი პოლიფონიური მუსიკის სიმდიდრისა, რაც მოსკოვის მუსიკოსებმაც აღნიშნეს, — მუსიკალური აზრის მრავალფეროვანებაა, ე.-ი. მისი მუსიკალური თემატიკა უაღრესად დოვლათიანია.

მართლაც, ახლა მგონდება ცნობილი მუსიკოსის აზრი, კერძო საუბარში გამოთქმული, პირველად რომ „აბესალომი“ დაიდგა, — ამ ოპერაში იმდენი მუსიკაა, რომ იმავე ვერდის ბარემ ოთხი ოპერისათვის ეყოფოდაო.

საქმე ის არის, რომ ამათლიმ ცალკეულ ნომერში, რაც უნდა მცირე იყოს იგი, ზაქარია ფალიაშვილი რამდენსამე ახალ მუსიკალურ აზრს იძლევა, განსხვავებულს სახითაც და რიტმითაც.

ავიღოთ თუნდაც აბესალომის პირველი მიმართვა ეთერისადმი „მე ბანი ბანად გეძებდი, შენ ბალი ბაღად გეძინა; გაგეხსნა ოქროს საკინძი, ბროლის გულმკერდი გეჩინა“. სხვა კომპოზიტორი ზარტო იმ მუსიკალური აზრით დაკმაყოფილდებოდა, რომლითაც ეს სიტყვები ააქლერა, რათა იგი მთელ არიად განეეითარებინა სხვადასხვა ვარიაციული ხერხებით, რადგანაც თვით ამ ფრაზაშივე ჩანასახია ორი, შეიძლება ითქვას, თავისებური მუსიკალური თემისა. მაგრამ ზაქარია ფალიაშვილი ამ იოლ გზას არ მისდევს და ზედმიყოლებით სულ ახალ თემას იძლევა შემდგომი სიტყვებისათვის „ეგ ლამაზი გიშრის თმანი ვარდისებურ პირს გეფინა“, — ახალს სახითაც და რიტმითაც და მხოლოდ ამის შემდეგ პირველი ფრაზის მეორე ნახევრის თემას უბრუნდება „გაგეხსნა“... და სხვ., რომლითაც ათავებს მიმართვის.

ან კიდევ...

იმის შემდეგ, რაც მურმანს ორბელ წარმოათქმევინებს შუბრით და დაცი-  
ნვით აღსავეს სიტყვებს, აბესალომს — შეაძლევიანებს ორბელზე ეთერისათვის  
საჩუქრებს, ეთერს კი ორჯერვე უარს ათქმევინებს საჩუქრებზე. მერე  
მიჯნურობაზედაც, — ავტორი ეთერის უნდობლობით აღშფოთებული მსმელს  
აფიცებს: „არა! წყალ-წისკვილ-ქვიშამან! არ შევირცხვინო პირია“ —ო, და ყოვე-  
ლსავე ამას იგი იძლევა თვითებული სიტყვიერი აზრის შესაფერი მუსიკალური  
მეტყველებით.

თითქო აქ დრამატული სიტუაცია დასრულებულია, მეტი სათქმელი  
აღარა არის რა. მაგრამ, თუ დრამატული სიტუაცია დასრულებულია, დასრუ-  
ლებული არ არის აბესალომის სულისკვეთება და იგი წამოიღვრება საკვირ-  
ველ ბუნებრივ თქმად: „რა ლამაზი ხარ, ეთერო, რა მოზიბლავეს ფერისა!  
სალოცავია კაცთაგან ფერფლიც შენ ფეხთა მტვერისა“.

და ნუ გგონიათ, რომ ავტორი ამისათვის მიმართავს რაიმე კილოშეკი-  
დებულ გამოთქმას ან რთულ მუსიკალურ წინადადებას. არა! სრულიად მარ-  
ტივი, სადა მულოდიაა, მაგრამ ნამდვილი პოეტური გრძნობის მეტყველი,  
გეგონებათ — დღიურ სიტყვადეს განუცნებელი ადამიანი კერეტის აღტაცებაში  
იყოს შთანთქმული და ოცნებით იხატაედეს თავისი სატრფიალოს მშვენებას.

ვიმეორებ, სხვა მულოდინტი კომპოზიტორი აიროვნება ერთერთ ამ მუსი-  
კალურ თემას, მოალამაზებდა მისგანვე გამოდინარე ვარაციებით, ვაშლიდა  
საქმოდ ვრცელ არიად, ჩაურთავდა სადმე ეფექტიან ასამაღლებელს ან ამ  
ასამაღლებელით გაათავებდა უფრო დიდი ტაშის გამოსაწვევად, თუ „ბისზე“  
გასამეორებლად. მერე, ამავე საარხო მღერით აპასუხებინებდა ეთერს და ზო-  
ლოს ან შეჰყრიდა მათ სამიჯნუროდ ან გაჰყრიდა ასევე ეფექტიანად.

მაგრამ ზაქარია ფალიაშვილს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებდა ეს გა-  
ცეითილი, მრავალთაგან მრავალგზის ნაცადი ხერხი მარტოდენ ლამაზი  
სიმღერისა, რომელშიაც ხშირად, შეიძლება, გარეგანი სილამაზეა, მაგრამ  
აზრი კი მჩატე. მან დაისახა უფრო სერიოზული კომბინაცია. ამიტომაც გაარ-  
თულა მუსიკალურად დრამატული სიტუაცია, მიმართა რა „მუსიკალური  
დრამის“ ფორმებს, არიოზულ მღერას, მოგვცა ნამდვილი მუსიკალური დია-  
ლოგი და, მასთან ერთად, შექმნა ქართული მუსიკალური მეტყველების შესა-  
ფერი მულოდინური რეჩიტატივი, რომელიც ერთსადაიმევე დროს უფრო  
კეთილზმოვანია, ვიდრე ჩვეულებრივი მულოდინური რეჩიტატივი, და უფრო  
ბუნებრივიც, ვიდრე საარხო მღერაა.

და ზედმეტი არ იქნება — ერთხელ კიდევ განვიმეორო ამ წერილის და-  
საწყისში გამოთქმული დებულება, რომ ზაქ. ფალიაშვილმა თავისი „აბესა-  
ლომით“ საფუძველი ჩაუყარა ნამდვილ ქართულ ოპერას და შექმნა კიდევ  
მუსიკალური დრამის ქართული ენა.

ამ ენით მეტყველებს თითქმის მთელი „აბესალომი“. იგია ქვაკუთხედი  
მისი ავტორის შემოქმედებისა. მერე, მეტისმეტად ორიგინალურია ეს ენა, რა-  
დგანაც სავსებით შეესაბამება ქართული მღერის, საერთოდ, ქართული მულო-  
დიის ბუნებას.

ქვეშარიტი შემოქმედის უხვი ხელით გაბნეულია მთელს ოპერაში ნამ-  
დვილი მარგალიტები ქართული მუსიკალური მეტყველებისა, დიდი საუნჯეა  
დავროვილი მუსიკალური აზრებისა.

ვისაც გინდა მოუსმინოთ, პირველი პერსონაჟი იქნება იგი თუ მეორეხარი-  
სხოვანი, — ყველასაგან გესმით მუსიკალური აზრით სავსე ფრაზა, ვრცელი

იქნება იგი, თუ მოკლედ მოკვეთილი. არსად ცარიელი ადგილი, არსად მღერა მხოლოდ მარტო მღერისათვის. სპასალარი თანდარულნი მღერისათვის აბიომეფე გინდათ, მსახურთ-უხუცესი, თუ დედინაცვალი, — ერთი სიტყვით, ები-ზოდური, მეორე რიგის პერსონაჟები, — ყველა გაწვდით თავთუხის ზორბალივით მკვრივად ჩაკირულ მუსიკალურ მარცვალს, მისი ხასიათისა და დრამატული სიტუაციის შესაფერს.

მე ასეთი გამოთქმა ოცდახუთამდე დავითვალე და თამამად ვამბობ, არც ერთი არ დაიწუნება, არც ერთზე არ ითქმის, თავის ადგილას არ არისო.

ასეთია ამ ოპერის საერთო არე, საერთო ფონი.

იგი თითქო მოლივლივე ზღვის ზედაპირს მოგაგონებთ, რომელზედაც პაწია და მოდილო ტალღები შეუწყვეტლივ ქანაობენ — ზოგი შეუწყნევლად, ზოგიც შესამჩნევლად, ერთი ერთმანეთისაგან იბადებიან და ერთმანეთშივე ინთქებიან.

ხოლო ვამით-ვამ ამ მობიბინე ზედაპირზე აღიმართება ესათუის მძლავრი ზვირთი, თანდათან იზრდება, მატულობს, ირხევა, ხან კიაფობს, ხან ფრთონავს, ვით ცოცხალი სხეული, აქ — გამჭვირვალე, ნათელი, იქ — თითქო ნისლში გახვეული, აქ — ნაოჭად ასბმული, იქ — მკვრივად შეკრული. და, რა მიადწევს თავისი განვითარების ზენიტს, თანდათან საოცნებოდ იმსხვრევა, ნატეხებად იშლება — და საამურად უერთდება თავის წარმოშობ სტიქიონს, ან ზათქითა და ზარით გადაეშვება ამავე სტიქიონში და სტოვებს მსმენელში დაუეიწყარ წარმოდგენას, როგორც მხატვრული გრძნობის ამშლელი სილამაზე, იმის მიუხედავად, თუ რას გამოხატავს — სიხარულსა თუ წუბილს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ნიკო ტაბიჯიანი

## დავით ერისთავის „სამშობლო“

რუსეთის მონარქიამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იარაღით შესძლო ქართველი ხალხის დროებით „დაწყნარება“. 80-იან წლებში რუსეთის მონარქიის პოლიტიკა ახალ საფეხურზე ავიდა. თუ მანამდე მის მთავარ მიზანს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური დაპყრობა შეადგენდა, 80-იანი წლებიდან მან საქართველოს ყოველმხრივი დაპყრობა დაისახა მიზნად — სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჩვენს ენასა და კულტურას.

ქართველი ხალხი, ქართული ლიტერატურა, რუს რევოლუციურ ინტელიგენციასთან ერთად, სასტიკად ებრძოდა მონარქიის ამ სურვილს. მაგრამ რუსეთის მონარქიას ჰყავდა თავისი დამცველი რეაქციონერი პუბლიცისტები, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. საქმაოა გავიხსენოთ კატკოვი, ვაზეთ „მოსკოვსკია ვედომოსტის“ ცნობილი რედაქტორი, ხოლო საქართველოში თავადი გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ავტორი წიგნაკისა: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“.

გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ამ წიგნში ამტკიცებდა მცირე ერების დიდ ეროვნებასთან ვათქვეფის აუცილებლობას და ეს ისტორიული განვითარების კანონზომიერ შედეგად მიაჩნდა. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ თავისი „ნაშრომი“ ახალგაზრდა დავით ერისთავს მიართვა სახსოვრად. დავით ერისთავმა უკან დაუბრუნა უღირსი წიგნაკი შემდეგი წარწერით:

О существе ты написал,  
Мой друг более ста страниц,  
Но этим только доказал  
То, что мы знали без того:  
Что ты совсем не существо.  
И нуль меж крупных единиц“.

გავიდა ხანი და დავით ერისთავმა ფრანგულიდან გადმოაკეთა ე. სარდუს პიესა „სამშობლო“. ამ პიესით დაიმკვიდრა მან სახელი ლიტერატურაში და შექმნა ეპოქა ქართული თეატრის ისტორიაში. ქართველი ხალხის სიყვარული დავით ერისთავისადმი აკაკი წერეთელმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„ძღვნად და საკუთხად სამარადისოდ  
საიმეფეენიო და საამსოფლო,  
ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა  
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.



ნიკო ტატიშვილი

პოეტის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ტატიშვილის შვილი დავით ერისთავი დაიბადა 1847 წ. ბავშვობაში მან საფუძვლიანი განათლება მიიღო. სწავლობდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. 1860 წლიდან ქ. ოდესაში გაემგზავრა სასწავლებლად, სადაც სწავლობდა კენერის პანსიონში. 1867 წ. ოდესის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. შემდეგ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გადავიდა. 2 წლის შემდეგ პეტერბურგის სამკურნალო აკადემიაში შევიდა. 1871 წ. უმაღლეს სასწავლებელს თავი დაანება და სამშობლოში დაბრუნდა.

დავით ერისთავი სწერდა ლექსებს რუსულად და ქართულად. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას იგი უახლოვდება რუს მწერლებს. დავითს დიდი ნიჭი ჰქონდა დეკლამაციისა და კარგად კითხულობდა ფრანგულ და ქართულ ლექსებს, როგორც მისი ბიოგრაფი იონა მეუნარვია გადმოგვცემს, დავითი რუსული ლექსის უებრო მკითხველი ყოფილა. ქართული ლექსის კითხვაში ერისთავს ისეთი მეტოქე ჰყავდა, როგორც მამია გურიელი იყო. ხოლო რუსულ ლექსს ვირტუოზულად კითხულობდა.

რუსეთიდან მოწერილ ერთ წერილში დ. ერისთავი ეხება ლიტერატურულ საღამოს, რომელსაც ცნობილი რუსი პოეტი ა. მაიკოვიც დასწრებია. დ. ერისთავი ამ წერილში, სხვათა შორის, ამბობს: *Фофанов тоже читал, хотел подражать мне, но ни к селу, ни к городу, так что вышло комично и публика разсмеелась*, როგორც აქედან სჩანს, დ. ერისთავის დეკლამაცია ცნობილი ყოფილა რუს პოეტებისათვისაც და ზოგიერთი კიდევ ცდილობდა მიებაძა მისთვის.

პეტერბურგში ყოფნისას დ. ერისთავმა „დროებაში“ დაბეჭდა ქართულად დაწერილი ორი ლექსი\* პირველი მიმართულია\*\*\*-დში, (ილია ჭავჭავაძე). ილიას შემოქმედებას დავით ერისთავზე დიდი გავლენა მოუზღენია, ცხადია „სამშობლოს“ ავტორი მოხიბლული იქნებოდა ილიას ნაწერებით.

„აჩრდილს“ დავით ერისთავი ხშირად თურმე საჯაროდ კითხულობდა და იმდენად იყო გატაცებული ამ პოემით, რომ სარდუს დრამის გადმოკეთებისას პიესის მთავარ გმირს ლოცვად ათქმევინა „აჩრდილის“ ბოლო სტროფები. ილია ჭავჭავაძის პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით არის გატენილი დავით ერისთავის შემოხსენებული ლექსი. —

„მშაო პოეტო! როს გკითხულობ შენსა ლექსებსა და ვიზეპირებ შენგან ნაწერ წმინდა სიტყვებსა, მადლობას გწირავ, რომ პირველად შენგან ვისწავლე ჩემი მამულის პატივცემა და სიყვარული.“

ილია ჭავჭავაძეც პატივსა სცემდა ახალგაზრდა ერისთავს, რასაც ილიას მიერ მისთვის მიწერილი წერილები ადასტურებენ.

ეროვნული პრობლემით დავითი აღრევე დაინტერესდა. ილიასადმი მიძღვნილ ლექსს გარდა ეს სჩანს „კრებულში“ დაბეჭდილ ნაწარმოებებიდან — „წყლებზე“\*\* დავითი აღტაცებით ივონებს ფრანგ ქალს ეანნას, რომლის იდეალი სამშობლოსათვის თავდადებაა. ეანნა სისულელედ აცხადებს სარდუს

\* „დროება“ 1869 № 7

\*\* „კრებული“ 1872 № 10, 11—12.

პიესის გმირის სიტყვებს: „მე ქალი ვარ და სამშობლო ჩემთვის სიყვარულია“, ეანნას დოლორესის სიტყვები ასე გადაუკეთებია: „მე ვარ ქალი, მშვენიერი საფრანგეთისა და სიყვარული ჩემი სამშობლოა“. ამ ნაწარმოებში, „ქალთა პატივისცემის გარდა ერისთავი ამჟღავნებს დემოკრატიულ საფრანგეთის სიყვარულს, ილაშქრებს დაპყრობითი ომის წინააღმდეგ.

საქართველოში დაბრუნებისას დავით ერისთავს, გარდა უბადლო დეკლამაციისა, სახელი გაუთქვა აგრეთვე გონება მახელობამ, მარჯვე ფელეტონებმა და მონასიბებმა. ქართველი საზოგადოება ააღაპარაა გრად სოლოგუბის „ალავერდის“ საპასუხოდ რუსულად ნათქვამმა მისმა „იანშიოლმა“. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც დავით ერისთავმა სახელი მოიხვეჭა, მაინც თეატრი იყო.

1877 წ. დ. ერისთავმა კუკიაში გამართულ საღამოზე ითამაშა გრიბოედოვის კომედიაში „ვაი ჭკუისაგან“. შეასრულა ჩაცვის როლი. მანვე წაიკითხა მოხსენება გრიბოედოვზე.

1879 წ. შესდგა ქართველ არტისტთა დასი, რითაც საფუძველი ჩაეყარა მუდმივ ქართულ დრამატულ თეატრს. დავით ერისთავი ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო მან რამოდენიმე პიესა გადმოთარგმნა და გადმოაკეთა. ამით ქართული თეატრის ღარიბი რეპერტუარი გაამდიდრა და შეავსო.

დავით ერისთავის სიყვარულს თეატრისა და საერთოდ ხელოვნებისადმი ყველა მისი თანამედროვე ადასტურებს. არტისტი კოტე მესხი დ. ერისთავზე ამბობს: „არ მინახავს იმაზედ მეტად თეატრისა და ხელოვნების მოყვარული კაცი“. დ. ერისთავს დიდი გემოვნება ჰქონდა. ორი სახელოვანი ქართველი არტისტის სცენაზე გამოსვლა მის სახელთანაა დაკავშირებული: ნატო ვაბუნიას პირველად მან ჩამოიყვანა გორიდან; მანვე „ალმოაჩინა“ ვ. ალექსი-მესხიშვილი თბილისის რუსულ სცენაზე. რუსული დასის ერთ-ერთ წარმოდგენას დასწრებიან დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და იმ დროს ქართული დასის რეჟისორი მიხეილ ბებუთაშვილი. „მეთთხე მოქმედების შემდეგ სამთავე ერთად შევიდნენ კულისებში, მონახეს ლადო და ერთის ამბით გამოეცნაურნენ. დავით ერისთავმა, როგორც სასცენო ხელოვნების კარგმა მცოდნემ, მაშინვე განსჯერიტა ლადოს სასცენო დიდი ნიჭი, ვეღარ დაჰმალა თავისი სულიერი აღმფრენა და რა მობრუნდა ბებუთაშვილისაკენ, აღტაცებით შესძახა: „Наконец то я нашел моего Химшиашвили!“



დავით ერისთავს სარდლუს პიესა, ვიდრე თითონ გადმოაკეთებდა, დიმიტრი ყიფიანისთვის გადაუცია გადმოსაკეთებლად, მაგრამ ყიფიანს რალაც მიზეზის გამო არ გადმოუკეთებია. 1881 წლის ივლისში დავით ერისთავმა თავის სოფელ ოძისში დაამთავრა „სამშობლოს“ გადმოკეთება. დამთავრების შემდეგ პიესა მწერალთა წრეში წაიკითხა. კითხვას დაესწრნენ: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ი. მეუნარგია და სხვები. შთაბეჭდილება დიდი მოუხდენია და გადაუწყვეტიათ მისი დადგმა, მით უმეტეს რომ ქართული თეატრის რეპერტუარი დიდ სიღარიბეს განიცდიდა („სამშობლო“ ქართულად პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“, № 10, 1881 წ.).

\* დ. კასრაძე „ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი გვ. 31—32“.

დაიწყეს პიესის მზადება. რეჟისორობა იკისრა მიხეილ ბებუთაშვილმა. დეკორაციები დახატა იტალიელმა ჯუსტიმ და იანვარში ქართულმა დრამის განცხადებებიც გამოუშვა.

1882 წლის 20 იანვარს, ოთხშაბათს, გაიმართა „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენა ქართულ თეატრში, მტკვრის პირად, კუკიის ხიდის მახლობლად. შთაბეჭდილება ძლიერი იყო. „სამშობლოში“ საზოგადოებამ თავისი იდეალების განსახიერება დაინახა. ქართველები, რომელნიც მხოლოდ ოცნებით თუ წარმოდგენდნენ მონარქიული რუსეთის კლანჭებისაგან თავის დღღწევას, სცნიდან ისმუნდნენ ამაღლელებელ სიტყვებს: „ქართველები აგრე მალე როდი დასთმობენ თავის სამშობლოს. ბევრი ამისთანა შავი დღე უნახავს საქართველოს, მაგრამ ისევ ისე ფეხზედ დამდგარა, ისევ გამობრუნებულა, ისევ ისე ამაღლებულა“.

მაყურებელზე დიდ გავლენას ახდენდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები „ჩრდილიდან“, იარაღ-ასხმული, შეთქმული ქართველი ვაჟაკები ღმერთს ევედრებიან საქართველოსო:

„სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,  
„მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა!  
„რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,  
„მოეცი ძალი დაერდომილსა კვლავ აღდგომისა“.

შეპყრობილი ქართველი შეთქმულნი მტრების წინაშე გაბედულად იძახიან: „გაუმარჯოს საქართველოს“.

აი გოგია ადის სამრეკლოზე, თუ მან ქალაქ გარეთ დაბანაკებულ ქართველ ჯარს შემოსვლის ნიშანი მისცა, საქართველო დაილუპება და გადარჩება გოგია, ხოლო თუ გლოვის ზარი დარეკა, იგი საქართველოს იხსნის და თავს დაილუპავს. ადის გოგია სამრეკლოზე, ელიან მისი ამხანაგები და საზოგადოებაც სულგანაბული უცდის: ზა დასძლევს — პირადული გრძნობა, ცოლ-შვილის სიყვარული თუ ქვეყნის, სამშობლოს სიყვარული. ამ დროს გაისმის გლოვის ზარი, ნიშანი იმისა, რომ თბილისს ქართველთა ჯარი არ უნდა შემოვიდეს, თორემ დაილუპება, და ეს მჩვენებელია იმისა, რომ გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა პირად ბედნიერების გრძნობაზე უფრო ძლიერია. საქართველო იხსნა გოგიამ, მაგრამ თვით განგმირული დაეცა სამშობლოს სამსხვერპლოზე. პირად გრძნობაზე სამშობლოს სიყვარულის, მოვალეობის გრძნობის გამარჯვება ყველაზე კარგად ჩანს ლევან ხიმშიაშვილის მოქმედებაში.

„სამშობლოს“ წარმოდგენით აღფრთოვანებული ხალხი სახლში მიშავალ დავით ერისთავს გზაში უხვდებოდა, ოვაციებს უმართავდა, მოძრაობა ჩერდებოდა ქუჩებში. „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენის დამსწრე, ერისთავის ბიოგრაფი ი. მეუნარგია, სწერს: „ეს პირველი წარმოდგენა კი არ იყო სამშობლოსი, ეს იყო პირველი ნამდვილი წარმოდგენა ქართულ ენაზე“.

20 იანვრის წარმოდგენის დამსწრე იგივე მეუნარგია გადმოგვცემს: „წარმოდგენისას ნურასა მკითხავთ. მისა მნახესა ნახული აღარა მოეწონების... თეატრი იმტერეოდა შედუღებულის ხალხის ტაშის კვრისა და ვაშის ძახილისაგან.“

გაზ. „დროება“ სწერდა: „ეს წარმოდგენა იყო ნამდვილი დღისწილი დრამის გადმომოკეთებლის თ. დ. გ. ერისთავისათვის და რეჟისორ თ. ბებუთაშვილისათვის. ერთიც და მეორეც რამდენჯერმე გამოიხმო საზოგადოებაში კრიტიკებში და ტაშის კვრით დაასაჩუქრა. ერთი: მშვენიერი გრძობის აღძვრისათვის და მეორე: პიესის ღირსეულად დადგმისათვის. ნიშნად პატივისცემისა, ქართულმა დასმა უძღვნა „სამშობლოს“ ავტორს დაფნის გვირგვინი ატლასის აფიშით და ამ პიესის გამმართავს დაფნისავე ჩანგი ამგვარსავე აფიშით. წარმოდგენის გათავების შემდეგ ორივენი ხელით აიყვანეს, გამოიყვანეს თეატრიდამ და ერთის „ბრაოს“ — ძახილითა და ტაშის კვრით ჩასვეს ფაიტონში. ერთი სიტყვით, დიდი ამბავი იყო...“

„სამშობლო“ მეორედ დაიდგა 22 იანვარს. ამ წარმოდგენამ პირველზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა, გაზ. „დროება“ (1882 წ. № 17) სწერს: „ამ პარასკევის წარმოდგენა თ. დ. გ. ერისთავისაგან გადმოკეთებულის დრამის „სამშობლოსა“ უკეთ წავიდა, ვიდრე პირველი“.

„სამშობლოს“ გამარჯვების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძიოთ, ხოლო შემდეგ პიესის ღირსებაში. მაგრამ იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აგვირგვინებდა ყველა ამ ღირსებას. ამ გარემოებას ჰქმნიდნენ ნიჭიერი არტისტები. სემონ ლიონიძის როლს ასრულებდა კოტე ყიფიანი. ეს როლი კ. ყიფიანმა შექმნა. ლევან ხიმშიაშვილის როლის აღმასრულებელი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი ხომ საგანგებოდ მოსძებნა „სამშობლოს“ ავტორმა. კ. ყიფიანს ლიონიძის როლის შესრულებაში ხელს უწყობდა დარბაისლური სიღინჯე, ხოლო ქულაჯაში გამოწყობილი და ხმალ-ხანჯალ ასბულო, ლამაზი და ახალგაზრდა მესხიშვილი უბადლო ხიმშიაშვილი იყო. ფაიხოშის როლს ასრულებდა მ. საფაროვ-აბაშიძისა, ამით გარდა თამაშობდნენ ცნობილი არტისტები: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ნ. გაბუნია და სხვა.

„დროება“ 1882 წ. 174 ნომერში სწერს: „განსაკუთრებით ბევრი და ღირსეული ტაში და თანაგრძობის ნიშანი მიიღო სემონ ლიონიძის მოთამაშემ ბ-ნ ყიფიანმა და ლევან ხიმშიაშვილის წარმომადგენელმა ბ-ნ ალექსიევ — მესხიევმა“.

გაზეთის მშრალი ქრონიკები მეტ მასალას არ გვაწვდიან.

დიდი დამსახურება მიუძღვის „სამშობლოს“ დადგმაში რეჟისორ ბებუთაშვილს. იგი პროფესიით ინჟინერი იყო, მაგრამ ლიტერატურის კარგი მკოდნე და სულთ არტისტი. პიესის დადგმის ისტორიისათვის საინტერესო ცნობას გადმოგვცემს კ. ყიფიანი: ბებუთაშვილმა როლები გაგვინაწილა. მე ლიონიძე უნდა მეთამაშა. დავით ერისთავს მოეახსენე, რომ პიესაში შეცდომა გაქვს: ქართული ტრადიციის მიხედვით ლოცვა უფროსმა — ლიონიძემ უნდა სთქვას. პიესით-კი ხიმშიაშვილი ამბობს-მეთქი. ერისთავი არ დამეთანხმა, მაგრამ ბებუთაშვილმა პირდაპირ უთხრა, რომ ყიფიანი მართალია, შენ სტყუი იმასთანაო\* რა თქმა უნდა, ყიფიანის არტისტული ალლო სწორი გამოდგა. ბებუთაშვილმა გადაუხვია პიესას და ლოცვა მოხუცებულს, შეთქმულების მოთავეს სემონ ლიონიძეს ათქმევინა. ეს ტრადიცია დამკვიდრდა და ამ კორექტივით იდგმებოდა შემდეგშიც „სამშობლო“.

\* კ. ყიფიანი „ჩემი არტისტობის თავგადასავალი“ „ფასკუნჯი“ 1909 № 19.

დამდგმელმა და არტისტებმა პიესას უფრო მეტი პატრიოტული ხასიათი მისცეს. პიესით შეთქმულნი მხოლოდ ლოცვას ამბობენ. დამდგმელმა შეთქმულებს ხელში ქართული, ეროვნული დროშა ააღებინა. ქართველმა დროშა ხიმბოლო იყო საქართველოს განთავისუფლებისა, ამიტომ სსზოგადოების აღფრთოვანებას იწვევდა. ი. მეუნარგია ვადმოგვცემს: „ქუთაისში — საზოგადოების ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მესამე მოქმედებაში ყიფიანმა მუხლი მოიყარა და საქართველოს დროშით ხელში დაიწყო ილია ჭავჭავაძის „ღმერთო მაღალო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია“... ერთი ნაწილი საზოგადოებისა ფეხზე წამოდგა“.

„სამშობლოს“ მარტო ტაშის კერა, ვაშას ძახილი და ალტაცების გრძნობა როდი გამოუწვევია. მან ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქართულსა და რუსულ პრესაში. მოწინავე ნაწილი რუსი საზოგადოებისა, ქართველ საზოგადოებასთან ერთად, „სამშობლოს“ ალტაცებით შეგება, მაგრამ რეაქციონერ პუბლიცისტის კატკოვის ვაზეთ „Московския Ведомости“ 1882 წ. მე-44 ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც მასხარად იგდებდა ქართველობას „სამშობლოს“ წარმოდგენისათვის და რჩევას იძლეოდა ეროვნული დროშები ქართველებს ცირკისთვის მიეყიდათ. კორესპონდენტი С. Р. სწერს: Жаль затрат, сделанных на постановку пьесы, но оне, кажется, могли бы окупиться от продажи декорации, костюмов и грузинских знамен в здешний цирк братьев Годфруа. Кто-то непричастный местному патриотизму и сепаратизму, так сострил над этою переделкой князя Д. Г. Эристова:

В порыве молодчества,  
В патриотическом чаду,  
Не отыскав отчества,  
Его ты занял у Сарду\*).

დიდმწყობელი კორესპონდენტი დასკინის ქართულ ეროვნულ დროშებს, ქართველების მიერ პიესის წარმოდგენას სეპარატისტულ განწყობილებად მიიჩნევს. სეპარატიზმად იგი გულისხმობს იმას, რასაც ჩვენ ეროვნულ გამანათავისუფლებელ მოძრაობას ვუწოდებთ. ღვარძლიანი ლექსით-კი მიუთითებს საქართველოს არ არსებობაზე.

„სამშობლოს“ წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე თბილისის იუმორისტულმა ჟურნალმა „გულმა“.

კატკოვის ვაზეთში მოთავსებულმა კორესპონდენციამ ქართველი ხალხის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. პროტესტი მრავალმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გამოსთქვა. კატკოვის ვაზეთის საპასუხო წერილი დაბეჭდა თბილისის თავად-ახანაურთა მარშალმა შაქრო (ლუარსაბ) მაღალაშვილმა — საზოგადო მოღვაწემ, თეატრალმა და ილია ჭავჭავაძის მეგობარმა\*\*.) მაგრამ ყველაზე სასტიკი და საკადრისი პასუხი „მოსკოვსკია ვედომოსტის“ ილია ჭავჭავაძემ გასცა წერილით „კატკოვის პასუხად“. („დროება“, 1882, № 40)

\* ) Московския Ведомсти\* 1882 № 44.

\*\* ) „Голос“ 1882 № 70.

„კატკოვის პასუხად გადაბეჭდა რუსულმა პრესამ. რუს მწიწინაეუ საზოგადოებაში ილიას წერილმა კმაყოფილება გამოიწვია. ი. წინამძღვრიშვილი მოსკოვიდან სწერდა ილიას: ჩემი სიამოვნება იმან უფრო ასწიხ, რამე უჭი არა თუ სომხები, ერთი რუსი არ შემხვედრია, რომელსაც არ გამოუთქვებს აღტაცებული კმაყოფილება შენს წერილზედ.

„Моск. Ведомости“ სასტიკად გააკრიტიკა სტეფანე ჭრელაშვილმაც\*). თუ რუსი რეაქციონერები ებრძოდნენ „სამშობლოს“, მას რუს რევოლუციონერთა შორის დამცველნი გამოუჩნდნენ. ცნობილმა პუბლიცისტმა ნ. მიხაილოვსკიმ „Отечественные записки“-ში „სამშობლოს“ დასაცავად სტატია მოათავსა. ნ. მიხაილოვსკი რუსი ინტელიგენციის განწყობილებას გამოსთქვამდა და პროტესტს უცხადებდა კატკოვს: Русские люди в целом, конечно, неповинны в диком требовании г. Каткова продать грузинские знамена в цирк для украшения пантомим. Да это и чистый вздор в узко практическом смысле, то-есть, грузинские знамена останутся неприкосновенны на том самом месте, где они и теперь находятся\*\*).

„სამშობლოს“ მაკებართა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც პიესის ზოგიერთ ნაქლსაც აღნიშნავდნენ. მაგ. სტ. ჭრელაშვილი ზემოთ დასახელებულ წერილში ამბობდა, რომ დრამის სისრულისათვის საჭირო იყო გავება იმისა, თუ როგორ გავიდა ს. ლიონიძე მტრების მიერ გარშემორტყმულ ქალაქიდან. საჭირო იყო დავით ბატონიშვილის მოქმედებაში ჩვენება. ჭრელაშვილს ნაკლად მიაჩნია „სამშობლოს“ გმირების „ფრაზიორობა“ და ზოგიერთი სიტუაცია, მაგ., სვიმონ ლიონიძის მეუღლისა და ლევან ხიმშიაშვილის მიჯნურობის ამბავი.

აკაკი წერეთელი ქუთაისის ვაზეთ „შრომის“ „სათეატრო შენიშვნებში“ აქებდა „სამშობლოს“, მაგრამ შემდეგ ნაკლს აღნიშნავდა:

1. პიესაში — „ქართველთ ჯარები ისე ჯაბანად არიან გამოყვანილი, რომ მართლა და ცხვრები ეგონება მკითხველს. იჭერენ თხებსავით და ახრობენ ძაღლებსავით“.

2. ავტორი ამბობს, შაჰ-აბასს ჯარი ცოტა ჰყავსო, ეს კი ისტორიულად სწორი არ არის, — „თუ ოდესმე დაუმარცხებიათ ქართველები, დაუმარცხებიათ რიცხვით და არა ვაჟაკობით.“

3. „ბერი რომ შემოჰყავთ და ვაჟყავთ ისე, რომ თითქო ხბოს თავი შემოჰქონდეთ, რათა და რისთვის?“ ავტორს უნდა „უჩვენებინა ჩვენთვის, თუ რათ დაიჭირეს და რა იყვნენ ძველი ბერები“.

4. „ყაენმა რომ ქართლ-კახეთი ამოავდოს, თბილისი დაიჭიროს და იმერეთში ვერ გავგოთ, შეუძლებელია“. ვთქვათ, ვერ გაიგეს, მაგრამ დადიანი „ისე როგორ მოჩერჩეტდა თბილისამდი, რომ ვერა გაიგო რა“.

მთავარ ნაკლად პიესისა აკაკის ქეთევანის გამცემად გამოყვანა მიაჩნია „ქეთევან ისე მოჰგავს ქართველ ქალს, როგორც გველი მტრედსა“.

„ჩვენის დედების ისე უკუღმართად სცენაზე გამოყვანა, როგორც ქეთევანია, უსამართლო ცილისწამებაა“. ეს აზრი გაიმეორა აკაკიმ 1884 წ. დაწერილ მოთხრობაში „სამგვარი სიყვარული“.

ს. ჭრელაშვილისა და ა. წერეთლის შენიშვნებში აღნიშნული ზოგიერთი ნაკლი „სამშობლოს“ მართლაც ახლავს; ჭრელაშვილი თავის წერილში

\*) „იმედი“ 1882 წ. № 7—8.

\*\*) „Отечественные записки“, 1882 г., № 4.

სწერდა: „მაგრამ იქნება ეს ნაკლულოვანებანი შეადგენენ ერთიანად დედანის კუთვნილებას, თ. ერისთავის არა ჰქონდეს შიგ წილი. ფრანციკულის უცოდინარობის გამო ჩვენ არ წაგვიკითხავს სარდლს თხზულებებზე“.

მართლაც აღნიშნული ნაკლი, თუ ეს ნაკლად ჩაითვლება, თითქმის ყველა ორიგინალის კუთვნილებას შეადგენს; რაც შეეხება აკაკის შენიშვნას ქეთევანის შესახებ, რომ ქეთევანი ქართველი ქალია და ეს ტიპი ქართველი დედების ცილისწამებააო, უნდა შევნიშნოთ, რომ ქეთევანი დ. ერისთავს, მართალია, ლიონიძის ცოლად გამოჰყავს, მაგრამ ქეთევანი ქართველი ქალი არ არის და, მაშასადამე, არც ქართველი დედაა. ქეთევანი სპარსელია, იგი ლიონიძემ ტყვეობიდან დაიხსნა, მონათვლინა და ცოლად შეირთო. ის გასცემს ქართველთა შთქმულებას, მაგრამ არა იმისთვის, რომ თავის თანამემამულეებს, სპარსელებს დაეხმაროს, არამედ იმისთვის, რომ თავისი საყვარელი (ლევან ხიმშიაშვილი) იხსნას სიკვდილისაგან. იგი მონაა თავისი პირადი გრძნობისა და სწორედ ეს არის მისი შეცდომა.

თვითმპყრობელურმა მთავრობამ „სამშობლოს“ სცენაზე წარმოდგენა ერთხმად აკრძალა. მაგრამ შემდეგ მოხერხდა მისი აღდგენა და დიდხანს დარჩა თბილისისა და პროვინციის სცენის რეპერტუარში. 1892 წ. ილია ჭავჭავაძე დაესწრო თბილისში „სამშობლოს“ წარმოდგენას. სვიმონ ლიონიძის როლს ვ. გამყრელიძე ასრულებდა. ილიას მსახიობის თამაში ძალზე მოეწონა და წერილიც უძღვნა: „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლიონიძის როლში“.

ერთხანს ქართულ დასს აკაკი წერეთელი რეჟისორობდა. 1903 წ. 27 სექტემბერს აკაკიმ სეზონი „სამშობლოთი“ გახსნა.

ზშირად ახლად გამოსულ არტისტს „სამშობლოში“ ათამაშებდნენ და ამით მის არტისტულ ნიჭს სცდიდნენ. მაგალითად გიორგი იშნენელს პირველ გამოსვლისთანავე ლევან ხიმშიაშვილის როლი მისცეს.

ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ „სამშობლო“ ვადმოკეთებულა სარდლს დრამიდან „Partie“ მაგრამ რა ურთიერთობა აქვს ერისთავის პიესას სარდლს დრამასთან, როგორ და რა შესცვალა დ. ერისთავმა, რა ჩაუმატა და რა გამოაკლო, თითქმის არავენ იცის, ამიტომ „სამშობლოს“ გაგებისათვის საჭიროა საკითხის ამხსრივაც შესწავლა.

ვიქტორიენ სარდლს (1831—1908) ფრანგ დრამატურგთა შორის საბატრო ადგილი უჭირავს. პელისიე სარდლს პიესას „Partie“-ს თანამედროვე ფრანგული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო დრამად სთვლის. სარდლ ბრწყინვალე სტილისტი იყო, კომპოზიციის ოსტატი, მაგრამ როგორც პელისიეც შენიშვნას, მის გმირებს აკლიათ ფსიქოლოგიური სიღრმე და სიმარტივე.

„Partie“-შიც ავტორის ეს თვისება მოსჩანს. მაგრამ სარდლ თეატრალური ეფექტისათვის გამიზნული სცენებით აზერბებს ადამიანის ბუნების სწორად გადმოცემას. მასში მოცემულია ბრძოლა სამშობლოს მოვალეობის გრძნობასა და ქალის საყვარულის გრძნობას შორის, რაც პირველის გამარჯვებით თავდება. რომანტიულობა და ეფექტიური სცენები პიესას მელოდრამის ხასიათს აძლევს.

„Patrie“ დაიწერა 1869 წ. დაიდგა იმავე წლის 18 მარტს პორტენ-მარტენის თეატრში. წარმოდგენამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. თურნალ „L'univers illustre“-ს გადმოცემით, მსაყურებლები მღელვარებისაგან ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ტიროდნენ“.

„Partie“ წარმოდგენილ იქნა ოთხასჯერ, მერე შესწყდა მისი დიდება და 17 წლის შემდეგ (1886 წ.) კვლავ განახლდა.

ვიდრე ქართულს „სამშობლოს“ და ფრანგული „Patrie“-ს, ერთმანეთს შეეცხებოდნენ, საქიროა ვიცოდეთ, როდის გაეცნო დავით ერისთავი ესარდეს „Patrie“-ს.

1872 წ. „კრებულში“ დაბეჭდილი ერისთავის ნაწარმოებიდან სჩანს, რომ საფრანგეთისა და გერმანიის ომის დროს გერმანიაში (ემსში) მყოფი დ. ერისთავი უკვე იცნობდა „Patrie“-ს. ემსში გაცნობილმა ფრანგის ქალმა ეანნამ მთხოვაო, — ვადმოგვეცემს დავით ერისთავი, — დამეკრა ფორტოპიანოზე არესპუბლიკური სიმღერა — მარსელიეზა. მე ავდექი და მივედი ფორტოპიანოსთან. ეანნამ დაუწყო ძებნა მარსელიეზას.

— ეს რა არის? სთქვა ეანნამ. — ვის მოუტანია „Patrie“ სარდესი? გინახავთ ეს პიესა?

— დიახ, მინახავს. \*)



ჩვენ ხელთ გვექონდა დავით ერისთავის ნაქონი „Patrie“ ფრანგული წიგნი (გამოცემა მეოთხე, 1870 წ., პარიზი. დაცულია თეატრალურ მუზეუმში) დავით ერისთავს ვადმოკეთებისას ეს წიგნი გამოუყენებია. ამას ამტკიცებს წიგნზე მინაწერი შენიშვნები. მთავარი ცვლილება, რომელიც დ. ერისთავს ვადმოკეთებისას მოუხდენია, შემდეგია: სარდეს დრამაში მოქმედება სწარმოებს ბრიუსელში 1568 წელს, ქართულში — თბილისს მე-17 საუკუნეში; ფრანგულში დაპყრობილი ქვეყანა ფლანდრიაა, ქართულში — საქართველო; ფრანგულში დამპყრობელი არის ესპანეთის მონარქია, ქართულში — სპარსეთი, ფრანგულში დამპყრობელი კათოლიკეები არიან, ქართულში — მამაღიანები, ფრანგულში დაპყრობილი სარწმუნოებით პროტესტანტები არიან, კალვინისტები, ქართულში ქრისტიანები, მართლმადიდებელი.

ამ მთავარ ცვლილებათა გარდა, შეცვლილია მომქმედ პირთა სახელები (დ. ერისთავის საკუთარი ხელითაა მიწერილი ფრანგულის გვერდით ქართული გვარები). ქართულში გამოტოვებულია უმნიშვნელო პერსონაჟები. ამის შედეგად, ჯარისკაცებსა და ხალხს გარდა, ქართულში 28 პერსონაჟია (ფრანგულში არის 37 პერსონაჟი).

ამ ძირითადი ცვლილებების შემდეგ დ. ერისთავი შესდგომა პიესის ვადმოკეთებას. აქ დაწვრილებით არ შეეცხებოთ იმ ცვლილებებს, რომლებიც დ. ერისთავს ვადმოკეთების დროს შეუტანია პიესაში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ერისთავს შეუცვლია ქვეყნებისა, ადგილებისა და მოქმედ პირთა სახელები, მოუცილებია სარდეს პიესისათვის დამახასიათებელი არისტოკრატიზმი, გამოუტოვებია ზედმეტი ადგილები და სცენები, მაგ., ლა-ტრემუილისა და ორანელი პრინცის მეგობრობის ამბავი, რასაც მხოლოდ პირადული ხასიათი აქვს, ზოგან გაუერთიანებია სცენები, ჩაუმატებია ილია ქაგუაძის ლექსი და რამდენიმე მომენტი. ამის შედეგად, მთაბეჭდილების თვალსაზრისით, დრამა მეტ მთლიანობას ღებულობს. ამის და მიუხედავად, დ. ერისთავის პიესა მაინც ახლოს დგას სარდეს „Partie“-თან დ. ერისთავმა ვადმოკეთებლის

\* „კრებულ“ 1872 წ. № 10—11—12. დ. ერისთავის „წყლებზე“.

საოცარი ნიჭი გამოიჩინა: შესცვალა სარდუს პიესა, მაგრამ ნიკო ტატიშვილის დარჩა მასთან.

ერისთავის დრამის ერთ-ერთი რემარკის მიხედვით, მოქმედება უნდა სწარმოებდეს მე-17 ს-ში და საქართველოს ცხოვრება უნდა იყოს ასახული. მაგრამ, როგორც უკვე დავინახეთ ქართული „სამშობლო“ ახლოა სარდუს „Patrie“-თან, შეუძლებელია საქართველოს და ფლანდრიის ცხოვრება ყოველმხრივ ერთნაირი ყოფილიყო. მართლაც, დ. ერისთავის „სამშობლოში“ ჩვენი წარსული ცხოვრების თავისებურება დეტალებით გადმოცემული არ არის და ვერც იქნებოდა.

საქართველოს წარსული ცხოვრება, ბრძოლა თავისუფლებისათვის ქართულ ლიტერატურაში ფართოდ ასახეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვებმა მაგრამ ვერც ერთმა მწერალმა ვერ მოგვცა სცენაზე წარმოსადგენად საქართველოს ცხოვრების ამსახავი მალალხარისხოვანი ნაწარმოები. ანტონ ფურცელაძემ სცადა „დიდ მოურავში“ გადმოეცა ჩვენი წარსული ცხოვრების საშინელებანი, მაგრამ ამოცანა ვერ დასძლია (სცენიურობის თვალსაზრისით). ფურცელაძის „დიდ მოურავში“ დიდი ადგილი უჭირავს ბრძოლასა და ინტრიგებს თვით ქართველებს შორის. 80-იან წლებში კი ქართველ საზოგადოებას ისეთი პიესა სურდა, რომელიც ქართველთა მთლიანობას და დარაზმულობას უჩვენებდა. ასეთი პიესა იყო დავით ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებული „სამშობლო“.

„სამშობლო“ მარტო გმირთა სახელებით როდია ქართული, იგი თითქოს ქართული ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოებია, მისი განვითარების გზაზე ბუნებრივად შექმნილი. „სამშობლოს“ ნიადაგი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართულ ლიტერატურაში ჰქონდა და ამიტომ ხედა დიდი გამარჯვება.

„სამშობლოში“ დასმული პრობლემა აწუხებდა სოლომონ დოდაშვილს, მის ამხანაგებს და შემდეგში თერგდალეულებს.

„სამშობლოში“ დასმული პრობლემა გვხვდება გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის ლექსებში, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“. აკაკის „თორნიკე ერისთავში“, „ნათელაში“, „ბაში-აჩუკში“, და სხვ. განსაკუთრებით ბევრი რამ საერთო აქვს „სამშობლოს“ 1860—1871 წლებში დაწერილ ილიას „ქართველის დედასთან“ („დედა და შვილი“)

„სამშობლოში“ აღწერილი ამბები კონკრეტულად არ მომხდარა საქართველოში, მაგრამ მათი მსგავსი მოვლენა მრავალი იყო. ამიტომ შესძლო „სამშობლომ“ ჩვენი წარსული ცხოვრების სულისა და ხასიათის გადმოცემა.

ლევან ხიმშიაშვილი გაანთავისუფლა შაჰმა, მაგრამ ლევანს მაინც სურს ამხანაგებთან ერთად დასაჯონ „პატიება, — ამბობს ლევანი, შაჰმა რომ ინება, მე არ მნებას. მე ჩემს ამხანაგებთან ერთად ვიყავი, ერთად გვიბრძოლია, ერთად თავი გაგვიწირავს... ყველას თანასწორი დასჯა უნდა მოგველოდეს. მე უფლება მაქვს, რომ ჩემი დასჯა მოვითხოვო. არ მივიღებ მაგ მოწყალებას შაჰისაგან“.

ხიმშიაშვილის მოქმედება ჰგავს ცოტნე დადიანისას, როცა კონტის-თავის შეთქმულნი: შანშე, ევარსლან, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, შოთა კუბრი დაატყვევა მონგოლთა ნოინმა და ესე მთავარი ტყვენი, მხარდაკრულნი, შიშველნი, მოედანს შინა მსხდომარე იყვნეს; ვითარ იხილნა ესე ცოტნე, წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკვდილად განწირულნი, გარდა-

ზხდა ჰუნსაგან და დაბნია სამოსელი თვისი, განშიშვლდა და შეიკრა მხარნი, დაჯდა წარჩინებულთა თანა მწუხარედ“ და ნოინს მოეხსენება: „უცხოეთუ უბრალონი იყვნენ, მეცა უბრალოდ შევირიცხო, და მართალე კუწერს წყნაჲმ, რამეთუ თვინიერ ჩემისა არა-რაი უქნიეს“ („ქართლის ცხოვრება“).

შაჰ-აბაზის შემოსევის საშინელება „სამშობლოში“ ნათლად იგონება. „სამშობლოში“ მოცემული შეთქმულება სპარსელთა წინააღმდეგ გვაგონებს სააკაძის მიერ შაჰ-აბაზის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას. საქართველოს წარსულს ბევრი რამ აქვს საერთო „სამშობლოსთან“ და (მაშასადამე, საქართველოს ისტორიასთან — „ქართლის ცხოვრებასთან.“) ამ ამბავს ერისთავის ბიოგრაფი ი. მელუნარვიაც გვიდასტურებს. ერისთავს პიესის ვადმოკეთებამდე „ქართლის ცხოვრება“ წაუკითხავს, შაჰ-აბაზის ამბებს გასცნობია.

„სამშობლოში“ მოცემული სურათები ქართველებს 1832 წლის შეთქმულებასაც გაახსენებდა: „ვანთიადის დროს უნდა ზარების რეკა მოახდინონ და ამაში ძახილი თავისუფლებისა, მაშინვე კაცნი მზად უნდა გყვანდეთ რომ სოფლებში გაგზავნოთ და შეუთვალოთ, ალექსანდრე ბატონიშვილი ჯარებით ქალაქში შემოვიდა და ყველას გთხოვთ, რომ ჩამოხვიდითო“\*) არიგებდა ამხანაგებს შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე.

მეორე მომენტიც: დოდაშვილის ბინაზე შეიკრიბნენ ქართველი შეთქმულები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ და გიორგი ერისთავები, ალექსანდრე ორბელიანმა „აილო ჭიქა, გაავსო ოგი ლვინით და დაიძახა, გაუმარჯოს საქართველოს, და ჩვენც ყველამ დაველიეთ თავისუფლების სადღეგრძელო\*\*“).

„სამშობლოს“ გმირების სცენაზე გამოჩენა და ძახილი: „გაუმარჯოს საქართველოს“ ქართველებში გარდასულის გახსენებას იწვევდა და მათ მომავალი ბრძოლისათვის ამზადებდა.

საქართველოს ისტორიაში „სამშობლოს“ პერსონაჟთა და სიტუაციათა სხვა ანალოგიების მონახევაც შეიძლება. ამიტომ იყო, რომ თუმცა „სამშობლოში“ არ იყვნენ გამოყვანილი მე-17 ს. მოღვაწენი: თეიმურაზ და ლუარსაბ მეფე, გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი, ზაზა ციციშვილი და სხვანი, მაგრამ სული, ხასიათი, ბუნება ჩვენი წარსული ცხოვრებისა ვადმოკემული იყო.

საინტერესოა „სამშობლოს“ პრობლემასთან დაკავშირებით ერთი საკითხის გარკვევა: რომელი ეპოქის ხალხია სვიმონ ლიონიძე, მისი ცოლი ქეთევან, ლევან ხიმშიაშვილი, დიმიტრი დადიანი, ვოვია დიაკვანი, ზაზა სოლოლაშვილი, როინ ამირაჯიბი, ესტატე ციციშვილი, საიდან არის ამოღებული მათი სახელ-გვარი და ან რეალური პიროვნებანი არიან ისინი თუ არა?

ერთი რამ ცხადია: ისინი მეჩვიდმეტე საუკუნის ადამიანები არ არიან.

როგორც მელუნარვიას ცნობიდან ჩანს, დ. ერისთავს თავის გმირთა სახელები პ. იოსელიანის თხზულებიდან — „გიორგი მეცამეტის ცხოვრებიდან“ აუღია. მართლაც, პ. იოსელიანის წიგნში მოხსენებულია სოლომონ ლიონიძე, კანცლერი ერეკლე მეფისა. ამავე შრომიდანვეა ცნობილი ნიკოლოზ ხიმშიაშვილი. მაგრამ დ. ერისთავს სოლომონ ლიონიძე სვიმონ ლიონიძედ შეუცვლია, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი ლევან ხიმშიაშვილად.

\* გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 86.

\*\* ანტონ აფხაზის ჩვენება. გოზალიშვილი, „შეთქმულება“, გვ. 223—224.

ვეფქრობთ, ეს შემდეგი გარემოების გამო მოხდა: სოლომონ ლეონიძე (ლეონიძე) ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ <sup>ქართლის</sup> გარდაიხვეწა და იქიდან აქტიურად ებრძოდა რუსეთის მონარქიის <sup>წინააღმდეგ</sup> წინააღმდეგ შეუერთდნაც ვაიქცა და მოკვდა, როგორც რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ შეუერთდნაცი მებრძოლი. ამიტომ შეუძლებელი იყო სოლომონ ლეონიძის სახელ შეუცვლელად სცენაზე გამოყვანა. გარდა ამისა, შეზღუდული სარდუს პიესით, დ. ერისთავი თუ სოლომონ ლეონიძეს გამოიყვანდა, იძულებული იქნებოდა მოლაღატედ დაეხატა მისი შეუძლებელი სოფიო, რაც ცილის წამება იქნებოდა სოლომონ ლეონიძის შეუძლების მიმართ, რომელსაც ნ. ბარათაშვილმა „ბედი ქართველისაში“ შენატრა: „პოი, დედანო, მარად ნეტარხო“-ო.

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი, როგორც იოსელიანი გადმოგვცემს, არის მკვლე-ლი რუსეთის გენერლის ლაზარევისა. ცხადია, არც გენერლის მკვლელის გამოყვანა შეიძლებოდა სცენაზე სანაქებო გმირად, ამიტომ შეუცვალა დ. ერისთავმა სახელი ნიკოლოზს ლევანად. ეს რომ ასეა, იქიდანაც მტკიცდება, რომ დანარჩენ გმირთა სახელ-გვარები, რომელთაც რუსეთის მონარქიასთან დიდი კონფლიქტი არ მოსვლიათ დ. ერისთავმა პ. იოსელიანის წიგნიდან უცვლელად აიღო. ასეთებია:

1). ციციშვილი, ქალაქის მოურავი, ნაშობი მეფის ირაკლის ასულისაგან გარდაიცვალა 1828 წ. ნიენი-ნოვგოროდს\* \*) ესტატე ციციშვილი ყოფილა „კაცი წერილითაცა შინა დახელოვნებული“).

2). „როინ ამირაჯიბი, დიდი მხნე ვაჟაკი, ერთგული მეფისა“.

3). „ზაზა სოლოლაშვილი — ლეკთა აიკლეს მისი სოფელი. დაასახლა გლეხნი, აღაშენა კოშკი. მოუხდა ახალციხის ფაშა რვაასის კაცითა, გაუმაგრდა კოშკში და მოუკლეს შვილი ფაშას. ზაალ გამოუხდა კოშკით, მოსტაცა მოკლული შვილი და შეითრია, ფაშა სირცხვილეული დაბრუნდა“.

4). დავით ბატონიშვილი, გიორგი მეფის ძე და ტახტის მემკვიდრე.

5). „გოგია დიაკვანი, საყვარელი მეფის გიორგისა სახლობა მისი ახლდა მას და დედოფალსა მსახურებდა. იყო გარკვევით ლექსთა და აზრთა გამობა-ღვით მკითხველი ეკლესიისა წიგნთა. ხმა მისი არის, — ბრძანებდა მეფე — ხმა ლოცვისა და ვედრებისა, ხმა საგლობელსა ხმათაო“.\*\*)

როგორც ვხედავთ დავით ერისთავმა მე-18 ს-ის ვასულისა და მე-19 ს-ის პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწენი (ლეონიძე, ხიმშიაშვილი, ამირაჯი-ბი, ციციშვილი, სოლოლაშვილი, დავით ბატონიშვილი, გოგია დიაკვანი) მე-17 ს-ეში გადაიყვანა და ამოჭმედა. მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია: შესძლო ჩვენი წარსული ცხოვრების ხასიათის გადმოცემა და რაც მთავარია, გამოეხმაურა თავის ეპოქის ტყვიილებს, ხალხში აღზარდა პატრიოტიზმის გრძნობა და ქარ-თული თეატრის ისტორიაში ეპოქა შექმნა.

\* ესტატე ციციშვილს იხსენიებს ფილადელფოს კიკნაძე თავის ჩვენებაში. (გ. გოზა-ლიშვილი „შეთქმულება“ გვ. 282).

\*\* პ. იოსელიანი „ცხ. გიორგი მეცამეტისა“ ა. გაწერელის რედ. გვ. 263, 264, 260—261.

ივანე ზაიზებლაშვილი

## ქანისის ომი\*)

ახლა ერეკლესეული ქართული მხედრობის ტაქტიკურ ხერხებსაც უნდა შევხებით. შევხდეთ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ქართველობა მრავალრიცხოვანი მტრის განადგურებას გარშემორტყმის საშუალებით ახერხებდა. ყოველი ასეთი ცდა გამართლებას ჰპოულობდა მხოლოდ მტრის მცირე რაზმების განადგურებისას, როცა მოწინააღმდეგეზე რამდენჯერმე მეტი ძალა მოეპოვებოდათ ქართველ სარდლებს. უფრო ნაკლებად იყო შესაძლებელი მტრის შემოვლა და მის ღრმა ზურგში მოქცევა. მტრის მოზრდილ ძალებთან ბრძოლაში ქართველობა ელვისებური დარტყმით აღწევდა გამარჯვებას, თავბრუს ახვევდა მოწინააღმდეგეს, არევ-დარევა შეჰქონდა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე, ჰფანტავდა მის ძალებს და შემდეგ საბოლოოდ სდევნიდა ან სობობდა დაჰსაქსულ მტერს. ქართველ მხედართა პირველი დარტყმა ყოველთვის მძლავრი იყო დანარჩენ დარტყმებთან შედარებით.

ასეთი იყო ერთი ძირითადი ხერხთაგანი მრავალრიცხოვან მტერზე გამარჯვებასა. მეტად მოწინილი და გარკვეული შაბლონური წყობისა და წესების არმქონე ქართველი მხედრობის ტაქტიკა გზაკვალს უზნევედა ქარზე მომდგარ მტერს. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მოწინააღმდეგენი ძალზე ზერელეთ იცნობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს სასაზღვრო ზოლს და ადგილის ხასიათს. მათი მოქმედება ზურგიდან ან ფრთებზე თავდასხმის შიშის ქვეშ იზღებოდა.

ეს ელვისებური დარტყმა, რასაც მხოლოდ ცხენოსანა ჯარი ასრულებდა, მეტად მცირე მანძილისა იყო თავისი მოცულობით (ძალა, სიგრძე, დრო.) ჯერ ერთი, მასში ყოველთვის არ იღებდა მონაწილეობას მთელი ქართული ჯარი. ეს იყო ცხენოსანი ივანჯარი. მის დანიშნულებას შეადგენდა დაეჭაქსა და შესაძლებლობისამებრ დაესუსტებინა მოწინააღმდეგე, მოემზადებინა პირობები მთავარი ძალების გაშლისთვის. შემდეგ, იგი ეწყობოდა ძალზე მოკლე მანძილიდან, რომლის ზუსტად დადგენა არ შეიძლებოდა (ადგილმდებარეობის ხასიათის მიხედვით). დასასრულ, ეს პირველი ცხარე შეჯახება სულ მალე ფიცხელ ხასიათს ღებულობდა: მოწინავე რაზმის დასახმარებლად გაქანებული მოდიოდა დანარჩენი ჯარი, რის შემდეგაც პირველყოფლისა ხმალი სწყვეტდა საკითხს, ხოლო ქართველთა ხმალის მჭრელობაზე მთელს აზიასა და ევროპაში ბევრი რამ იცოდნენ. ცნობილია, მაგალითად ფრიდრიხ დიდის სიტყვები ერეკლეს შესახებ. საყურადღებოა, რომ იმავე ფრიდრიხ დიდმა თავის სამხედრო ანდერძში აღნიშნა: „საქირო არ არის ბრძოლაში ჩაბმა, სამავიეროდ უნდა დაიკავო სახერხო და მძლავრი ზღუდეები, ცალკეაღკე ჩაიგდო მტრის რაზ-

\*) დასასრული. იხ. „მნათობი“, № 9.

შეზღვევა და გაანადგურო ისინი“.) შემდეგ: „მოწინააღმდეგე ჩემი კომპასია, იმის მიხედვით უნდა ვივარაუდო ჩემი მოძრაობა“\*) საყურადღებოა ფაქტები, რომ ფრიდრიხ დიდიც ყოველთვის პირველი დარტყმით ჰფანტავდა მტერს, ერეკლისა და ფრიდრიხ დიდის ტაქტიკურ ხერხებს შორის არსებული მსგავსება, რაც ამ ამონაწერებიდან ჩანს, აიხსნება არა იმით, რომ ამ ორ სახელოვან სარდალს შორის რაიმე პირადული ურთიერთობა არსებობდა, არამედ იმით, რომ ორივენი გამოიმდინარეობდნენ მოწინააღმდეგეთა სიძლიერისა და თავიანთი ქვეყნების განსაკუთრებული გეოგრაფიული და ეკონომიურ-პოლიტიკური პირობებიდან.

ასეთი იყო შეტყვევითი, უფრო სწორად, შეხვედრითი ბრძოლის ხასიათი ქართული მხედრობისა, რაც თითქმის ყოველთვის ერეკლეს სასარგებლოდ თავდებოდა. ამის შემდეგ ეწყობოდა თავბრულამხვევი დევნა. ერეკლეს არ ჰყვარებოდა მტრის გაბრუნებით დაკმაყოფილება, იგი დაუყოვნებლივ აწყობდა დევნას და ამ საქმისათვის კარგად იყო გაწაფული ქართული ცხენოსანი.

არ შეეჩერდებოდა მოგერიებითი ხასიათის ბრძოლაზე, რადგან, თანამედროვე გაგებით, ღია ადგილზე ასეთს ბრძოლას არა ჰქონდა ადგილი. ვარდა მცირე გამოწვასისა. ქართული მხედრობა აშეითად მიმართავდა თხრილების აგებასა და სხვა საფორტიფიკაციო ღონისძიებებს. მტრის მიერ ძლეული ჯარი განუწყვეტლივ მოძრაობდა, ეძებდა გასასვლელებს, არღვევდა წრეებს, ღრობით არიდებდა თავს მოწინააღმდეგეს ხელახლა იკრებდა ძალებს და მოკლე მანძილზე აწყობდა შემოვლას, უკიდურეს შემთხვევაში ციხე-გალავნებს მიმართავდა, ღია ადგილზე კი არასოდეს არ მიჯაჭვულა. საქმე იმაშია, რომ სასროლი იარაღის განვითარების დონე სრულიადაც ვერ უმასხვებდა მტკიცე მოგერიებითი ბრძოლის მოთხოვნებს. თოფის ხელახლა გატენამდე მტრის ცხენოსანი გადაუვლიდნენ თხრილებს. ასევე არასაიმედო იყო არტილერიის ცეცხლი შემომტევი მტრის შესაჩერებლად, ხოლო არტილერიას იშვიათად თუ წაიღებდნენ ხოლმე ქართველები შორ მანძილზე. სულ სხვა იყო ვიწრო კლდე-კარებში ჩასაფრება, მიუღლომელი სიმაღლეების დაკავება და სხვა.

კარგ მიგმარს მოეთხოვებოდა კარგი ცოდნა ბრძოლისა ცხენდაცხენ, ქვეითად, მარტო და რაზმში.

ჯარის მართვის შესახებ (ბრძოლაში) ფრიად უმნიშვნელო ცნობებია დაცული, მაგრამ არსებულიდანაც შეიძლება რამდენიმე დასკვნის გამოტანა.

საყურადღებოა, მაგალითად, ცხენოსანთა ჩამოქვეითება უშუალოდ იერიშის წინა წუთებში, რასაც ზშირად მიმართავდა ერეკლე. იგი, მაგალითად, აფრთხილებს ჯარს (ომი აზატ-ხანის წინააღმდეგ), სანამ მე ცხენზე არ შევჯდუ, თქვენ ნურავინ შევდებით და სანამ, ჩემი თოფი არ გავარდეს, ნურავინ გაიხრითო\*.

აი რა დადებითი მხარეები აქვს ამ ხერხს:

ჯერ ერთი, ჩამოქვეითებული ჯარი გაცილებით უფრო ძნელი შესამჩნევია მოწინააღმდეგისათვის, ეს-კი აუცილებელია მტერთან ძალზე ახლოს მისასვლელად, მტრის შესაცდენად და

\*) მიხევიჩ: „История военного искусства“, გვ. 356.

\*) იქვე.

\*) Г. Дельбрюк: „История военного искусства“, გვ. 363.

\*) „მეფე ერეკლეს გლეხი გმირები“, 1902 წ.

მეორე, ჩამოქვეითებული მეომრების თოფის ცეცხლი ვაცოცხლონ უფრო ზუსტია, ვიდრე ცხენდაცხენ ნასროლი თოფისა. თოფების დატყვისთანავე მხედრობა უეცრად მოახტებოდა ცხენს და იერიშზე გადადიოდა.

ეს ზერხი მორალურადაც გამანადგურებლად მოქმედებდა მტერზე. ქართველი ჯარის ერთბაში ზუსტი ცეცხლი და შემდეგ მოერიშე ცხენოსანთა სრულიად მოულოდნელი გამოჩენა ზარდამცემი ყივინით და აპრილებული ხმლით.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ბრძოლაში არც ერთ მხარეს არ გააჩნდა მართვის რაიმე ტექნიკური საშუალება. მაგრამ რადგან შესაფერი მართვის გარეშე კარგი შედეგი არ არის მოსალოდნელი, საჭიროა აქაც ვანვაზოვადოთ ზოგი რამ.

ბრძოლის მთელ მანძილზე მოქმედების გეგმის განუხრელ განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფდა მეფის საერთო მითითება ჯარის ცალკეული ხელმძღვანელებისადმი ბრძოლის ვაშლამდე. ეს უდავოა და არც განმარტებას საჭიროებს.

ხოლო ბრძოლის პროცესში შექმნილი ვითარების შესაბამისად საჭირო იყო დამატებით განკარგულებანი, რასაც აგრეთვე ძირითადად მეფე იძლეოდა, დაბალ რგოლებში კი სარდლები ლეზულობდნენ გადაწყვეტილებებს. ამ განკარგულებათა გადასაცემად ჰქონიათ პირობითი ნიშნები. ეს ნიშნები მუდმივი იყო და წესდებოდა უშუალოდ ბრძოლის წინ (გარდა მცირე გამონაკლისისა): დროშის გადახრა-მოჭნევა ჯარის იმ ჯგუფისაკენ, რომელსაც რაიმე ახალი და ვალება ეძლეოდა<sup>1</sup>, თოფის ან დამბახის გასროლა, ზმის მიწვდენა, შიკრიკების გაგზავნა და სხვა. ასეთი იყო აღნიშნული პირობითი ნიშნები.

ჯარის მართვა კავშირგაბმულობის თანამედროვე პირობებშიც კი უაღრესად რთული და მძიმე საქმეა, განსაკუთრებით გახურებული ბრძოლისას, და თუ ქართველობა ერეკლეს დროშის ქვეშ თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, ეს უნდა მიეწეროს მისი დიდებული სარდლის პატარა კახის ნიჭსა და უნარს.

## 2. შაჰქანის მოკავშირეანი 1795 წლისათვის

საქართველოს სამხრეთით მდებარე ერევნის, განჯის, ნახიჩევანისა და ყარაბაღის ხანების ერთგულება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი იყო საქართველოს საზღვრების მთლიანობისათვის. ერეკლეს კეთილ მეზობლური ურთიერთობა ჰქონდა ამ სახანოებთან და ყოველნაირად ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მყოფოდა ისინი. შუშის ხანი მთელი 26 წლის განმავლობაში პარტიის (უმით ეპყრობოდა ქართლ-კახეთის მეფეს. ერევნის ხანმაც სამუდამო მორჩილება გამოუცხადა მას. ერეკლესთან გულთბილ ურთიერთობაში იყვნენ ნახიჩევანისა და ურმიის ხანებიც. მხოლოდ ნუზის ხანთან ვერ მოწესრიგდა ურთიერთობა, იგი ყოველთვის საეჭვოდ მერყეობდა, თუმცა ის არც იყო სერიოზული ყურადღების ღირსი.

აღნიშნულ ხანებს ერეკლე მიაჩნდათ ყველაზე მხნე, უნარიან მფარველად და ხელმძღვანელად ირანის ბატონობისაგან თავის დაღწევისათვის წარმოებულ აშკარა და ფარულ ბრძოლებში, მაგრამ საცმარისი ვახდა რუსეთის ჯარის გა-

<sup>1</sup> „ბრძოლას შენ შენის მდევრებით მაშინ დაიწყებ, როცა ბაიბახარი შენს ჯარისკენ მობრუნდება და ბაიბახს მომართავს“ („მეფე ერეკლეს გლეხი გმირები“).

მოჩენა თბილისში, რომ ეს კეთილმეზობლობა და გულწრფელი ურთიერთობა საქართველოსა და ამ სახანოებს შორის რღვევის გზაზე დამდგარიყო ყველაზე შორეული შუშის (ყარაბაღის) ხანიც კი შეაშფოთა ამ მოვლენებში. თუ ვთქვით, თვალთ შეხედა ერეკლეს საქციელს. მათი ეჭვი კი არ იყო სადრეკილად მსჯელობად. შორის გამჭვრეტელობა არ იყო საქირო, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ რუსეთი დარიალიდან სამხრეთისაკენ ორიოდ ნაბიჯის გადადგმით ვერ ჩათვლიდა ამოცანას ვადაწყვეტილად. ამგვარად, მეზობლებმა ხანებმა, ჩრდილოეთიდან უშიშროების მაგიერ, ახალი, უფრო მძლავრი დამპყრობელის ხელი დაინახეს და შეშფოთდნენ. თუმცა საქართველოზე ალა-მაჰმად-ხანის გამოლაშქრებას დიდის სიხარულით არ შეხვედრია ზოგი მათგანი, განსაკუთრებით კი შუშის ხანი.

ამ მხრივ რუსეთის ჯარის გამოჩენა საქართველოში უფრო სასარგებლო იყო ალა-მაჰმად-ხანისთვის, ვიდრე ერეკლისათვის. ალა-მაჰმად-ხანმა ეს ფაქტი გამოიყენა საქართველოსა და მის მეზობელ სახანოებს შორის უნდობლობის უფრო მეტად გაღვივებისათვის, ერეკლემ კი ვერასოდეს ვერ ისარგებლა რუსეთის ჯარის და იარაღის სიკეთით. პირიქით, რუსეთის პროტექტორატის გამოცხადების შემდეგ ერეკლემ ვერც რეალური დახმარება მიიღო და ვეღარც საქართველოში მოსახლე მაჰმადიანების გაწვევას ჰხედავდა, მათი ლალატისა ეფიქრებოდა, ოსებსა და ყაბარდოელებსაც კი დაქირავებით იყოლიებდა სამხედრო სამსახურში.<sup>1</sup>

ალა-მაჰმად-ხანმა ისარგებლა ამ მდგომარეობით, თბილისზე გამოლაშქრების წინ აღსტაფაში თავი მოუყარა ადგილობრივი მოსახლეობის მამასახლისებს და ასეთი სიტყვით მიმართა მათ: „შეეცხრათ ხელგები ჩვენი დიდების წყაროს — ისლამის შეურაცმყოფელს, ძველის-ძველი სახლივით გაენაივოთ ეს ერთი მუქა საქართველო, რომელმაც გაზედა დასცინოს ჩვენს სარწმუნოებას“, და სხვა.<sup>2</sup> ამით ალა-მაჰმად-ხანმა მოახერხა უახლოესი ზურგის გამტკიცება. მან დაარწმუნა აზერბეიჯანელები, რომ ქართველები მათი სარწმუნოების მტრები იყვნენ, საფრთხეს უქმნიდნენ მათს არსებობას და ამნაირად ზოგი მონაღალისეც კი გაიჩინა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენ აქ მკრთალად მოვხაზეთ ქართული მხედრობის საერთო სურათი, უფრო მკრთალად გვეჩვენება ქართველთა დამხმარე ძალები, მაგრამ ასეთი იყო სინამდვილე. აღარ ვეხებით აქ, ასე ვსთქვათ, „გაფორმებულ“ მფარველს — ეკატერინეს, როგორც სამხედრო მოკავშირეს, რადგან ზემოთ საკმაოდ ითქვა მის შესახებ. ერთადერთ საიმედო დამხმარედ კრწანისის ომის წინ ჩნებოდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, რომელსაც ერეკლესთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება კავშირის შესახებ (1790 წ.). ამ ხელშეკრულებით აღიარებული იყო, რომ ერთის ყველა მტერი ცნობილი ყოფილიყო საერთო მტრად („მეკავშირეთა ყველა მტერი ცნობილ იქნეს ჩვენს მტრად“).

## თამი მისამი

### 1. ალა-მაჰმად-ხანი თბილისს უახლოვდება

85 ათასიანი ჯარის მობილიზაციისა და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხების მოწესრიგების შემდეგ 1795 წლის ადრე გაზაფხულზე ალა-მაჰმად-ხანი თავრიზიდან გამოვიდა. იქვე მოაწყო მან მთავარი სასურსათო ბაზები;

<sup>1</sup>) Бурнашев: „Картина Грузии“.

<sup>2</sup>) Кишмишев: „Походы Надир-Шаха“, გვ. 268.

ზურგის უზრუნველყოფისათვის 15 ათასიანი რაზმი მურალ-ხანს სარდლობით არდებილში განაწესა, ხოლო უფრო მოზრდილი რაზმი 30 ათასი მეომრით გამოაყო ერევნისათვის თვალყურის სადევნელად. ამ რაზმს სარდლობა ალა-მაჰმად-ხანის ძმა ალი-ყული-ხანი. ამ უკანასკნელს ევალებოდნენ უზრუნველყო მთავარი ძალების მოძრაობის უშიშროება ერევნის მიმართულებით, რადგან ერევნის ხანი ფორმალურად ამ დრომდეც ერეკლეს ერთგული იყო და ალა-მაჰმად-ხანსაც აფიქრებდა მისი მხედრობის მოულოდნელი გამოჩენა ფრთიდან.

თვით ალა-მაჰმად-ხანი მიზნად ისახავდა აზერბაიჯანის სახანოებისა და საქართველოს დამორჩილებას ძალით და არა რჩევადობირებებით, რაშიც თავის დროზე არავითარი შედეგი არ გამოიღო.

არაქსის გადმოლახვის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი სასწრაფოდ გაეშურა შუშის ციხე-სიმაგრეს ასაღებად. მისი ძალები დიდად სკარბობდნენ შუშის მფლობელის იბრაჰიმ-ხანის ძალებს. ამიტომ დიდი ხალისით მიიწევდა წინ ყარაბაღის მალაღმთოვან ვიწროებში. იბრაჰიმ-ხანის დამორჩილება კი არც ისე ადვილი იყო. ამ ხანმა დაახლოვებით ერთი წლის წინათ სასტიკად დაამარცხა ალა-მაჰმად-ხანის ჯარი და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. იბრაჰიმ-ხანის ძლიერება და ავტორიტეტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო მთელს აზერბეიჯანში, რომ ბევრი ხანი დახმარებასა და მფარველობასაც კი სთხოვდა მას. მისი დაძლევა ალა-მაჰმად-ხანის საბრძოლო ამოცანების მნიშვნელოვან ნაწილს დადებითად სწყვეტდა, ხელახალი მარცხის შემთხვევაში კი ალა-მაჰმად-ხანის არმიის ზურგი და საკომუნიაციო ხაზები საქართველოზე გამოლაშქრებისას დიდი საფრთხის ქვეშ რჩებოდნენ.

და აი მალე ეს ვებებრთელა ჯარი შუშის ციხეს მიადგა. ალა-მაჰმად-ხანი ბევრს ეცადა, მაგრამ საღ კლდეებზე ამართულ ციხეში გამაგრებულ ყარაბაღელებს ვერაფერი დააკლო. ალყა 32 დღეს გაგრძელდა, მაგრამ იბრაჰიმ-ხანი ახლოსაც არ იკარებდა დამორჩილების ფიქრს. ყარაბაღელები აშკარად დასციწოდნენ ალა-მაჰმად-ხანის უძლეობას...

ირანის მშობანებელი მალე დარწმუნდა, რომ კიდევ დიდი დრო და ენერგია იყო საჭირო შუშის დაცემისათვის, ხოლო ერეკლე ყოველ წუთს იყენებდა რუსეთიდან დახმარების მიღების საქმისათვის. ალა-მაჰმად-ხანს ცნობები მისდიოდა ამის შესახებ და საშინლად სწყუხდა, ერიდებოდა რუსეთის ჯართან შეხედრას. ამით აიხსნება მისი უეცარი გადაწყვეტილება შუშის მიტოვებისა და აღდამისკენ დახვეის შესახებ.

აღდამიდან ალა-მაჰმად-ხანმა სასწრაფოდ აფრინა შიკრიკები თავისი ძმი-საკენ, რომელიც ერევანს უთვალთვალებდა. ალი-ყული-ხანთან გაგზავნილ ბრძანებაში იგი სწერდა:

„დაე იყოს ცნობილი შენთვის, რომ თუმცა შუშის ოლქის ხალხნი, ყარაბაღელებნი, დასუსტდნენ, მაგრამ ჭალაქ შუშის ალბაზე უარი განვაცხადე, რადგან გზაზე დაზამთრება მომიხდებდა. ამასთანავე, ვტოვებ რა აქ სულეიმან ხანს, განზრახული მაქვს 20 ათასიანი ჯარით საქართველოზე დავიძრა, რის გამო გწერ შენ. დასტოვებ რა ერევანთან 4000 მეომარს, მზად იყავ დანარჩენით ჩემსკენ წამოსვლისათვის და უცადე ჩემს განკარგულებას. თუ კი ერევნის ხანი მძევლად მოგცემს თავის კოლსა და ვაეიშვილს, მაშინ შეგიძლიან ერევანი დასტოვო მშვილობიანად.“<sup>1</sup>

<sup>1</sup>) Дубровин: „История владычества русских на Кавказе“, стр. 34.

მაგრამ ამ წერილს ალი-ყული-ხანამდე არ მიუღწევია, იგი ქართველ მზევრავებს ჩაუვარდათ ხელში და ერეკლეს გამოუგზავნეს. თავის მხრივ ერეკლემ ეს წერილი, როგორც ყველაზე აშკარა საბუთი ალა-მაჰმად-ხანის განწყობის დასამტკიცებლად, მაშინვე გენ. გულოვიჩს გადაუგზავნა. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ვიდრე ერეკლეს თხოვნა პეტერბურგს მიაღწევდა და იქიდან პასუხი დაბრუნდებოდა, რამდენიმე თვემ განვლო.

ქართველების მიერ ამ ფრიად საიდუმლო დოკუმენტის ხელში ჩაგდება ფაქტს არავითარი ზიანი არ მიუყენებია ალა-მაჰმად-ხანის საქმისათვის. უიმი-სოდაც ერეკლის ხანმა მორჩილების ნიშნად ცოლი და ვაჟიშვილი მიჰგვარა ალი-ყული-ხანს, ასე რომ ეს უკანასკნელი ისე მოიქცა, როგორც მისი მბრძანებელი ფიქრობდა.

აღდამიდან ალა-მაჰმად-ხანის ჯარი აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიძრა მტკვრის მარჯვენა ნაპირით. ამზობდნენ, საქართველოზე წამოსულ მტრებს ესგზა არასოდეს არ აუჩრევიათ სალაშქროთო. თვით შაჰ-აბაზი და ნადირ-შაჰი, ბამბაკისა და ბეზაბდალის უღელტეხილებით გადმოდიოდნენ.

ალა-მაჰმად-ხანის ჯარის შესევამ დააწიოკა აზირბეიჯანის სახანოების მცხოვრებნი. ისინი ჩრდილოეთისაკენ მოიწეოდნენ, რამდენადაც მათ ალა-მაჰმად-ხანის ჯარი მოსდევდა. საქართველოში შემოიხიზნენ ყარაბაღის, ნახიჩევანის, ერევნის სახანოების დიდძალი მცხოვრებნი. ამან უარესად გააძნელა საქართველოს საშინაო მდგომარეობა, თავი იჩინა უმაგალითო სიძვირემ და სურსათის ნაკლებობამ, ამასთან შემოხიზნებულნი ათასნაირ კორსა და ყალბ ცნობას ავრცელებდნენ ქართველებში: ალა-მაჰმად-ხანმა დასცა შუშის ციხე და ცეცხლსა და მახვილს აძლევს ყველაფერსო, ყოველივე ამას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ქართველი ხალხის სულიერ განწყობილებაზე. საქართველოს მკვიდრნი კი ამ დრომდე მთელი ექვსი წლის განმავლობაში აწიოკების მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდნენ, თვით დედაქალაქის გარშემოც კი დაძრწოდნენ მძარცველთა ბრბობი.

ალა-მაჰმად-ხანის გზადაგზა განუწყვეტლივ ზრუნავდა ჯარის მომარაგების საქმეზე. დაწიოკებული სოფლებიდან უხვად გამოჰქონდათ სანოვაგე. ამასთან იგი ბევრს მუშაობდა ჯარის გადიდებისთვის. ამ საქმეში უკვე ურთულ სამსახურს უწევდნენ ერევნისა და განჯის ხანები. საქართველოზე გამოსალაშქრებლად ალა-მაჰმად-ხანი ჰარბელეგნელებსაც მოუწოდებდა. ყოველ მხედარს მაცდური შაჰი 100 მანეთს ჯამაგირს აღუთქვამდა. მაგრამ უფრო მეტი „მოზა-ლისი“ მას განჯის სახანოდან შეემატა, რომელიც ის-ის იყო დაარბიეს თულონ-მა და ალექსანდრემ ქართლ-კახეთის ჯარით.

ალა-მაჰმად-ხანის ცხენოსანი ლაშქარი დღე-ღამეში 110 კილომეტრს გადიოდა. ასეთი არაჩვეულებრივი სისწრაფე და მძიმე არტილერიის უქონლობა ცხადყოფდა, რომ ალა-მაჰმად-ხანი ძალზე ეშურებოდა საქართველოში შემოსევას, მის მსუბუქსა და უხეირო არტილერიას ფრანგები მართავდნენ<sup>1</sup> ნაწილი არტილერიისა დაზიანებულად შუშასთან, იქვე დაეტოვათ. ეს სისწრაფე მოწმობდა, რომ ალა-მაჰმად-ხანს რუსეთიდან დახმარების მიღებამდე სურდა ქართველთა განადგურება.

<sup>1</sup>) Кишмишев: „Походы Надир-Шаха“.

აღსანიშნავია, რომ არაქსზე გადმოსვლის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი ერთხელ კიდევ შეეცადა ერეკლეს აზრის გაგებას: რა სურდა — ბრძოლის მიღება თუ ერთგულებისა და მოჩივლების გამოცხადება. აი ეს ულტიმატუმი:

„მე უკვე გადმოველ არეზზე, მაგრამ მაინც გიგზავნი ელჩს, რომელსაც შეც მოვეყები ჯარით. სახელოვანი მეფე ხარ შენ და არ მინდა ბოროტება შენთვის, თუ კი შეასრულებ ჩემს სურვილს. შემპირდი, რომ პატივს სცემ ჩემს სურვილს, გამომიგზავნე მძველად ერთი ვაგიშვილი და შვილიშვილი, და მაშინვე გავბრუნდები უკან“<sup>1</sup>. ალა-მაჰმად-ხანი სურვილზე ლაპარაკის დროს გულისხმობდა რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტასა და შაჰის უზენაესი ხელისუფლების აღიარებას, ერეკლემ ელჩები ყაზახში მიიღო, აგვისტოს შუაოციცხვებში, სადაც იგი მცირე ჯარით იყო ჩასული. ელჩები ერეკლემ მაშინვე დაატყვევა და პალატის გატყვევებად თბილისისაკენ გამოემართა.

ეს ამბავი ალა-მაჰმად-ხანმა განჯაში შეიტყო, სადაც ათღლის მძიმე ლაშქრობის შემდეგ დაჯგუფდა მთავარი ძალები. განრისხებულმა შაჰმა დაუყოვნებლივ მიიტოვა განჯა და აღსტაფაში დაბანაკდა. აქ რამდენიმე დღით შეასვენა ჯარი, შემდეგ გამოჰყო 35 ათასი მეომარი, დასტოვა მძიმე არტილერია, ზედმეტი ქარავანი, ყარაბაღელთა რაზმი მთლიანად და ორიოდ მსუბუქი ზარბაზნით 4 სექტემბერს თბილისისაკენ დაიძრა. გამოსვლის წინ ალა-მაჰმად-ხანს აცნობეს, რომ ჭარბელეჩნელებმა უარი სთქვეს საქართველოზე გალაშქრებაში მონაწილეობაზე. 7 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანის მოწინავე რაზმეულები უკვე წითელ ხიდზე იყვნენ (მდ. ხრამი), აქაც შეისვენა მცირე ხნით. ირანელთა ნაწილები, რომლებმაც იალღუჯის სიმაღლეები დაიკავეს, ქართველებმა იმავე 7 სექტემბერს შენიშნეს.

## 2. ეპიკოს ჯარის დაჯგუფება

ზემოთ დავინახეთ, რომ ერეკლემ კარგა ხნით ადრე იცოდა ალა-მაჰმად-ხანის გამოლაშქრების ამბავი. ცნობები პირველ ხანს შემთხვევით პირებს მოჰქონდათ. პირადად მიართვეს თვითონ მეფეს ალა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმში, გარდა ამისა, ქართველმა მხვერავებმა ხელთ ჩაიგდეს ალა-მაჰმად-ხანის წერილი ძმისადმი, საიდანაც აშკარად ჩანდა ყველაფერი, დასასრულ, თუმცა გაზვიადებული, მაგრამ მაინც საყურადღებო ამბები შემოჰქონდათ მეზობელი საზღოების დაწიოკებულ მცხოვრებლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთ ბლომად მოსდევდნენ შენიღბული ჯაშუშები ალა-მაჰმად-ხანისა.

რუსეთიდან დახმარების მიღებისათვის წარმოებული მიწერ-მოწერის პარალელურად დაიწყო საქართველოს შინაური ძალების მობილიზაცია. მეფემ, უპირველეს ყოვლისა, შიკრიკები აფრინა შვილებისა და შვილიშვილებისაკენ, ასევე გაიგზავნენ შიკრიკები იმერეთის მეფესთანაც, რომელიც ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული ერეკლესთან. იმავე ხანებში ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა მოზღოკში ჩასვლა და პირადი შეხვედრა გენ. გულოვიჩთან, მაგრამ ვერც ეს მოხერხდა.<sup>2</sup>

ერეკლეს ვარაუდით თვითოველ ბატონიშვილს 10 ათასი მეომარი უნდა გამოეყვანა. ერეკლეს წერილებიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ 16 ივნისისათვის მოელოდნენ 40 ათასი მეომარის შეკრებას. 10 ათასი მეომრის მოლოდინი ჰქო-

<sup>1</sup>) А. Хонели: „К столетию Крцанинской битвы“.

<sup>2</sup>) Дубровин: „История владычества русских на Кавказе“.

ნიათ იმერეთიდან, ამდენივე უნდა გამოსულიყო ყაზახ-შამშადილიდან, ჩოლო ქართლ-კახეთიდან საერთოდ 36 ათასი მეომარი უნდა გამოსულიყო. მნიშვნელოვან დამხმარე ძალას ელოდნენ აგრეთვე დაღესტნიდან, <sup>ქარაქელის</sup> ~~ქარაქელის~~

მეფის განკარგულებაში მობილიზაციის დაწყებამდე ძალზე უმნიშვნელო ძალა იყო. 2 ათასამდე მეომარი ოთხი ზარბაზნით სიღნაღში იდგა ლეკებისაგან კახეთის დასაცავად, ერთი ათასი მეომარი არაგვის ხეობაში იცავდა სიმშვიდეს, 2 ათასი მეომარი ქართლში იდგა ახალციხელი თათრებისაგან მოსახლეობის დასაცავად.

სოლომონ მეორის ჩამოსვლამდე ერეკლე შეკრებილი მხედრობის მნიშვნელოვანი ნაწილით საქართველოს საზღვრისაკენ გაეშურა (ყაზახში), იქ მას ელოდა ალა-მაჰმად-ხანის ელჩი ზემოაღნიშნული ულტიმატუმით. ეს იყო აგვისტოს ნახევარი. ყაზახიდან დაბრუნებულმა ერეკლემ ყოველ ღონისძიებას მიმართა მობილიზაციის წარმატებით ჩატარებისათვის, მაგრამ მრავალმა ვადაულახავემა და გაუთვალისწინებელმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. დრო მიდიოდა, მაგრამ არავითარი გარკვეული შედეგი არ მოსდევდა სამობილიზაციო ღონისძიებებს. ბატონიშვილმა გიორგიმ ფეხი არ მოიცივლა სიღნაღიდან. თუმცა დაუპირებია ჯარის გამოგზავნა, მაგრამ უხეირო და ორგული „ხელმძღვანელის“ რევაზ ანდრონიკაშვილის მეოხებით ქიზიყელები გაფანტულან და სახლებში წასულან. ალექსანდრე და იულონიც ხელცარიელნი დაბრუნდნენ სამხრეთის პროვინციებიდან, რადგან ალა-მაჰმად-ხანმა უკვე მოასწრო ყაზახ-შამშადილის მცხოვრებთა ვადამბრება. ასევე არა სჩანდნენ დანარჩენი ბატონიშვილები. მხოლოდ თუშ-შეგ-ხევსურები განოცხადდნენ პირნათლად, სოლომონ მეფეც უხეირო და უმნიშვნელო მხედრობით გადმოვიდა, მისი შემოსევა ზარბაზნების სროლით აღნიშნეს თბილისში.

ქართველი ჯარის მობილიზაციის ჩაშლისა და მისი მიზეზების შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობებს იძლევა ერეკლეს შვილიშვილი ალექსანდრე ორბელიანი. მოგვყავს ვრცელი ამონაწერები მისი მოგონებიდან:

„განძვინებული ალა-მაჰმად-ხან მეფეს ირაკლიზედ მოდიოდა, მაგრამ თან თურმე ეშინოდა: მეფე ირაკლი გონიერი კაცი, ამასთან ნადირშას გაზრდილი და ამის გამო სიფრთხილით უნდა მოვიქცეო. თითქმის ქალაქ თბილისის მახლობლად მოვიდა ალა-მაჰმად-ხან, ჯარი ჯერ კიდევ არსად იყო მეფის ირაკლისათვის, ყოველს მხარეს აიყარნენ ქართველები და მაგარს ადგილებში დაიხიზნენ: თავადნი თუ აზნაურნი ანუ გლეხნი სულ ერთიან. ამისათვის იტყვიან: ციხე შიგნიდან გატყდებო, ასე იყო მაშინ საქართველოს საქმე. მეფის ირაკლის მტრობის გულისთვის იმის მტრები საქართველოს ლუბავდნენ გაუკითხავად ის უსინდისონი, სადაც იმ დროს მთელ საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დაწანწალებდნენ და ხალხს აშინებდნენ: ალა-მაჰმად-ხან ორასიათასი ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულ ერთიან წაგლეკამსო.

... მიწამ ალა-მაჰმად-ხან საქართველოში შემოვიდოდა, იმ დროებაში თა-ის რევაზ ანდრონიკაშვილის საიდუმლო კაცი მოუვიდა მამჩემსა ყარაბულახს: ხომ იკო ბატონიშვილ გიორგის შენთვის რამდენი კარგი უნდა და ან როგორი ბედნიერებო, ამიტომ ამას ვითელი ბატონიშვილის გიორგის ბრძანებით, რომ თუ ჯარში ემზადები წასვლას, არ წახვიდე... რომელსაც ბატონიშვილის გიორგის იმ რევაზის შემოთვლილობა ფიქრშიაც არ მოსვლია, არამცთუ ებრძანე-

<sup>1)</sup> ს. კავბაძე: „საქ. ისტ. ახალი სურ. ეპოქა“.

ბინოს... ასე უამბუნია ჩემთვის თ. ანდრონიკაშვილს კუზინი ზაფლის შენობაში ნინიას: მეც იმათში ვერიე მეფის ირაკლის მტრობაშიო: მე იმ ძვირღებისა ეს მამწონს, რომ უწინდელს არაფერს არ მალავდენ ჩემთან, არცა ვინა უნაარც კარგსა... რევაზ ანდრონიკაშვილმა გამოუარა მამაჩემს ყარაბაგში და ორთავ დაშმათა, მამაჩემს და მამიდაჩემს ეკატერინეს, უთხრა: ალა-მამამად-ხანი ორასიათასი მეტი ჯარით მოდის საქართველოზე, მეფე ირაკლი თავის ხიზნით და ქალაქის მცხოვრებით ვუშინ აყრილან ქალაქიდან და მთიულეთის მთებო-საკენ წასულა, ბატონიშვილმა გიორგიმ შემოვითვალათ და გიბრძანათ, რომ თქვენც აიყარეთ და ტყიან მთაში დაიხიზნეთ. საგარეჯოს და იქითკენ სოფ-ლემშინაც გამოვიარე ბატონიშვილის ბრძანება უთხარი, რომ ისინიც საქაბოდ აიყარენ და ტყიან მთაში შევიდნენო... აი ასე ატყუებდნენ საქართველოს წრფელს ხალხსა...

იმ დროს იქით მხარეს საგარეჯოს მოურავად თ. გიორგი ჩოლოყაშვილი იყო მეფის ირაკლის სიძე (ეკატერინეს ქმარი) და იმ დროს ისიც იქითგან ეშმა-კობით სადაც ვაგზაუნეს და იმის სამოურავო ისე დარჩა, საიდგანაც ზელგამო-მავალი ორი ათასი მეტი კარგი ცხენიანი კაცნი გამოვიდნენ და გამოდიოდნენ ხოლმე, მეფის ირაკლის საქებური შეომრები, რომლებიც მოუთმენლად მოელო-დნენ, როდის მოგვივა ბრძანებაო, რომ ჩვენს ერეკლესთან კიდევ ჩვენი სისხლი დავღვაროთ ჩვენის მამულისათვის და ყიზილბაშებს ჩვენი ზმალი კიდევ ვაჩვენოთ, ნაცვლად ამისა რევაზ ანდრონიკაშვილმა მათ აყრა გამოუტყადა, ვითამ ბატონიშვილის გიორგის ბრძანებით... მაშინათვე აიყარნენ და მთის სიმაგრე-ბისაკენ წაივინდნენ და რევაზ ანდრონიკაშვილი თავის საეშმაკოთ წამოვიდა ქ. თბილისისაკენ, სადაც დაიხ ბევრი დახვდა თავის ამხანაგები მეფის ირაკლის დასალუპავად, მხოლოდ ორი ათასის ქართველებით დარჩა ფეი (ერეკლე, — ი. შ.) და ამასთან მეფე სოლომონ სამი ათათისა იმერეთის ჯარით პირისპირ ალა-მამამად-ხანის ჯარებისა.<sup>1</sup>

იმ გაუგონარ მოლაღატკობასა და არეგდარევის, რამაც განსაკუთრებით ალა-მამამად-ხანის შემოსევის დღეებში იჩინა თავი სხვადასხვა მიზეზებით გან-მარტავენ. ერეკლე კი ბოლომდე ერთგული რჩებოდა რუსეთ-საქართველოს ტრაქტატისა, მაშინაც კი, როცა თბილისის გალანის კარს ირანის მბრძანებლის უზარმაზარი ჯარი მოადგა და საზარელი შეჯახების დღეები ახლოვდებოდა.

შეიძლება დაუშვათ, რომ ერეკლე მაინც გამსკველული იყო რუსეთიდან რეალური დახმარების მიღების იმედით. მაგრამ რუსი გენერლები ვერ ჰმედავ-დნენ ორიოდე პოლკის დაპირისპირებას ირანის ჯარისთვის სადაც დარიალის სამხრეთით, მით უმეტეს, რომ ზამთარი კარზე იდგა და რუსეთის რაზმის ზურ-გში გზა მალე ჩაიკეტებოდა ზვავებით, ასეთ შემთხვევისათვის გენ. გულდო-ვიჩის მიღებული ჰქონდა იმპერატორის მითითება — სალაპარაკო არ გაჰხადოთ ჩვენი იარაღის სახელიო. ირანის ჯარის რაოდენობაზე გულდოვიჩის აუცილებ-ლად უნდა ჰქონოდა ზუსტი ცნობები, თუნდაც მიღებული არ ჰქონოდა ერეკ-ლეს მიერ ვაგზაუნელი საიდუმლო წერილი ალა-მამამად-ხანისა ალი-ყული-ხანი-სადმი, ამ წერილიდან სჩანდა, რომ შაჰისულ მკირე 40 ათასი მეომრით მიად-გებოდა თბილისს. გულდოვიჩი ასეთი ჯარის დასამირისპირებლად არავითარ შე-მთხვევაში არ მოისურვებდა შესაფერი ძალების მოხსნას კავკასიის ხაზიდან. საკითხის ამგვარად გადაჭრის შემთხვევაში დაიწყებოდა ომი ირანსა და რუსეთს

<sup>1</sup>) ალექსანდრე ორბელიანი: „მოგონება“, ს. კაკაბაძის გამოცემა.

შორის. შეეფერებოდა თუ არა ასეთი ომი რუს ხელისუფალთა პოლიტიკას იმ მომენტში, — ამაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

იმით შორის, ვინც ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა საქართველო ჯარის მობილიზაციისათვის, ორიოდ გვუფის გამოყოფა შეიძლება.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ვაჭრები, რომელთა ხელშიაც თავმოყრილი იყო დიდძალი სიმდიდრე. ისინი სხვას არაფერს დაეძებდნენ, თუ არ თავისუფალ მოძრაობასა და სიმდიდრის მოპოვებას მსოფლიოს ვეებერთელა გზებზე თურქეთიდან ირანში, ირანიდან ინდოეთში, რუსეთში და შავ ზღვაზე. ამ გზების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ საქართველოზე გადიოდა. მაგრამ ასე ვიწრო საზღვრებში მოქცეული საქართველო ბევრს არაფერს იძლეოდა ფართო მაშტაბის სავაჭრო ურთიერთობისათვის. ამ ჯგუფის წარმომადგენელთათვის სულ ერთი იყო, ირანი გაფართოვდებოდა საქარველოს ხარჯზე თუ რუსეთი, მათ გულს უფრო ახარებდა უცხო ქვეყნის ვაჭრებთან თანამშრომლობა, ვიდრე თავისი ქვეყნის ხალხის კეთილდღეობა. რა თქმა უნდა მათი სიმპატიები ყოველთვის იქით იხრებოდა, საიდანაც მეტი მოგების მოლოდინი იყო. იმზანად მათთვის სახარბიელო იყო ირანი, რადგან მის ტერიტორიაზე ნაკლები მეტოქე მოეპოვებოდათ, ხოლო გზები, რომლებითაც ერთის მხრით ინდოეთამდე გადიოდნენ და მეორე მხრით ხმელთა-შუა ზღვას სწვდებოდნენ, სწორედ ამ ქვეყანაში ეგულებოდათ. მათ შეეძლოთ ადვილად განესაზღვრათ — ვინ და რატომ ძლიერდებოდა, ვისთან უფრო სჯობდა ახლოს ყოფნა, რათა ესარგებლათ მისი მფარველობით, დროზე დაემსახურებინათ მისი ყურადღება ერთგული სამსახურით, თვით ჯაშუშობითაც კი ყოველივე ამას, ცხადია, სრულიად საიდუმლო ფორმაში ანხორციელებდნენ. ვითარების უეცრად შეცვლის შემთხვევაშიც ისე ადვილად ეგუებოდნენ ახალ პირობებს.

უფრო მძლავრი იყო დიდგვაროვანი თავნება ფეოდალების ჯგუფი, ეს ფეოდალები ფარულად თუ პირდაპირ გამოსთქვამდნენ თავიანთ გულისწყრომას ერეკლესადმი, რომელმაც რუსეთთან ასე მტკიცედ დააკავშირა ქვეყანა. ამ ჯგუფს დედოფალი დარიაც ეკუთვნოდა. ქვემოთ დავინახავთ, რომ იგი არ მალავს თავის აზრს. ამავე წრეს თანაუგრძობდა ბატონიშვილების ნაწილი. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა თაოსნობით მოეწყო 1812 წლის ამბოხება კახეთში. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ორ ფენას შორის გაკრევეული კავშირიც არსებობდა თუმცა შესაძლოა დიდებულთაგან ბევრი ვერც კი ერკვეოდა სავაჭრო წრეების ბნელ საქმიანობაში. დიდგვაროვანთაგან ნაწილი საქართველოზე ირანის გავლენის მომხრე იყო რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ. მაგრამ დიდი უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობის აზრზე იღვა ალა-შაჰმად-ხანის შემოსევის დღეებში მათ შორის აზრთა სხვადასხვაობას არ ექნებოდა ადგილი: ყველა მათგანი არჩევდა ირანისადმი მორჩილების აღიარებას. მათის აზრით, ერეკლეს დამარცხება ალა-შაჰმად-ხანთან ბრძოლაში დაადანატურებდა რუსეთთან კავშირის უახრობასა და ამოუბას. მათი თვალსაზრისი და პოლიტიკური მრწამსი ფეოდალური კარჩაკეტილობის შესასუკუნოებრივი ტრადიციებიდან მომდინარეობდა. რუსეთის დამკვიდრება საქართველოში ნიშნავდა ფეოდალური სამთავროების საზღვრების გაერცელებას ცალცალკე მცხოვრებ მეფისწულეებისა და მსხველი ფეოდალების ნებისყოფის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, მათს აზრებასა და ბრწყინვალეობას არც რუსეთის იმპერატორი უქმნიდა საფრთხეს, მაგრამ უფლებათა და პრივილეგიათა მკვეთრი შეკვეცა რუსი მთავარმართველებისა და გენერლების სასარგებლოდ აუცილებლად მოსალოდნელი იყო. მა-

რტო ამის საფრთხეც საკმარისი იყო ლალატის ჩასადენად სახელგანთქკელს მიმართ.

ირანის მხრით კი ასეთი შიში არც ერთ მათგანს არ აწუხებდა. მათი ბრძანებლები ძალიან ხშირად ორიოდ მაღალი წოდების მძველის მიღწის შემდეგ საკითხს გადაწყვეტილად სთვლიდნენ, ხელუბლებლად სტოგებდნენ ზოგჯერ მათს სამფლობელოებსა და მცირე ნადავლით ბრუნდებოდნენ უკან. სულ სხვა იყო რუსეთი. იგი ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით ვრცელდებოდა ყოველი მხრით. რუსი მონარქები შეცდომებს არ უშვებდნენ მძველებისა და ბარაჩიანი ძღვენის დანახვისას, პირიქით, ამით სარგებლობდნენ მომავალი წარმატებისათვის.

ზემო ჩამოთვლილი ჯგუფების წინააღმდეგ, ერეკლეს და მის მომხრეებს აუცილებელ საჭიროებათ მიანდათ რუსეთთან კავშირის ყოველმხრივი გამტკიცება, რათა საქართველო გადარჩენილიყო აღმოსავლეთის ურდოებისაგან განადგურებას. ასეთი საშიშროება კი არა თუ მოსალოდნელი იყო, ზორცსაც ისხავდა. 1783 წლიდან 1801 წლამდე, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ქართლ-კახეთის მოსახლეობა განახევრდა.<sup>1</sup>

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ერეკლეს თვალსაზრისი შესაბამებოდა ღონემიხილი ქართველი ხალხის მისწრაფებასაც, თუმცა ქართველ გლეხობას ბევრი არაფერი გაეგებოდა იმის შესახებ, რომ მისი კარმიდამოს ხელშეუხებლობის ფასად რუსი დამპყრობელნიც კოლონიური ჩაგვრის არანაკლებ მძიმე უღელს უმზადებდნენ...

სახელმწიფოს შინაგან ძალთა შორის არსებულმა პოლიტიკურმა უთანხმოებამ, როგორც აღნიშნეთ, მკვეთრად იზინა თავი საბედისწერო წუთებში. ერეკლეს მტრებმა მოახერხეს ქართველი მხედრობის მობილიზაციის თითქმის სრული ჩაშლა.

ზუსტი ცნობა თბილისის დასაცავად შეკრებილი ქართული ჯარის რაოდენობის შესახებ არ არსებობს. ბატონიშვილი თეიმურაზი აღნიშნავს, რომ ერეკლეს განკარგულებაში 2700 მეომარი იყო. ალექსანდრე ორბელიანი 2000 მხედარს იხსენიებს, 3000 მეომრის შეკრების შესახებ არსებობს ნასალა თბილისის კომუნალურ მუზეუმში. ს. კაკაბაძის შრომის („საქ. ისტ. ახალი საუკ. ეპოქა“) მიხედვით, ერეკლეს განკარგულებაში 4.000 მეომარი ყოფილა. როგორც ჰხედავთ, ამ ცნობების მიხედვით, ქართველი ჯარი 4000 კაცს არ აღემატება. ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა 2700 მხედრის შეკრების შესახებ.

ასევე დიდი განსხვავებაა ცნობებს შორის იმერეთიდან ჩამოყვანილი ჯარის რაოდენობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში იმერლობა 2000 კაცს არ აღემატებოდა.

ამ გ ვ ა რ ა დ, თ ბ ი ლ ი ს ი ს დ ა ს ა ც ა ვ ა დ კ რ წ ა ნ ი ს ი ს ო მ ი ს დ ა წ ყ ე ბ ი ს წ ი ნ ს უ ლ თ ა ე მ ო ყ რ ი ლ ი ყ ო ფ ი ლ ა 4.700 — 5000 მეომარი.

უშუალოდ ბრძოლის წინ შესაძლებელი იყო ცვლილებები ჯარის რიცხოვრზე შემადგენლობაში. ერთის მხრით მას დააკლდებოდა იმერლობა, რომელმაც მალე დეზერტირობას მიჰყო ხელი; მეორეს მხრით დაემატებოდნენ თბილისისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი. აღნიშნავენ, რომ კრწანისიდან ბრძოლის

<sup>1</sup> ნ. ავალიშვილი: „Присоединение Грузии к России“, გვ. 191.

დაწყებამდე იმერელ დეზერტირებს ზოგი ადგილობრივი მკვიდრიც პაპაქდავ. მაგრამ არა მოძალადეობაში, რასაც ზოგი გაპარული იმერელიც მხედრობაში თბილისიდან მთიულეთისაკენ მიმავალი მშვიდობიანი მოსახლეობის მხმარისა.

კრწანისთან თავმოყრილი ქართული ჯარის მორალური მდგომარეობა არაჩვეულებრივად მაღალი ყოფილა. დეზერტირობისა და ლოთობის ცალკეული შემთხვევებისათვის პასუხისმგებელნი იყვნენ არა თვითონ მეომრები, არამედ მათი ბატონები: ისინი სურსათით უზრუნველყოფაში მთლიანად თბილისელ ვაჭრებსა და საეკვო პირებს მიენდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი რატომღაც ღვინითა და საშინელი ჭორებით ამარაგებდნენ მეომრებს. აღარავის ეცალა დამნაშავეთა გამორკვევისა და დასჯისათვის.

თბილისის მიდამოების გასამაგრებლად ერეკლეს განკარგულებაში 36 ზარბაზანი იყო. სამუშაოდ, ამ არტილერიის მხოლოდ ერთი მესამედი თუ ყოფილა მზად მოქმედებისათვის...

ალა-მაჰმად-ხანის მხედრობა დაახლოებით 35.000 კაცს შეიცავდა, დიდ უმრავლესობას ცხენოსანი შეადგენდნენ. ქართველი მხედრობა-კი 4700—5000 კაცს (უმრავლესობა ცხენოსანი) უდრიდა.

ამრიგად, ალა-მაჰმად-ხანის ჯარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღსტაფის მიდამოებში დატოვებულ რეზერვებს, 7-ჯერ აღემატებოდა ქართველ ჯარს.

## თამი მეოთხე

### თბილისის დაცვის გეგმა. პირველი შტაბი

ალაგ-ალაგ წინ მივიდოდით. ზოგჯერ კრწანისის დღეებსაც ვაგვდიოთ უფრო ხშირად-კი კრწანისის დღეებთან ვერდებოდით და კვლავ ვუბრუნდებოდით ომის წინაპირობებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პირობათა, ყველა მხარე შეძლებისდაგვარად სრულიად ვაგვეშუქებინა. ახლა მისული ვართ უშუალოდ კრწანისის ომთან.

ომის დაწყების წინ თბილისში შესდგა სამეფო საბჭოს სხდომა. განხილულ იქნა თბილისის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. წესის მიხედვით, საბჭოს სხდომაზე როგორც წევრები, უნდა დასწრებოდნენ მეფისწულები, კათალიკოსი, სარდლები—საბჭოს წევრები, დივანბეგები და სხვანი, მაგრამ საბჭო სრულად არ ყოფილა წარმოდგენილი<sup>1</sup> ამ დღეს ერეკლეს ჯონებაში ჯერ კიდევ ბრწყინავდა მძლავრი ქართული არმიის დაჯგუფების იმედი.

ვიდრე საბჭოს სხდომის ყველა წვრილმანსა და ერეკლეს მიერ წარდგენილ გეგმას შეეხებოდეთ, საჭიროა თბილისის, როგორც სიმაგრის, და მისი მდგომარეობის საკითხის გაშუქება.

თბილისი მხოლოდ ჩრდილოეთით არის ღია მტკვრის ფართო ხეობით. მისი დანარჩენი მხარეები შემოზღუდულია მთა-გორაკებით, ალაგ-ალაგ-კი სალი კლდეებით. სამხრეთით მას ფარავს სოლოლაკის ვიწრო და ვრძელი ქედი, რომლის სამხრეთი ფერდობი სრულიად მიუდგომელია. ამ ქედის ბოლოში იყო იმ დროისათვის დამაკმაყოფილებელი ნარიყალას ციხე-სიმაგრე, რომლის ცეცხლის ქვეშ იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირით ვალაენის კარებისაკენ მომავალი გზა. ნარიყალას პირდაპირ, დალახანის ღელის მარჯვნივ, ასევე მიუდგო-

<sup>1</sup> Бурнатов — „Картина Грузии“..

მელ ადგილზე იყო აგებული ზოშა-ყალა, მოწინავე სიმაგრე, რომელიც ტყვი-  
ით ემუქრებოდა კრწანისიდან თბილისზე მიმავალ უმოკლეს გზებსა და  
მტკვრის მარჯვენა ნაპირს, რომლებსაც ნარიყალისა და მეტეხის არტილერიის  
ცეცხლი ვერ უღებოდა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნარიყალის მიმდებარე  
იყო მეტეხის ციტადელი, რომლის ცეცხლის ქვეშ იყვნენ მოქცეული სეიდაბა-  
დის ბაღები და ბილიკები ვალაენის წინ. მეტეხი-ნარიყალა-ხოშაკალა ჰქმნი-  
და სამკუთხედს, რომლის ცეცხლის ქვეშ იყო თბილისის ორმაგი ვალაენის წინ  
მდებარე მისასვლელები, ე. ი. ყველაზე მეტად საყურადღებო უბანი ირანის  
ჯარებთან მოსალოდნელი შეტაკებისას. სწორედ ამ მიზნით აუცილათ თავის  
დროზე ეს სიმაგრენი. ამ სიმაგრეების ადგილმდებარეობა საესეებით შეეფერე-  
ბოდა მათს დანიშნულებას.

დასავლეთით თბილისს მთაწმინდა იცავდა თავისი ციციბო ფერდობებით,  
ხოლო აღმოსავლეთით — მახათას გორაკები და მდ. მტკვარი. გარდა ამისა,  
თბილისი ვარშემორტყმული იყო საკმაოდ მაღალი და გამძლე კედლით. ეს  
კედელი სოლოლაკის ქედის მთელს სიგრძეზე იყო გავლებული (დაახლ. 1 კმ),  
შემდეგ იგი ეშვებოდა ძირს, ჩრდილოეთისაკენ, და ებჯინებოდა ხევს, რომე-  
ლიც ახლა ბერიას სახელობის მოედანს ჰკვეთავს. აქედან ბურჯებიანი ვალაე-  
ნი ამ ხევის გასწვრივ მტკვრის პირამდე ჩადიოდა. მტკვრის გასწვრივ ვალაენი  
არ ყოფილა, სამაგიეროდ ეს ვალაენი ორმაგი იყო სამხრეთის — მეტეხსა და  
ნარიყალას შორის.

თბილისის მოსახლეობა, რომელიც 20 ათასს აღემატებოდა, უმთავრესად  
ვალაენს შიგნით იყო დასახლებული.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი სიმაგრეებითაც ყველაზე მტკიცედ სამხრე-  
თის (ირანიდან მომავალი) გზები იყო გადაღობილი. სოლოლაკის ქედის წინ  
აღმართულია სეიდაბადის მდლობი, ხოლო მის წინ შავნაბადის ვებერთელა  
ქედი.

ხოშა-ყალის აუღებლად სეიდაბადის მხრიდან თბილისის ვალაენში შესე-  
ლა არავითარ მტერს არ ძალუძდა, ხოლო ზოშა-ყალას დაძლევა მძიმე არტი-  
ლერიის საშუალებით შეიძლებოდა. არტილერია-კი არ გააჩნდა ალა-მაჰმად-  
ხანის არმიას. კოჯორის მხრიდან შემოვლას ხელს უშლიდა შახტახტის კოშკი  
(ვალაენის სამხრეთ-დასავლეთის კუთხე) და თუნდაც ირანელი ჩამოსულიყ-  
ვნენ დასავლეთიდან ძირს, ვალაენისაკენ, მათი ცხენოსანი ჯარის მანევრირე-  
ბისათვის იქ სრულიად არ არსებობდა გასაქანი (ვიწროობა, კედლები და სო-  
ლოლაკის ბაღების ღობეები) ამასთან ასეთს შემთხვევაში ქართული არტილე-  
რია კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენებდა დაბლობებში ღრმად ჩასულ ირა-  
ნელებს. ალა-მაჰმად-ხანს შეეძლო იერიშის მოტანა აღმოსავლეთიდან, აელა-  
ბრის მხრიდან. მაგრამ თუნდაც რომ მოეხერხებინა მას მტკვარზე გადასვლა  
და აელაბრიდან შემოვლა, იმ ერთად-ერთი ხიდის დანგრევით, რომელიც მე-  
ტეხის ძირში იყო ვადებული, თბილისი კვლავ უვნებელი რჩებოდა.

ერთის შეხედვით, თითქოს საჭირო იყო ვალაენს შიგნით გამავრება,  
ბრძოლაში ჩაუბმელობა, მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, რომ ერეკლე შორს იყო  
ამ აზრისაგან.

1) თბილისის მოსახლეობა, ზოგიერთ წყაროს მიხედვით, 60 ათას კაცს აღემატებოდა,  
რაც სარწმუნო არ უნდა იყოს.

დაეუბრუნდეთ სამეფო საბჭოს სხდომას. თათბირში, ერეკლეს გარდა, მონაწილეობას იღებდნენ დედოფალი დარია, სოლომონ მეორე, სარდლოები და სხვა დიდგვაროვანნი. ყველაზე მეტად ამ თათბირზე გამოაშქრებულა უჩინოდ-ნიშნულ დაჯგუფებათა შორის არსებული წინააღმდეგობა. დედოფალმა დარია, როგორც ყოველთვის 1783 წლის ტრაქტატი გაიხსენა და გამოსთქვა ის აზრი, რომ ყველა ეს უბედურება იქიდან მომდინარეობსო. დარია ითხოვდა დედა-ქალაქის გადაცემას ირანელთათვის წინააღმდეგობის გაუწყველად. ერეკლეს აზრის მოწინააღმდეგეთაგან უფრო გაბედულებმა მხარი დაუჭირეს დედოფალს. უმრავლესობა კი მზად იყო მეფესთან ერთად გამირულად გაეწირა თავი დედა-ქალაქის დასაცავად.

ერეკლეს თვალსაზრისის მოზიარეთაგან ყველა იმ აზრზე იდგა, რომ მტერს დაჰხვედროდნენ შორს, ალგეთზე. ფიქრობდნენ, ღამე დასცემოდნენ მტრის ბანაკს, რისთვისაც წინასწარ უნდა შეერეკათ ცხენის ჯოგი იმ მიდამოებში, სადაც მტერი იყო დაბანაკებული. ამას, მათის აზრით, პანიკა მოჰყვებოდა მტრის ბანაკში, რის შემდეგაც ერთბაშად დაესხმოდა ქართული ჯარი.

თათბირზე პრინციპიალურად ერეკლეც იზიარებდა ამ აზრს. მისი სიტყვიდან სჩანს, რომ იგი ალა-მაჰმად-ხანს უნდა შეჰხვედროდა მდინარე ხრამზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ქართული ჯარის მობილიზაცია წარმატებით დასრულდებოდა და 30—40 ათასამდე მეომარი შეგროვდებოდა.

„მე მსურს, — განუცხადებია თათბირზე ერეკლეს, — რომ ალა-მაჰმად-ხანი მთელი თავისი ჯარით ადგილზე დავსცე, რომ უბედურების ამბის წამლებად აღარავინ დარჩეს. ღვთის წყალობით ეს განხორციელებული იქნება და მაშინ სპარსეთს რასაც გვინდა, იმას ვუზამთ. ბრძოლაში არ ჩაებმები, მხოლოდ მოვიტყუებ მტერს სოღანლულამდე, ღია ადგილამდე, მტკვრის პირამდე. აქ ის შენიშნავს ჩვენს პატარა რაზმს, რაც შეცდომაში შეიყვანს მას. თბილისის მიდამოებში თავმოყრილი იქნება 80 ათასიანი ჯარი, რომელიც საჭიროებისას თავის საქმეს გააკეთებს. იგი განლაგებული იქნება შემდეგნაირად: ათიათასი კაცი იდგმება სოღანლულს ქვემოთ, ყარაიის მახლობლად. ამდენივე იაღლუჯის ვიწროებში. 5 ათასიანი რაზმი დაიჭერს წითელ ხიდს, რათა უკანდასახევი ვაზა გადაეჭრას. 10 ათასი კაცი პირისპირ შეხვდება სოღანლულთან. ზოლო დანარჩენი ჯარითა და ზარბაზნებით ტაბახმელის გზით გადავალ თელეთს და დილაადრიაან მეზივით დავატყდები მტერს. აქ დაიწყება ბრძოლა, რომლის ყველაზე ცხარე წუთებში თავიანთ საფარებიდან გამოვლენ იაღლუჯისა და სოღანლულის რაზმები, და სამი მხრიდან შევიწროვებული მტერი იძულებული იქნება მტკვრისაკენ წავიდეს. იქ მას ცეცხლით დაუხვდება მტკვარს გაღმა მოთავსებული 10 ათასიანი რაზმი და საქმე ვაკეთებელი იქნება“.<sup>1</sup>

ამ გეგმიდან ცხადად სჩანს, რომ ერეკლე ამ დღეს ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული დალატში, რის შედეგადაც მას ერთი მუჰა მხედრობა შერჩა ხელში. შეიღსა თუ რვა სექტემბერს უკვე მოვიდა ცნობა, რომ მტერი სულ ნახევარი დღის სავალზე იდგა თბილისიდან. დასაზვერად გაგზავნილი 12 ცხენოსანიდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა ცოცხალი, ვინმე გურჯასპი და ისიც სხვისი ცხენით. დანარჩენებმა უაზროდ შეაკლეს თავი ურიცხვ მტერს.<sup>2</sup> ახლა კი ყველასთვის ნათელი გახდა, რომ დღეს-ხვალ საზარელი ომი დაიწყებოდა...

1) „К 100 летию Крцанинской битвы“, ზონელი, გვ. 18.

2) Кишмишев — „Походы Надир Шаха“.

მიუხედავად ამ სიციხადისა, ერეკლემ გადასწყვიტა თავისი ძალების მოზრდილი ნაწილით ქალაქგარეთ, სოღანლუღის ვიწროებში გაფშვრება და იქ შეიდგერ უფრო მეტ მტერთან შეხმა. ამ დროისთვის თავისი მტერებისა და არავეის ზეობისაკენ გაისტუმრა. დედოფალმა დარიამ დიდძალი ამალა გაიყოლია თან, რამაც მოსახლეობა ჩააფიქრა და მღელღავრება გამოიწვია.

მართლაც ნუ თუ არა სჯობდა უბრძოლველად ჩაებარებინათ ქალაქი ალა-მაჰმად-ხანისთვის და ამგვარად ეხსნათ იგი მოსალოდნელი აკლემისაგან? ნუ თუ ჯიუტობის მსგავსი სიმტკიცე ერეკლესი მხოლოდ მისი რაინდული სულიდან გამომდინარეობდა? ალა-მაჰმად-ხანი ჰპირდებოდა მას მთელი აზერბეიჯანის მმართველად დანიშნვას,<sup>1</sup> რატომ არ მოისურვა ესარგებლა შაჰის ამ თავაზიანობით თუნდაც დროებით?

მაგრამ, ჯერ ერთი, ალა-მაჰმად-ხანის დაპირებისა არაფერი არა სჯეროდა ერეკლეს, მან ბევრი რამ იცოდა შაჰის მაცდურობისა და ორპირობის შესახებ, რასაც ხშირად მიმართავდა იგი ტახტისათვის 18 წლიანი ბრძოლის მთელ მანძილზე.

შემდეგ, ქართველებს მრავალი გაბედული და მტკიცე ნაბიჯი ჰქონდათ გადადგმული რუსეთთან დასაახლოვებლად და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ არავეინ იცოდა, დაეხმარებოდა თუ არა რუსეთი საქართველოს. ჩამოვიდოდა თუ არა ჯარი ერეკლეს არაერთგზისი თხოვნის საპასუხოდ. დასასრულ, თავისი ჯარის მობილიზაციის კარგი შედეგების იმედით იყო, რომ ცივი უარით უპასუხა ერეკლემ შაჰის ყველა დაპირებასა და აღთქმას, ხოლო ახლა, როცა ყველაფერი დასრულებული იყო, ცხადი ხდებოდა ისიც, რომ, თბილისის უნუგეშო მდგომარეობის გამო, ალა-მაჰმად-ხანი აღარ შეიცვლიდა გადაწყვეტილებას, თუნდაც გადაეცათ კიდევ ქალაქი.

მაგრამ, როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ ქართული მხედრობა ერეკლეს სარდლობით და არა ვინმე წვრილფეხა ფეოდალის თაოსნობით იცავდა არა თავის თავს, არამედ დედა-ქალაქს, თავის საყვარელ მიწა-წყალს, თავისი ხალხისათვის სწირავდა სიცოცხლეს, მაშინვე ნათელი გახდება ყველაფერი. გალავნის ჩაკეტვით იგი თვითონვე ითოკავდა ხელ-ფეხს, ამჟღავნებდა სულიერს და ფიზიკურ არსებულ სამყაროს, ამით იგი მტერს უთმობდა მას. ეს იყო ასე ვთქვათ, ბრძოლაში ქალაქგარეთ ჩაბმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მორალური თუ პოლიტიკური საფუძველი.

რაც შეეხებოდა წმინდა სამხედრო თვალსაზრისის პირობებს, ისინი ბუნებრივად გამომდინარეობდნენ ზემოაღნიშნულიდან: ასე, მაგალითად, კარგს არაფერს მოასწავებდა ერთბეშე ტერიტორიაზე, ისედაც მკიდროდ დასახლებულ ქალაქში შეხიზვნა და მოგერიების მოწყობა. უფრო თამამად რომ ვთქვათ, გალავნის შიგნით შეუძლებელი იყო ფიქრი საერთოდ რაიმე თავდაცვითს ღონისძიებაზე. ვერავეინ განსაზღვრავდა, თუ რომელი მხრიდან მოადგებოდნენ გალავანს მტრის მთავარი ძალები, შინაურ ფუსფუსსა და აღიარებითს უეჭველად მოჰყვებოდა მოსახლეობის პანიკა, ჯარი გაითქვიფებოდა მოსახლეობაში და სულ მოკლე დროში გაიხრწნებოდა კიდევ. ამიტომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების წინ უნდა აეყარათ მთელი ქალაქი, რაც სრულიად მოუხერხებელი და უაზრო იყო დროის სიმციროსა და სხვა მიზეზების გამო.

<sup>1</sup>) 3. Авалов — „Присоединение Грузии к России“.

შემდეგ, არ არსებობდა არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ თბილისის მოსახლეობა ან ჯარი გაუძღებდა თუნდაც 10 — 15 დღეც. ამ შემთხვევაში უკვე აღინიშნა, რომ არა თუ მოსახლეობის, მომარაგების, საქმეც, სწავლულ მდგომარეობაში იყო.

ბრძოლის მიღება ქალაქ გარეთ მანევრირების ფართო ვასაქანს აძლევდა ქართველ მხედრობას. ბრძოლაში ჩაბმა ქალაქგარეთ არა მარტო ჯარს, თბილისის მოსახლეობასაც გარკვეულ მორალურ სიმტკიცეს აძლევდა, ამასთან დროსა და გზას უტოვებდა მას, რათა მარცხის შემთხვევაში ეზრუნათ თავიანთ არსებობაზე;

ქალაქ გარეთ ვალავანი თუ ვერ დაიცავდა ქართულ მხედრობას, სამაგიეროდ საბრძოლო ინიციატივის გამოჩენის საშუალება მის ხელთ რჩებოდა. სულ ადვილად შეეძლოთ გამოეცნოთ ირანელთა განზრახვა და გამორულად გადალობებოდათ მათ, ხოლო თავისი მიწა-წყლის დაცვისას გამირობასა და სიმამაცეში ქართული მხედრობის ძირითადი მასა სიძუნწეს არ განიცდიდა.

ბრძოლის მიღება ქალაქ გარეთ ან უფრო წინ, სადმე სამხერთ-აღმოსავლეთით საზღვრის სიახლოვეს, რასაც ზოგიერთები, მართალია გვიან, მაგრამ შაინც ურჩევდნენ ერეკლეს, ვაცილებით უკეთეს შედეგს გამოიღებდა. თბილისის ზღუდეებამდე მოსვლა საეჭვოდ მოეგონებოდა ალა-მაჰმად-ხანს, რომელიც არც ისე დაიმედებული იყო საკუთარი ზურგის სიმტკიცით.

მეფის ბრძანების მიღებისთანავე ბატონიშვილმა დავეითმა ქართველი მხედრობის ავანგარდი სოღანლულისაკენ დაძრა და 9 სექტემბრის დილისათვის უკვე დაიჭირა პოზიციები მტკვარსა და შენაბადას კალთებს შორის. ფრონტის სიგანე კილომეტრნახევარს არ აღემატებოდა.

ავანგარდს ევალეზობდა, თბილისისკენ მომავალი უმოკლესი გზის — სოღანლულის ვიწროების ჩაკეტვა (მტკვრის მარჯვენა ნაპირი — შენაბადის ჩრდილოეთი ფერდობები).

გამოცდილი გზის მაჩვენებლების კვალდაკვალ მომავალი ალა-მაჰმად-ხანის არმიის ავანგარდი ამავე 9 სექტემბრის ნაშუადღევსათვის ქართველთა ავანგარდის პოზიციებს წააწყდა. როგორც სჩანს, ალა-მაჰმად-ხანს განზრახული ჰქონდა თავისი არმიის დაჯგუფება სოღანლულის მიდამოებში, საიდანაც 10 სექტემბრის დილით უნდა ჰკვეთებოდა თბილისის კარებს სოღანლულის ვიწროებიდან.

დავეითმა განგებ მოუშვა ახლოს ირანელთა რაზმეულები, კარგად გაერკვა მდგომარეობაში და უეცრად გასცა ბრძანება შეეჯგუფების შესახებ. ამას მოჰყვა ბრძანება თოფების დაცლაზე და იერიშის დაწყებაზე. ქართველებმა ერთბაშად დაახალეს თოფები ზედ ირანელებს, მოახტნენ ცხენებს და ხმლენი იშიშვლეს, გამაყრუებელი ყიჟინით და მჭექარე შეძახილებით გაიჭრნენ წინ. თავგამეტებით დაერივნენ მოწინააღმდეგის რაზმებს და სულ მალე პირიცი აბრუნებინეს მათ. მტერი უწესრიგოდ გაფრთხა და გაშორდა აჭაურობას. დავეითმა კვლავ წესრიგში მოიყვანა თავისი მხედრობა, მომხდარი შეტაკების შესახებ სასწრაფოდ აცნობა თავის პაპა ერეკლეს და ისევ ძველი პოზიციები დაიჭირა.

იალლუჯის მიმართულებით მთავარი ძალებით დაძრულ ალა-მაჰმად-ხანსაც მალე მოუვიდა ცნობა თავისი ავანგარდის მარცხის შესახებ და ღრმად ჩაფიქრდა: ალბათ, ერეკლე კარგად არის მომზადებული თბილისის დაცვისათვის და ვიი თუ მარცხი განვიცადო, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე მდგრადად არ

დამიხედებოდაო. მაშინვე მიიღო ზომები მარშის უშიშროების გასაშტოკებლად, გააორკეცა ზეგრევა და გააძლიერა ავანგარდი. იმავე დროს ერთმა თანმხლებელთაგანმა, რომელმაც საუცხოოდ იცოდა თბილისის მიდამოებში გზები, ჩააგონა ალა-მაჰმად-ხანს, რომ მტკვრის გასწვრივ, სოლანლულის გზით თბილისში შესვლა შეუძლებელია, რომ ქართველებს უმნიშვნელო ძალებითაც საიმედოდ შეუძლიათ ამ გზის ვადლობვა და ამიტომ ათასჯერ უკეთესია კუმისზე, ხატისტელეთზე და შავნაბადაზე გადავლით ქართველთა ზურგში გასვლაო. ალა-მაჰმად-ხანმა მოიწონა ეს რჩევა და მაშინვე გასცა ბრძანება გზის შეცვლის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების მიღებით ალა-მაჰმად-ხანმა თავი აარიდა ქართველთა ავანგარდს; უფრო მეტიც; იგი ქართველთა მოგერიების ძირითად პოზიციების ზურგშიც ვადიოდა.

ისედაც მცირერიცხოვან ქართველობისათვის ეს ამბავი თავზარდაცემა იყო. ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მოსალოდნელი იყო ზურგში შემოვლა სწორედ ამ გზით და დიდის სიფრთხილით ადევნებდა თვალს მტრის მოძრაობას, ზოლო ახლა უკვე აცნობეს, რომ ირანელთა უთვალავმა ჯარმა შავნაბადის ქედისაკენ გაუხვიაო. ცხადი ვახდა, რომ თბილისის ბედობალი კრწანისის ველზე, ან მის მიდამოებში უნდა გადაწყვეტილიყო. ავანგარდის დატოვება სოლანლულში სრულიად უაზრო ვახდა, ამიტომ მოხსნა იგი და დაუყოვნებლივ გაიწვია თბილისისაკენ. ერეკლე დამარცხების ექვსაც არ ამელანებდა, მხნედ შეუდგა კრწანისის დათვალეიერებასა და სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლისათვის საშუადის.

გაიგეს რა ირანელებმა, რომ ქართველთა ავანგარდმა დასტოვა პოზიციები და თბილისისაკენ გაეშურა, მაშინვე დაიჭირეს სოლანლული, დასცეს კარები, ააგეს ბანაკი, შემოავლეს სახელდახელო თხრილები და შეუდგნენ მზადებას თბილისზე იერიშის მისატანად.

## თავი მესამე

### კრწანისის ომის პირველი დღე

მზე ჩაესვენა. მწუხრში გაეხვია მრავალგზის წამებული დედა-ქალაქი. იგი მიიღულა და სიბნელეში შთაინთქა. მაგრამ მის ვიწრო ქუჩებში უფრო და უფრო მატულობდა უჩვეულო ფუსფუსი და შფოთი. ზღვა იყო მომდგარი სოლანლულთან, თუ მისი პირველი მღვრიე ტალღა მარჯვედ არ უქუავდო ქართველ მეომართა მკლავმა, ხვალ შემაძრწუნებელი გრავინვითა და ქუხილით მოვარდება ვალაენის კართანი და, ეინ იცის, რა შედეგი მოჰყვება იმას. ბნელსა და დახლართულ ქუჩებში დაძრწოდნენ ლანდები, ხმას აძლევდნენ, ამხნევებდნენ ერთმანეთს. ლანდების ჯგუფები ქშენითა და ქაჭანით მიმოდიოდნენ და იარაღს აედარუნებდნენ. უმეტესობა კრწანისისაკენ მიეშურებოდა. აღარაეინ ფიქრობდა ძილსა და მოსვენებაზე.

კრწანისის ველზე თავმოყრილი მხედრობა ხმაღს ლესავდა ხვალისათვის, მუზარბაზნენი თოფისწამალსა და ყუმბარებს იმარაგებდნენ, მოხუცი ერეკლე თავისი ამალით მთელ ღამეს თავს დასტრიალებდა მცირერიცხოვან ჯარს და ამხნევებდა მეომარებს. მან უკანასკნელად შემოიარა კრწანისის დაბლობი, სენიდაბადის მაღლობი, სოლოლაკის ქედი, ზემოთ, კოჯარის გზაზედაც-კი გავედა, იქიდან უკანასკნელადვე ვადმოხედა ვალაენში ჩაკეტილ დედა-ქალაქს,

შეამოწმა სამივე სიმაგრე, ნაშუალამეც სარდლები მიიწვია და 10 სექტემბრისათვის ყველა მათგანს გარკვეული საბრძოლო ამოცანა მისცა:

1. ბატონიშვილი დაეითი ათასამდე მეომრით და რამდენიმე ჯგუფად ხანით კვლავ ავანგარდში დაინიშნა. ავანგარდში შემავალ ჯარსმცემს/სარდლებს დნენ ოთარ ამილახვარი, ივანე მუხრან-ბატონი, ზურაბ წერეთელი და ზაქარია ანდრონიკაშვილი. ავანგარდის მოგერიების წინა კიდე ვადიოდა მდ. ტაბახმელის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, კრწანისის ველის შუაზე. აღსანიშნავია, რომ ერეკლეს ვარაუდი საეცებით გამართლდა: ალა-შაჰმად-ხანის ჯარის მოწინავე ნაწილები სწორედ იმ მიდამოებისაკენ დაეშენენ, სადაც ავანგარდი იყო განლაგებული.

2. ქართველი მხედრობის მთავარი ძალები, რაც სამიათს კაცს აღემატებოდა, განლაგებულ იქნა სეიდაბადის მალლობის სამხრეთ-აღმოსავლეთის კალთებზე, სეიდაბადის ბაღებში, მტკვრის ნაპირამდე, დაახლოებით ერთიანხევი კილომეტრით უკან ავანგარდის პოზიციებიდან. მეომართა მცირე რაზმებით გამავრებულ იქნენ ხოშა-ყალა, მეტეხის ციტადელი და თბილისის ციხის დანარჩენი ფორტები. მეტეხის სიმაგრის არტილერიას არ შეეძლო ავანგარდისთვის მხარის დაჭერა და მტრის არტილერიასთან ბრძოლა. სამაგიეროდ იქიდან კარგად ითოფებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირი თითქმის კრწანისამდე. ხოშა-ყალის არტილერია უშუალოდ მთავარი ძალებისთვის მხარის დასაჭერად იყო გათვალისწინებული, თუ კი საჭირო გახდებოდა მათი უკანდახევა. ნარიყალის არტილერია ოდნავადაც ვერ მოქმედებდა მტრის წინააღმდეგ, რადგან მას წინ სეიდაბადის კლდოვანი მალლობი ჰქონდა წაფარებული.

არყისფრად ინათა, 10 სექტემბრის ნისლიანი და უფუნებო დილა დაათენდა თბილისს...

ალა-შაჰმად-ხანიც მთელ ღამეს ფიზილობდა, მან დახვერა შევნაბადის ქედი, ერთხელ კიდევ მოისმინა გზისმცოდნეთა რჩევა, გამოჰყო მოწინავე რაზმები, რომელთაც ერთის დარტყმით უნდა გაეცლოთ კრწანისი, სეიდაბადის ბაღები და თბილისის კარი შეენგრიათ. სათა ყოველივე ეს მოულოდნელი ყოფილიყო, გადასწყვიტა სისხამ დილით ჰკვეთებოდა ქართველთა პოზიციებს, მაგრამ ნისლმა და ცუდმა ხილვადობამ ხელი შეუშალა მისი გეგმის განხორციელებას. მან კრწანისთან ორი კილომეტრის მანძილზე შეაჩერა ნაწილები და დილის რვა საათამდე უცადა გამოდარებას. ოდნავ გადიწმინდა თუ არა, შევნაბადის მალლობიდან ირანელებმა შენიშნეს, რომ სეიდაბადის მალლობი და ხოშა-ყალა დაკავებული ჰქონდათ ქართველებს.

ერეკლემ დილისთვის დაამთავრა ქართველთა პოზიციების შემოვლა, გაახსენა მეომრებს, რომ მათს ზურგში სრულიად დაუცველი ქალაქი იყო, ამიტომ სიცოცხლე არ უნდა დაეზოვათ მტერთან ბრძოლაში.

ბრძოლა ირანელებმა დაიწყეს. ისინი ჩამოეშენენ შევნაბადის ფერდობებზე და ავანგარდისაკენ მოიწვედნენ. ამის საპასუხოდ ერთბაშად დაიჭუხა ხოშა-ყალის ზარბაზანთა ჯგუფმა, ბანი მისცა ავანგარდის არტილერიამ. ზუსტი ცეცხლით მხარდაჭერილმა ავანგარდში მყოფმა მხედრობამ დაეითის ნიშანზე ერთბაშად დასცალა თოფები და ხმალს მიჰმართა. კონტრიერიში იმდენად მედგარი იყო, რომ ირანელები დაფრთხნენ და საგრძნობი დანაკარგებით კრწანისის ველი მიატოვეს და ფერდობებს მიეკერნენ. დაეითმა კვლავ დაიჭირა თავისი პოზიციები და ახალი იერიშის დასახვედრად მოემზადა.

ირანელებმა ასე თამამად ველარ გაბედეს იერიშის განახლება, მხოლოდ მარტო დავითის მხედრობისაგან უკვე ორჯერ განიცადეს მარცხი (ერთხელ წინააღმდეგ ალა-შაჰმად-ხანმა ბრძანა, მიეღოთ ყველა ზომა ქართველთა უკუგაბეჭდვად არტილერიის ჩასაჩუქმებლად. კარგა ხანს გაგრძელდა საარტყვეობის მუშაობა. ალა-შაჰმად-ხანის მოლოდინის წინააღმდეგ ქართველთა არტილერიამ ირანელთა ორი ზარბაზანი ჩააჩუმა, როგორც სხანდა, ეს იყო მათი უკანასკნელი ზარბაზნები.

სწორედ ამ დროს შეენაბადის ქედის პორიზონტზე გამოჩნდა ალა-შაჰმად-ხანის პატარა ფიგურა, დურბინით დააქვირდა ერეკლეს ჯარის პოზიციებს და მხლებელთა გასაგონად სთქვა:

— ნუ თუ ფიქრობენ ესენი გადამილობონ თბილისისაკენ მიმავალი გზა? და ალა-შაჰმად-ხანმა, პატარა ტანის, ჩამომხმარმა, ქოსა, ხანდაზმული დედაკაცის მსგავსმა კაცმა, რომლის სახეზედაც არასოდეს ღიმილი არ გამოკრთებოდა, უბრძანა მხედართმთავრებს, გაეგზავნათ ახალი, უფრო დიდი რაზმები კრწანისზე მოთავსებული ქართული მხედრობის მოსასპობად.

ირანელი მეომრები წაახალისა თავიანთ მბრძანებლის გამოჩენამ და გულად დაიძრნენ ქართველთა ავანგარდისაკენ.

ერეკლემაც თავის მხრივ გამოჰყო მთავარი ძალებიდან მცირე დამხმარე რაზმი და გაგზავნის წინ შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— მეგობარო, ხედავთ თუ არა შაჰს, უჩვენეთ მას, როგორი ომი იციან ერეკლეს მხედრებმა!..

კვლავ ეკვეთნენ ერთმანეთს ირანელთა და ქართველთა ავანგარდის რაზმები. თავგანწირულად შეიჭრნენ ქართველები მტრის ურიცხვ ბრბოებში, შრისხანე კონტრიერით კვლავ აბრუნებინეს მათ პირი ირანელებს და შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. ეს იყო რიცხვით მესამე გამარჯვება ქართველთა ავანგარდისა ბატონიშვილი დავითის სარდლობით.

გაოცებულმა და გაყოფებულმა ალა-შაჰმად-ხანმა ხელახლა გასცა ბრძანება მოიერიშე რაზმების გაძლიერების შესახებ, და თითქმის ერთი ორად გაადიდა ისინი.

ამის მომლოდინე მეფე ერეკლემაც დაუყოვნებლივ გამოჰყო მთავარი ძალებიდან ცხრაასამდე მეომარი და დავითს მიაშველა. ცოტახანს შემდეგ უკვე რამდენიმე მიმართულებით დაეშენნენ ალა-შაჰმად-ხანის ჯარის რაზმეულეები დავითის პოზიციებისაკენ.

ირანელთა მესამე, ბევრად უფრო მძლავრი იერიში კვლავ გამორულად მოიგვრია მცირერიცხოვანმა ავანგარდმა. მათ კვლავ უწყალო ჩეხეთა და არტილერიის ცეცხლით გაჰფანტეს მტრის რაზმები და შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები.

უზომოთ გაცეცხლებული ალა-შაჰმად-ხანი იძულებული გახდა აშკარად განეტხადებინა: არ მახსოვს, რომ ოდესმე ასე ვაეკაცურად ებრძოლნათ ჩემს მტრებსაო.

ამგვარად ქართველთა სიმამაცემ, რაც არავისთვის მოულოდნელი არ იყო, დაარწმუნა ალა-შაჰმად-ხანი, რომ ასეთი რაზმებით ვერ გასტეხდა ერეკლეს არმიის სიმტკიცეს ამიტომ აფრინა ზურგში შიკრიკები და უბრძანა გამოეყვანათ, მცირე გამოკლებით, მთელი რეზერვები.

მალე სისრულეში მოიყვანეს ეს განაკარგულება: შავი ნისლივით დაეშვა ირანელთა ჯარი კრწანისისაკენ. თვით ალა-შაჰმად-ხანი მალლობიდან დაჰ-

უტრებდა ღრმად ჩაგარდნილ ვაკეს, დარწმუნებული იყო რომ საღამოსათვის თბილისშიც შევიდოდა.

ერეკლეს იძულებული გახდა მთელი თავისი რეზერვები გამოეყენებინა ბრძოლის ველზე. უკან დაიბრუნდა მხოლოდ მცირერიცხოვანი, მაგრამ რჩეული მხედრობა. ბრძოლა დაიწყო მოწინავე გუნდების გააფთრებული იერიშებით. ზომა-ყალა და მის წინ დაშუქრებულნი ზარბაზნები განუწყვეტლივ გრგვინავდნენ. სულ მალე პირისპირ აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალები და გაჩაღდა უღმობელი ომი. ხან ქართველები, ხან ირანელები ბატონობდნენ სისხლით მორწყულ კრწანისს. ქუხდნენ ზარბაზნები, ბანს აძლევდნენ მათ გაღმავამოღმა მდებარე კლდეები. უფრო და უფრო იღრუბლებოდა ალა-შაჰმად-ხანის სახე, გაბარებული გაპყურებდა ქართველ მხედრებს ჭალარა ერეკლე და თანდათან იტანდა ბრძოლის ველისაკენ გაქანების ფინი. მაგრამ ჯერ საჭირო იყო ირანელთა დარწმუნება, რომ ქართველებს კიდევ ჰყავდათ რეზერვები: თითქოს ამ განზრახვით ერეკლეს ნიშანზე თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიჭრა რჩეული მხედრობის ერთი მომცრო რაზმი, ყიფინით ეძგერა ირანელთა ბრძოლებს და კრწანისზე აშკარად ქართველებს დარჩათ ბურთი და მოედანი.

თითქოს ამას უცდიდაო ჭალარა ლომი, ნამდვილად კი ველარ შესძლო თავის შეკაეება: ხმალი იშიშვლა, მედროშეები აიყოლია და ზუთასი რჩეული ვაეკაცით სოლომონ მეორის თანხლებით ბრძოლის ველისაკენ გააქანა ცხენი.

ერეკლეს გამოჩენამ ქართველი მეომრები უსაზღვროდ აღაფრთოვანა, ხოლო ირანელები უარესად შეაკრთო. ქართველმა მხედრობამ მეფისკენ იწყო დაჯგუფება, მათთან ერთად ელვის სისწრაფით გააპო გონება დაკარგული და სულიერად დაცემული ურიცხვი მტერი და დიდი დანაკარგით გადაარქა შავნაბადას ქედს გადაღმა.

ალა-შაჰმად-ხანმა სასწრაფოდ მიატოვა სათვალთვალო პუნქტი და უკან, სოღანლულისაკენ გაეშურა. ამ სიმაღლეზე ალა-შაჰმად-ხანის წასვლიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ გაჩნდნენ ერეკლე და სოლომონ მეორე.

ამით დასრულდა კრწანისის ომის პირველი დღე. ერეკლეს ჯარის ზღაპრული გამარჯვების ამბავი მალე მოედო თბილისსა და მის მიდამოებს, მთელ საქართველოს. ამის აღსანიშნავად სიღნაღში განცხრომით მყოფმა ბატონიშვილმა გიორგიმ დიდი ზეიმი გამართა.

ერეკლე და ზოგი სხვაც, ფხიზელი გონების მქონე ადამიანები, ჯერ კიდევ დამთავრებულად არა სთვლიდნენ ყველაფერს.

## დასკვნა

1. ქართველი ხალხის წელი და მუხლი კვლავაც გამძლე და არსებობის უნარის მქონე აღმოჩნდა, ქართველი ხალხის წარმომადგენელმა ერეკლეს მცირერიცხოვანმა მხედრობამ 10 სექტემბრის ბრძოლით დაამტკიცა, რომ ადვილად შეეძლო მრავალრიცხოვანი მტრის განდევნაც, თუ კი ადვილი არ ექნებოდა იმ საბედისწერო უთანხმოებებს და წინააღმდეგობას ზედა ფენებში, რამაც უშუალოდ ომის დღეებში საზღვარი დალატის ხასიათი მიიღო.

2. არტილერიით საქმად კარგა გამაგრებული, იმდროინდელი სიმაგრეების სისტემის მქონე თბილისის აღება პირდაპირი იერიშით, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუძლებელი აღმოჩნდა მძიმე არტილერიის გამოუყენებლად, რაც ალა-შაჰმად-ხანის ჯარს არ ვააჩნდა.

3. ისევე, როგორც 9 სექტემბერს, 10 სექტემბრის ბრძოლაშიც ირანელებმა ფაქტურად მხოლოდ დაზვერვის თბილისის მიდამოები და ერეკლეს ჯარის პოზიციები, თუმცა ასეთი განზრახვით არ აწარმოებდა ბრძოლას ალა-მაჰმად-ხანი. ამ დაზვერვის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანს მაინც არ შეეძლო გადაწყვეტილ ეთქვა, რა ხდებოდა მის წინ: ერეკლეს მთელი არმია მონაწილეობდა ამ ბრძოლაში თუ მხოლოდ ერთმა ნაწილმა გაუწია ასეთი სასტიკი წინააღმდეგობა. საკმაო იყო თუნდაც ქორისთვის მოეკრა მას ყური ერეკლეს ზურგში რაღაც რეზერვების არსებობის შესახებ, რომ იგი დაუყოვნებლივ დაძრულიყო აღსტაფისაკენ, ან რეზერვები გამოემხებინა აღსტაფიდან; მაგრამ საკმაო იყო გავგაო ისიც, რომ ერეკლეს მთელი ძალა მონაწილეობდა 10 სექტემბრის ბრძოლაში რათა მეორე დღეს 11 სექტემბერს, მთელი ჯარით დასცემოდა თბილისს; თუმცა უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ ირანის დამპყრობლის გადაჭარბებული გულუბრყვილობის შესახებ: ქორებით როდი ხელმძღვანელობდა ალა-მაჰმად-ხანი, მის ირგვლივ ტრიალებდნენ საკმაოდ სანდო ჯაშუშები.

4. თბილისზე პირდაპირი იერიშის უშედეგობის გამო, ალა-მაჰმად-ხანს ქართველთა პოზიციების ზურგი ან ფრთა უნდა ამოეღო მიზანში. ამავე დროს წინასწარ შეიძლებოდა განსაზღვრა, რომ ირანელი მტკვრისკენ მდებარე ქართველთა ფრთაზე არ მიიტანდნენ იერიშს, არამედ ზემოდან, უფრო ღრმად, კოჯრის გზიდან შემოუტევიდნენ.

5. თუმცა არ არსებობს ცნობები პირველი ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად დაზოცილთა და მწყობრიდან გამოსულთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველთა მცირერიცხოვანი მხედრობისთვის თუნდაც ორიოდე ასეული მეზობლის დაკარგვა ბევრად უფრო მძიმე გადასატანი იყო, ვიდრე შეიძვერ მრავალრიცხოვანი მტრისათვის.

## თამი მუჰამადი

### ქრწანისის ომის მეორე დღე

შენაბადის ქედს გადაღმა ქართველები არ გადასულან, არ მოუწყვიათ შათ დენა, და, ამგვარად, კარგად იცოდნენ, რომ მტრის ჯარი ჯერ კიდევ თბილისის კართან იდგა, თუმცა საკმაოდ შელახული, მაგრამ მაინც ცოცხალი. გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე თბილისის დამცველები იყვნენ. დენის მოუწყობლობას განმარტავენ იმით, თითქოს ერეკლემ სხვადასხვა წყაროდან იცოდა, რომ ალა-მაჰმად-ხანი თავისი არმიით უკან წასვლას აპირებდა მაგრამ უფრო სარწმუნო ის არის, რომ დენისთვის აღარც საშუალება და აღარც დრო ჰქონდათ ქართველებს. პირიქით, თვით ქართველებს უნდა ჰქონოდათ ხელახალი შემოტევის მოლოდინი. ამიტომ პირველყოელისა, აუცილებელი იყო გაფანტული და არევიარეული რაზმების თავმოყრა, იარაღისა და ტყვიაწამლის მოწესრიგება-მომარაგება და ყოველგვარი მოულოდნელობის ასაცილებლად პოზიციების დაკავება შექმნილი საფრთხის — ფრთიდან შემოვლის საშიშროების შესაბამისად. ასეთი იყო ერეკლეს თვალსაზრისი.

მორიგი უძილო და შფოთიანი ღამე ჩამოწვა. პირველი დღეების წარმატებით წახალისებულ მხედრობას ერეკლემ ხელახლა მიუჩინა პოზიციები 11 სექტემბრისათვის:

1. ავანგარდში გამოჰყო საუკეთესო ცხენოსანი და ქვეითი რაზმები/შვილიშვილის იოანეს სარდლობით. ავანგარდს კვლავაც კრწანისელებს უბრუნებენ ეკავა.

შ. ი. ბ. ლ. ი. მ. შ. შ. შ.

2. მარჯვენა ფრთიდან შემოვლის საფრთხის ასაცილებლად გამოჰყო ოთხასიოდ მეომარი 7 ზარბაზნით. ეს რაზმი დავითის სარდლობით გამაგრდა ზემოთ, კოჯრის გზაზე, სადაც ეს უკანასკნელი ტაბახმელისა და სოლოლაკის გზას ჰკვეთდა. დავითის გაგზავნა მნიშვნელოვანი არტილერიით მარჯვენა ფრთაზე მოწმობდა, რომ ერეკლე ნამდვილად მოელოდა ირანელთა გამოჩენას ამ მხრით. დავითის განკარგულებაში გამოყოფილი არტილერიის ძირითად ამოცანას შეადგენდა ფრთის ცეცხლით მხარი დაეჭირა ქართველთა ბრძოლისათვის კრწანისის ველზე.

3. ცენტრი — სეიდაბადის მალლობის სამხრეთ-აღმოსავლეთის კალთები თვით ერეკლემ დაიჭირა, მარცხნივ — სეიდაბადის ბაღებთან — ივანე მუხრანბატონის რაზმი იდგა, მარჯვნივ — ზურაბ წერეთელი იმერლობით. თბილისის ციხე გამაგრებული იყო 16 ზარბაზნით, თუმცა საფიქრებელია, რომ ამათგან ნახევარიც არ მოქმედებდა.

10 სექტემბრის საღამოს ალა-მაჰმად-ხანი მართლაც მერყეობდა, შესაძლოა განგებ: თანამებრძოლთა განწყობილების გამოსარკვევად, მაგრამ აშკარად ყოყმანობდა — განემეორებინა იერიში თუ არა.

— არა! — ამბობდა იგი, — მე ვიცი რომ ერეკლეს, იგი ნადირშაჰის მოწაფეა. მას სხვა ჯარიც ეყოლება, თორემ ასე მედგრად ვერ დამიხედებოდა<sup>1</sup>.

განჯის ხანი ჯევათი დაბეჯითებით არწმუნებდა შაჰს, რომ საფიქრებელი არაფერი არ არისო — ქართველები ველარ გაუძლებენ ერთს ასეთ იერიშსო. ამასთან, ჯევათ-ხანმა ალა-მაჰმად-ხანს მალლობიდან დღურბინდით დაანახვა, თუ როგორ გარბოდნენ დიდშის ველზე თბილისელ მოქალაქეთა ჯგუფები.

ამავე დროს ღამით ალა-მაჰმად-ხანს მოულოდნელად ეახლა ერეკლეს (თბილისიდან) გაქცეული ელჩი, რომელიც მან დააპატიმრა აგვისტოს ნახევარში ყაზახში, ამ ელჩმა ვრცელი და ზუსტი ინფორმაცია გაუტეთა თავის მბრძანებელს. როგორ მოეწყო აღნიშნული ელჩის განთავისუფლება, ვინ იყო ამ საზიზღარი გამცემლობის ინიციატორი, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია და არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა პიროვნების ვინაობას, უფრო საინტერესოა ამ ფაქტიდან გამომდინარე შედეგები.

ტყვეობიდან გაქცეულმა ელჩმა თავისი ინფორმაციით ყველა საფუძველი გამოაცალა ალა-მაჰმად-ხანის ფორმალურ თუ ნამდვილ მერყეობას, და არა მარტო ალა-მაჰმად-ხანს, მისმა მხედართმთავრებმაც სასწრაფოდ დაჰკმეს ეჭვები. მოუთმენლად ელოდნენ ბრძანებას შეტყვის განახლების შესახებ.

11 სექტემბერს, დილა აღრიან ალა-მაჰმად-ხანმა დაამთავრა ჯარის გადაჯგუფება: თოთხმეტ კოლონად გაყოფილი ჯარი შეენაბადის კლდოვანი გორაკებიდან და ღრმა დედეებიდან კვლავაც კრწანისის დაუმიზნა, წესრიგში მოყვანილი ორი ქვემეხი და რამდენიმე ზამბულაკი მოხერხებულ პოზიციებზე მოათავსა. ზემოაღნიშნული კოლონების გარდა, ალა-მაჰმად-ხანმა გამოჰყო მოზრდილი რაზმი, გზის მაჩვენებლად დაუნიშნა ვინმე მელიქ მეჯნუნი და უბრძანა — სამხრეთ-დასავლეთიდან ზურგში შემოეცლო ქართველთა პოზიციებისათვის და თბილისის ციხესთან დაშვებულყო.

<sup>1</sup>) „Исторический очерк кавказских войн“..

დასასრულ, შამმა თავის რაზმეულებს ზურგში ამოუყენა ექვსი ათასი თურქმენი და მათს სარდალს უბრძანა: უმოწყალოდ დაეხოცა ყველა სპარსელი, რომელიც კი ქართველებთან ბრძოლისას უკან დახევას შეეპოვნებოდა. ეს ღონისძიება არ შეიძლება იხსნას სხვანაირად, თუ არ იმით, *არაჰმა ჩაქსნიქუბი* წინააღმდეგ ბრძოლაში სულიერადაც სასტიკად ვატყდნენ, ქართველ მეომართა სიმამაცემ და გმირობამ შეარყია მათი საბრძოლო განწყობილება და თვით ალა-შაჰმად-ხანი კი შეეჭვებულ იყო თავისი ჯარის ძლიერებაში, თურქმენებს, რომელნიც ირანელთა ზურგში ჩასაფრდნენ, ზოგიერთ სარწმუნოებრივი განსხვავების გამო, არ უყვარდათ სპარსელები, ამიტომ მათ სიამოვნებით იკისრეს ამ ბრძანების შესრულება, და ბრძოლის დროს, მართლაც, ბევრი სპარსელი დაიღუპა მათი ხელითო, აღნიშნავს თეიმურაზ ბატონიშვილი.

დილის 6 საათისათვის შაენაბადის ქედის ფერდობებზე უკვე გამოჩნდნენ ირანელთა რაზმები. ისინი ახლაც პირდაპირ ქართველთა ავიანგარდზე მოდიოდნენ. ბატონიშვილმა იოანემ მაშინვე გასცა ბრძანება კონტრშეტევაზე გადასვლის შესახებ. რამდენიმე წუთი ცხარე ხელჩართული ბრძოლა და ალა-შაჰმად-ხანის ავიანგარდმა კვლავ ზურგი უჩვენა ქართველებს.

ახლა კი ირანელებმა აშკარად დაინახეს, რომ მათ წინ სულ ერთი მუკა ქართველობა იქნებოდა ხმალს. ერთბაშად დასძრეს მთავარი ძალები და აქეთ-იქიდან დაეისვენენ იოანეს რაზმს (ავიანგარდს). გაჩაღდა საშინელი უთანასწორო ბრძოლა. ავიანგარდის საქმე ცუდად წავიდოდა, რომ ბრძოლაში ბატონიშვილი ვახტანგი არ ჩარეულიყო. ცოტა ხანს შემდეგ თვით ერეკლემაც იძრო ხმალი. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ქრწანისისაკენ მომავალ თბილისელ მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია ვინმე მაჩაბლის მეთაურობით. ხალხი მოდიოდა სიმღერითა და ფანდურის კვრით ქართველ მეომართა წასახალისებლად. ამის დანახვაზე ქართველი მეომრები გააფთრებით ეკვეთნენ ირანელთ, გაარღვიეს უთვალავი რაზმები, გზა გაუკავეს მომდევნო გუნდებს, შეიჭრნენ სიღრმეში, რამდენიმე დროშაც წაპვლიჯეს დამპყრობელთ და თვით ალა-შაჰმად-ხანის დროშას მიეტანენ. მაგრამ ყოველი მხრით გარშემორტყმულმა მცირერიცხოვანმა ქართველობამ დიდი ზიანი განიცადა, დანაკარგები გაცილებით დიდი იყო ირანელთა მხარეზე, მაგრამ სამაგიეროდ ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენდა მათი მხედრობა. ქართველობას კი თანდათან ეშრიტებოდა სისხლი.

ალა-შაჰმად-ხანმა ახლა კი მთელი რეზერვები დასძრა და ბრძანა გადაწყვეტი დარტყმით საბოლოოდ გაეხრისათ ერეკლეს ჯარი. ამ სახიფათო წუთებში ქართველობას დიდის მოხერხებით უჭერდა მხარს თავისი არტილერიით ბატონიშვილი დავითი: ქართველთა მარჯვენა ფრთიდან ზუსტად სცემდა მტრის ჯარს შუაგულში. ალა-შაჰმად-ხანი დიდი ხანია გრძნობდა ამას და ბოლოს იძულებული გახდა სპეციალური რაზმი გამოეყო დავითის პოზიციების ასაღებად. სამიათისიანი რაზმი მალე დაიძრა დავითის ზურგში შემოსავლელად.

ამ დროს ერეკლეც დაიძრა მთელი რეზერვით, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორმე განემტკიცებინა და შეენარჩუნებინა ავიანგარდის წარმატება, ესნა იგი უაღრესად საშიშ მდგომარეობიდან. მაგრამ უკვე ცხადი გახდა, რომ აღარ შეიძლებოდა მტრის გამკლავება. უფრო და უფრო თხელდებოდა ქართველთა რიგები. კარგად არ გრძნობდნენ თავს არც ირანელი მეომრები და შესაძლოა კვლავ უშედეგოდ დასრულებულიყო ამ დღის ბრძოლა, რომ მოულოდნელად ქართველთა პოზიციების მარჯვენა ფრთაზე კოჯრის მიმართუ-

ლებიდან კრწანისის ზურგში მომავალი მტრის დიდი რაზმი არ გამოჩენილიყო. ეს იყო მელიქ მეჯუნის რაზმი. ამ რაზმმა სულ მალე ვახტანგისა და იოანეს პოზიციების ზურგში მოახერხა ჩამოსვლა და კინაღამ არ დატყვევებინა.

ვახტანგმა და იოანემ გააკეთეს ალყა და მეფის რაზმს შეუერთდნენ სწორეთ მაშინ, როცა თვითონ ერეკლეს მცირე მხედრობით გარშემორტყმული იყო ირანელთა უზარმაზარი ბრძობებით და სიკვდილი ან ტყვეობა ემუქრებოდა. იოანემ თავისი 300 გმირი მხედრით საარაგო ვაკეკომა გამოიჩინა — უთანასწორო ხელჩართული ბრძოლით გაარღვია მტრის გუნდები, შეიჭრა შუაგულში და ძლიერ გამოიხსნა უკვე ბრძოლით დაქანცული მეფე. ერეკლეს აქამდეც არწმუნებდნენ, რომ უაზრობა იქნებოდა ხიფათში ჩაგდო თავი, რომ მისი სიკვდილი ან დატყვევება უფრო მეტად გააზარებდა ალა-მაჰმად-ხანს. მაგრამ მან მხოლოდ ახლა დაუჯერა შვილიშვილს და გამოჰყვა მას. ამ წუთიდან დაიწყო უკანდახევა ქართული მხედრობისა, რომლის რიცხვი რამდენიმე ასს-ლად უდრიდა. ვალაენის კართან კიდევ ეცადნენ ქართველები დახვედროდნენ მტერს და არ შემოეშვათ თბილისში ირანელნი, მაგრამ ასეთი რამ მათს ძალღონეს აღარ შეეფერებოდა. აქვე დაიღუპა მათი უმრავლესობა და მხოლოდ 150 და ისიც დაჭრილი მეომრით გავიდა ერეკლე ავღანბრის ხელზე.


ხოშა-ყალას გარნიზონის ზარბაზნებმა უკანასკნელად დაიგრიალეს. მისმა მცველებმა ამის შემდეგ მოხსნეს ზარბაზნები და ლელეში გადაჰყარეს, რათა მტრებს არ ჩაეგრძნოდათ ხელში, შემდეგ მათაც მხოლოდ ხმლით შესძლეს გზის გაკაფვა ტაბახმელისაკენ.

ბატონიშვილი დავითი კვლავ მედგრად იდგა უთვალავი მტრის პირისპირ და ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან. მხოლოდ მაშინ, როცა კარგად ჩამობნელდა და ერეკლეს წასვლის ამბავი შეიტყო, დასთმო ბრძოლის ველი და ბრძოლით გავიდა უკან. მესამე დღეს მწარედ დაღონებულ ერეკლეს ეახლა არაგვის ხეობაში.

„თბილისში შემოსვლისთანავე ალა-მაჰმად-ხანი პირველყოვლისა მეფის პალატებისაკენ გაეშურა. მას თან ახლდა განჯელი ჯევათ-ხანი, გეარად ზიადოლი, რომელიც ჩამომავლობით ყაჯარი იყო. ყურადღებით დაათვალიერა მთელი შენობა, აგრეთვე მეფის სალარო, აირჩია თავისთვის რაც მოეწონა, ხოლო დანარჩენი თავის მეომრებს დაუთმო. მან ჯარს უფლება მისცა — გაეძარცვათ და დაეწვათ ეკლესიები, სასახლეები და კერძო სახლები, გაეწყვიტათ, ან ტყვედ წაეყვანათ ორივე სქესის მცხოვრებნი, როგორც დიდები, ისე ბავშვები. მცხოვრებთაგან ბევრი სახლებში გამაგრდნენ, დადგეს ბარიკადები ქუჩებში, და მათი ხელით აუარებელი სპარსელი გამოესალმა წუთისოფელს. ყველა ტყვეს სპარსელები ჰგზავნიდნენ ქალაქ გარეთ, თავიანთ ბანაკში სოფელ სოღანლულის მახლობლად, მტკვრის პირად...

ალა-მაჰმად-ხანმა მოინახულა მეფის აბანოც, რომელიც მას ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით მისი მარმარილოს და თლილი ქვის შენობები. მას ბევრი გაეგო მინერალური წყლების სამკურნალო თვისების შესახებ, რის გამოც რამდენიმეჯერმე მიიღო აბანა, მაგრამ რაკი სნულულებისაგან ვერ განიკურნა, განრისხდა და ბრძანა მიწასთან გაესწორებინათ აბანოები. განსაკუთრებული ყურადღება სპარსეთის მბრძანებელმა მიაქცია მეფის იარაღის სახელღონებს, საარტილერიო საწყობებს, ზარბაზნების ჩამოსასხმელ მანქანებს და სხვა მთელი საარტილერიო მოწყობილობა მან თავის ბანაკში გაგზავნა, ხოლო შენობები უბრძანა დაენგრიათ. დაატყვევა საარტილერიო საქმის რამდენიმე

ოსტატი, მაგრამ მათთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, მხოლოდ გოგბავ-  
ნა ისინი ჯერ თავის ბანაკში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ თეირანში იქვე  
გაისტუმრეს დატყვევებული მათი ოჯახები“<sup>1)</sup>.



**დასკვნა**

1. ბრძოლამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღო უშუალოდ თბილისის კარის წინ და აქედანვე შევიდნენ ირანელები გალაგანს შიგნით. ამავე დროს სწორედ ამ უბანს ემთხვევა მეტეხი-ნარიყალა-ხოშაყალის არტილერიის ცეცხლის ჯვარედინი. თუ თბილისში შემოსვლა აუცილებელი იყო, ირანელებს ყოველ შემთხვევაში ამ მხრიდან ვერასვლით ვერ უნდა მოეხერხებინათ გალაგანის გატეხვა, რომ აღნიშნული სიმაგრენი სავსებით მზად ყოფილიყვნენ მოგერიებისათვის, ამგვარად თბილისის მიდამოების სიმაგრეთა მთელი ეს შესანიშნავი სისტემა მოუმზადებელი აღმოჩნდა ჯარის მხარის დასაჭერად.

2. მაგრამ მზად იქნებოდნენ თუ არა მოგერიებითი მოქმედებისათვის ეს სიმაგრეები, თბილისის დაცემა მაინც ბუნებრივი მოვლენა იყო საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან გამომდინარე მიზეზებით.

3. მეორე დღის სასტიკი ბრძოლის შედეგად თბილისის კართან ქართველი მხედრობა დამარცხდა, მაგრამ ალა-მაჰმად-ხანს მაინც არ შეეძლო გამარჯვებულად ჩაეთვალა თავი. ქართველებს ახლა უფრო არსებითი საფუძველი მიეცათ ირანისაგან საბოლოოდ ჩამოშორებისათვის. ალა-მაჰმად-ხანი ამოდ ელოდა ერეკლეს მხრით მორჩილების აღიარებას, ირანელთა არმიის ნაწილები მცხეთამდეც ძლივს ჰხედავდნენ ასვლას, თვით შაჰიც იჩქაროდა უკან, რადგან არც ზურგში და არც წინ კიდეც არაფერი ჰქონდა საიმედო.

**თბილისის დაცემის უძებავები და მნიშვნელობა**

ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად ალა-მაჰმად-ხანის ჯარმა 13 ათასი მეომარი დაჰკარგა. ქართველი მეომრები თითქმის სრულიად გასწყდნენ, გარდა ერეკლე მეორის თანმხლები რაზმისა, რომელშიაც უმრავლესობა დაჭრილი იყო, და იმერლობის ერთი ნაწილისა.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის დაცემის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანის არმიის ნაწილებმა მცხეთის იქით ვერ მოახერხეს გასვლა, სხვა მიმართულებით კი მისი ჯარის მოზრდილი ჯგუფები ბაიაზეთსა და ბამბაკამდე გავიდნენ<sup>2)</sup>. ამის შემდეგ ალა-მაჰმად-ხანს განზრახული ჰქონდა სიღნაღზე გალაშქრება<sup>3)</sup>. მაგრამ ზურგში დაწყებული ახალი არეულობისა (აჯანყება ზოროსანში) და რუსეთიდან ჯარის ჩამოსვლის შიშით უკუაედო ეს განზრახვა.

20 სექტემბრისათვის ალა-მაჰმად-ხანმა უკვე მიატოვა აოხრებული თბილისი და ნადავლითა და დიდძალი ტყვეებით, რომელთა რიცხვი 10 ათასს კაცს აღწევდა<sup>4)</sup>, უკან გაეშურა. თან წაიღო 1783 წელს რუსეთიდან ერეკლესათვის ჩამოტანილი სამეფო სამკაული და კვერთხი<sup>5)</sup>.

<sup>1)</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი, „თბილისის აღება ალა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს“.

<sup>2)</sup> Бутков — „Материалы для новой истории Кавказа“.

<sup>3)</sup> იქვე.

<sup>4)</sup> „Краткий Курс Истории СССР“, გვ. 79.

<sup>5)</sup> Бутков — „Материалы для новой истории Кавказа“, ნაწ. III, გვ. 260.

მაგრამ თბილისის მიდამოების მიტოვებამდე ოთხი დღით ადრე ალა-მაჰმად-ხანმა ერთხელ კიდევ სცადა მოლაპარაკების განახლება ქვეყნებს შორის. მორჩილების ნიშნად იგი კვლავ სთხოვდა ერეკლეს მძევლად ერთი-ორი და ერთი შვილის-შვილის გაგზავნას. ერეკლემ ამაზედაც ცივი უარით უპასუხა.

დედოფალ ეკატერინესა და მის მახლობელთ თბილისის აოხრების შიშ-ენელობა ოდნავადაც არ შეუფასებიათ იმ ვაგებით, როგორც ერეკლესა და საერთოდ ქართველ ხალხს ესმოდა, და ეს არც იყო მოსალოდნელი. ეკატერინემ ეს ფაქტიც კასპიის ზღვის სანაპიროებზე თავისი ვაგელების გაძლიერების საბაბად გამოიყენა. ამავე შემოდგომაზე დაიწყო უზარმაზარი სამხედრო ექსპედიციის მზადება კასპიის ზღვის სანაპიროთა დასაპყრობად. თბილისის აოხრებით ალა-მაჰმად-ხანმა მართლაც გაბედულად გაილაშქრა რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ ამიერ-კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რომელიც 1783 წლის ტრაქტატით რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ რუსეთის კონტროლისძიებათა საფუძვლად თბილისის დაცემა როდი დაუდვია ეკატერინეს, მან მეტად ცხადად გამოსთქვა კავკასიაზე მძლავრი იერიშის მიტანის საფუძვლები 1796 წლის 2 თებერვლის რესკრიპტში გრაფის ვ. ა. ზუბოვისადმი. იგი სწერდა:

„მივიყვანეთ რა სასურველ ბოლომდე ჩვენი იმპერიის საქმეები ევროპაში და სამყაროს ამ ნაწილზე განვაშტაყოთ რა სარგებლიანობა ჩვენი ქვეშევრდომი ხალხებისა მტკიცედ და საიმედოდ... მოვმართავთ ყურადღებას აგრეთვე აზიის საზღვრებისაკენ“<sup>1)</sup>. ასეთი იყო ამ ახალი სამხედრო ექსპედიციის საფუძვლები.

მაგრამ ეს ლაშქრობა არ განხორციელდა. ველარც ალა-მაჰმად-ხანმა შესძლო მეორედ გამოლაშქრება საქართველოში, რასაც იგი აპირებდა. 1796 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ეკატერინე, 1797 წლის 4 ივლისს პირადმა მსახურებმა თავი მოჰკვეთეს ალა-მაჰმად-ხანს, ხოლო 1798 წლის 11 იანვარს ერეკლე გარდაიცვალა...

გიორგი მეცამეტის ხანმოკლე და საფუძვლიანად შერყეული მეფობის შემდეგ 1801 წელს საქართველო საბოლოოდ შეუერთდა რუსეთის იმპერიას და საქართველოში ირანის მეფეების გამანადგურებელი შემოსევა შესწყდა“).

კრწანისის ომის შედეგებმა ცხადპყვეს მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს სამეფო სისტემის სისუსტე და უძლურება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქართველი ხალხის მაჯისა და გონების დაკნინება-გადაგვარება, ამ მცირე მაშტაბის, მაგრამ ქართველთათვის მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში ქართველმა მხედრობამ სახელოვანად შესწირა სიცოცხლე თავის დედაქალაქის დაცვის საქმეს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. და თუ თბილისი მანც დაეცა, ამისათვის პასუხისმგებელნი იყვნენ ურთიერთშორის კინკლაობასა და საზიზღარი გამცემლობის ხლართებში გაბმული მეფის ჩამომავალნი და ყველა ჯურის ფეოდალები.

<sup>1)</sup> Дубровин — История владчества русских на Кавказе, 33. 70.

<sup>2)</sup> „Краткий Курс Истории СССР“, 23. 79.

ი. გოგებაშვილი—მოთხრობები. საბლიტბაში, 1940 წ.

ი. გოგებაშვილი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა მშრომელი ხალხის განთლებისა და კეთილდღეობისათვის. მოზარდ თაობაში სიესდა სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილ თესლს, აღვიძებდა ეროვნულ შეგნებას და ამხადებდა ახალგაზრდობას უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

ი. გოგებაშვილის „დედა-ნა“ იყო შთაგონების დაუშრეტელი წყარო. მისი „ბუნების კარი“ წარმოადგენდა ნამდვილ ენციკლოპედიას, რომლითაც მოსწავლე ახალგაზრდობა ითვისებდა მშობლიურ ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას და სხვ. ი. გოგებაშვილი არა მარტო ამ შესანიშნავი წიგნებით, არამედ ლამაზად დაწერილი მხატვრული მოთხრობებითაც ზრდიდა ხალხის შეგნებას. ეს მოთხრობები თავის დროზევე იქცევა მკითხველთა ყურადღებას და მათ საინტერესო საბავშვო მწერლის სახელი მოუხვეჭეს ავტორს.

ი. გოგებაშვილის უოველი მოთხრობა იმითაა სწორედ საინტერესო, რომ ის მიზნად ისახავს შეავაროს მკითხველს ბუნება, სამშობლო, ისტორიული წარსული და მისი თვალდადებული გმირები. მისი მოთხრობების თემატიკა ფართოა და მრავალფეროვანი, ფაბულა ნიჟიერად მოფიჭებული, თხრობა ლამაზი, პედაგოგიური და აღმზრდლობითი მალაღა ზნეობრივი იდეალებით აღჭურვილი. ასეთია სწორედ მისი მოთხრობები „იენანამ რა ჰქნა“, „დედნილი მეგობარი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ და სხვ.

დიდ პედაგოგიურ აღლოსა და პროგრესულ იდეებთან ერთად, ი. გოგებაშვილი აღტრელი იყო მხატვრული ნიჭით და ზომიერების გრძნობით, რაც მწერლისათვის ძვირფას თვისებებს წარმოადგენს; ის ზწირად პატარა მოთხრობებით ბევრს ამბობდა, ამ მხრივ ნამდვილი ოსტატი იყო. სწორედ ასეთი ოსტატობითა და გამოცდილი მწერლისა და პედაგოგის ხელითაა დაწერილი მისი მკითხე ზომის მოთხრობები: „ეანო და ფრინველები“, „ეასო და ჩიტები“, „ტოროლას ბარტყების სიყვარული“, „ბელურა ჩიტი“, „მერცხალი“, „დედნილი მეგობარი“, „ორაგულის ცხოვრება“, „თევზაობა“; მოზრდილ მოთხრობებიდან: „საარაკო თევზადსავალი ტახტის მემკვიდრისა“, „იენანამ რა ჰქნა“ და სხვ. მის კალამს ეკუთვნის ასამდე მოთხრობა, რომელთა შორის ბევრი დაწერილია იმ მიზნით, რომ ბავშვებს გაეცნოს ცხოველის, ფრინველის, მწერის უფაცხოვრება, ეს მოთხრობები დაწერილია ისეთი სდა, ლამაზი ენითა და ისეთი მიმზიდველი თხრობით, როგორც ეს იცოდა ლევ ტოლსტოიმ თავის პატარა საბავშვო მოთხრობებში.

საბლიტბაში მიერ გამოცემული ი. გოგებაშვილის მოთხრობათა წიგნში შეკრებილია თითქმის ყველაფერი, რაც კი დაწერილია იმ დიდებულ პედაგოგს, ბავშვთა გულის მესაიდუმლეს. თუ ი. გოგებაშვილის პატარა მოთხრობებშიაც კი, სადაც მწერებისა და ფრინველების შესახებაა ლამაზი, გამოყენებულია საინტერესო თხრობის მანერა, ეს მით უმეტეს გამახვილებულია მის მოზრდილ სუვეტიან მოთხრობებში. ასეთია სწორედ მისი შესანიშნავი „იენანამ რა ჰქნა“, „დედნილი მეგობარი“, „თევზაობა“ და სხვ.

ძალზე დამახასიათებელია ამ მხრივ მისი „იენანამ რა ჰქნა“. ახლო წარსულში ამ მოთხრობას ჩქმალადნენ და არიდებდნენ ბავშვ მკითხველებს; არაიენ არ ჩაჰკვირებია ღრმად, თუ რა შესანიშნავი შინაარსისაა ეს მოთხრობა, თუ რაოდენ არის იგი გამთბარი სამშობლოს სიყვარულის გრძნობით. ლეკებმა მოიტაცეს პატარა ქეთო და დალისტანში გაყიდეს ქეთო ლეკის ქალად იქცა, მაგრამ მშობლის ოჯახში მას თავისი ქართვლობა იენანას სიმღერამ მოაგონა. ქეთოს დაბრუნებამ ისევ მეგობრობა დაამყარა სხვადასხვა ერის ორ ოჯახს შორის. რამდენი რამაა ნათქვამი ამ მოთხრობით: მშობლიური ენის სიტკბო, მეგობრობის შესაძლებლობა, მშობლიური სიყვარულის ძალა. მოთხრობა წარმტაც ემოციებს იწვევს მკითხველში და აღტაცებაში მოყავს ლამაზად მოფიჭებული სუვეტითა და თხრობით. ამიტომ სარგებლობდა და სარგებლობს ეს მოთხრობა დიდი წარმატებით.

არა ნაკლებ საინტერესოა თავისი სიმახვილითა და ამბით ი. გოგებაშვილის პატარა ისტორიული მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ პატარა ინგილო ქალმა მეფე ერეკლეს ზიდან თავზე ქლიავი გადმოაყარა, ის მას სპარსელი ეგონა, რაკი დინახა იგი

სპარსულ ტანსაცმელით, ძალიან გაუკვირდა, როდესაც გაიგო მისი ვინაობა, მაგრამ არ დაი-  
ჯერა: ეგ რომ მეფე ერეკლე იყოს, განა სპარსულ ჭულს დაიხურავდა? პატაროტული  
გრძნობა და ხალხის საყვარელი გმირისადმი სიყვარული გოგებაშვილს ქვედა მუცელს ეჭებს ამ  
მოთხრობაში პატარა გოგოს მეოთხებით.

მეცხეეული

მოთხრობა „დედნილი მეგობარი“-ს მიზანია განუმარტოს ბავშვებს ზღარბის მნიშვნელობა,  
მაგრამ იმისათვის, რომ ეს აზრი დამაჯერებლად აღიბუქდოს მათ გონებაში, იგი გადმოგუ-  
ცემს ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ უდინამულოდ დასაჯეს ბავშვებმა ბაღში ზღარბი,  
მაგრამ შემდეგ მოწამენი გაბანდენ, როგორ მოკლა ზღარბმა შხამიანი გველი.

ი. გოგებაშვილი თავის მოთხრობებში არ მისდევს გადაჭარბებულ დეტალებს, გადამე-  
ტებულ ფსიქოლოგიურ აღწერებს. ის აჩვენებს უმთავრესს, ის ხატავს, აჩვენებს მოქმედებას.  
ეს შესანიშნავი თვისებაა საბავშვო მწერლისათვის. გოგებაშვილის ამ მოთხრობებში მოჩანს  
ნამდვილი მწერლური ნიჭი, დიდი ცოდნა და სიყვარული ბავშვთა სამყაროსი, აღწერს იგი  
ბუნებას თუ ომს, თევზაობას თუ გმირობას, არასდროს არ ივიწყებს თავის მკითხველს, რომ  
მას ამბავი უნდა მოუთხროს საამერად, სადა ენით. ამიტომ ი. გოგებაშვილის მოთხრობები  
აღვილად მისაწვდომია და მიმზიდველი. ეს ადვილად გასაგებცაა, რადგან ამ მოთხრობებს  
სწერდა გამოცდილი პედაგოგი, ბავშვთა აღმზრდელი.

ი. გოგებაშვილი თავიდანვე იმ აზრს ავითარებდა, რომ საბავშვო ლიტერატურა ბავშვთა  
აღზრდის უდიდესი იარაღია „თუ თქვენს შვილს, — წერდა ი. გოგებაშვილი, — პატარაობი-  
ნასვე მარჯვედ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებები მიიზიდავენ თავისაგან, აგრძნობინებენ  
სამოყვანებას, გულს საამერად უღელავენ და კითხვის მოთხოვნილებას უღელავენ და უმ-  
ტკიანებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებით ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღა-  
ლავს გონებითს მოქმედებას, რომლისათვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნის კითხვა,  
აზროვნება, მსჯელობა იჭრება ისეთივე მიუცილებელი უოველდლოური საჭიროება, როგო-  
რიც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის“.

ი. გოგებაშვილის აზრით, ბავშვს ესაჭიროება ენის შესწავლა, სწორი მეტყველების გან-  
ვითარება, ამიტომ საჭიროა, მათ უკითხონ კარგი საბავშვო წიგნები, გაუმართონ სწორი  
ლიტერატურული საუბარი; ეს განავითარებს მასში აზროვნებას, მსჯელობის უნარს.

მისი ისეთი მოთხრობები, როგორიცაა „იანანამ რა ჰქვან“, „ერეკლე მეფე და ინგი-  
ლო ჭილი“, „დასჯილი მეგობარი“ და სხვა, ნამდვილი საუნჯეა ქართული საბავშვო ლიტერ-  
ატურისა. ი. გოგებაშვილი, როგორც საბავშვო მწერალი, ჯერ კიდევ შეუსწავლელია, ჯერ  
კიდევ არაა მიელი მისი შემედიდრება ღრმად შესწავლილი. საბლიტგამის მიერ გამოცე-  
მული წიგნი ამ მხრივ პირველი ნაბიჯია, ამიტომ უსათუოდ აღსანიშნავია ის შრომა, რომ-  
ელიც გაუწევია ამ მოთხრობების შეკრებისა და რედაქტირების სახით პროფ. გ. თავი-  
ნიშვილს.

ი. გოგებაშვილის „მოთხრობებს“ თან ახლავს ერეკლე კრიტიკული წერილი გ. თავი-  
ნიშვილისა, სადაც ბიოგრაფიასთან ერთად მოცემულია ი. გოგებაშვილის შემოქმედების გან-  
ხილვა. გ. თავინიშვილი ჯერ ერეკლად იხილავს ი. გოგებაშვილის შეხედულებებს საბავშვო  
ლიტერატურაზე, ბავშვთა აღზრდაზე, და შემდეგ მისი მოთხრობების ანალიზს აკეთებს. ამ  
წერილის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ძალზე სტემატურად დაწერილი შესავალი, სადაც ლა-  
პარაკია პორაქისის, პეგელისა და სხვათა შესახებ.

ი. გოგებაშვილის მოთხრობებს დართული აქვს წინასიტყვაობა (ტექსტისათვის), სადაც  
აღწუხებულია ის მუსაობა, რომელიც ჩაუტარებია რედაქტორს სხვადასხვა ეურნალებში და  
წიგნების სახით გაბეჭულია. ი. გოგებაშვილის მოთხრობების შეკრებისა და დადგენისათვის.

საბლიტგამმა ი. გოგებაშვილის მოთხრობების გამოცემით უსათუოდ შესანიშნავი საქმე  
გაკეთა. მან ამ კრებულის სახით ძვირფასი საუნჯე შესძინა ჩვენს მკითხველებს. წიგნში  
მოთხრობები ოთხ კარადა დაყოფილი. პირველ ორ კარში შესულია მცირე მოთხრობები  
„დედა-ენიდან“ და „ბუნების კარიდან“. შემდეგ განყოფილებებში უფრო მოზრდილი მოთ-  
ხრობებია შეტანილი.

ეს წიგნი თავისთავად ავებს ი. გოგებაშვილის რჩეულ ნაწერების ოთხ ტომად გა-  
მოცემის განზრახვას, რომელთაგან უკვე გამოცემულია პედაგოგიური წერილები (სახელგა-  
მის მიერ) და სხ.

ი. გოგებაშვილის „მოთხრობები“ გამოცემულია ლამაზად, მას დართული აქვს ავტო-  
რის პორტრეტი.

ა. სულაშა.



# შინაარსი



## მხატვრული ლიტერატურა

უიარაღო — მაძიებელი (სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან) . . . . .	3
აღუქსანდრე აბაშელი — საუბარი აღიდგებულ მტკვართან (ლექსი) . . . . .	35
დემნა შენგელაია — შთაგონება (რომანი) . . . . .	37
ივან ფრანკო — ორი ლექსი (თარგმანი იასამანისა) . . . . .	64
შალვა დადიანი, აღ. ბუჩთიკაშვილი — ლადო კეცხოველი . . . . .	67

## ი. გოგებაშვილის დაბადების ასი წელი

იაკობ გოგებაშვილი . . . . .	85
შალვა გოზალიშვილი — ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერა იაკობ გოგებაშვილთან . . . . .	91

## ხელოვნების საკითხები

ილია ზურაბიშვილი — ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ . . . . .	108
ნიკო ტატიშვილი — დავით ერისთავის „სამშობლო“ . . . . .	121

## სამართველო წარსულიდან

ივანე შაიშმელაშვილი — კრწანისის ომი (დასასრული) . . . . .	133
---	-----

## ბიბლიოგრაფია

აღ. ხულავა — ი. გოგებაშვილის მოთხრობები . . . . .	159
---	-----

---

გადიცვა წარმოებას 15/XI-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-40 წ. შეკვეთის № 1961. ფორმათა რაოდენობა 10. ანაწყოების ზომა 7 X 12. ტრაფი 3700. შ04308.

ფასი 2 ზ. 50 ლ.

10-984  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**შ ნ ა თ ბ ი**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ